

# სახელი გოგონა



იანვარი 2013 №86  
ფასი 7 ლარი



საეჭაროებზე  
**2012**  
აღამიანები

ISSN 1512-2220  
978-5-1512-2220-6



olives & extra virgin olive oil  
**KALAMATA**

“ო, ზეთისხილი, მე კიცი შენი ჯადოსნიობა - შენ  
სისხლი მოიპყვემ განწილან სამყაროსათვის.”

ხწიორედ ეს „დედამიწის სისხლი”, ზოგჯერ ქართვისფერი და „ზოგჯერ მომწერანი, დღესდღუბით ხწიორედ ეს ზეთი ფახობს ყველაზე ძვირად მოუღის მსოფლიოში.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ზეთისხილის ხევშის შომენგა დაიწყება ხელოთაშეუძლიერებელი კედები ათასი წლის წინ, ხოლო შევნის წლილია დარიუშმა ამტკიცებული ისე ადრე, თრიათასხუთასი წლის წინ ხელოთაშეუძლიერებელი შეცხოვრებლებმა იხსნავლეს ზეთისხილის ნაყოფიდან ლუთარმრიცვ ნეკტარის – ზეთისხის ზეთისხილისა.

მესქნიის დედაქალაქი - უძველესი ქალაქი კალამატა, რომლის ნაფოფილო მიწა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დიდად განვითარებული იყო და ძვირად ფარმაცევტული მასალების კუველაზე ცნობილი „ზეოთისხელი“ და „ზეოთუნის ზეთი“ კალამატა“, რომელიც მთელი რეგიონიში ანალიზების ჩატარების შედეგების კლასიფიცირდება როგორც პირველი (ცვერ) წნევების „ზეოთუნის ზეთი“.

ეს არის «Black Label»-ის დანის პრიდუქტი ზეითუნის ზეთის წარმოების ხელშეკრულები. მისი წარმოების უსაფრთხო ნიშანი PDO (Protected Designation of Origin) აღასტურებს, რომ ზეთი დაშავდებულია გარეულ ტერიტორიაზე მოცავილი ზეთისხილისაგან, წარმოების მისთვის დამასახურებული ტექნიკისგან. ჩვენს შემთხვევაში კა უძრავოდ ჩაიარა გალატატას რაიონში.

ଓজোন সেক্ট  
"GPC"-এবং "City Pharma"-এ এবং  
"Goodwill"-এবং ফ্লারেল প্রোড

## ზეითუნის ზეთი - სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წყარო

ზეითისხილის სასარგებლო თვითხებები აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინ, მაგრამ მხოლოდ მე-20 საუკუნეში, მეცნიერების ბოლო მიღწევების წყლობით გახდა შესაძლებელი იმის დადგენა თუ რამდენად სასარგებლოა ზეითუნის ზეთი. მეცნიერება ამ პრიდაუტებს "თბევად იქმოს" უწოდებდნენ, და არც თუ უსამართლოდ, ზეითუნის ზეთი შეიტანეს ანტიოქსიდანტებს, კოტაიძებს და უკარ შეკვებს. რომელიც აუმჯობესებს ნივთიერებათ ცვლას, აძლიერებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს შეფარველობას და ამცირებს კიბის განვითარების რიცხვს.

მეცნიერებმა თავის დროზე აღმოჩინეს ამ ზეთის საიდეალოება: აღმოჩნდა, რომ იგი შეიტანეს ოლივის ქავას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მაღის კონტროლი, რაც გვეხმარება, თავიდან ავიტოლით ჰარბი კვება, რომელიც ასევე, ადამიანს ობჟიშისტურად განაწყობს და სიცოცხლის ხალის მატებს.

ზეითუნის ზეთი განსაკუთრებით სასარგებლო ბავშვებისათვის, რადგან სტიმულაციას უწევს ძვლის ქსოვილის ზრდას, მრიცანულმა მეცნიერებმა დაადგინეს რომ ზეითუნის ზეთის "Extra Virgin"-ის ცხიმშევები თავისი შემადგენლობით უახლოვდებიან დედის რძეში შემავალ ცხიმებს.

ჯანდაცვის შეოფლით ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი კვლევების შემდეგად დადგენილია, რომ "ხელთამუა ზღვის" კვება სასარგებლო ადამიანისათვის და ხელს უწყობს მიხი სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამ თრგანიზაციამ პირველმა წარმოაჩინა ხელთამუა ზღვის ხაკვების პირამიდა, როგორც ჯანხაღი კვების პროტოტიპი, რომელიც დაუუძრებულია ზეითუნის ზეთის და ზეთისხილის გამოყენებაზე.

### ბერძნული სალათა

წერ შევეღდებით ნამდვილი ბერძნული სალათის რეცეპტის შებნას ინტერნეტში, თქვენ იხილავთ მილიონობით ვარიანტს, მაგრამ მისი დამზადების ნამდვილ ხერხს ისწავლით ის შემთხვევაში, თუკი წახვალო საბერძნეთში და ყველაგურის თქვენი თვალით ნაასვლო. თუმცა, თუ ასეთი მოგზაურობა ამგამად თქვენთვის არ არის ხელმისაწვდომი, ჩვენ გაგიზიარებთ ამ საიდეალოს:

- პომიდორი უნდა იყოს დიდი, მწიფე - იჭრება დიდ ნაკრებად (ნამდვილ ბერძნულ სალათაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ პომიდორი "ჩერი").
- მისხვილი, ქორიზა კიტრი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითალოს და უნდა დაკვრას აგრეთვე მსხვილ ნაკრებად, რათა ზეითუნის ზეთი არ გათხელდეს და არ დაეკარგოს არომატი.
- ასევე მსხვილ რეზოლუციად იჭრება ვარდისფერი ტკბილი ხახვი.
- ნახევარგვილებად იჭრება ტკბილი, მწვანე წიწაკა.
- ბერძნული ზეთისხილი, მეწანა ან მუქი ვარდისფერი.
- ყველი "ჭაბა", იდემ ერთ დიდ ბრტყელ ნაკრად, ყველაზე ბოლოს, ზემოდან, სალათის ამორცვის შემდეგ!
- ზეითუნის ზეთი - მხოლოდ "Extra Virgin", ხასურველია მწვანე ფერის, მიასხით დიდი რაოდენობით, ისე რომ სალათის ნახევარი დამფაროს ზეთში.
- ხმელი ორეგანო - სამხრეთული სიცხარის შარმი.
- და მარილი.

თქვენ რა თქმა უნდა, სალათაში შევიძლიათ სხვა ინგრედიენტებიც დაამატოთ, მაგრამ ეს უკვე არ იქნება ბერძნული სალათა.

მიირთვით გემრიელად!

καλή ὄρεξη! [კალი ორვესი!]





2 985 985  
 radio@shokoladi.ge  
 radio.shokoladi.ge


	ორგანიზაცია	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასევი	შაბათი	კვირა
07:50	საცდროს ზღაპრები	საცდროს ზღაპრები	საცდროს ზღაპრები	საცდროს ზღაპრები	საცდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიცხვი	დანენის გზაგვალები
12:00					უიცხვი	ტაროუ	ნიგნები
13:00	დანენის გზაგვალები	ტაროუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	არტ ჰაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუდეტრეივი	უიცხვი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტაროუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	დანენის გზაგვალები		
19:00	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუდეტრეივი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						საცდროს ზღაპრები	საცდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი	ლიგარალი		
02:30	ტაროუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	დანენის გზაგვალები	ცხოვრების საუდეტრეივი	
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუდეტრეივი		




ლევან ბერძენიშვილის  
"წიგნები" წიგნების  
იდეული, შინაარსო-  
ბრივი, ისტორიული და  
სხვა ასპექტების  
ანალიზია.




მალხაზ ხარბედიას  
"ღვინის გზამკვლევი"  
მსმენელს ღვინის  
სამყაროს შესახებ  
ექსკლუზიურ  
ინფორმაციას აწვდის.



დავით ბუხრიკიძის  
"არტ ჰაუსი" მიმდინარე  
კულტურული  
მოვლენებისა და  
სიახლეების შეჯამება.



ნინო ჭაფიაშვილის  
"ცხელი შოკოლადის  
ისტორიები" შესაძლე-  
ბლობას გაძლევთ,  
გაიხსენოთ ურნალის  
საუკეთესო ისტორიები  
და ხელახლა შეხვდეთ  
მთავარ გმირებს.



გადაცემა "ლიბერალი",  
ურთიალ "ლიბერალის"  
რედაქტორების მიერ  
მომზადებული,  
მიმღინარე აქტუალური  
მოვლენების ფაქტებზე  
დაყრდნობილი  
ანალიზია.



ნინო ნატროშვილის  
"ტერშო" ამ სფეროთი  
დაინტერესებულებს  
ტექნოლოგიურ  
სიახლეებს სთავაზობს.



დავით უორულაძის  
"ცოცხალი ზონა"  
მიზნად თანამედროვე  
ქართული მუსიკის  
პოპულარიზაციას  
ისახავს.



ნასტია სართანიას  
"ცხოვრების  
საუნდტრეკი" ცნობილი  
მელომანების  
მუსიკალურ გემოვნებას  
წარმოადგენს.



სანდრო ასათიანის  
"სანდროს ზღაპრები"  
პატარებს თანამედ-  
როვე საბავშვო  
ლიტერატურას  
გააცნობს.



თამარ ალავიძის  
"უიკენდი" მათთვისაა,  
ვისაც მოდა, თავის  
მოვლა და ჭანასალი  
ცხოვრების წესი  
აინტერესებს.

# სხვით მოწოდება

N86, იანვარი 2013



ყდაზე: რუსულან ჭყონია  
ფოტო: ნატა სოფრომაძე

- 08 რედაქტორის სვეტი  
10 ავტორთა სვეტები
- წარდგენა** 12 სალომე რიგვავა, მხატვარი  
14 ორი დალიკ, შეგერგება... **დავით ბუხრიკიძე**
- ანონსი** 16 5 მნიშვნელოვანი მოცლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ  
სალომე აფხაზიშვილი
- რესტორნის კრიტიკა** 22 პროტესტი საცივს ნაყინით **თამარ კვინიკაძე**
- საავტორო სვეტი** 24 იქ, სადღაც შორს გაგა ნახუცრიშვილი  
26 \*\*\* **მანა სარიშვილი**  
28 მუცლის სატკივარი **დიანა ანფიმიადი**
- რეპორტაჟი** 30 ბილეთი შეალურის მიმართულებით **თამარ ალავიძე**
- ინტერვიუ** 40 მოპერან მახმალბატითეო **ხატიაშვილი**
- სპეცპროექტი** 48 ადამიანები, რომლებმაც შექმნეს მოვლენები
- ლიტერატურული ესე** რად მიყვარს დორის ლესინგი? **ირაკლი ლომოური**  
74 საავტორო შორისობაა უ-შეეენდ აკა მორჩილაძე  
78 **მოთხოვთ Leporello ლაშა ბულაძე**
- 88 **მოთხოვთ Leporello ლაშა ბულაძე**
- 92 **პოეზია** ბექა ყორშია, პოეტი
- რეცენზია** 94 ეს ჩემი სახლია **ანინა ტეფნაძე**  
96 კერუაკის გზა **დათო ტურაშვილი**
- 98 სირცხვილის შემდეგ გიორგი **ლომუანიძე**
- წიგნები** 102 მიმოხილვა
- კინოსესე** 106 იშტვან საბოს თეზისები **დავით ბუხრიკიძე**
- რეცენზია** 110 „ქარიშხალი“, როგორც ზღაპარი შერიგებაზე **დავით ბუხრიკიძე**  
112 გორაკებს გამოლმა **დავით ბუხრიკიძე**
- სტილი** 118 რედაქტორის სვეტი **თამარ ალავიძე**  
120 ივ სენ ლორანი პრეტ-ა-პორტეს ირჩევს **კლოდ ბერტო**
- 124 ინსპირაცია ნიკოლა გესკიე
- 126 აბსოლუტისტი **ჯუდით თურმანი**
- 138 სტილის დღიური



## საიმაზო გარემო მანი შვილებისთვის

თქვენი შეიღლის ახალი, საიმედო და უსაფრთხო გარემოება, აქ სულთა ჰაერია, თქვენს თვალინინ არაჩეულებრივი ხედი იძლება. ეს ყველაფერი თბილისის ცენტრიდან მხოლოდ ათ წუთში. ლისის ტბის მახლობლად აუნებული ლისი ვერანდა გთავაზობთ იმას, რასაც ორი განსხვავებული სამყარო შევის — ბუნებას და ქალაქს ერთდროულად. თანამედროვე დიზაინი, კეთილმოწყობილი გარემო და სრული ერთეულობრივი თქვენის ხელთან, გადმოდი და დაიწყეთ ახალი ცხოვრება.

2 48 47 44 | 595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

## რედაქტორის სვეტი

მთავარი რედაქტორი

თამარ ბაბუაძე

„ლიტერატურა“

ბექა ქურთული

„სტილი“

თამარ ალავიძე

რედაქტორების ასისტენტი

მარიამ სამადაშვილი

რედაქტორ-სტილისტი

რატი ქართველიშვილი

ართელაძეპორი

არჩილ თაბუკაშვილი

ლიზანი

თორნიკე ლორთქიფანიძე

კორეპორი

თამარ ღონლაძე

ცომერზე მუშაობლენი:

ნინო ჯაფუაშვილი, თამარ ალავიძე, დავით ბუხრიყიძე, თემ ხატიაშვილი, მაია სარიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, დიანა ანფიმიადი, ნინო ნატროშვილი, სალომე აფხაზიშვილი, ელენე ხარაზაშვილი, მარი სამადაშვილი.

ფოტო:

ხათუნა ხუცრიშვილი, ნატა სოფრომაძე, მარიამ სიჭანავა, გია გოგატაშვილი.

ილუსტრაცია:

ეკა ტაბლიაშვილი.

გამოცემები

შორენა შავერდაშვილი

პიზნესის განვითარების მენეჯერი

რუსული ფურცელაძე

პარტიონერებთან ურთიარობის

მენეჯერები:

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გორიაშვილი

ლისტრისტუცია

მიხეილ მამუჩაშვილი

**DEKOM**  
MEDIA HOUSE

გამოცემები:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“

მისამართი: თბილისი 0183, საქართველო

ულენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05

სავა გამოცემები:

„ლიბერალი“, „დიალოგი“, „ქართული დვინის გამკვლევი“

სტამპა:

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140,  
ტელ.: 235 70 02

უურნალი გამოდის 2004 წლის

25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო

უფლებები დაცულია უურნალში

გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი

ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის

ნებართვის გარეშე აკრიალულია.

„ცხელი მოკლადის“ რეპრიკის სპონსორი  
არ ერევა შინაარსის შექმნაში.



## მრავალწლიური

ძალიან შორიდან მინდოდა, დამეწუო. პირდაპირ კოსმოსიდან. მინდოდა, მეთქა, რომ ყველა გალაქტიკას თავისი მზე და მზეები ჰყავს, ყველა მზეს კი თავის მხრივ, სჭირდება გალაქტიკა, საკუთარი დიდებულება რომ დაამტკიცოს. მინდოდა, მეთქა, რომ ყველა სამყაროსაც ჰყავს თავისი გმირები და გმირებ-საც სჭირდებათ ეს სამყაროები, რათა იქცნენ და დარჩნენ გმირებად.

მინდოდა, მელაპარაკა პარალელურ რეალობებზე, წარსულისა და მომავლის პირობითობებზე, სამყარო-ადამიანებზე, ჩვენი თვალთახედვის რაკურსებსა და პერსპექტივებზე, ჩვენს ამნიუთიერ განწყობებზე, ჩვენს სოციალურ მდგო-მარეობასა და განათლებაზე – ყველაფერ იმაზე, რაც გვიყალიბებს შეხედულე-ბებს, შემდეგ რომ განაფირებით ვიცავთ.

მინდოდა, შემეხსენიებინა, რომ წლის ბოლოს ჩავლილი 12 თვის შეჯამება, გრებავთ, სენტიმეტრტალური, გრებავთ, არაფრისმაჟნისი, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე ადამიანური და „ძველი პროცესიაა“.

და მხოლოდ ამ ყველაფრის გავლით მინდოდა, მივდგომოდი სათქმელს – რო-გორ და რატომ ავარჩიეთ გმირები საახალწლო ნომრის სპეცპროექტისთვის.

მაგრამ რაღაც არაფერი აეწყო, ამ პატარა შეჯამების გარდა. შესაძლოა, იმი-ტომაც, რომ მთელი ენერგია სწორედ ამ ადამიანების შერჩევამ, არჩევანის ბევრჯერ აწონ-დაწონვამ და მსჯელობამ წაილო.

საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ წლევანდელი პროექტი წინა „წლის ადა-მიანებისგან“ განსხვავებით, უფრო ჭრელია; და არა იმდენად ჩვენი გმირების პროფესიების და მიღწეულების მრავალფეროვნების გამო, არამედ უფრო აზრთა სხვადასხვაობის გამო, რასაც ბევრი მათგანი იწვევს ჩვენში. მეც სწორედ ეს მომწონს – როცა კამათის საგანი ჩნდება; როცა გმირი არასწორხაზოვანია და თავისი ქმედებებით ან შთაგაგონებს, ანდა გაიძულებს, გაბრაზებით გადაუსვა ხაზი. ისიც წინასწარ მომწონს, რომ ზოგიერთ მათგანს შეიძლება არც იუ-ნობდე, ასლა გაიცნო და მის შესახებ ან ასე გადაწყვიტო, ან – ისე. ჩვენ ხომ კატეგორიულად და დაუინებულად არცერთი მათგანის შესახებ არ გვითქვამს, რომ ან გმირია, ან ანტიგმირი. ვთქვით მხოლოდ ის, რომ ჩვენი აზრით, ამ ადამიანების გამო იყო 2012 წელი გამორჩეული; გასული წელიწადი ჩვენთვის მათ „შექმნეს“ – თავიანთი ინიციატივებით, ამბიციებით, შემოქმედებითობით – უბრალოდ, ქმედებებით. შესაძლოა, არც ამაში დამეთანხმოთ და ესეც მიხარია, რადგან როგორც უკვე გითხარით, ჩემთვის მთავარი სადისკუსიოდ ლია სიკრ-ცეა; ძახილის ნიშნებით ჩაკეტილი აზროვნების ნაცვლად – კითხვის ნიშანი, წერტილ-მძიმე და მრავალწლიურტილი...

მოგვერევა,  
კეთილი სურვილებით,  
თამარ ბაბუაძე



CARTE  
NOIRE  
Un café nommé désir

ყველა მოგზაურის გადახმატებელი ინგრედიენტი

## ავტორთა სცენიფი



თამარ ალავიძე

სკოლის წლებში, ყოველ ზაფხულს, დასასვენებლად ბებია-ბაბუასთან მიუდიოდი სამეგრელოში. ფაცი-ფუცით ჩავპარგდებოდით მანქანაში მთელი ოჯახი და დავადგებოდით სენაკისკენ მიმავალ გზას. სამასკილომეტრიანი დისტანციის გასავლელად საშუალოდ ოთხი საათი გვჭირდებოდა, რაც ჩემთვის მძიმე განსაცდელი, მამასთვის კი ნერვული სისტემის მწარე ტესტი იყო. ერთადერთი, რაც ამ გზის დაძლევაში მეხმარებოდა, სამგზავროდ გამზადებული გემრიელი საგზალი და რიკო-თის უღელტეხილის მონაკვეთზე მთებზე შეფენილი მოლუშული სახლების თვალიერება იყო. მაშინ ყვიქერობდი, რომ აქ ცხოვრება ამ ადამიანებისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი უნდა ყოფილიყო. იმ დროს სხვანაირად უბრალოდ ვერც წარმომედგინა.

როცა შალაურში გამზავრება და რეპორტაჟის გაკეთება შემომთავაზეს, ზედმეტი ფიქრის გარეშე დავთანხმდი. ეს ჩემთვის იდეალური შანსი აღმოჩნდა სამისიოდ, რომ წლების განმავლობაში დაგროვებულ ემოციებზე აგებული სტერეოტიპი დამემსხვრა და ცოტა ხნით სოფლად ცხოვრების ყოველდღიურობაში შემექუიტა: ზოგიერთისთვის შეუძლებელ, ზოგისთვისაც კი სიმშვიდის მომგვრელ რეალობაში.

ბილეთი შალაურის მიმართულებით

გვ. 30



თეო ხატიაშვილი

მოპსენ მახმალბაფი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯერ კიდევ ადვილად არ იშოვებოდა კარგი ხარისხის ვიდეოკასეტები. შემდეგ რუსთაველზე ნამდვილი „სავანე“ — სალონი გაიხსნა, სადაც სერიებად გამოსული ფილმების ყიდვა შეგძლო. „Другое Кино“ — ასე ერქვა ერთ-ერთ სერიას. მახმალბაფის „გაბეც“ („ხალიჩა“) სწორედ ამ ციკლიდან შევიძინე.


მაშინ სერგო ფარაჯანოვზე ვწერდი დისერტაციას და ამ რეჟისორით ვიყავი სრულად მოცული. „გაბეც“ მითოლოგიურ-პოეტურ სახეებსა და ულამაზეს, ფერადოვან გამოსახულებაში ფარაჯანოვთან სახლოვეც დავინახე. თანდათან დავინტერესდი მახმალბაფით, რომლის ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ ფილმებს პოეტურობა და სადა თხრობითი ნარატივი აერთიანებს.

რეჟისორს, რომელიც 2005 წლიდან პარიზში ცხოვრობს, პოლიტიკური ანგაუირებულობის გამო აკრიტიკებენ ხოლმე, თუმცა როდესაც თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე გავიცანი, მივხვდი, რომ შეუძლებელია, ეს უშუალო და ემოციური ადამიანი გულგრილი იყოს იმის მიმართ, რაც ირანში ხდება და უბრალოდ აკეთოს „დიდი კინო“.

მახმალბაფისთვის კინო, უპირველეს ყოვლისა, უმეცრებისა და უსამართლობის ნინააღმდეგ ბრძოლის იარაღია — შთამბეჭდავი, ზოგჯერ ზედმეტად ლამაზი იარაღიც კი.

„დაე, ამოშალეთ ჩემი სახელი ჩემი ქვეწიდან, თუ ის ამით გათავისუფლდება“

გვ. 40



დავით ბუხრიაშვილი

არტ-ჰაუსის რამდენიმე ელვარება კეცელითილი, კრისტიან მუნჯიუსგან მიღებული საჭირო ესთეტიკური შეკი, ირანული დისიდენტის, მოპსენ მახმალბაფის ახალი ფილმი „ბაღი“ და ისტვან საბოს სამსათაიანი მასტერკლასი „თბილის“ გალერეაში — ასე დამრჩა მეხსიერებაში რიგით მეცამეტე, „თარსი“, მაგრამ მაინც ბევრად გამორჩეული თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი. სხვათა შორის, მის დასაფინანსებლად სახელმწიფოს ბიუჯეტზე ხელი ერთად გაიკრა როგორც წარსულმა, ისე ახლანდელმა ხელისუფლებამ, რაც იშვიათი გამონაკლისია.

ფესტივალმა ერთი კვირით გამოაცოცხლა დეკემბრის დღეებში ქალაქის კულტურული ცხოვრება და მაყურებლისთვის ერთგვარი გზამკვლევი გახდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სპეციალურ ჩვენებაზე „რუსთაველსა“ და „ამირანში“, მიხაელ ჰანკევსა თუ ტავიანების ფილმების ეულ სეანსზე მოსახვედრად, ლამის მუჯლუგუნებით ორთაბრძოლა იმართებოდა.

მაგრამ ყველაზე არსებითი, რაც თბილისის კინოფესტივალზე მოხდა, ეს იყო ორგანიზატორების მიერ მართლაც არტ-ჰაუსით „დამშეულთათვის“ ორლარიანი ბილეთების შემოღება. ამ ლამის სოციალური მნიშვნელობის აქტმა აშკარად გაზარდა ფესტივალისადმი ინტერესი და დაამტკიცა, რომ კარგი კინო მაშინ უფრო საჭიროა, როცა გვშია და დეპრესიაში ვართ.

გორაკებს გამოლმა

გვ. 112

**PHYTO**  
PARIS

# PHYTOGLOSS-ფიტოგლოსი

06 03 2018 რიცხვი საშუალება თმის ტონირებისთვის

ორმაგი მოძრაობა:  
ტონირება / კვება

95% წამურალური  
06 მრადიენობები

არ შეიცავს ამიაპს

მოძრაობას 5 წუთში



## შალებილი მელირებული და გაუფერულებული თმისთვის

მღებავი მცებნარეების პიგმენტები: დარიჩინი, ყვავილწვერა, თაფლის ექსტრაქტი, კავალს ცხიმი, ბრაზილიური ხე, თმას იდეალურად გაჟერებულ ფერსა და ბზინვარებას ანიჭებენ!

მანგოს ზეთი: მკვებავი კომპონენტებისა და ამინომჟავების მაღალი შემცველობის შედეგად კვებავს და აჯანსაღებს თმას მთელს სიგძეზე

ვიტამინი E: მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებების შედეგად იცავს და ინარჩუნებს თმის ფერს ხანგრძლივი დროით.

თალგამურას ზეთი: არბილებს თმას და აიოლებს მის დავარცხნას.



GPC

სისი ფარმა



CITY PHARMA

06 03 2018 რიცხვი საშუალება თმის ტონირებისთვის დარჩავთ 2710707

## ნარლინა



გვ. 80



გვ. 82



გვ. 90

## სალომე რიგვავა

### მხატვარი

სალომეს ნამუშევრებში მამაკაცის გამოსახულებას თითქმის ვერ შეხვდებით, რადგან მამაკაცს საინტერესო ნატურად ვერ აღიქვამს. ამის საპირისპიროდ, თავის შემოქმედებას მთლიანად ქალის შორციების გრაფიკულად გამოსახვას უთმობს. მის ყველა ნამუშევარში უამრავი განსხვავებული ემოციის მატარებელი ქალია, რომლებიც ხშირად თავად ავტორს, ან მის უახლოეს მეგობრებს განასახიერებენ. ის ძალიან იშვიათად ხატავს უცხო ადამიანებს, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანის დასახატად აუკილებელია მის ემოციებს გრძნობდე. სწორედ ამიტომ, ხშირად მისი ფრენერული და გრაფიკული ნამუშევრების გმირს თავად სალომე განასახიერებს.

15 წელია, ხატავს, თუმცა განსაკუთრებით ნაყოფიერ პერიოდად ბოლო ითხ წელს ასახელებს. პირველი პერსონალური გამოფენა თბილისის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო სივრცეში, ბაკალავრიატში სწავლის მეოთხე წელს გამართა. ოცზე მეტ პროექტსა და გამოფენას შორის ის 2012 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში „დიად მიზნების სახელოსნოს“ სახელით გამართულ გამოფენას გამოარჩევს, სადაც

მისი რამდენიმე მნიშვნელოვანი, საეტაპო ნამუშევარი გამოიფინა.

სალომე ნამუშევრებს შერეული ტექნიკით ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სათქმელის გამოსახატავად, ძირითადად, მხოლოდ ქალის ნატურას იყენებს, თემები, რომლის მიხედვითაც ის ხატავს, ძალიან მრავალფეროვანი და მუდმივად განახლებადია. ცდუნების ვნება, რომელიც ყველა ეპოქისა და ასაკის ადამიანის ცხოვრების თანამდევი სინდრომია, სალომემ „ვაშლის სინდრომის“ სერიით გამოხატა. „ადამიანები, ჩვენდა უნებურად, მუდმივად ვართ ცდუნებების ქვეშ, ეს სინდრომია. როდესაც ვაშლს მიირთმევ, იცი, რომ ის ცდუნების სიმბოლოა, მაგრამ მას მაინც მიირთმევ და შენდა უნებურად ხდები ამ სინდრომის მატარებელი“, – ასე განმარტავს ის ამ სერიის არსს, რომელზე მუშაობაც რამდენიმე თვის წინ, შტუტგარტში დაასრულა. ამჯერად, ცდუნების ვნებით შეპყრობილ ადამიანში საკუთარი თავი გამოხატა. „ამით ამ თემაზე ფიქრი არ დამისრულებია, მხოლოდ ფორმა ამოგნურე. ახლა, თემის გასაგრძელებლად ახალი ფორმების ძიებაში ვარ“. ქალის თემა მის შემოქმედებაში ყვე-

ლაზე უკეთ „რძის“ სერიით წარმოჩინდა. მასში მხატვარმა ქალის სხვადასხვა ემოციური მდგომარეობა გამოხატა – დედის ინსტინქტით დაწყებული, შინაგანი ინტიმურობით დამთავრებული. ამბობს, რომ ქალისადმი ინტერესს, ნაწილობრივ, სხეულის ესთეტიკა წარმოშობს: „ქალის სხეული ვიზუალურად ძალიან ღამაზია, გარდა ამისა, ის მხოლოდ სხეული არ არის, ეს არის მატარებელი ადამიანური შეგრძნებებისა“. ბოლო პერიოდის განმავლობაში, საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალური სიტუაცია კი მის ნამუშევრებში „სიჩრმის“ სერიის შექმნით აისახა, რომელსაც ავტორი ასე ხსნის: „სიშვიდით გამოწვეული სიჩრმე ის მდგომარეობა იყო, რომელიც იმ დროს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა“.

სალომე „DAAD-ის სტიპენდიით“ უკვე 6 წელია შტუტგარტის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. კვალიფიკაციის ამაღლების ერთნაირი კურსის გავლის შემდეგ, ის საქართველოში მეტი ცოდნითა და ბევრი ნამუშევრით დაპრუნდება. მანამდე კი, მისი ნამუშევრების დათვალიერება „ფეისბუქის“ გვერდზე შეგეღლებათ – Facebook/Salome Rigvava.

# Samsung GALAXY Note II

გენერაციას ნიუტ კომპიუტებით

**Paper Artist** გაღილეთ ფოტო და შექმენი ხელოვნების ნიმუში!

SAMSUNG



# ორი დალი, შეგერჩება...

მიხეილ ჭიათურელის „საბა“: როგორ მოვალათ დიდი მხატვრის დახმარებით პროცესი  
აცხორი დავით გუბარიშვილი

ქართული კინოს ისტორიაში მიხეილ ჭიათურელზე დიდი რეგალიებით შემოსილი რეჟისორის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიების ლაურეატისა და უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატის ფილმები ლამის სავალდებულო იყო საბჭოთა ეკრანებზე და აუცილებელი კულტსავიზიტო ბარათი უცხოეთში წარსადგენად.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რეჟისორთაგან მიხეილ ჭიათურელი სტალინის კაბინეტის ყველაზე ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. თუმცა მის შემოქმედებაშიც არის დარჩენილი უცნაური, ასე ვთქვათ, პროპაგანდისტული „თეთრი ლაქები“, რომელიც დრომ ვერ გააფერადა. ასეთია 1929 წელს გადაღებული უხმო ფილმი „საბა“, რომელსაც ჟურნალი „ცხელი მოკოლადი“ პროექტ „ქართული ფილმების კრებულის“ ფარგლებში წარმოგიდგენთ.

არსენ არავსკისა და შალვა ალხაზიშვილის სცენარი, ცხადია, ანტიალკოჰოლური პროპაგანდის აშკარა ნაყოფად მოგეწვენებათ, ხოლო ანტონ პოლიკევიჩის კამერა პიროვნების დრამას ზედმეტ სოციალურ მღელვარებას ანიჭებს. არც სიუჟეტია ქართული კინოსთვის დამახასიათებელი: ტრამების დეპოს მუშა საბა (ალექსანდრე ჯალიაშვილი), მეგობრების გავლენით, მთელ შემოსავალს სასმელში ხარჯავს. მისი შვილი, ვახტანგი (ანდრონ ჯანუაშვილი) მამას სამიკიტონებში დაეძებს, მარო (ვერიკო ანჯაფარიძე) ამაღლ ცდილობს მეუღლის გამოსწორებას. საბა ტრამების მძლოლს გასაღებს მოჰკარავს და ტრავმას გაიტაცებს, რასაც შემთხვევით, მისი შვილი შეეწირება.

სკანდალური საქმე გაცილებით სერიოზულ სახეს იღებს. სასამართლო პროცესი ბრალს მთელ მუშათა კოლექტივს დასდებს, რომელმაც ვერ მოხსერხა გზა-საცდენილ თანამშრომელს დახმარებოდა. მოგვიანებით კი, სასამართლო ლამის საშიშ სოციალურ გადაწყვეტი-



ლებას ღებულობს – მუშათა რაიონში ღვინის სარდაფების აკრძალვას მოითხოვს...

მიხეილ ჭიათურელის რეჟისორული ოსტატობა ამგვარი მარტივი პროპაგანდის ფარგლებს სცდება და ფილმი დრამატულ, თუ მხატვრულ განზოგადებას მაინც აღწევს. განსაკუთრებით ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ჯერ ერთი, ვერიკო ანჯაფარიძის ტრაგიკული სამსახიობო ტალანტის წყალობით, მაროს აშკარად მელოდრამატული როლი გაცილებით დრამატულ მასშტაბს ღებულობს (ეს არის ვერიკო ანჯაფარიძის პირველი და მნიშვნელოვანი როლი კინოში) და მეორეც, სახვითი მხარე პროპაგანდისტული ფილმისათვის „ზედმეტად“ დახვეწილი და ექსპრესიულია. თუმცა ეს გასაკვირი არ არის, რადგან ფილმის მხატვრობა ერთდროულად ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ შეითავსეს. ასე რომ, ნამდვილი ხელოვნება ზოგად უხერხულად ნაკეთ პროპაგანდასაც დახვეწილად უსწორდება.

აშკარა პროპაგანდისტული ჩანაფიქრის მიუხედავად, „საბა“ გამოიჩინა ფორმალური და სტილისტური ძიებებით. მასში აღმოაჩენთ არა მხოლოდ ქალაქური ფოლკლორის ელემენტებსა და ერთგვარ „პოეტურ-სოციალურ“ კოლორიტს, არამედ ფიროსმანის მხატვრულ სახეებს, მის პლასტიკას. ასევე, ფრანგული „პოეტური კინოს“ გამოძახილს; უფრო კი, უან ვიგორსა და მარსელ კარნეს ფილმების სუნთქვას. თუმცა, მიხეილ ჭიათურელი კინორეჟისორობამდე მოქანდაკე იყო და პლასტიკური ქსოვილი იმთავითვე დამახასიათებელია მისი ფილმებისთვის.

ამ ფილმის შემდეგ რეჟისორი გადაიღებს „ხაბარდასა“ (1931) და „უკანასკნელ მასკარადს“ (1934), რომლებშიც აშკარად ნაკლებია პროპაგანდა და კამერულობა. სამაგიეროდ, იგრძნობა რეჟისორული სითამამე და ისტორიის მახვილგონივრული, პამფლეტური გააზრება.





ლევან მილოვაშვილი, „NOISES“

## 5 მიმდევროვანი მოვლენა, რომელიც არ უდაბარობთ ავტორი სალომ აზაზიშვილი

### გამოფენა

**„Main C“ – კომპოზიტორის და  
არტისტის გორგო ცინცაძის გამოფენა**

**სად:** თანამედროვე ხელოვნების

ცენტრი – თბილისი


**როდის:** 3/1 – 24/1

**გახსნა:** 18:00

**მისამართი:** დოდო აბაშიძის ქ. №10

თანამედროვე ხელოვნების ცენ-

ტრი, კინემატოგრაფიის ეროვნული



ცენტრის მხარდაჭერით, კომპოზიტორისა და არტისტის გიორგი (გიო) ცინცაძის გამოფენას უმასპინძლებს. გალერეაში მისული დამთვალიერებული მულტიმედიური ხასიათის გამოფენას იხილავს, რომელიც კომპოზიტორის მიერ შესრულებულ ფერწერულ, ვიდეო და აუდიო ნამუშევრებს აერთიანებს.

### „ზეწრებში

#### გახვეული“


ლევან მილოვაშვილის პერსონალური გამოფენა

**სად:** გალერეა „ვანდა“

**როდის:** 11/1 – 23/1

**გახსნა:** 19:00

**მისამართი:** ჭონქაძის ქ. №1



**S1**

Ապարակ հանձնակատար  
ՏԵԼ 030 111  
ՀԱՍՏԱՏՈՒՅԻՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՁՆԱԿԱՏԱՐ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՁՆԱԿԱՏԱՐ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՁՆԱԿԱՏԱՐ



ՍԻԼԿՆԵT  
ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՀԱՆՁՆԱԿԱՏԱՐ  
SILKNET  
ՀԱՅԱՍՏԱՆ

28  
ՀԱՅԻ

ՏԵԼ 030 111 5 ՀԱՅԻ  
2 100 100 000 [www.silknet.com](http://www.silknet.com)

## ანონსი

„ზენრებში გახვეული“ ლევან მინდიაშვილის პირველი პროექტია საქართველოში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, რომელიც სპეციალურად ამ გამოფენებისთვის შექმნილ ფერწერულ ნამუშევრებს აერთიანებს. მათზე მუშაობა არტისტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის პერიოდში დაიწყო. საბოლოო სახით კი მას, საქართველოში, გალერეა „ვანდაში“ ნარმოადგენს.

ლევან მინდიაშვილი უკვე რამდენიმე წელია ამერიკაში ცხოვრობს, სადაც მან მაგისტრის ხარისხი სწორედ მულტიდისციპლინარული პროექტების სფეროში მიიღო. ამერიკაში სწავლის პერიოდში, რამდენიმე ადგილობრივ გალერეაში კურატორის მოვალეობასაც ასრულებდა. 2011 წლიდან თანამშრომლობს ნიუ იორკში მოღვაწე ქართველ მულტიმედია არტისტთან და დიზაინერთან – უტა ბექაიასთან. ლევანის ნამუშევრები ინახება კალიფორნიის უნივერსიტეტში და ასევე კერძო კოლექციებში, ინგლისში გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, იაპონიაში, ჩილეში, ბრაზილიაში, რუსეთსა და საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ 11 იანვარს, გამოფენის გახსნაზე მისული დამთვალიერებელი ლევან მინდიაშვილისა და უტა ბექაიას ერთობლივ პერფორმანსსაც იხილავს.

### რეზო ჩეხიძის კნომეჭვიდრეობა

სად: საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

როდის: 15/12-20/1

მისამართი: ია კარგარეთელის ქ. №6



გამოფენა, რომელიც 15 დეკემბერს საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა, ქართველი რეჟისორის, რეზო ჩეხიძის 86 წლის იუბილეს ეძლვენება. ექსპოზიცია რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმების – „ჯარისკაცის მამისა“ და „დონ კიხოტის“ კოსტიუმებს, ასევე ფილმების („მაგდანას ლურჯა“, „განძი“ და ა.შ.) უპირველეს აფიშებს აერთიანებს. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ის ჯილდო, რომელიც რეჟისორმა მთელი თავისა მოღვაწენების მანძილზე მიიღო. მათ შორის აღსანიშნავია – კანის კინოფესტივალზე მიღებული დიპლომი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის პირველად, სწორედ ამ გამოფენის ფარგლებში გამოიიფინა. მუზეუმში მოსული დამთვალიერებელი, რეზო ჩეხიძის მამის, ცნობილი ქართველი მწერლის დაგით ჩეხიძის (დია ჩიანელი) ხელნაწერებსაც იხილავს.

### ქართული მოდერნიზმი და თანამედროვე მხატვრობა ერთ სივრცეში

სად: „გამრეკელი-გალერეა“

როდის: 25/12-20/1

მისამართი: ინგოროვას ქ. №14



„გამრეკელი-გალერეა“ თანამედროვე ქართული მხატვრობის გალერეა-მუზეუმს წარმოადგენს, რომელიც ქართველი მხატვრის ირაკლი გამრეკელის სახლშია გახსნილი. გალერეის სივრცე ორ ნაწილად იყოფა, რომლის ერთ ნაწილში, ირაკლი გამრეკელის მიერ 1920 წლებში შესრულებული ესკიზებია გამოფენილი. საგამოფენო სივრცის მეორე ნილში თანამედროვე ქართველი

მხატვრების: ვახო ბუღაძის, მიშა შენგალიას, ოლეგ ტიმჩენკოს, კოკა ცხვედიანის, უშანგი ხუმარაშვილისა და გია გუგუშვილის ნამუშევრებია წარმოდგენილი.

გალერეა-მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის პირველად 25 დეკემბერს გაიხსნება და მომავალი წლიდან სხვა თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრებაც უმასპინძლება.

### „ნინო ჩაკვეტაძის მატარებელი“

სად: გალერეა „ვანდა“

როდის: 25/01 -7/2

გახსნა: 19:00

მისამართი: ჭონქაძის ქ. №1



„მიქრის მატარებელი“ – ასე ჰქონდა გამოფენას, რომლითაც თანამედროვე ქართველი მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე დამთვალიერებლის წინაშე, იანვრის ბოლოს, გალერეა „ვანდაში“ წარსდგება. გამოფენა ბავშვებისა და მოსულების თემაზე შესრულებულ ფერწერულ ნამუშევრებს აერთიანებს, რომელიც მხატვარმა ბოლო პერიოდში შექმნა. ამჯერად, საბავშვო ლიტერატურის გავლენით შესრულებული კომპოზიციები, ნიგნების გვერდებიდან საგამოფენო სივრცეში გადმოინაცვლებს.

କୃତ୍ୟାନ୍ତମାଣୀ

კოლეგია ჯგუფი  
გილოცავთ ლამპებ 2013  
გლობა-ახალ წელს!



811.5: 828.252071b 1. 19.  
820: +(995 32) 238 87 74: +(995) 579 000 074

# აფიშა 01ნვანი (1-31) რუსთაველი, ამირანი, აპოლო



შეკ რიჩერი

**რეჟისორი** კრისტოფ მაკეუორი

**როლებში** ტომ კრუზი, რიჩარდ ჰენკინსი

**ჟანრი** მძაფრსიუჟეტიანი, კრიმინალური დრამა

გამომძიებული ცდილობს, გახსნას პროფესიონალი სამხედრო სნაიპერის საქმე, რომელმაც ხუთი ადამიანი მოკლა.



გლობალული სამყარო ვდ - შ0

**რეჟისორი** ენდრიუ ადამსონი

**ჟანრი** ანიმაცია, ფანტასტიკა

ეს არის საოცარი ისტორია ორ ჯადოქარზე, რომლებიც ბედმა დააშორა ერთმანეთს. მათ ბევრი სირთულის გადალახვა მოუწევთ, იმისათვის, რომ კვლავ ერთად იყვნენ. ანიმაცია შექმნილია ცირკის, Cirque du Soleil - ის საუკეთესო წარმოდგენების მოტივებზე.




განგსტერების მონადირენი

**რეჟისორი** რუბენ ფლეიშერი

**როლებში** რაიან გოლინგი, შონ ბენი, ემა სთოუნი, ნიკ ნოლტი

**ჟანრი** კრიმინალური დრამა

სიუჟეტი ვითარდება 1949 წელს, ლოს ანჯელესში. ერთი დაკგუფების ლიდერი მიკი კონი ძალიან ბოროტი ადამიანია, მას მთელი ქალაქი ხელში უჭირავს და ფულს შოულობს პროსტიტუციაში, ნარკოტიკებისა და იარაღის გაყიდვაში. მას არა მარტო მისი ხელქვეითები, არამედ პოლიციელები და პოლიტიკოსებიც იცავენ....



პანგრის ბანთავისუფლება

**რეჟისორი** კვენტინ ტარანტინო

**როლებში** ლეონარდო დიკაპრიო, სამუელ ლ. ჰექსონი, ჯეიმს ფოქსი, კრისტოფ უოლტესი.

**ჟანრი** დრამა, სათავგადასავლო, ვესტერნი

ფილმი მოგვითხოვთს ჯანგოს შესახებ, ის მონაა, რომელიც თავისუფალია და სურს მისი მეუღლის მოძებნა. ეს უკანასკნელი კი მდიდარი და დაუნდობელი მიწათმფლობელის, კელვინ კენდის მფარველობაშია. ჯანგოს ამ საქმეში ემარება გერმანელი ყოფილი ექიმი, რომელსაც ებიზლება რასიზმი და მონობა. იგი ჯანგოს ამზადებს, რომ გახდეს მისი მარჯვენა ხელი, ასწავლის ყველა იმ უნარს, რაც დასჭირდება რასიზმის და კელვინ კენდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

JAMIE  
FOXX

CHRISTOPH  
WALTZ

LEONARDO  
DICAPRIO

KERRY  
WASHINGTON

AND  
SAMUEL  
L. JACKSON

WRITTEN AND DIRECTED  
BY QUENTIN TARANTINO

# DJANGO UNCHAINED



2013

DjangoUnchainedMovie.com

Sony Pictures  
Entertainment

# პროტესტი საცივს ნაყინით

ავტორი თამარ კვინიკაძე



„ანჯელატო“, იტალიური კაფე-სანაყინები; ჭავჭავაძის 36ა; ღიაა დილის 08:30-დან 01:00-მდე; ნაყინის 100 სახეობა; საკმაოდ მოხერხებული საზოგადოებრივი პარკინგი; აქვთ Take Away მომსახურება; მოწევა აკრძალულია.

...ამ ტექსტის დაწერიდან რამდენიმე დღეში, მრავალჯერ განცდილი ეიფორით, ისევ წავალ და ვიყიდი ნიგვზის თეთრ-თეთრ, მსუქან ლებნებს და საუკეთესო თაფლს, ბებიაჩემის საგვარეულო რეცეპტის მიხედვით, ისევ რომ მოგამზადო გოზინაყი - ყველასგან განსხვავებული და, რასაკვირველია, საუკეთესო! ისევ მოვისმენ დისკუსიებს



თემაზე, ვისი საცივი სჯობს ვისას და ამ გამოუცხადებელი, საყოველ-თაო კონკურსის ხათრით, აუცილებლად გაფსინჯავ თითოეულ მათგანს ჩემბებური მეთოდით - ხაჭაპურის წვენში ჩანობით... აი, ვწერ და ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი მიყვარს, თქვენც, ალბათ, კითხულობთ და მოყირჭების მიუხედავად, მაინც გეგემრიელებათ. მე კი, ახალ წლამდე 7 დღით ადრე, იტალიურ სანაყინები წავედი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მოყირჭების გრძნობას შევწინააღმდეგითი. საგანგბოდ აგარჩიე ყველაზე სუსხიანი, ყველაზე თოვლა-ჭყაპიანი საღამო და „ანჯელატოს“ კარი შევაღე. Mr. Sandman, bring me a dream - ზღურბლზევე შეგებებული, საშობაოდ ხშირად აჟღერებული სიმღერით მივხვდი, რომ სადღე-სასწაულო განწყობას ვერც ნაყინით გავაუქმდი; აქ უბრალოდ საზეიმო სეზონის დასავლურ ყაიდაზე აღნიშვნას მთავაზობდნენ, საასალნლო, ამერიკული „ოქროს ჰიტებით“ და ბე-ვრნაირი იტალიური ტკბილეულით.

ასე დავწებდი „ანჯელატოს“ ჭრელ მენიუს, რომელიც მოსასმენადაც კი საშინლად მსუყეა. დავიწყოთ.

„ანჯელატოში“ ათობით სახეობის ნაყინი დაგხვდებათ - ნიგვზებითა და თხილით, შოკოლადითა და კარამელით, ლიქიორით, ბანანითა და კენკრით, მილქ-შეიკები, ცივი და ცხელი ყავები - ეს ყველაფერი გონებას აკარგვინებს ადამიანს, თუკი, „ანჯელატოში“ მაშინ შევა, როცა ძალიან უნდა ტკბილი. პრინციპში, აქ სხვა შემთხვევაში არც უნდა მოხვიდეთ, თორებ ამდენი, ერთად თავმოყრილი სიტყვით უკუეფექტ-საც იწვევს. სწორედ ამ უკუეფექტის გამო გირჩევთ, ნუ მიეძალებით კარამელის მილქ-შეიკს - ზედმეტად ტკბილია, სამაგიეროდ, ზედმინებით ჯანსაღი და ნატურალური გემოსია უოლოსა და ბანანის სასმელი. ამავე ლოგიკით, ძალიან მრავალ-ფეროვანი და ნარმოსადგენადაც კი უგემრიელესია ვანილის, თხილისა და სტრაბატელას ნაყინი, ნაღებით, თხილითა და თხილის ლიქიორით, თუმცა, გარნშუნებთ, მარტო ვერ

გაუმჯობესებით. გაბარიტებით ასევე უზარმაზარია კოპა მენთოლით - გრძელ, ფეხიან ჭიქაში, ფეხიან განთავსებული სამნაირი ნაყინი, მაგრამ მენთოლის ცინცხალი და გრილი გემო სიტკბოს იდეალურად აბალანსებს და მასთან შეტიდებაც, ამიტომ, ღირს.

რამდენადაც „ჩანუ-გბარებულია“ მენიუ, იმდენად ჰაეროვანი და

გრილია ინტერიერი. გამჭვირვალე პლასტმასის ფერადი სკამები; ამერიკული სასადილოებისთვის დამახასიათებელი უბრალო მაგიდები, ახალგაზრდული, „მსუნთქავი“ სტილი. კლიენტურაც საინტერესოა დასაკვირვებლად - ყველანაირი ადამიანი შემოდის, თუმცა, ცხადია, ძირითადად, მიმდებარე საჯარო სკოლისა და უნივერსიტეტის სტუდენტი გოგო-ბიჭები ჭარბობენ.

ნარმომიდებენია, რომ „ანჯელატოში“ რომელიმე სხვა გასართობი ადგილიდანაც სასიამოვნო იქნება შევლა - ზამთრის ცივ დამეს, ცხელ-ცხელ სუპს შეხვრებ, ან „ეროკ-მადამს“ მოატანიებ ოფიციანტს - ჩამდნარი ყველით, ანდა სენდვიჩის, რომელიც სავარაუდოდ, კარაქშია შებრანული. სასიამოვნოა ხოლმე, ასეთი „შუაღამის საუზმები“... მოკლედ, ზამთარს ისე ნუ ჩაატარებთ, რომ ტრადიციული ქართული საასალნლო მენიუ ერთხელ მაინც არ გაიმრავალფეროვნოთ „ანჯელატოს“ ასიდან ერთ-ერთი ნაყინით მაინც.

## HP Z Workstations

წარმოგიდენთ HP-ის ინოვაციურ სამუშაო სადგურებს, რომლებიც მუშაობენ **multi-core Intel® Xeon®**-ის პროცესორზე. მაქსიმალურად კრეატიული პლატფორმა, ვიზუალიზაციის სწრაფი სიჩქარე, მცტი მოცულობა ინფორმაციის სანდო და უსაფრთხო მენახვისთვის, ასევე მრავალი სხვა ფუნქცია თქვენი პროფესიული საჭიროებისთვის! რადგან სიღამაზე და შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია!

<http://hp.com/zworkstations>



კომპანია MBC

"Multimedia & Business Computers"

საქართველო, თბილისი, შევჩენკოს ქ. 5

+995 32 299 77 12

+995 32 299 86 96



<http://www.mbc.ge>





# იქ, სალეაც შორს

გამა ნახუსრიშვილი

საახალწლო ზღაპრის დაწერა წელსაც მინდა. იმ ანეკდოტისა არ იყოს, კახელი რომ ამბობდა, ამერიკაში წასვლა წელსაც მინდაო. ჰყითხეს, შარშანაც იყავიო? – არა, მაგრამ შარშანაც მინდოდაო.

როგორი იქნება ჩემი საახალწლო ზღაპარი? ეგბ, რამე გადმოვაქართულო. თუნდაც, შვიდი ჯუჯა მოხვდეს შუამთის ტყეში და კეთილმა კახელებმა ყანწით ისე დაათრონ, რომ ფიფქაც ვეღარ იცნონ; შარლ პერო სვანეთში რომ მოხვდეს, რახს სვამდეს და სვანებთან ერთად, მუცელგაფატრულ მგელზე ბაასობდეს; ძმები გრიმები იმერეთის ტყეში ილხნდნენ... იმერული ჭაჭით შეზარხოშებულები, ისეთ ამბებს მოისმენენ, საკუთარი ფანტაზია დაავიწყდებათ და სხვანაირი ზღაპრებიც შეიძლება დანერონ. ანდერსენი ხევისთვის მემეტება, თავის თოვლის დედოფლით, რადგან ზამთარში, ყაზბეგში გზა იკეტება, წვრილად თოვს და არემარეც იყინება. ჰიდა, თოვლის დედოფლიც მოხევეა. მყინვარწვერსაც ხომ თოვლის დედოფლალი დაარქვეს. ხალხური ზღაპრები ძალიან სასტიკია და საახალწლოდ არ გამოდგება. არა მხოლოდ ჩვენი.

მე კი, ამ ახალ წელს ვისურვებდი, რომ ხუთკუნძულა ისე არ დამთვრალიყოს, საკუთარი ლოდი დასცემოდეს... ნაცარქექიასაც ზომიერად დაელიოს და მისი კაპასი ცოლიც ღიმილით შეგებებოდეს.

იქ, სადღაც შორს, თოვდა...

თოვდა ჯეკ ლონდონის ალიასკაზე. წინაპრებს ეძახდნენ დიდთოვლობასა და სითეთრეში. თოვდა დიკენსთანაც... და ისიც, ბუხართან მჯდომი, ჩაფიქრდა ირიბად, ალმაცერად. ყოფიერებას გაქცეულ პამსუნის პანსაც დაათოვა უღრან ტყეში. სტოკოლმშიც ხშირად ყინავს და თოვს. როგორც დიდი კარლსონი ამბობდა: „სევდიანია, იყო სევდიან“ – ასე მითხრა ბავშვობაში. ჰოლდენ კოლფილდს კი ზამთარი უკეირდა და იხვები ენატრებოდა. იქ, უბრალოდ ყინავდა და არ თოვდა. დუბლინებობთანაც თოვდა. ჩემი შრიალით ეფინებოდა ირლანდიას თოვლი. ათოვდა ცოცხალთაც და მიცვალებულთაც...

ჩემი ახალი წელი წლებს გაჰყვა – ბებიას გოზინაყს. სხვა სურნელი იდგა სახლში, რაღაც ახლის მოლოდინის. მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებოდით, თითქოს სხვა, ახალ ცხოვრებას ვხვდებოდით. ოლონდ, არ თოვდა. იქ, სადღაც შორს, უფრო განათებული ქალაქები იყო, ზარზებით ხვდებოდნენ ახალი წლის დადგომას. მე კი, ის სიმყუდროვე მენატრება. თუნდაც, ვარსკვლავებით მოქედილი ცა ლამით. ჩაპლინმაც ხომ ნათელ და ვარსკვლავებიან ღამეს მისწერა წერილი თავის ქალიშვილს. უბრალოდ, ადამიანური გრძნობები შეახსენა. უთხრა, რომ წარმატება არ არის მთავარი. თუ არ იოცნებებ, თუ ვერ შეიყვარებ, თუ სუფთა არ იქნები, სისულელეა ყველაფერი – ასე წერდა ჩაპლინი. არ გამოვეკიდოთ ფორმას და იდეას, ეპატაქს,

ამპარტავნებას. ახალი წელი მოდის და კიდევ ერთ ფურცელს ამოვხევთ ჩვენი ცხოვრების კალენდრიდან. ვი-ფიქრებთ, რომ სწორად ვიცხოვრეთ. დავლევთ და ვინმე, საცივშიც ჩარგავს თავს. გოჭის ნაჭერს მოიყირჭებს და დაიქადნის, მაგრად ვიცხოვრეო. მე კი, უცნაური სინანული მეუფლება ყოველ ახალ წელს – რაღაც იმის, რაც დავკარგე და ვერასოდეს დავიბრუნებ – წასული მეგობრების, დაკარგული სიყვარულის, დაუწერელი ლექსების და ბავშვობის.

ბავშვობის დღესასწაული... ახალი წელი მარტოობიდან გაქცევაა, სადაც ზემის მერე უნდა დაბრუნდე და ყოველდღიური ცხოვრება გააგრძელო.

მინდა, ფანჯარა გავალო, ისე, როგორც ბავშვები აღებენ „ამარკორდში!“ მამა კი წუნუნებს, დაკეტეთო, – ასაკი მოეძალა და თოვლი აღარ უხარია. გარეთ კი თოვს. თბილისი – ჩემი პატარა, ძველებური ქალაქი – თეთრად იფარება და მასთან ერთად, მთელი სამყარო.

ჯოისის მსუბუქი შრიალით თოვს. დაე, თოვლმა დაფაროს და წაშალოს ამბიციები და შეცდომები, წერილმანი მიზნები. ათოვდეს მაღლა – მყინვარწვერს და დაბლა – კოლხეთის ჭაობებს, ალაზნის ველს და იმერეთის ტყეებს, რინის ტბას და სოხუმის მიტოვებულ სახლებს, თბილისის სახურავებს და დაუშნოებულ გამზირებს, თრიალეთის ზეგანს და ივრის ჭალებს. „ათოვდეთ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც“.



კუთხისა მზევერს სრული  
VT 1833

მიღლოვთ საჩუქრებლ ეთე VT 1235



## იკითხეთ მაღაზიაზე



5 საფინანსირ  
არიტრიტულის ნისტება  
HEPA-ფილტრი



მიმღები ჰალოგენიდის  
მოსახირებების და  
პირისა და ცის გადასაცვლა



ტექსტურ-გარენისი



X-cross ტექსტური



\* \* \*

მარა სარიშვილი

ძმნის საყურე ეკეთა თოვლის ბაბუას. სკოლაში გვქონდა საახალწლო ზეიმი. მეცნო ეს ძმნის საყურე და ვცდილობდი გამეხსენებინა საიდან. მერე ალვიდგინე, რომ სულ ეგ საყურე ეკეთა ჩვენს ერთ-ერთ მასწავლებელს და მივხვდი, რომ გვატყუებდნენ. არ მტკენია გული. მიჩვეული ვიყავი უფროსების ტყუილებს, მაგრამ თოვლის ბაბუასაც რომ გაბედეს, გავბრაზდი, მივედი ამ ომახიან თოვლის ბაბუასთან და ვეუბნები: მასწავლებელო, საყურეს მოხსნა დაგავიწყდათ... მერე ზეიმი მივატოვე, მაყურებელთა შორის დედაჩემი მოვძებნე და სახლში წამოვედით.

წინა დღის თოვლი ჯერ კიდევ იდო. ვაჟა-ფშაველას ძეგლთან გაეჩერდით. მიყვარდა ეს დიდი და ძლიერი კაცი, რომელიც ჩემი ფანჯრების წინ იდგა და ჩვენს კორპუსზე და საერთოდ ყველა შენობაზე მაღალი მეგონა მუდამ. ამსვა დედაჩემია ზემოთ და ვაჟას ძეგლის ცალ გაყინულ ფეხს ჩავეხუტე. საოცრად მიყვარდა ეს უზარმაზარი და ძლიერი რკინის კაცი. ერთი, დედაჩემის ლოგინში წოლისას ვგრძნობდი თავს ასე დაცულად და მეორე – ამ კაცთან დგომისას. თუმცა, დედას რბილი ხორცი ჰქონდა, თეთრი, ფუმფულა, უმწეო. ხელი გაეჭრებოდა და სისხლი მოსდომდა, მიარტყამდა ფეხს რამეს და ულურჯდებოდა, გულს ატკენდნენ და ტიროდა. ეს კი ისე ძლიერი იყო – მყარი, უმორაო,

უსისხლო, უცრემლებო, უსიტყვებო და მიყვარდა და მეიმედებოდა, როგორც არავინ. მეგონა, რადგან ჩემს ფანჯრებთან იდგა, არც ეგ არ იყო შემთხვევითი.

სახლში ნათესავები დაგვხვდნენ. დედა არავის მოუყვა, რომ ზეიმი მივატოვე და უცებ გამხიარულდა სტუმრების ხათრით. მე არც შევსულვარ თოახში. შემოსასვლელში სტუმართა პალტოები ეკიდა და ამ პალტოების მოზომება დავიწყე. ჩემი ძმა დავაყენე კართან, თუ ვინმე მოდიოდეს, მანიშნე-მეთქი და ერთ უშველებელ ქურქში შევძვერი. მერე კარი გავხსენი და გარეთ გავედი. იმ დღეს პირველად გადავჭერი ქუჩა მარტომ და ისევ ძეგლთან მიებობდი როგორლაც, ამ თოვლში და ამხელა ქურქით. ზემოთ ვერ ავძვერი, მაგრამ ქვემოდან ვუთხარი რაღაცები. მერე შემრცხვა საკუთარი თავის, სასწრაფოდ სახლში ავირბინე, დედას ჩაუჯექი რბილ და თბილ კალთაში და ვფიქრობდი, რომ სჯობს ძეგლი იყო, ვიდრე ასეთი ფაფუკი და რბილი ხორცი გქონდეს.

სკოლაში მასწავლებს, თუ ფურცელზე დაწერ, რაც ყველაზე ძალიან გინდა და ახალი წლის ღამეს ამ ფურცელს შეჭამ, აგიხდებაო. მეც ვწერდი ორი თუ სამი წელი, რომ დიდი ძეგლი მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ შეჭმით რატომლაც ვერასდროს შევჭამე. ჰოდა, ვარ ახლა ადამიანი და ხმა არა მაქვს ამოსაღები...

**საოცრად მიყვარდა  
ეს უზარმაზარი და  
ძლიერი რკინის კაცი.  
ერთი, დედაჩემის  
ლოგინში წოლისას  
ვგრძნობდი თავს ასე  
დაცულად და მეორე –  
ამ კაცთან დგომისას.  
თუმცა, დედას რბილი  
ხორცი ჰქონდა, თეთრი,  
ფუმფულა, უმწეო. ეს კი  
ისე ძლიერი იყო  
– მყარი, უმორაო,  
უსისხლო,  
უცრემლებო,  
უსიტყვებო.**



## ივროპული ავეჯი განახლებულ პაპილონში



თბილისი აკ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის ხიდთან); ტელ: +99532 2540990  
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბავრატიონის 109; ტელ: 0422 220348



## მუცლის სატკივარი

დიანა აფიშიაძი

ბორჯომში ერთი პატარა კაფეა, სახელი არ მახსოვს, თუმცა არც აქვს მნიშვნელობა, „ყველაზე ევროპული ქართული კაფე“ შევარქევი. ისეთი კოპნია და ლამაზია, ისეთი გემოვნებიანი, თავი პრალის ან სტრასბურგის რომელიმე კაფეში გონია, თან ფანჯრიდან დათოვლილი ნაძვები, მდინარე და ხიდის ლამაზი მოაჯირი ჩანს, დაუწერელი კანონია – ყველა ქალაქს უნდა ჰქონდეს მდინარე და ყველაზე ევროპული კაფე.

ამ კაფეში უგემრიელესი უოლოს ტარტი და ლიმონის ნამცხვარი იყიდება, სხვა ნამცხვრებიც აქვთ, მაგრამ ეს ორი განსაკუთრებულია, ცოცხალი უოლო შუა ზამთარში ზაფხულს გახსენებს, ხოლო ვაშლიანი ლიმონის ფხვიერი ნამცხვარი ზამთრის მეტაფორაა, ყველაზე კარგი პერიოდი ამ ნამცხვრის საჭმელად სწორედ დეკემბრის ბოლოა.

ყავაც გემრიელი აქვთ, არა ისეთი, როგორსაც სხვა კაფეებში შემოგთავაზებენ – მოვალეობის მოხდის მიზნით მომზადებული, არამედ ქაფქაფა და სურნელოვანი.

რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ ვიყავი ბორჯომში – ამ პატარა და მშვიდ ქალაქში, სადაც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი, ბალს მოუვლიდი და ველოსიპედით ვისეირნებდი.

ჰოდა, ვიჯექი ამ ჩემს საყვარელ კაფეში და ვფიქრობდი – როგორი დამოკიდებულება აქვთ საქმისადმი ამ კაფეს მესვეურქს, თუკი არ აფუჭებენ ხარისხს, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტებისა არ ეშინიათ, რადგა-

ნაც ამ ქალაქში სულ თითო-ოროლა კაფეა. საჭმლის მზადება და სხვის-თვის შეთავაზება მაშინ იძენს მისტიკურ და ჯადოქრულ ძალას, როცა ამას მოვალეობის ან ფულის გამო კი არ აკეთებ – არამედ ისე, სიყვარულით.

**„მუცლის სატკივარი“  
მუცლის ტკივილს არ  
ნიშნავს, გაცილებით  
ზოგადი და ფართო  
ცნებაა; დარდებიც  
შედის ამ სატკივარში  
და გულის ტკივილებიც,  
სულიერი შიმშილიც  
და სიყვარულის  
ნაკლებობაც...**

ბორჯომში ნატალიასთან ერთად ვიყავი, ჩემს უსაყვარლეს მეგობართან. მასაც, ისევე როგორც მე, ერთი განსაკუთრებული ოცნება აქვს – პანუკა რესტორანი, სადაც ყველა, ვისაც შია, გემრიელად შეჭამს. ისიც, ჩემსავით, სიტყვებისა და გემოების გოგოა.

ვისხედით ჩემს საყვარელ კაფეში, შუა ზამთარში ცოცხალი უოლოს ტარტს მივირთმევდით და ათას რამეზე ვლაპარაკობდით. შობასა და ახალ წელზეც, რა თქმა უნდა.

ნატალია, გურული საშობაო ღვეზელის ამბავს მიყვებოდა, ბავშვობის სურნელით შეზავებულ მისტიკაზე:

თურმე, გურიაში, შობის წინა ღამეს ზელენ ცომს, ამზადებენ ყველს, ხარშავენ და ნახევრად ჭრიან კვერცხებს. მერე ნახევარმთვარის ფორმის, სახელობით ღვეზელებს ამზადებენ – ოჯახის ყველა წევრისთვის ცალ-ცალკე.

დილით, ოჯახის დიასახლისი – დედა ან ბებო – იღებს ამ სახელობით ღვეზელს, სამჯერ შემოავლებს გარს ამ ღვეზელის მფლობელ ადამიანს და იტყვის:

„ამ ადამიანის (სახელი და გვარი) მუცლის სატკივარი  
აღმა ქარს  
დაღმა წყალს...“

მერე უკვე შეიძლება ღვეზელის დაგემოვნება, ასე იწყება საშობაო ტრაპეზი.

„მუცლის სატკივარი“ მუცლის ტკივილს არ ნიშნავს, გაცილებით ზოგადი და ფართო ცნებაა, ალბათ, უფრო შიმშილის, მხოლოდ, შენი – არა, სხვების, შენი გარშემომყოფების; დარდებიც შედის ამ სატკივარში და გულის ტკივილებიც, სულიერი შიმშილიც და სიყვარულის ნაკლებობაც...

ჰოდა, ახლა, ამ წინასაშობაოდ, ძალიან მინდა ნატალიას მოხუცი მაკვანეთელი ბებოსავით, შობის კამკამა და თოვლიან დილით, გარს შემოგავლოთ ცხელ-ცხელი და სურნელოვანი გურული საშობაო ღვეზელები და თქვენი „მუცლის სატკივარიც“ წყალსა და ქარს გადავაბარო.



დეკორატიული ასასუარიანი თევზანი ინტერიერისათვის



თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი  
ტელ: +995 32 2183507  
ქავთარაძის 1, პიძერმარები გუდვილი  
ტელ: +995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44  
ტელ: 422 2359004



<http://www.facebook.com/pages/Creative-Home/>





## სოფო გორგაძე

# ბილეთი შალაურის მიმართულებით

ავტორი თამარ ალავიძე  
ფოტო: მარიამ სიჭინავა

ხუთი წლის წინ, 2008 წლის ზაფხულში, ბარგი ჩაალაგა და ოჯახთან ერთად, თბილისიდან შალაურში გადაბარებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისიდან სხვაც ბევრი გარბოდა – ანგარიშმიუცემლად, მოუმზადებლად, ნაჩქარევად. თუმცა, მათ ვერც გაამტყუნებდი, მოულოდნელად თავსდატეხილი ომისგან შეშინებული ხალხი იყო. სოფო გორგაძესთვის კი ომი მიზეზი არ ყოფილა. ზუსტად იმ დღეებში კახეთში მან ლევან ცაგურიაზე დაიწერა ჯვარი და მანქანა შალაურში, სოფლის ბოლოს მდგარი ორსართულიანი სახლის წინ გააჩერა. იმ დღიდან იქაურობა სოფოს და ლევანის კუთვნილებად იქცა.

ეს 41 წლის სოფო გორგაძის მესამე ქორწინებაა. თუმცა, მასთან წარსულზე, უკანმოტოვებულ ცხოვრებაზე სასაუბროდ არ ჩაესულვარ. უფრო მეტად მაინტერესებს, როგორია ყოველდღიურობა პროვინციაში ქალისთვის, რომელიც ხატავდა, უკრიალისტობდა, რომელსაც „მთელი ქალაქი“ იცნობს, თბილისში უამრავი მეგობარი ჰყავს და სულ რაღაც ხუთი წლის წინ, თვითონაც ამ ურბანული ორომტრიალით სუნთქვდა და იმუხტებოდა.

...

თბილისიდან შალაურამდე მანქანით, საუკეთესო შემთხვევაში, საათნახევრის საგალია. თუ არ გაგიმართლათ და გომბორის გადასახვევი დაკეტილი დაგხვდათ, მაშინ მგზავრობა კიდევ ერთი საათით გაგენელებათ. თუმცა, ამ „გამრუდებულ“ გზას თავისი დადებითი მხარე აქვს: ასე უფრო ნათლად შეიგრძნობ, როგორ იცვლება ცხოვრების ტემპი ქალაქიდან სოფლისკენ მიმავალ გზაზე. მიდიხარ და გრძნობ

– რაც უფრო შორდები ქალაქს, მით უფრო ღარიბდება ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა: ნაკლებად ამჩნევ ყიდვა-გაყიდვის გაცხოველებულ დინამიკას, სულ უფრო ნაკლებია მინიმარკეტები, კაფეები, მაღაზიები. ამ „გარდამავალ ზონაში“ ყურადღებას ძეველი, ჩამონგრული და გამოშიგნული შენობა-ნაგებობები იპყრობს, რომელთა დიდი ნაწილიც, „ყოფილი რაღაცის“ სახელწოდებას ატარებს.

შალაურისკენ ვიწრო, დანგრეული გზა თელავის შესასვლელთან ხელმარცხნივ უხვევეს. ადრე აქაურობას შალვაური ერქვა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც ხდება ხოლმე, რაც ეზედმეტათ, ამოაგდეს და დარჩა შალაური. 2000-მდე მოსახლე თუ მცირედ ითვლება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შალაური პატარა სოფელია – ყველა ყველას იცნობს. ამიტომაც, განსაკუთრებული გამოძიება არ დამჭირდა სამისოდ, რომ სოფლის ბოლოს, „ოქროაშვილების უბანში“ მდებარე სახლისთვის მიმეგნო. სოფოს მითითებების მიხედვით, ვიცი, რომ მათ შემდეგ მხოლოდ ორი მოსახლეა და მერე სოფელი მთავრდება, ეზოს წინ კი შავი ჯიპი უნდა იდგას.

აღმართს რომ უვახლოვდები, გზაზე ხელის დასაქნევად გამოსულ სოფოს ვამჩნევ. თუმცა, სიტყვა „შემჩნევა“ აღნათ ყველაზე ნაკლებად შეეფერება სოფოს აღნაგობას, რომელიც ჩემი წარმოდგენით მარია შარაპოვას სიმაღლე უნდა იყოს (შარაპოვა კი არ მინხავს, მაგრამ მაინც). მისალმებისა და ხელის ჩამორთმევის შემდეგ, ბარგს ვიღებთ მანქანიდან და ეზოში შევდივართ. გზად, სოფო მაფრთხილებს, რომ შეძლებისდაგვარად შორს დავიჭირო თავი იქვე წამონოლილი მეცხვარის ძალისგან, რომელიც ჩვენი მიახლოებისას უმაღლ წამომართა. რამდენიმე ნაბიჯიც და უკვე სახლში ვართ.

ვერ დავიჩიმებ, სახლი ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა-მეთქი, უფრო – პირიქით, ისეთი ინტერიერი დამხვდა, როგორსაც ვისურვებდი და როგორიც იდეალურ შემთხვევაში, ქალაქგრეთ ცხოვრებისას შეიძლება შექმნას ადამიანმა.

ორსართულანი სახლის პირველი სართულის უდიდესი ნაწილი დიდ, გაშლილ სივრცეს უკავია, სადაც ჰარმონიულად არის თავმოყრილი მისაღები, სასადილო და სამზარეულო. კედლები ერმაკვის და ჰენრი კარტიე-ბრესონის ფოტოების ასლებით, ელისაბედის და მარიამის ფრესკის დეტალის ფოტოთი, თავად სოფოს და მამამისის ნახატებით და თანამედროვე თუ ძეველი ფოტოგრაფიის არაერთი საინტერესო ნიმუშით არის მორთული. ყველა კუთხში სხვადასხვა დროის, ფორმის, სიდიდის თუ განწყობის ნივთია მიმოფანტული. ზოგიერთი მათგანი, თითქოს, დაუდევრად დევს რომელიმე კუთხში, მაგრამ მალევე ვხვდები, რომ ამ სახლში

ყველაფერს თავისი ადგილი და დატვირთვა აქვს და ყველა წერილმანი თავის წილ მოგონებას ინახავს, ერთ მთლიანობას ქმნის და ერთი ოჯახის ისტორიას ჰყვება.

ამ დეტალების თვალიერებაში გართული, ვხვდები, რომ ქალაქიდან სოფლად გადასახლების შემდეგ, ტემპის სასწაულებრივად შენელების პირველი ჯილდო სწორედ ესაა – შეგიძლია, დღის მთავარ საქმიანობად აქციო ინტერიერის მორთვა, შეგიძლია, მთელი დღის მიუძღვნა, მაგალითად, ფოტოების ჩარჩოში ჩასმას; ქორფა, ყვითელი გოგრებისთვის შესაფერისი ადგილის მიჩნენა; სასადილო მაგიდის გამოჩირნენა; შუშის ნატეხებისგან ძველებური, ხის „აპტერიკის“, ანდა, რკინის, ნახვერტებიანი ჭალის გაკეთებას, რომელსაც მერე, ლამფად აქცევ... ანაზიღებ ამ ძველ და ახალ პირად ნივთებს, ახლანდელი და წინა ცხოვრებიდან შენი ხელით აშენებულ ახალ სახლში და ამით, თითქოს, თავის განსაზღვრულ ადგილსაც უჩენ წარსულს.

## სოფოსთვის, გორეგაში ისედაც ყველაფერი ლალაგებულია, ოთახებში ამ ნივთების განაწილება კი, უბრალოდ, მისი შინაგანი განწყობის გამოხატულებაა – ის არაფერს გაურბის ძველი წლებიდან, ამ წარსულიდან წამოღებული ნივთებითა და იმ დროიდან გამოყოლილი მეგობრებით აგრძელებს ცხოვრებას და ამბობს: „მოსაყოლი თითქმის არაფერია. ძალიან მარტივად მოხდა ყველაფერი. ჩამოვედით და გავაგრძელეთ ცხოვრება, ყოველგვარი შეგუების გარეშე. თუმცა კი, თავიდან, ყველა სკაპტიკურად აფასებდა ჩვენს ნაბიჯს, განსაკუთრებით, ადგილობრივები, თელაველები. იდეაში, აღბათ, მართლა რთული წარმოსადგენია. ეს ხომ ევროპა ან ამერიკა არაა, სადაც დედაქალაქიდან სხვა დიდი ქალაქის მახლობლად გადასახლება არავის გაუკვირდება. აქ კი, ჩვენი საქციელი, სხვებსთვის, უფრო რაღაცისგან გაქცევას ჰგავდა,

მაგრამ გაქცევა არ იყო. მას შემდეგ, რაც ჩამოვედით, არ გაეტერებულვართ. ამ წლების განმავლობაში, არცერთხელ არ გვქონია განცდა, რომ აი, ყველაფერი მოვაწყვეთ, დავსხედით და დავისვენეთ. არ ვჩერდებით, ეგრევე რაღაც ახალს ვიგონებთ“.

...

მართკუთხა ფორმის ხის მოგრძო მავიდაზე, კულინარიული წიგნები და ყველის წარმოებაზე სპეციალიზებული გამოცემები აწყვია. ყველი სოფოს და ლეოს ბოლო დიდი გატაცებაა. ამხელა მეურნეობის აწყობაზე თავიდან არ ფიქრობდნენ, მაგრამ ცხენი აჩუქქს, მერე ძროხა – ერთი, მეორე და ახლა მათ ეზოში, ხის გრძელი, ცალ-ცალკე განყოფილებებად დანაწევრებული სადგომია, სადაც ექვსი ძროხა,

საქართველოს მთავრობის მინისტრის დაქანონი 70 შესახებ

## ეს ვა განსაკუთრებული



ვარდის საბურილები დრეის  
გლუკო განა, განა განა

ვარდის საბურილები  
და გლუკო ფლენილები

MERZ  
www.merz-pharm.com



ეს დოკუმენტი არ იყენება სამართლის მიზანის და მიზანის გარეშე. ეს დოკუმენტი არ იყენება სამართლის მიზანის და მიზანის გარეშე.





თხუთმეტამდე ლორი და გოჭი, ქათმები, პატები და იხვები ცხოვრობენ. ეზოს მუაგულში პატარა ვენახია, მარცხნივ – ღია სადგომი ძროხებისთვის, იმავე მხარეს კი, რამდენიმე ხნის წინ, დამატებითი ნაგებობა ჩადგეს, სადაც ყველის პატარა სანარმოა განთავსებული.

ეს ოჯახური ბიზნესი უკვე ოფიციალური ბრენდია. „მარლეტა“, ასე ჰქვია აქ ამოყვანილ ყველს – სოფოს და ლევანის პირველი ძროხის პატივსაცმად. ცოტა ხნის წინ ყველის ამოსაყვანი ახალი, თანამედროვე დანადგარი იყიდეს, მაგრამ ჯერ არ იყენებენ, რადგან დიდი რაოდენობით რძე სჭირდებათ, ამიტომ ყველს ისევ ძველი დანადგარებით აკეთებენ. ევროპული ტექნოლოგით დამზადებული „მარლეტას“ ფეტა, მოცარელა და შვეიცარიული, ახლა „შატო მერეში“ იყიდება.

ამ ოჯახურ მეურნეობაში წამყვანი ფიგურა ლევანია. ყველაზე მეტს ცხოველების გამოყენებაზე, აცრაზე, ძროხების და ღორების მშობიარობაზე ის ზრუნავს. რა თქმა უნდა, სოფო ყველაფერში ერთვება, მაგრამ ის სახლშიც ბევრს საქმიანობს, გრძელ, ნაქსოვ ჯემპრსა და დიდ „ბატინკებში“ გამოიწყობილი ლევანი კი – ხან ვენახშია, ხან ყველის სანარმოში, ხან ძროხების სადგომში. ახლაც, ორი წუთით შემოირჩინა, ყავის დასალევად და გვამცნობს, კიდევ რაღაცამ შეჭამა ერთი ქათამიო. სოფო პასუხობს, დავკლათო, ასე ხომ შეგვიჭმენ ყველა ქათამისო. ლეო ჩაფიქრებული მიდის, ძროხების საჭმელი და ცელოზის პარკები უნდა იყიდოს – ერთ კვირაში ღორმა გოჭები უნდა დაყაროს და ეგეც მოსაფიქრებელი გვაქვსო, კარავი უნდა მოვიტანოთო...

არქიტექტორმა ლევან ცაგურიამ შარშან თელავში ყველის მწარმოებლის სპეციალობით პროფესიული გადამზადების კურსი გაიარა და ახლა სპეციალური სერტიფიკატი აქვს. საქმეს შესამჩნევად დიდი სერიოზულობით ეკიდება. ყველის დასაძველებელი საკუჭნაო-ნაგებობიდან მოცარელა და შვეიცარიული ყველი ამოაქვს, ფრთხილად ჭრის და მიყვება, თუ როგორი ცოცხალი და ჩამთრევი საქმიანობაა ყველის წარმება. საუბარში სოფო ერთვება: „ძალიან მიკვირს, რომ საქართველოში სულ ოთხი ტიპის ყველია გავრცელებული: გუდა, სულგუნი, იმერული, ქარხნული; მაშინ, როცა მსოფლიოში ათასობით სახეობის ყველია. თანაც, ღვინოს როგორ უხდება ყველი! ძალიან უცნაურია. ქართული ყველი მალფუჭებადია, ევროპული ტექნოლოგით დამზადებული ყველი კი დიდხანს ინახება. უცნაური ქვეყანაა: ზღვა გვაქვს, ტბა – და თევზის კერძების დამზადების მრავალფეროვანი კულტურა არ გვაქვს. რისი განვითარებაც იყო შესაძლებელი ბუნებრივად, არაფერი განვითარდა. იცი, რომ ბევრმა კახელმა ქვევრები ჩააბეტონა? მარნები გაუქმებს და ზემოდან გარაუი დაადგეს. ცოტა გაუგებარი გზით წავიდა ჩვენი განვითარება. ჩემს დას დღემდე შემონახული აქვს ქუთაისელი დიასახლისების რეცეპტების წიგნი. იცით, როგორ რეცეპტებია და რა საკვებს უმზადებდნენ ქუთაისელი დიასახლისები იჯახის წევრებს? – ზღვის ლობსტერები, სოკოსგან დამზადებული კერძების მრავალფეროვნება, საოცარი რამეებია! ჩანასახი იყო, მაგრამ ახლა აღარ არის“.

...

„ლეო, თქმო მოვიდა“, – გასძახის სოფო. რამდენიმე წამში ლევანი გამოდის, სამზარეულოს გასასვლელ კართან, საკიდიდან თბილ ქურთულს იღებს, ნაცრისფერ უთითო ხელთათმანებს იცვამს და ეზოში გადის. თქმო შალაურელი გლეხია და სოფოს და ლევანს ცხოველების მოვლაში ეხმარება. წინა დღეს ვეტერინარს „მონას“ ჩილიქები დაუმუშავებია, სავარაუდოდ, ინფექცია უნდა ჰქონდეს შეჭრილი, ჰოდა, ამიტომაც ახლა, თემოს მოტანილი ტროსების მეშვეობით, მონა მაღლა უნდა ასწიონ და წამლები გაუკეთონ.

ამასობაში, სოფო სადილის სამზადისშია. ლევანმა ხორცი დაამუშავა და დატოვა, სადილამდე ხელი არ ახლოთო. ამ სახლში ნაცურალური საკებები პრიორიტეტია. სალათის ფოთლებისგან და ფერად-ფერადი ბულგარული წინაკების-გან სოფო სალათს ამზადებს. ეზოში, რქანითელის პატარა ვენახის გარდა, ბოსტანიც აქვთ, სადაც ერთხანს „ჩერის“ ჯიშის პომიდვრები მოჰყვადათ: „ისეთი აუიოტაუ გამოიწვია ამ პატარა პომიდვრებმა ჩვენს სტუმრებში, ყველა ამ პომიდორზე ლაპარაკობდა, მაგრამ მერე, მაინც შევვეშვი. მეორე წელს გადავწვიტე, მწვანილი მომევვანა. ლეომ თესლი პატარა პაკეტით მოიტანა, მე მეცოტავა და ბლომად მოვაყარე. ორ კვირაში მთელი ეზო მწვანილებით იყო დაფარული. ამიტომ, მწვანილებზეც უარი ვთქვა – არ მეხერხება. ბოსტანი არ არის ჩემი საქმე, მეცხოველეობა – კი, ბატონი!“ სოფო სალათს ყველს აყრის, კარგად ურევს და მზადაა. ვამჩნევ, ხელები ადვილად უსკდება, ხშირ-ხშირად ისვამს კრემს, მაგრამ მაკიაჟს თითქმის არ ხმარობს. მეუბნება: როცა დამჭირდება, თმა უნდა გადავიწიო, სახეზე წყალი შევისხაო. ეს მარტივი ფრაზა ჩემთვის კიდევ ერთი დასტურია, რომ სოფლად ცხოვრების სიმკაცრეებიც კი სოფოსთვის პარმონიას ქმნის (რაც უნდა კომფორტულად მოიწყო გარემო, როცა ფიზიკურად ბევრს შრომობ, ცხოვრება, ქალაქური გაგებით, მაინც მკაცრი გამოდის).

„ყველას თავისი მასშტაბი აქეს, ვიღაც რაღაც გრანდიოზულს აკეთებს, ჩვენთვის კი პატარა რამეც მნიშვნელოვანია. მე ამ მარტივი ქმედებებით ვიღებ სიამოვნებას. ყველაფერი, რაშიც ენერგიას ვდებ და არ მბეზრდება, ბედნიერებაა. თან მგონია, რომ ჩემი საქციელით, ჩემი არჩევანით, ჩემი ახლო-დელი ცხოვრების წესით, გოგობსაც მაგალითს ვაძლევ. მგონია, რომ მათ რაღაც განსხვავებულის მაგალითი აქვთ. ვეუბნები, რომ ყველაფერს აქვს ალტერნატივა. მთავარია, შენი სურვილი. ესეც კარგი მარცვალია მათ ცნობიერებაში“. . .

...

სახლის მეორე სართულზე პირველი საძინებელი ანკასია, სოფოს უფროსი შვილის – პირველი ქორწინებიდან. თუმცა,

21 წლის ანკა თაბუკაშვილი ბოსტონში, უელტლის კოლეჯში პოლიტიკურ მეცნიერებას სწავლობს და დედასთან შალაურ-ში წელინადში ერთი-ორჯერ ჩადის. სამაგიეროდ, სოფოსთან და ლევანთან ცხოვრობენ ტყუპები, ლიზა და მარიამი. მათ ორი ოთახი ფუნქციონირებს ივანების მიერთებული: ერთი საძინებელია, მეორეში კი „შრომობენ“. დღის დიდ ნაბილს ამ ოთახში ატარებენ: ახლაც კომიტეტის მიცუცქელან და Chicago-ს სცენარს ამზადებენ. ზაფხულობით ასეთი ტრადიცია ჰქონიათ, როცა დეიდაშვილები ზაფხულის არდადე-გებზე ამერიკიდან ჩამოდინა, ყველანი ერთად სპექტაკლს დამატება. შარშან „ოლივერი“ დაუდგამთ, წელს ამერიკული კინომიუზიკლის Chicago-ს ჯერია.

გოგონების საძინებელში, მუყაოს დიდ ფირფიტებზე ფოტოსტენდებია გაკეთებული. „დედაშიმი ყველა შეიძლებილს უკეთებს, – მიხსნის სოფო, – ეს ანკას სტენდია, ეს ტყუპების“.


თვალი ანკას გაღერები მოთავსებულ ერთ-ერთ, შაფ-თეთრ ფოტოსკენ გამირბის, რომელზეც ანკას დიდი ბებია, ახალგაზრდა მედეა ჯაფარიძეა გამოსახული. საწერ მაგიდაზე, სოფო, მარიამის თოჯინებს მათვალიერებინებს: „ეს დღეს მოწყენილია“, – ამბობს სოფო და მუქი ლურჯი და ნაცრის-ფერი პლასტელინებისგან გაკეთებულ გოგონა-თოჯინას მაწვდის, რომელსაც თითების ნაცვლად მოკლე მავთულები აქვს ოსტატურად ჩამაგრებული, – მარიამი სტოპ-მოუშენებს აკეთებს (ცალკეული კადრებისგან აწყობილი ანიმაცია), იცი, რა მაგარია! გაჩვენებ მერე, რამდნიმე ვიდეო აქვს გაკოუ-ბული“. . .

ზედა სართულიდან, ტყუპების სიცილი ისმის. ყურს ვუგდებ და ვხვდები, რომ ერთმანეთისთვის საუკეთესო გამრთობები არიან და თამაშიც მხოლოდ ერთად წარმოუდგენიათ. „ვი-

თომ რთულია ტყუპების გაზრდა, მაგრამ არაა ასე, – მეუბნება სოფო, – ძალიან მაგარია, რომ ერთმანეთი ჰყავთ და ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. ძალიან მიხარია ისიც, რომ გიუდებან აქაურობაზე. ერთი პერიოდი, როცა დადგა საკითხი, რომ სკოლის ბოლო წლები თბილისში გადავსულიყავით, უარი თქვეს. აქ იდეალური გარემოა იმისთვის, რომ რაც აინტერესებთ და უყვართ, მთელი დრო დაახარჯონ. აი, მარიამი მულტფილმებს აკეთებს, ლიზას კულინარია აინტერესებს, არასდროს დაგზარდება, რამე გამოგიცხოს. იმასაც ვამჩნევ, რომ ჩვენთან სტუმრად ჩამოსული თბილისელი ბავშვები, გაცილებით აღგზნებულები და ემოციურები არიან. ჩვენ კი აქ სიმშვიდე გვაქვს, რომელსაც უკვე მივეჩვით და ვეღარ ვატყობთ. ბუნებას თავისი მსვლელობა აქვს და რაღაც ეტაპებს ვერ გადასტები. ბავშვი უნდა იყოს ბავშვი, თუ გინდა, რომ ფსიქიკა ჰქონდეს მშვიდი და ჯანსაღი“.

ამასობაში, მეორე კერძიც გამზადდა: პომიდვრის ნაჭრე-

## „ყველას თავისი ჩასშტაბი აქვს, ვიღაც რაღაც ზრანდიოზულს აკეთება, ჩვენივისის კი პატარა რამეც მაგიას ვარება და არ მარტივი ვარება. მარტივი ვარებას სიმკაცრეებიც კი სოფოსთვის პარმონიას ქმნის (რაც უნდა კომფორტულად მოიწყო გარემო, როცა ფიზიკურად ბევრს შრომობ, ცხოვრება, ქალაქური გაგებით, მაინც მკაცრი გამოდის). „ყველას თავისი მასშტაბი აქეს, ვიღაც რაღაც გრანდიოზულს აკეთებს, ჩვენთვის კი პატარა რამეც მნიშვნელოვანია. მე ამ მარტივი ქმედებებით ვიღებ სიამოვნებას. ყველაფერი, რაშიც ენერგიას ვდებ და არ მბეზრდება, ბედნიერებაა. თან მგონია, რომ ჩემი საქციელით, ჩემი არჩევანით, ჩემი ახლო-დელი ცხოვრების წესით, გოგობსაც მაგალითს ვაძლევ. მგონია, რომ მათ რაღაც განსხვავებულის მაგალითი აქვთ. ვეუბნები, რომ ყველაფერს აქვს ალტერნატივა. მთავარია, შენი სურვილი. ესეც კარგი მარცვალია მათ ცნობიერებაში“. . .



[www.facebook.com/RadioShokoladisIstoriebi](http://www.facebook.com/RadioShokoladisIstoriebi)

**გადაცემა „ცხელი შოკოლადის ისტორიები“  
შურნალის საუკეთესო საავტორო მასალების რეტროსპექტივაა.**

როგორ შეიცვალა დროსთან და გარემოსთან ერთად „ცხელი შოკოლადის“ გმირების ცხოვრება? მოახერხეს თუ ვერა მათ სამყაროს შეცვლა?

**„ცხელი შოკოლადის ისტორიები“**  
დაგანახებთ კონტექსტს, დროსა და სივრცეს ადამიანების პერსპექტივიდან. გადაცემა გაიხსენებს ყველაზე კაშკაშა, საინტერესო ისტორიებს და ხელახლა შეგახვედრებთ მათ გმირებსა და ავტორებს.

**ეთერში გასვლის დრო: სამშაბათი 18:00  
განმეორებით: სამშაბათი 02:30, ოთხშაბათი 13:00, შაპათი 20:00**



ავტორი და წამყვანი - ნინო ჯაფიაშვილი  
შურნალ „ცხელი შოკოლადის“ ავტორი და რედაქტორი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შურნალის-ტიკის სკოლის ლექტორი. სხვადასხვა დროს იყო შურნალ „ლიბერალისა“ და მისი ონლაინ გამოცემის აღმასრულებელი რედაქტორი, წამყვანი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავე 2ზე“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნიუს ნეტვორკის“ შურნალისტი და პროდიუსერი.



შოკოლადი  
**98.5 FM**

2 985 985

radio@shokoladi.ge

radio.shokoladi.ge

## რეკორდისი

ბი, რომლებზეც მოცარელას თხელი პორციებია დადებული, ზემოდან ბაზილიკი აქვს მოყრილი და ბაზიამიკოს კრემი და ზეითუნის ზეთი მოსხმული. სოფო გოგონებს სადილად ეძახის. რამდენიმე წუთში, ლიზა ღიღინით ჩამორბის კიბებზე, ცოტა ხანში მარამიც მოჰყვება. სოფო ამბობს, რომ აქ ცხოვრებას ერთი დიდი პლუსი აქვს, რაც ყოველთვის მოსწონდა და არ გამოდის თბილისში: აქ უფრო კარგად შეგიძლია, ოჯახი ნამდვილ, იდილიურ ოჯახს დაამსგავსო – ერთად ისაუზმო, ისადილო და ივახშმო: „ძალიან კარგი ტრადიციაა, არა?!” მახსოვს, ბავშვობაში, ძირითადად ვაბშამზე ვიკრიბებოდით ხოლმე. სამზარეულოში დიდი ფანჯარა გვქონდა, მამა სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა, ამ ფანჯარაში იყურებოდა, ვინ როგორ იყო, ჩვენ კიდევ იქით ვაფასებდით, როგორ ხასიათზე მოვიდოდა. მერე უკვე, როცა წამოვიზარდეთ, ეს ვახშმის ტრადიციც დავკარგეთ“.

ახლა კი, სოფოს და ლევანის სახლში ყველა ბედნიერად თანაცხოვრობს – ადამიანებთან ერთად, ხუთი ძალლი და სამი კატა. ძნელი წარმოსადგენია, ალბათ, მაგრამ არც ისანი ერჩიან ერთმანეთს: „ამ ტერიტორიაზე, ყველაფერი, რაც მიზრულია შეუძლებლად, შესაძლებელი ხდება. აბსოლუტური კოპაბიტაციაა, ასე ვთქვათ. ერჩიან მხოლოდ გარედან მოსულ ცხოველებს, შიგნით იდილია“, – ამბობს სოფო.

ლევანს და სოფოს საკუთარ დაკვირვებას ვუზიარებ: აქ, სოფლად, თითქოს, დრო უფრო დინჯად გადის ქალაქისგან განსხვავებით და სხვადასხვა საქმისთვის და საკუთარი თავისთვისაც გაცილებით მეტი დრო გრჩება. საუბარში ლევანი ერთვება და ამბობს, რომ ქალაქის ტემპის აჩქარება შეუძლებელიც კია: „აქ, რაც უნდა ნაადრევად მივარდე ძროსას, ადრე ვერ მოწველი, ისევე, როგორც მცენარე ვერ ამოვა დროზე ადრე. თბილისში კიდევ შეგიძლია, შვიდ ადგილას მიირბინო და საქმები მოისტუმრო“.

„მაგიტომაც არიან მიწათმოქმედები ასეთი მშვიდები და აულელვებლები, – სოფო გვერთვება საუბარში.

„კახეთს ალტერნატივა არ ჰქონია? რატომ მაინცდამაინც შალაური?“ – ვეკითხები.

„ალტერნატივა კახეთს ნამდვილად არ ჰქონია. მოწონებით სამეგრელოც და გურიაც ძალიან მომწონს, მაგრამ ასე არ დამდგარა საკითხი. კახელები ძალიან კარგი ხალხია, აურა არის აქ განსაკუთრებული, კულტურა აქვთ გამორჩეული – ვაზი მოჰყავთ. პროვინციას ქალაქთან შედარებით კიდევ ერთი პლუსი აქვს – სიმარტივე, გარკვეული გაგებით. თორემ ხალხი, პრინციპში, ყველგან ერთია. თუმცა, თელავი პროვინციული ქალაქი არ არის. თელავებს სიამაყე აქვთ, კარგი გაგებით – თელავი ხომ ერთ-ერთი სატახტო ქალაქი იყო. მეორეც, თვითონ ქმნიან რაღაცას, თავიანთი უნიკალური დოვლათი აქვთ და არ არიან სხვებზე დამოკიდებულები, ძალიან მშრომელი ხალხია. დინჯები და აულელვებლები. მეც მინდა, გავხდე თელაველი და ვერ მოვახერხე – მოწმობა უნდა გამოვცვალო. გახედავ აქაურ ხედებს და მიხვდები, რომ ევროპაა, რა! – გარე კახეთი ძალიან ჰგავს ტოსკანას. ტოსკანაში რომ მოხვდები, სანამ კაცი ხმას არ ამოიღებს, ვერ მიხვდები, იტალიელია თუ კახელი. დასავლეთ საქართველოში, ალბათ, უფრო გამიჭირდებოდა ცხო-

ვრება. მგონია, რომ ესენი უფრო ალალები არიან, კარგი გაგებით, სწორხაზოვანები“.

...

სოფო ამბობს, რომ თვითონ უფრო კარჩაკეტილი ადამიანია, ლევანის კი შალაურში და თელავში ყველა იცნობს. ზამთრის სუსხიანი და მოკლე დღეები რომ იწყება, ყველა თავის კარ-მიდამოში იკეტება ძალაუნებურად და ერთმანეთს გაზაფხულამდე „ემშვიდობებიან“. თუმცა, ზაფხულია თუ ზამთარი, სოფოს და ლევანის სახლში დილა განთიადზე იწყება. „სამაგიროდ, ლამით, 12-ზე უკვე ღრმა ძილში ვართ“, – მეუბნება სოფო.



დღის განმავლობაში, საქმეებს შორის, რამდენჯერმე ჯდება კომპიუტერთან. ფეისბუქზე დარეგისტრირებულია, სულ ჩართული აქვს და მიაჩნია, რომ მოვლენებზე შორიდან და-საკვირვებლად იდეალური საშუალებაა.

„დაბრუნებას არ ფიქრობთ?“

„დაბრუნებას?! მე თბილისში არაფერი მაქვს. აქ ვარ და არც მიმაჩნია, რომ რამეს მოწყვეტილი ვარ. გულახდილად რომ გითხრაო, სუნთქვა მიჭირს იქ. ეტყობა მაინც დიდი სხვაობაა სუფთა ჰაერის კუთხით, ბევრი ხმაური, გამონა-ბოლქვი – ძალიან მღლის. მიუვჩვიე სომშვიდეს“. „

„დაბრუნებას არ ფიქრობთ?“

„თბილისში რამე თუ გენატრებათ?“

ლიან მიყვარს „დაინინგ აუთ“ – აუცილებლად გავდივარ სადმე, სასადილოდ, მეგობრებთან ერთად. ახლობლების მონახულება არ მჭირდება იმიტომ, რომ ისედაც აქეთ ჩამო-დის ყველა. მიყვარს თეატრი, კინო, მაგრამ თბილისში რომც ვიყო, ყოველდღე მაგისთვის ხომ ვერავინ იცლის?! თუმცა, არც ეგაა პრობლემა, დაბადების დღეზეც კი წავსულვართ თბილისში აქედან. ორ კვირაში ერთხელ, შაბათ-კვირას ისედაც ჩავდივართ – ტყუპები ჩაგვყაფს ბებია-ბაბუებთან. როცა იქ ვარ, აქაური ყველაფერი მენატრება, ერთი დღეც საკმარისია, რომ მომენატროს... აქ გადმოსახლება ძალიან ჯანსაღი გადაწყვეტილება იყო, რადგან ადამიანმა უნდა იცხოვოს ისე, როგორც უნდა და სადაც უნდა“.



## მოჰარე მახალყაფი

„დაა, ამოშალვათ  
ჩემი სახალი ჩემი ქვეყნიდან,  
თუ ის ამით გათავისუფლება“

ავტორი თეო საფიაშვილი  
ფოტო ზინეა ბაროვი





„ირანულ კინოს ირანულ პოეზიაში აქვს ფესვები, ამიტომ არის ის პოეტური. აუდიტორია ირანში ძირითადად ბავშვები არიან, ამიტომ ადვილად გასაგები ფილმები უნდა გადავიღოთ. მოკლედ შემიძლია გითხრათ – პოეტურობა, უბრალოება და ადამიანის განსაკუთრებული მორალურობა არის ირანული კინოს სპეციფიკური ნიშანი“, – ამბობს კინორეჟისორი მოპერა მახმალბაფი, რომელიც თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ურურის თავიჯდომარეობდა. თავად მახმალბაფის ფილმებიც ასე შეიძლება დავახსასიათოთ – ზოგჯერ ბანალურობამდე მისული სიმარტივე და სისადავე, რომელიც ამავე დროს პოეტური სახელით არის დატვირთული და საოცარი ჰუმანურობით გამოიჩინა.

უცნაურია, მაგრამ მახმალბაფი დაახლოებით 20 წლის იქნებოდა, ფილმების ყურება როცა დაიწყო. ის, როგორც მორწმუნე ადამიანი, კატეგორიულად გმობდა კინოს და დედასაც უშლიდა კინოთატრში სიარულს. პროცესში, მახმალბაფს გართობისთვის არც ეცალა, უმაროდ გაზრდილს ადრეული ასაკიდან მოუწინა ფაზიკური შრომის დაწყება.

– პატარა ვიყავი, როდესაც დედა და მამა განერნინდნენ, ამიტომ მე ბებია მზრდიდა. ის ძალიან რელიგიური ადამიანი იყო, რომელიც მიყვებოდა, რომ თუ წავიდოდ კინოში, სიკვდილის მერე ღმერთი ჯოვანეთში გამაგზავნიდა. ბებიის გავლენით, ბავშვობაში საერთოდ არ ყოფილვარ კინოში. 15 წლის ასაკში შაპის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანი გავხდი, ორი წელი ვიბრძოდი და 17 წლის ვიყავი, რომ დამაპატიმრეს. 22 წლამდე ცხეში ვიჯექი, ასე რომ, იმის დრო არ მქონდა, სკოლაში მევლო. მაგრამ ციხეში მივხვდი, რომ კინოს შეუძლია საზოგადოების შესაცვლელად მისმეტელოვანი როლი შეასრულოს. ამან გარკვეულნილად ხელი შემიწევო, რომ „სუფთა ხედგა“ მქონდა – რაკი კინოს გადაღებამდე ძალიან ცოტა ფილმი მქონდა ნანახი, რასაც ვიღებდი, ეს ჩემი იყო.

ათასობით ღარიბი და რელიგიური ირანელის მსგავსად, მახმალბაფი რეზა-შაპის სასტიკი მოწინააღმდეგ გახდა.

– შაპი წამდვილი დიქტატორი იყო. 17 წლის ვეფავი, როცა ციხეში არაადამიანურად მანამეს. შემიძლია გაჩვენოთ ამ წამების ნაკვალევი.

უეცრად ის წინდიანად იხდის ფეხსაცმელს და შემცველ ფეხს მაგიდაზე შემოდებს. ამ დროს მახმალბაფი ძალიან ჰგავს თავის ფილმებს – უშუალოს, „ეტიკეტების გარეშეს“, ცოტა მიმიტიურს, რომელსაც კულტურის თავისებურებას მიაწერ. ვცდილობ, არ გავიხედო დავით გაბურიასკენ (რომელიც თარგმანში მეხმარება), რომ გაოცება არ შემეტყოს. ჩემთვის კი ვფიქრობ, რომ ესეც არის ნიშანი, რის გამოც მისი ფილმებისთვის ბოლომდევერ მოგიყიძნია სახელი – ეს თავისებური პრიმიტივისტური ხელოვნებაა თუ სხვა კულტურული ტრადიციის ნაყოფი. ამა-

ბენ ხოლმე 70-იანი წლების ირანს და საუბრობენ ისლამური რევოლუციის მიზე-ზებზე, სადაც სერიოზულ ფაქტორს შაპის პროდასავლურობა, ირანელებისთვის განსხვავებული კულტურის თავზე მოხვევა წარმოადგენდა, რომლებმაც მოდერნიზაციასთან მოკლე დროში ადაპტირება ვერ შეძლეს. რამდენად განაპირობებდა მართლაც ემიზეზი ისლამურ რევოლუციას?

გეთანხმებით, მაგრამ არა მთლიანად. ეს, შესაძლოა, ავლანეთის მაგალითზე უფრო ზუსტი იყოს, სადაც განსხვავებით ათა-თურქებისაგან, რომელმაც თურქეთის დასავლეულ ყაიდაზე ევოლუცია, საზოგადოებს მოდერნიზაცია ძალიან მყარად მოახერხა, ან განსხვავებით რეზა-შაპისაგან, რომელმაც ირანში საზოგადოების გვასტრული წარმოშობით უნდა შეიყვანო... რეაქცია შაპის მმართველობაზე არ იყო რეაქცია მოდერნიზაციაზე, მთავარი მიზეზი შაპის დიქტატორული რეჟიმი იყო. ირანში ძალიან ბევრი გაჭირვებული ცხოვრობდა, საშუალო კლასი თითქმის არ არსებოდა, მაგრამ იყვნენ ოჯახები, რომელთაც უამრავი ფული ჰქონდათ. ამ უქმაყოფილებას პირველ რიგში მაინც ეკონომიკური მიზეზები განაპირობებდა. მეორე ფაქტორია, რომ მოლებმა მოახერხეს უქმაყოფილების ორგანიზება. შაპის შეცდომა ის იყო, რომ კომუნისტებს ეპრძოდა და ამასობაში გამოეპარა მოლას მზარდი გავლენა ხალხში. 115 000 მოლა ძალიან ბევრია, სწორედ მათ მოაწყვეს რევოლუცია. ეს პრობლემა წიგნში „ბუდა სირცხვილისაგან აფეთქდა“ მაქს აღნერილი.<sup>1</sup>

მახმალბაფი დღემდე გამოიჩინა თავისი მოქალაქეობრივი აქტივისტით. ის ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს, ირანი აპმატინერების პრეზიდენტად არჩევიდან მალევე, 2005 წელს დატოვა, სადაც ჩასვლის უფლება არ აქვს. მომდევნო არჩევნების პერიოდში ირანის ხელისუფლება მახმალბაფს ადანაშაულებდა აპმატინერების რეალური კონკურენტის, მირ-პოსეინ მუსავის კამპანიის წარმოებაში საზღვარგარეთ. პოლიტიკური ანგაურებულობის გამო მას ხშირად აკრიტიკებენ კიდევაც, მით უმეტეს, ირანში, სადაც ისლამური რევოლუციის შემდეგაც, რის

## მოღვარიზაცია ვაკშინების პგზს, ის მსირებელი დოზებით უდა შეიცვალო... რეაქცია შაპის მართველობაზე არ იყო რეაქცია მოღვარიზაციაზე, მთავარი მიზანი შაპის დიქტატორული რეზიმი იყო.

სობაში კი მახმალბაფი ენერგიულად აგრძელებს საუპარს:

– ამიტომ, დიქტატორული რეჟიმის გამო, მთელი ერი განეწყო შაპის წინააღმდეგ. მართალია, ხალხი რელიგიური იყო, მაგრამ არა ფუნდამენტალისტები. უბრალოდ, ფუნდამენტალისტებმა „მოიპარეს“ რეგოლუციის მონაპოვარი, ისინი მოექცენ სათავეში და რევოლუციიდან რამდენიმე თვის შემდეგ ამ უკანასკნელის მიმართულება შეცვალეს... დღეს ჩემი მეგობრების დიდი ნაწილი, ვინც მაშინ იყო დაჭრილი, ისევ ციხეშია, ანუ სამართლიანობის თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სულ უფრო იზრდება რელიგიურ-ფუნდამენტალისტური ცნობიერება და ეკლესიის გავლენა. ხშირად შეძლოთებითაც ადარ-



„სალახ, სინეა“



„გეგალი“

შედეგადაც მისი მეგობრები და თანამე-  
ბრძოლები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მოპარები მახმალბაფი მუდმივ აპოზიციო-  
ნერად რჩება. თუმცა იარაღის ნაცვლად  
ხელოვნების ენას მიმართავს. „ადრე მზად  
ვიყავი, იარაღი ამეღლ ხელში, ახლა კულ-  
ტურულ სამუშაოს ვანიჭებ უპირატესო-  
ბას... სამყარო კულტურის გარეშე ჯუნ-  
გლებად იქცევა. მერნმუნეთ, გაცილებით  
ადგილია, შემველი ხელებით განიარაღო  
პოლიციელი, ვიდრე უმეცრებაზე გაიმარ-  
ჯვოს კულტურამ“, – ამბობს ის ერთ-ერთ  
ინტერვიუში.

როდის და რატომ დაინტერესონ ნაწარ-  
მოებების აკრძალვა?

— თავიდანვე. რევოლუციის მერე მა-  
ლევე გამოვაქვეყნე წიგნი „მინის ბალი“,  
რომელშიც ირანში ქალთა საშინელი  
მდგომარეობაა აღნერილი. ჩემი ერთი  
მეგობარი, რომელთან ერთადაც ციხეში  
ვიჯევი, მინისტრი გახდა მან მისაყველუ-  
რა, რატომ გვაკრიტიკებ, ჩეგნი მეგობარი  
არ ხარ? მერე გავაკრიტიკე ირან-ერაყის  
ომი — ასი ათასობით ირანელი მოკვდა  
ერთ მხარეს და ამდენივე მეორე მხა-  
რეს. რატომ? ვისთვის? — არ მესმოდა.  
ამაზეც გაბრაზდნენ. ასე, ერთმანეთის  
მიყოლებით აკრძალეს ჩემი ნამუშევრე-  
ბი. ყოველი აკრძალვის მერე ჩემს ყოველ  
მომდევნო ფილმში უფრო მეტი კრიტიკა  
ჩნდებოდა. ჩემი ფილმის („სიყარულის  
დრო“) გმიო მოხსნეს კულტურის მინის-  
ტრი, უსაყვედურეს, რატომ დართე მოჰ-  
სენს ამის გადაღების უფლებაო (სხვათა  
შორის, ეს გახლდათ ხათამი, რომელიც  
შემდეგ ირანელებმა პრზიდენტად აირ-

გვინდიათ, რომ კულტურას ზოგადად ან/და კინოს შეუძლია რეალურად შეცვალოს სამყარო?

კინომ უკვე შეცვალა ბევრი რამ – შეხედეთ ჩვენს ჩატმულობას, ჩვენს საუბარს, კაფეებს, რესტორნებს... კინო ადამიანებისთვის ფანჯარასაცით არის, ის გავლენას ახდენს ცხოვრებაზე, ჩვენს ცნობიერებაზე. ჩვენ ერთმანეთს კინოს საშუალებით ვეცნობთ – უყურებთ ირანულ კინოს და ამბობთ, აპა, ეს ირანული კულტურაა, რა პრობლემები აქვთ? განათლებული არიან თუ არა? და ა. შ. იგივეა ქართველ ხალხთან დაკავშირებით. კინო სკოლაა, მარტივი, მაგრამ სკოლა – მე არ ვიცი ქართული, თქვენ არ იცით ირანული, მაგრამ გვესმის კინოს ენა. კინოენის საშუალებით შეგვიძლია ერთმანეთს ვესაუბროთ, ჩვენი აზრები დაგანახოთ ერთმნიერთს, ცხადი გავსადოთ ისინი. ჩემს ფილმებს სარკესავთ ვიყენებ, მათ საზოგადოების წინ ვდგამ. მე არ შემიძლია დიქტატურის მხარეს ვიყო, მაგრამ ასევე ვაკრიტიკებ საზოგადოების ფუნდამენტალისტურ იდეებს. როდესაც ციხეში ვიჯექი, მქონდა შესაძლებლობა, შაჰის რევუმის მოწინააღმდეგე 7000-მდე პოლიტიკოსს შევხვდროდი, რამდენიმე წლის მერე კი ვსაუბრობდი იმაზე, რომ ისინიც, ანუ ოპზიციურად განწყობილი პოლიტიკოსებიც, დიქტატორებს დაქმსგავსნენ. რა არის პრობლემა? ე.ი. პოზიციების ცვლილების მიუხედავად სიტუაცია იგივე რჩება? ეს ვარენე ფილმში „სალამ, სინემა“, რომ ძალაუფლებაა პრობლემა<sup>2</sup>. არ აქვს მნიშვნელობა, მე ვზივარ ძალაუფლების სათავეში, თუ ის ორი გოგო, რეაქცია

## II გენერაცია

ერთი და იგივეა. რა შეგვიძლია გავაკეთოთ? უნდა შევცვალოთ შეხედულებები. დიქტატურა ხეს ჰგავს, რომელსაც ფესვები კულტურის ნიადაგში აქვს გადგმული. კინოს შეუძლია შეცვალოს კულტურა, დიქტატურის ფესვები, ნელ-ნელა, მაგრამ სიღრმისეულად.

თქვენ ხშირად ლაპარაკობთ ხოლმე კულტურის სისატყიეზე. ერთ-ერთ ინტერვიუში წერთ იმ მექანიზმზე, რომელშიც ძალადობრივი იერარქიული ოჯახი ძალადობრივი იერარქიულ სახელმწიფო სისტემას განაპირობებს: „ოჯახი სჯის შეიღებს, სახელმწიფო სჯის თავის მოქალაქეებს“. თქვენ ფილმებშიც მუდმივად ჩანს, რამდენად მკაცრია ტრადიციული კულტურა. როგორ ფიქრობთ, ეს ძეველი კულტურების პრიმარია? რამდენად განაპირობებს ამ სიმკაცრეს რელიგია?

ჩემი შეიღის ფილმი „ვაშლი“<sup>13</sup> თუ გაქვთ ნანახი? იქ არის ეპიზოდი, როცა მამა თავის შეიღებს დიდი ხნით დაამზუდებს სახლში. ეს დასჯის გავრცელებული ფორმაა. ფილმში პიროვნება კი არ უნდა განსაჯოს, არამედ კულტურა. ფუნდამენტალისტი ადამიანები უდანაშაულობი არიან, მაგრამ სჯერათ არაუდიანაშაულო იდეების. ისინი მზად არიან, მოკლინ ან თავი მოიკლან რაღაც იდეისთვის. მათ აქვთ საკმარისად დიდი მნეობა და უბინება, რომ საზოგადოებისთვის თავი მოკლან, მაგრამ თავად იდეა შემაძრწუნებელი. ზოგჯერ ვადანაშაულებთ ადამიანებს და გვავინყდება, რომ მათი ბრალი არ არის, ესა თუ ის შეხედულება ხშირად ტრადიციონალური მოდის – დედა, მამა, ტრადიცია გაძლევს რჩევებს. ჩემი ცოლის ფილმის „დღე, როცა ქალი გაგზდი“<sup>14</sup> მეორე ნაწილში ნაჩვენებია ველოსიპედისტი ქალის ისტორია, რომელსაც ქამრი ცხენით მისდევს და უყვირის, ჩამოდი ველოსიპედიდან, ეს ჩვენი ტრადიცია არ არის. ქალი არ უჯერებს და ქმარი ეუბნება – მე გაგებული. და თქვენ ხედავთ ტრადიციას ცხენზე ამხედრებული კაცების სახით, რომლებიც მისდევენ ველოსიპედისტს და ეუბნებიან, რომ ტრადიციის თანახმად, ის ვალდებულია ჩამოვიდეს. ათასობით ტრადიციული ცხენი ებრძვის მოდერნიზებულ ველოსიპედს. ეს უნდა ვაჩვენოთ აუდიტორიას, რათა იფიქროს, ილპარაკოს ამაზე. რა არის ძალადობის მიზეზი? – ეს არ

არის მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების მიზეზი, ეს არის ჩვენი ტრადიციების, ისტორიის, ჩვენი სიამაყის, კულტურის მიზეზი, გარკვეულინილად მოდერნიზმის რაღაც სახელმწიფო, დღევანდელი ცივილიზაციისაც. აი, შეხედეთ, ყველგან ერთმანეთს ეჯიბრებიან. 6 მლნ ადამიანი ერთმანეთს ეჯიბრება, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს დაეხმაროს. იმის ნაცვლად, რომ დედამინაზე სამოთხე შექმნან, ჩვენ ვიპრძით ბიზნესში, ჩვენ ვიპრძით კინოში, სიყვარულში... რატომ ვიპრძით, რა არის

საყვედურობდნენ იმას, რომ იტალიის „ჭუჭუყიან საცვლებს გარეთ ფენცინენ.“ ნეორეალიზმი კი, ალბათ, ის მიმდინარეობაა, რომელმაც ერთ-ერთი მძლავრი გავლენა მოხდინა თქვენზე. ყოველ შემთხვევაში, ამას მუდმივად აღნიშნავდნენ თქვენი ფილმის, „ველოსიპედისტის“ შესახებ, რომლის სათაური პირდაპირ ასოციაციებს ბადებს დე სიკას „ველოსიპედების გამტაცებლებთან“. მე მაგალითად პირველად რაც ვნახე თქვენი ფილმებიდან, იყო „გაბე“ („ხალიჩა“) – ირანული ფოლკლორის პოეტურობისა და სპარსული ხალიჩის ფერადოვნების ნაზავი, რომელმაც ფარაჯანოვი გამახსენა... თქვენ თუ გამოყოფთ ვიწმეს, ვინც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა?

რა ახდენს ჩემზე გავლენას? პირველ რიგში, რეალობა; მეორე – ჩემი სიმძრები; მესამე – ზოგადად კინო, არა კონკრეტულად ვინმე. მე შემიძლია 50-მდე განსხვავებული რეჟისორი ჩამოვთვალო, რომელიც მიყვარს, მაგრამ მათ სულ სხვადასხვა სტილი აქვთ. მაგალითად, სატიაჯიტ რე, მიყვარს ფელინის რაღაც ნანილი... სხვადასხვა ფილმში სხვადასხვა სტილი კონცეფციიდან გამომდინარეობს. მაგალითად, „მებაღეში“, როცა მშვიდობან რელიგიაზე ვლაპარაკობ, მე ვიღებ ფერადოვან ფილმს; როცა სიბინძურებზე ვლაპარაკობ, მაშინ სხვა მიმართულებით მივდივარ.

ნელან ახსნეთ „სალამ, სინემა“, რომელიც კინოს დაბადების 100 წლისთვის მოუდივნით. კინოში გადალებაზე მეოცნებე გოგოებს დილემის წინაშე აყენებთ და ეუბნებით, რომ მოუწევთ არჩევანის გაკეთება – ან იყენებ მსახიობები, ან იყენებ ადამიანურები, ჟუმანურები. ამ კითხვას შეგიტრიალებთ – მართლაც გამორიცხავს ეს ორი რამ ერთმანეთს – ან დარჩე ადამიანად ან იყო რეჟისორი? თქვენ ძალიან მკაცრად ეჭვევით ფილმში კასტინგზე მოსულ ადამიანებს...

ჩემთვის კითხვა უფრო საინტერესოა, ვიდრე პასუხი. ამ კითხვაში ჩავდე ძალიან მნიშვნელოვანი პლასტი ადამიანის კეთილშობილების, მორალურობის შესახებ, რომელიც აუცილებელია პოლიტიკაშიც და ხელოვნებაშიც, მაგრამ ხანდახან გვავინყდება, დაურჩეთ ადამიანად. პოლიტიკური სერიებს და ხელოვანებს შეუძლიათ, დაეხმარონ ადამიანებს. პო-

ბოლოს? ეკონომიკა ყველგან საშიშროებას წარმოადგენს, რატომაა ყველა დეპრესიასა და სტრესში? თქვენ გაქვთ სამსახური, მაგრამ სულ იმაზე დარღობთ, რომ არ დაკარგოთ. მერე რა? უმრავ ადამიანს არ აქვს სამსახური. მე კინოს, როგორც სარეკა, ვიყენებ არა მარტო ცალკეული ადამიანისთვის, არამედ საზოგადოებისთვის. ზოგჯერ მქოლავენ კიდევაც, ბრაზდებიან ჩემზე. ათ ქვეყანაში გადავიდე ფილმები და ყველგან უკავყოფილოები იყვნენ. იმიტომ, რომ რეალობას ვაჩვენობ, უფრო სწორად, ვცდილობ, რომ ვაჩვენო.

სხვათა შორის, როდესაც პირველად გამოჩნდა ნეორეალისტური ფილმები, მათ

# ავერსი გიდონული აობა-პარანი წესი

ავერსი გიდონული მობა-  
კაბ წესი ა გთავაზობთ  
ავერსის ლიფტინგი  
ცა-20%-ის 40%-ის  
ფასების აღდებით, ენვიტას,  
ელემტონ ფიტინის, ელივას,  
ლაპავას, დაკადულის,  
ლიმასლის, სუსედას, ა გ  
ტონუს-კრასტის პროდუქტების



ავერსი

ჩანაბრძოლით და სიცილით საცხოვო

AVERSI

• საქართველო, თბილისი 0112, იდემპრენი 148/2  
• +995 32 296 72 27;  
• [www.aversi.ge](http://www.aversi.ge)

ლიტიკოსები ვალდებული არიან, ეს აკეთონ, ხელოვნების მიზანიც იგივეა. თუმცა ზოგჯერ ხელოვნებაში ხედავ, რომ ისინი პატივს არ სცემენ ადმინისტრის, პოლიტიკოსები კი თითქმის ყოველთვის ასე იქცევიან. რა უფრო მნიშვნელოვანია? – ჩენ გვჭირდება მორალურობა, ერთმანეთისადმი პატივისცმა და ზრუნვა. აი, ვთქვათ, ვარ მხატვარი და ვხატავ მდინარეს – ძალიან კარგი სურათი გამომდის, არაჩვეულებრივი ამინდია, ფერებიც საუკეთესოა დღეს... მაგრამ უცებ ვხედავ, რომ ვიდაც იხრჩობა მდინარეში. რასაკვირველია, მე მივატოვებ ხატებს და გადავხტები წყალში. მე არ შემიძლია ვთქვა – არტისტი ვარ, ეს ჩემი საქმე არ არის. ზოგი ირანელი ხელოვანი მარიტიყუბს ამის გამო, მაგრამ მე ვპასუხობ, რომ რეალურ ცხოვრებაში ვცხოვრობ და ჩემი ხელოვნება ჩემთვის ბიზნესი არ არის. რამდენიმე წლის წინ პარიზში ვიყავი, გადასალებად ვემზადებოდი. ამ დროს იქ არეალობა დაიწყო, რადგან ქუჩაში გამოსული უკამაყოფილ ადამიანები ხელისუფლებამ დახოცა. მე მივატოვე გადალება და ჩავერთე საპროტესტო ბრძოლაში. ამის გამო გადალება მხოლოდ 2 წლის შემდეგ შევეძლი. ალბათ, თქვენს კითხვაზე პასუხიც ესაა – არა ის, რომ „მე შემიძლია დაგრჩე ადამიანად“, არამედ „მე ვისურვებდი, დაურჩენილიყავი ადამიანად“.

რაკი უკვე მომდევნო საკონკურსო ფილმის ჩვენება იწყება, ვეღარ ვასწრებ, ვკითხო საოჯახო კინონდესტრიის შესახებ. მოჰშენ მახმალბატმა 1996 წელს კინოსტუდია დააარსა, სადაც მისი ოჯახის წევრები კინოგანათლებასთან ერთად, ფილმებსაც იღებენ. პანა მახმალბატის თქმით, რომელიც შარშან ასევე თბილისის საერთაშორისო ფესტივალის უზრისი წევრი იყო, მამამისმა არჩია, თვითონ ესწავლებინა შვილებისთვის, ვიდრე სკოლაში რეალიგიური ფუნდამენტალიზმის კრასებ-

ში დაეკარგათ დრო. ამიტომ ყველა მათგანმა ძალიან ადრეულ ასაქში დაიწყო გადალება, რაც ბევრს გარკვეულ სკეფსისს აღუძრავს და მიიჩნევნ, რომ რეალურად მთელი ეს „ბიზნესი“ მოჰშენ მახმალბატის გაკეთებულია. თუმცა ცნობილია, რომ მახმალბატი, ფაქტობრივად, არ ჩნდება ოჯახის წევრების გადასალებ მოედანზე. ჩემი აზრით, ამ მხრივ საყურადღებოა, „მებალის“ ფონალი; ფილმის, რომელიც ფესტივალზე უწევენს და მახმალბატმა წარდგენისას განაცხადა: შევეცადე ხედ-

## რა ახლენს ჩემზე გავლენას? კირველ რიგში, რეალობა; მეორე – ჩემი სიზმრები; მესამე – ზოგადად კინო. როცა მშვიდობიან რეალიზიაზე 3ლაპარაკობ, მე 3ილებ ფერადოვან ფილმს; როცა სიბინძურებელ 3ლაპარაკობ, მაშინ სხვა მიმართულებით მივიღივა.

ვის სამი ასპექტი ამესახა: ერთი – ჩემი, როგორც ძეველი თაობის, მეორე – ვაჟოშვილის, მოსენის, როგორც ახალი თაობის და მესამე – კინოენისო. კაშკაში წითელი ყვავილებით შემოსაზღვრულ ბილიკს თავდაჯერებით მოუყვება კამრამიუდებული მოისენი, ცოტა მოგვიანებით კადრში შვილს სირბილით ადევნებული მოჰშენ მახმალბატიც ჩნდება.

ეს ფილმი, იმის მიუხედავად, რომ საკამაოდ სუსტი და სწორხაზოვანია, კარგად გამოხატავს მახმალბატის ხელწერას, რომელსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი მეორე პროფესია. მახმალბატი, რომელმაც ჯერ კადევ ციხეში დაიწყო წერა, 27 წიგნის ავტორია. მის ფილმებსაც თითქმის ყოველთვის მიჰყება კადრ-სგარე ტესტი, შესაძლოა იმიტომაც, რომ მახმალბატის აზრით, ლიტერატურასთან შედარებით, კინოს ლიმიტირებული შესაძლებლობები აქვს. თუმცა ფილმ „მებალეს“ მთელი თავისი ტრაქტატით სიკეთის, ჰუმანიზმისა და არაძალადობრივი თანაცხოვრებს მოხმოდების შესახებ შხოლოდ ერთი ვრცელი ეპიზოდი გადაწყინის – სარკეში არეალილი გამოსაზღვება, როგორც სამბოლო კინოსი, რომელიც ცხოვრიბისულ ფრაგმენტებს ირეკლავს და მახმალბატის მიერ მორწყული კამერა, რომელიც აყვავდება. რელიგიისა და ადამიანის ბუნების შესახებ ხანგრძლივი, ცოტა არ იყოს მოსაწყენი და ბანალური „ლიტერატურის“ მერე, უცებ, კინო ინუბა და კადრიც ცოცხლდება.

მახმალბატის შეუძლია ერთი კადრითაც მოგწუხოს, თუნდაც ცუდ ფილმში. იმიტომ, რომ მას მართლაც აქვს „სუფთა ხედვა“ და უდავოდ თავისუფალი ხელოვანია.

– ირანში არა მარტო ჩემი ფილმები, ჩემი სახელიც აკრძალულია. მე დავწერე სცენარი „დასავლეთის პოეტი“, რომელიც ჩემმა ასისტენტმა გადაიღო. ცენზორებმა თქვეს, რომ ამ ფილმს არ დაუშვებენ მოჰშენის სახელის გამო. ასისტენტმა მყითხა, რა ვქნათო. მე ვუპასუხე, რომ ამოეღო ჩემი გვარი ტიტრებიდან. ამის მერე ირანის ლიდერს მივწერე წერილი, სადაც ვამბობდი – მე წავშალე ჩემი სახელი იმისთვის, რომ ეს ფილმი გამეთავისუფლებინა. დაე, ამოშალეთ ჩემი სახელი ჩემი ქვეყნიდან, თუ ის ამით გათავისუფლდება.

1. მისი ეკანიზაცია მახმალბატის ქალიშვილმა პანა მახმალბატმა გააკეთა.
2. მთელი ფილმის განმალებაში, რომელიც კასტინგზე მისული მოყვარული მსახიობების მსხვილ ხედებზე იგება და მათ რეაქციებზე დაკვირვებას წარმოადგენს, რეჟისორი (თავად მახმალბატი) საქმაოდ მეაცრად თხოვს, იცინონ ან იტირონ. ხანგრძლივი გოგონები უცებ მოიგებენ როლს – ისინიც დაუინებით და მეცრად თხოვენ კინოში გადალების მსურველებს, რომ რამდენიმე ნამის გამოსაზღვრაში ატირება ან სცილი.
3. უფროსი ქალიშვილის, სამირა მახმალბატის პირველი ფილმი.
4. მირზიე მექენის ფილმი. ამ ეპიზოდში ველოსიპედისატ ქალს ჯერ ქმარი (ანუ ოჯახი, როგორც ინსტიტუცია) მისდევს და აიძულებს, რომ ველოსიპეტიდან ჩამოვდეს, შეძლევ მოლა (ანუ რელიგიური ინსტიტუცია) და ბოლოს მშები და ოჯახის ახლობლები (ანუ საზოგადოება და ტრადიციები).



ჩვენი ახალი სატავო მფლისი  
ენერგოეფექტური, კომფორტული, თბილისი!

აღ. ყაზბეგის გამზ. 21



\*22 22



220 22 22

[www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge)

# საესპროექტო

პროექტის მფლოდნერი:  
ნინო ჭავჭავაძე, თამარ გაგუაძე, გამო სამადავაძე,  
დავით გაერიქიძე, ნინო ნატარავაძე

მიზანი კონცეფტისა და დიზაინის:

.kantora —



# კარისტანები

---

აოგვისებულ გეფეხის მოვლენები



A photograph of four light-colored wooden blocks arranged in a staggered, three-dimensional perspective. The blocks are inscribed with large, bold, black numbers: the first block from the left has '2', the second has '0', the third has '2', and the fourth block, which is positioned higher and to the right, has '1'. The background is plain white.

## ქათი ლევარიანი, 36 წლის, სხენარისტი

გასული წლის ყველაზე რეიტინგული, მაგრამ არამენსტრიმული  
ტელესერიალის – „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარის ავტორი

„ჩემი ცოლის დაქალები“ ირონიული  
და რეალისტური ტელესერიალია, რო-  
მელიც პლეის და ტაქტიანად აკრი-  
ტიკებს თანამედროვე ქართულ სინა-  
მდვოლეს. მაყურებლის სიყვარულის  
მიზეზი, მათი ცხოვრებიდან აღებული  
სიტუაციები, დამაჯერებელი დიალო-  
გები და თანმიმდევრული დრამატურ-  
გიული ხაზი გახდა.

„ამ სერიალში იდეალური ან სტერი-  
ლური პერსონაჟები არ არსებობენ, ამ-  
ბები ნამდვილია, ან ისეთი, რომელიც  
რეალურად შეიძლება მომხდარიყო“,  
– ამბობს სცენარისტი, რომელიც ერ-  
თადერთია, ვინც იცის, რა მოხდება 6  
სერიის შემდეგ.

 ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა





**შექმნეს ჰიმნი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანს თავისუფალ ნებას ართმევს.**

ცახის კადრების გავრცელების შემდეგ, სიმღერა „სისტემა უნდა დაინგრეს“ ქარჩაში გამოსული ახალგაზრდების მთავარ სათქმელად იქცა. მიუხედავად პოლიტიკური ინტერ-

პრეტაციებისა, მუსიკოსების თამამი და უცენზურო ტექსტი, გულწრფელი პროტესტი და სიმღერის გადამდები მუხტი, ბოლო დროის ყველაზე მძლავრი ანარქისტული მესიჯი იყო.



ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა

KUNG FU JUNKIE, LANDMARK, ME AND MY MONKEY, სერგი გვარჯალაძე, SVANSIKH, JERONIMO, KAZZY JAZZ, მაქს მაჩაიძე, DREAM SOIUF, ირეპლი ლეისაძე, ნაჯა ორაშვილი, გიორგი ასანიშვილი



## გიორგი ქეკელიძე, 28 წლის, აოეთი

ნოვატორი დირექტორი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას  
ახალ იმიჯს უქმნის.

გიორგი ცდილობს, 200-წლიანი ის-  
ტორიის მქონე პიბლიოთეკა ერთ-ერთ  
ყველაზე თანამედროვე, ახალგაზ-  
რდებითავის მიმზიდველ და ცოცხალ  
სივრცედ აქციოს. ბიბლიოთეკის არხი  
[youtube](#)-ზე, ინტერნეტ-ტელევიზია,  
საკუთარი გვერდი [facebook](#)-ზე, ბიბ-

ლიოთეკაში დაცული კოლექციების  
ელექტრონული კატალოგები, ინფორ-  
მაციის დიგიტალიზაციის პროცესი და  
თვალ დირექტორის მჭიდრო კავშირი  
საზოგადოებასთან – დამტვერილ სა-  
განძურს მკონველს უპრუნებს.



ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა



## რუსუდან ზყონია, 34 წლის კიონჩებისორი, სსენარისტი

მისი სადებიუტო ფილმი „გაიღიმეთ“ პოლო დროის ყველაზე წარმატებული ქართული კინოპროექტია.

ფილმი, რომელსაც რუსუდან ჭყონია თითქმის 7 წლის განმავლობაში იღებდა, წელს ვენეციის კინოფესტივალზე აჩვენეს. ახალგაზრდა რეჟისორთა სექციაში „გაიღიმეთ“ – ინოვაციის, ორიგინალურობისა და პრობლემების კვლევის კრიტერიუმით მოხვდა. ამავე ლირსებების გამო, ფილმი შემოდგომაზე ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალზე უიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვეს. საქართველომ „გაიღიმეთ“ 2013 წლის „ოსკარის“ უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაზე წარადგინა.





ირინა ჯორჯაძე - 27 წლის

ელინო ხუდოვნიკი - 27 წლის

ზაზა ბუჩქულაძე - 39 წლის

სალომე პაში - 31 წლის

თამარ ამაშუკელი - 36 წლის

ცირა ელისაშვილი - 40 წლის

სალომე სიხარულიძე - 29 წლის

თეა კობახიძე - 27 წლის

დათო გოგიშვილი - 24 წლის

მოძრაობა „გაამაგრე გუდიაშვილის მოედანი“ თავისი მიზნებით, იდეით და ფორმით, თანამედროვე სამოქალაქო პროტესტის სიმბოლოა.

პათეტიკური და ყალბი პოლიტიკური მოწოდებებისგან თავისუფალი, სპონტანური სახალხო შეკრებები გუდიაშვილზე, ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ახალ გამოცდილებად იქცა. „შევინარჩუნოთ ავთენტურობა,

არა იმიტაციას!“ – მოძრაობამ თავის მთავარ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა ამ მხიარულმა, დაუინებულმა და ირონიულმა საპროტესტო კარნავალმა თვითგამოხატვის უნიკალური სივრცე შექმნა.



ნატა სოფრომაძე, მაკა ჟუკულავა




## ლაშა ბულაძე, 35 წლის, მთერალი, დრამატურგი

პიესით „ნავიგატორი“ გაარღვია დრამატურგის  
ქართული კონცექსტი.

BBC-ის საერთაშორისო კონკურსში 10 ათასამდე დრამატურგი მონაბნილეობდა მთელი მსოფლიოდან. გამარჯვებული კი, ქართველი ლაშა ბულაძე გახდა, ჩინეთში მცხოვრებ ბრაზილიელ მწერალთან ერთად. „მომაჯადოებელი, აუ-

თენტური პიესა – ავტორი ახერხებს მარტოსულობის სიმძიმე სასიამოვნოდ მოსასმენ სიმსუბუქედ გარდაქმნას“, – ასე შეაფასა უიურიმ ლაშა ბულაძის „ნავიგატორი“.



## რობერტ სტურუა, 74 წლის, რეზისორი

მოახერხა, შეენარჩუნებინა ქართული თეატრის  
„შეუცვლელი“ რეჟისორის სტატუსი.

საკუთარი ძლევამოსილებით მისი-  
ბლული რობერტ სტურუას რუსთა-  
ველის თეატრიდან მხარიანი გაძევე-  
ბა იდეალურად ჩაეწერა ამ თეატრის  
მითოლოგიაში. აქედან, არცერთი  
რეჟისორი თავისი ნებით არ წასულა.  
„როცა მე ვპრუნდები, მჭირდება, ვიყო  
დიქტატორი“ – გამოცხადებული დი-

ტისტული აქტი, ისევე, როგორც მისი  
დაბრუნება თეატრში, რეჟისორის  
მიერ დადგმულ ნატიფ, პოლიტიკურ  
შურისძიებას ჰგავს. რობერტ სტურუა  
ერთადერთია, რომელმაც მოახერხა  
და თითქმის 40 წლის განმავლობაში  
რუსთაველის თეატრის მთავარ რეჟი-  
სორად დარჩა.

**ქახა ბენდუქიძე, 56 ნლის,  
მემარჯვენო-ლიპერტარიანი  
ბიზნესმენი**

**ქართველ ბიზნესმენებს შორის, საკუთარი ქონებიდან ყველაზე მეტი ფული  
დააპანდა საგანმანათლებლო ბიზნესში.**

წელს კახა ბენდუქიძემ აგრარულ უნივერსიტეტში შექმნა კულინარიის აკადემია; განაგრძო მის მიერვე დაარსებული „ცოდნის ფონდიდან“ საუნივერსიტეტო ქაღაქის მშენებლობა. 34 მილიონი დოლარი, რომელიც ამ ფონდში ჩაიდო, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ განვითარებას, მათ შორის,

ნარჩინებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებასა და საჯარო ლექციებს სმარდება. მკაფიო პოლიტიკური და კომერციული მიზნების ფონზე, ოპონენტების მიმართ ხშირად ცინიკური დამოკიდებულების ხარჯზე, კახა ბენდუქიძე ცდილობს, წახალისოს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება.

 სათუნა ხუციშვილი







კახატა შამუბია 29 ნლის,  
ალექს ჩილვინეაძე 26 ნლის, პოეზიაზი

შექმნეს **demo.ge** – ალტერნატივული ლიტერატურისა და ვიზუალური  
ხელოვნების ქართული ვირტუალური სივრცე.

demo.ge ახალგაზრდა პოეტების, არ-  
ტისტების და მწერლების ენთუზიაზ-  
მის სარჯზე არსებობს. გასულ წელს  
თანამედროვე ქართველ მწერალთა  
ეს პორტალი, თავისი თამამი, სკანდა-  
ლური ტექსტებითა და თარგმანებით,

ვიზუალური არტისტ, ალტერნატივული  
ხელოვნების შესახებ ელექტრონულ  
გამოცემებს შორის პოპულარულ და  
ექსპერიმენტებისთვის ღია სივრცედ  
იქცა.



ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა



## სანდრო ასათიანი, 40 წლის, იუსტიციური

იპრეზის ელექტრონული წიგნიერების პოპულარიზაციისთვის  
საქართველოში.

სანდრო ასათიანი საგანმანათლებლო  
აქტივისტია, რომელიც ქმნის ქართულ  
ელექტრონულ წიგნებს და ავრცელებს  
ცოდნას ონლაინ კომუნიკაციის სფერო-  
ში. ელექტრონული „ვეფხისტყაოსანი“  
და მისი ავტორობით შექმნილი სახელ-

მძღვანელო სოციალური მედიის შესა-  
ხებ, ერთ-ერთი პირველი ქართულენო-  
ვანი ელექტრონული წიგნება. გასულ  
წელს სანდრომ პირველი ქართული ინ-  
ტერაქტიული ანბანი შექმნა.



სათუნა ხუციშვილი



**ზურაბ შევარდნაძე, 33 წლის, ბიოლოგი,  
მებაღე-დეკორატორი**

**ზურაბ შევარდნაძის ბალი „გარდენია“ უნიკალურია არა მარტო  
სილამაზით, არამედ თავისი კონცეფციითაც**

თბილისის ზღვის მახლობლად გაშე-  
ნებული სანერგე და ორანჟერეა, ორი  
იდეის – მცენარეთა ჯანსაღი გამოყვა-  
ნისა და ორიგინალური დეკორის სინ-  
თეზია. „თუ სხვები მებალეობას, რო-

გორც ბიზნესს, ისე უყურებენ, მე ისე  
ვუვლი აქაურობას, როგორც საკუთარ  
ეზოს“, – ამბობს ზურაბ შევარდნაძე,  
რომელსაც თავის ბალში 180 სახეობის  
მხოლოდ ვარდი აქვს.



## ვასკა ჯამალაშვილი, 18 წლის, ჰუმანი

16 წლისამ შექმნა ვირუსი, რომელიც შეუმჩნევლად აღწევს კომპიუტერში და მას ფარული მოსმენის საშუალებად აქცევს.

ვასკა ჯამალაშვილმა ორი რამის გამო მიიქცია ყურადღება: როგორც ვუნდერკუინდმა და როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის არასრულნლოვანმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც აღარა, რომ მის მიერ შექმნილი პროგრამის საშუალებით, სახელმწიფო ოპოზიციონერ პოლიტიკოს უსმენდა. სკანდალურმა საქმემ,

რომლის ერთ-ერთი მთავარი მონანილე ვასკა ჯამალაშვილია, შესაძლებელია, ფარდა ახადოს მაღალჩინოსანი მოხელეების დაკვეთით, მოქალაქეების უკანონო თვალთვალს. ვასკა ჯამალაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 4 მუხლით აქვს წაყენებული.

 ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა



**გიორგი ლორის, 26 წლის,**

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის**

**„ფინამოს“ მექანი**

ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში, გულშემატკივრებმა – გიორგი ლორია, გიორგი ლორიამ კი საკუთარი თავი აღმოაჩინა.

დავით ყიფიანის, ალექსანდრე ჩივაძის, ვლადიმერ გუცაევისა და ოთარ გაბელას შემდეგ, გიორგი ლორია თბილისის „დინამოს“ პირველი ფეხბურთელია, რომელიც ესპანური სპორტული პრესის გარეკანზე მო-

ხვდა. 84 წუთის განმავლობაში გიორგი ლორიამ ყველა ბურთი მოიგერია და მოედანი მხოლოდ ტრავმის მიღების გამო, გამაყრუებელი აპლოდისმენტების თანხლებით, ეროვნული გმირივით დატოვა.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფოტოარქივი



*First step to eternal life  
is you have to die*

*Fight Club  
Chuck Palahniuk*

*As long as there's one person to believe it,  
there's no story that can't be true  
Paul Auster  
Augie Wren's Christmas Story*

**მაის პალრიმე - 48 წლის**

**ნიკა სამუშავა - 26 წლის**

**ქათო ქანთარია - 43 წლის**

**ლათო გაბუნია - 30 წლის**

**ხათუნა ცხადაძე - 39 წლის**

მათი ლირებული თარგმანები ხიდია, რომელიც მსოფლიო  
ლიტერატურის უახლეს იდეებს გვაკავშირებს.

რომ არა მთარგმნელები, ქართულე-  
ნოვანი მკითხველისთვის „უამრავი მწე-  
რალი თუ მიმდინარეობა დარჩებოდა  
უცნობი. პილ ოსტერის „მისნის ღამე“;  
ჰენრი დევიდ თორის „უოლდენი ანუ  
ტყეუში ცხოვრება“; რობერტ მუზილის  
„უთვისებო კაცი“; ანტონიო ტაბუეის  
„მიაჩნია პერეირას“; უმბერტო ეკო-  
სა და კარდინალ მარტინის მიმოწერა



Allting är underligt för sorgt!  
Livet, mänskorna, allt är en  
knopp som duvors dörrar fram  
på vintern, tills det spricker, spralar!

August Strindberg  
Fröken Julie

Hier hatte Ulrich einen Strich  
gezogen und war auf nurze Zeit  
zu der Frage ausreizgenetzt, ob  
ein befitt ein Zustand oder  
ein Vorgang sei, deren Eigentüm-  
lichkeit als Schausfrage jetzt  
deutlich hervortrat.

Robert Ulrich  
Der Mann ohne Eigenheiten

Nulla stand più  
soggi al pensio  
che para altri.  
Umberto Eco,  
Il nome delle rose.



## ბიძინა ივანიშვილი, 55 წლის, საქართველოს პრემიერ-მინისტრი


რადიკალურად შეცვალა ქართული პოლიტიკური რეალობა.

როდესაც ინკოგნიტო მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ მისი ბრძოლა ასეთი წარმატებით დასრულდებოდა. 9-წლიანი მმართველობის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლების ყველა მცდელობა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება, უშედეგო აღმოჩნდა.

გამარჯვებამდე ორი დღით ადრე, ათასობით მხარდაჭერის წინაშე, ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა „ერთ ადამიანს“, რომელმაც „ნიღაბი ჩამოხსნა საქართველოს მოძალადე პრეზიდენტს“. ამ საიდუმლო ადრესატის ვინაობის განმარტებისას, მან განცხადა, რომ მადლობა საკუთარ თავს გადაუხადა: „ჩემს თავს ვგულისხმობდი... წავიტრაპახე... ვერ გამიგეს... ეს პატარა ტრიუკი წინასწარ მქონდა მოფიქრებული“.

ეს სიტყვები, სიმბოლურად მისი პოლიტიკური ბრძოლისა და მოულოდნელი გამარჯვების ხასიათს გამოხატავს.

გიორგი გაბურია







SINCE 1884

**SARAJISHVILI**

6 2 6 3 X 0 3 0 5 2 0

# საკი მოწოდევა ლიტერატურა

ლიტერატურა

ლიტერატურული ეთ  
რაღ მიყვარს  
დორის ლესინგი?  
ირაკლი ლომოვი

საავტორო  
შორიობა უ-შევენოდ  
აკა მორჩილაძე

ეოთხერობა  
LEPORELLO  
ლაშა ბალაძე

პოეზია  
ბექა გორგია



## რაღ მიყვარს ლორის ლესინგი?

ავტორი ირაკლი ლომოვარი

ერთი მომენტია მის ცხოვრებაში, რომელიც ვერაფრით ამიხსნია და მიმიღია. არადა, ის ნაბიჯი რომ არ გადაედგა, ნობელის პრემიას ვერ მიიღებდა. მწერალიც კი ვერ გახდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე სჯერა. მაგრამ ამაზე მოგვაანებით...

გამოგიტყდებით, დორის ლესინგის რომანს „ოქროს რვეულს“ როცა

ვთარგმნიდი, – წიგნს, რომელშიც 2007 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, – მომინდა ავტორისთვის წერილი მიმეწერა. ანუ სიყვარული ამეხსნა. მაგრამ მერე შემრცხვა. მაგრად. დორის ლესინგის. მართლაც, ვინ ვარ, რომ ვუთხრა, ძალიან ძალიან ძალიან ჩემი ხარ და ძალიან ძალიან ძალიან მაგარი მწერალი? (თანაც, იქნებ

ისიც ამიხსნა, იმ ნაბიჯის გადადგმა როგორ მოახერხე?)

ასეთ წერილზე უფრო ბანალური რამე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ?

ჰოდა, არ მივწერე.

ოლონდ ეს წერილი იმის შემცვლელი არ გვეკონოთ.

სრულიად სხვა წერილია – იმას კი არ ვეცდები, ავხსნა, რად მიყვარს

დღორის ლესინგი, არამედ, უბრალოდ,  
მინდა, გაგაცნოთ ჩემი მეგობარი, სა-  
ხელად, დორის ლესინგი.

მაშ ასე, დავიწყოთ თავიდან. ანუ დორისის გაჩენიდან.

1919 წლის 22 ოქტომბერს დაბადებულა სპარსეთში. მამაც და დედაც ინგლისელები ჰყავდა (მნერლის ქალიშვილობის სახელი და გვარია დორის მერი ტელორი).

პატარა დორისი ექვს წლამდე  
სპარსეთში ცხოვრობდა, შემდეგ  
ოჯახი გადასახლდა სამხრეთ რო-  
დეზიაში (ამჟამად ზიმბბუვე). რო-  
დეზია ინგლისის კოლონია იყო. მა-  
მამისმა ბუშის (აფრიკული ზეგანის)  
1000 აკრი შეიძინა და ფერმერობას  
შეუდგა – სიმინდი მოჰყავდა. თუმცა  
ნარუმატებლად. დროთა განმავლო-  
ბაში კიდეც გაკოტრდა, იძულებული  
გახდა, ფერმა გაეყიდა დაგროვილი  
ვალების გასასტორმობლად.

დორისს მძიმე ბავშვობა ჰქონდა –  
როგორც გაუთავებელ კოშმარს, ისე  
იხსენებს. კოშმარს, რომელშიც ზო-  
გჯერ სასიამოვნო მომენტებიც გამო-  
ერთოდა.

აფრიკაში გატარებულმა წლებმა  
მნერლის პიროვნულ ჩამოყალიბე-  
ბაზე არსებითი გავლენა მოახდინა,  
უფრო ზუსტად, მისი წარმოსახვისა  
თუ ფანტაზიის უშრეტ წყაროდ იქცა.  
აი, მხოლოდ ერთი შტრიხი - 13 წლის  
ასაკიდან თურმე სანადიროდ მარტო  
დადიოდა (ამას თეთრკანიანი ბიჭე-  
ბის უმრავლესობაც კი ვერ ბედავდა,  
არათუ მოვრნიბი).

დორისი ქალაქ სოლსბერიში (ამჟამად ხარარე) გოგონების კათოლიკურ სკოლაში დაღიოდა, მაგრამ კურსი არ დაუსრულებია, 14 წლისამ სწავლას

თავი დაანება. უმაღლესი განათლება  
არასოდეს მიუღია.

პატარაობიდან ბევრს კითხულობდა – თოჯინებსა და სათამაშოებს წიგნი უცვლიდა.

15 წლისა შრომას შეუდგა: მუშაობდა  
მედდად, სატელეფონო სადგურის ოპე-  
რატორად, ჟურნალისტად. ამ დროიდან  
დააწყო პილიტიკური და სოციოლო-  
გიური ლიტერატურის კითხვა.

1937 წელს გათხოვდა ფერმერზების ფრენები უიზდომზე. ქორნინება 1943 წლამდე გაგრძელდა. ორი შვილი შეეძინათ – ჯონი და ჯეინი.

1944 წელს დორისი მეორედ გა-  
თხვდა – მისი ქარი გახდა გერმა-  
ნელი პოლიტემიკონტი, კომუნისტი  
გოტფრიდ ლესინგი. ერთი შვილი შე-  
ეძინათ – პიტერი.

1949 წელს დორისი მეორე ქამარსაც  
გაეყარა და პიტერთან ერთად ლონ-  
დონში გადასახლდა. ჯონი და ჯეი-  
ნი მამას დაუტოვა. მოგვიანებით ეს  
გადაწყვეტილება ასე ახსნა: „დიდი  
ხნის განმავლობაში მქონდა შეგრძ-  
ნება, რომ ძალზე გაბედული რაღაც  
„very brave thing“) გავაკეთე. ინტე-  
ლექტუალი ქალისთვის საოცრად  
მოსახლეობისა მუდმივად პატარა  
ბავშვებთან ჯდომა. ვგრძნობდი, რომ  
მათ საუკეთესო აღმზრდელად არ  
გამოვდები. ან გავლოთდებოდი ან  
დედაჩემის მსგავს ფრუსტრირებულ  
ინტელექტუალ ქალად ვიძიგოდი“.

დორის ლესინგი XX საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის რიგებში იყო (მე-მარცხენებს ჯერ კიდევ აფრიკაშიც ცხოვრებისას დაუახლოვდა), აქტიურად მონაწილეობდა ბირთვული არალის წინააღმდეგ მიმართულ მოქალაქეთა წილის გადასაცემა.

პირველი წიგნი, „ბალახი მღერის“, 1950 წ.

1950 ნელს გამოაუვეუბა.  
1962 ნელს დაიპეტდა მისი ავტო-  
ბიოგრაფიული რომანი „ოქროს  
რვეული“, რომელშიც 2007 ნელს ნო-  
ბელის პრომიდა მიანიჭის.

თუმცა, დორისის ბიოგრაფია რაც უნდა დაწვრილებით აღინიშვნოთ, ეს მისი ნამდვილი გაცნობა მარც ვერ იქნება, რადგან ერთია მშრალი ფაქტები, და სულ სხვა – ადამიანი.

მე თვითონ როგორ გავიცანი დო-  
რის ლესინგი?

ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვა-  
ლიარო, რომ ლესინგი წაკითხული არ  
მქონდა, სანამ გამომცემლობა „პა-  
ლიტრა L“-მა სამითებელის წინათ  
მისი რომანის თარგმანა არ შემომთა-  
ვაზა. ვუთხარი, მოვიფიქრებ-მეთქი  
და ეგრევე ვეცი ინტერნეტს – ჩვე-  
ნი დროის გაჭირვების ტალკვესს, –

აგტორის ბიოგრაფია მოვიძეი, წავიკითხე (ძალიან არ მომენტონა, როცა გაფიგე, რომ სსენატული რომანი ფე-  
მინისტებს თავისი „ბარიალად“ უქცე-

ყითა), მერე კი ქსელში ლესნგის ტექსტები დავძებნე – უნდა გამე- გო, როგორ წერს, – უმაღლ მივაგე- ნი პატარა მოთხრობას: „დღე, როცა მოკვდა სტალინი“. წავიკითხე და აღ- მოჩნდა, თურმე მაგარი მწერალია! არადა, თითქოს განსაკუთრებული არც არაფერი ხდება იმ მოთხრობა- ში – აღნერილია ინგლისელი კომუ- ნისტი ქალების ემოციური დაალოგი, როცა იგებენ, რომ მათი სათაყვანე- ბელი კერპი, რომელშიც ცოტ-ცოტა ეჭვი შეჰქარვიათ, მიიცვალა. ერთი სიტყვით, ხსნებული მოკლე მო- თხრობა ისეა დაწერილი, ლესნგის წაკითხვა და თარგმნა მომანდომა. მეორე დღეს მივედი გამომცემლობა- ში, რომანი გამოვართვი. წიგნის მო- ცულობამ, ოდნავ კი შემაფიქრიანა – 650 გვირდია! – მაგრამ კონტრაქტი

მთელი ერთი წლით დავდეთ. ჰოდა,  
მეც ჩავუჯექი...

ეს ერთი წელი, შეიძლება ითქვას,  
დორის ლესინგთან ერთად გავატა-  
რე, დორის ლესინგით ვიცხოვრე. და  
როცა ვამბობ, რომ ჩემია, — ანუ ჩემი  
მეგობარია — არ ვაჭარბებ. თანაც,  
ეს არც მეტაფორული ნათქვამია და  
არა კაზივათობა.

ასე ვგრძნობ შინაგანად და რა  
ძძა?

ახლა ამას „კეთილშობილი“ (ანუ „სვეცეპი“) საზოგადოების ენაზე აგი-  
სნით: დორის ლესინგი ჩემი ფსი-  
ქომოციურ-ინტელექტუალური (არ  
მინდა ვიხმარო სიტყვა „სულიერი“ –  
სულიერი მეგობრობა სხვა რამე მგო-  
ნია), ანუ ჰიპერრეალური მეგობარია.

მოკლედ, ჩვენ სხვა განზომილება-

## ლიტერატურული ცსე

ში ვმეგობრობთ. პარალელურ სამყაროში, სადაც დორისი ისევ იმხელაა და ისევ ისეთია, როგორიც რომანის წერისას იყო. – წიგნი, როგორც ვთქვით, 1962 წელს გამოაქვეყნა. მაშინ 43 წლისა ყოფილა, (კალკულატორით გამოვთვალე: 1962-ს მინუს 1919).

ანუ ჩემი მეგობარი დორისი ახლაც 43 წლისაა და არა 93-ის (როგორიც ამ ჩვენს განზომილებაშია).

ალბათ, ამიტომაც არ მივწერე წერილი.

ჩემი მეგობარი, 43 წლის დორისი ისეთი სადაა, ისეთი უბრალო, ისეთი გულწრფელი, ისეთი ღრმა, ისეთი ემოციური, ისეთი ტრაგიული, ისეთი, ისეთი, ისეთი... რომ არ ვიცი, როგორ დავახასიათო. რადგან მშვენივრად მესმის, რაც უნდა ვთქვა, მხოლოდ სიტყვების რახარუხი იქნება. ზოგჯერ სიტყვები ვერაფერს გამოხატავენ, ვერაფერ ნალდაა და არსებითს...

ლესინგი წერს: „სიტყვები, სიტყვები. სიტყვებს ვათამაშებ იმ იმედით, რომ მათი რომელიმე კომბინაცია, შესაძლოა, შემთხვევითიც კი, მომცემს საშუალებას გამოვხატო ის, რაც მსურს... საქმე ისაა, რომ ნამდვილი გამოცდილება შეუძლებელია აღწერო. ვფიქრობ, და გარკვეული გულისტკივილითაც, სამი წერტილი, ძველმოძურ რომანებში რომ ვხვდებით, ყველაზე მეტად გამოდგებოდა...“

რასაც აქ ვწერ, მხოლოდ ჩემს სუბიექტურ, ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს, მე კი მინდა, თვით დორისი გაგაცნოთ, და არა ჩემი წარმოდგენა დორისზე... საამისიდ კი სამი წერილი არ კმარა. მწერალზე, რომელიც ძალიან მიყვარს, მშვიდად, უემოციოდ, აუღელვებლად წერა არ შემიძლია. მინდა აგიხსნათ, თუ რა მაგარი წიგნი დაწერა, – ეპოქის სულისკვეთება, აბსურდი და ტრაგიზმი ერთიანად რომ გამოხატა, – არადა, ძნელი საქმეა (თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ წერა იმაზე, თუ როგორ ვერ წერ, უკვე სირცხვილია – მოძველდა!). ვერც ტექსტუალურ ანალიზს ვახერხებ, ვერც კონტექს-

ტუალურს და, მით უფრო, კონგენიალურს – ანალიზი საერთოდაც არააჩემი საქმე!

მე ვწერ განცდით (ესეც ეგსპიბიციონიზმი!), და არა ციფი გონებით.

არადა, ეს რომანი ნამდვილი მისწრებაა კრიტიკოსისა თუ უბრალოდ ანალიზის მოყვარული ჰედანტილიტერატორისთვის – ისეთი ეპიკური, მრავალდონიან-მრავალშრიანი, ანუ მრავალგანზომილებიანია, სილრიმისეულადაც და სტრუქტურულადაც (სხვათა შორის, მსოფლიოში ამ რომანზე უამრავი დისერტაცია, სტატია თუ გამოკვლევაა დაწერილი). ავტორის „ალტერ ეგო“, მწერალი ქალი ანა ვულფი ერთდროულად ოთხ დღიურს აწარმოებს სხვადასხვა ფერის რვეულებში იმისთვის, რომ გაერკვეს თავის თავსა და სამყაროში.

აი, რას წერს დორის ლესინგი წინასიტყვაობაში რომანის ფორმის შესახებ: „მოცემულია ხერხემალი, ანდა ჩარჩო, სახელწოდებით „თავისუფალი ქალები“, რომელიც, თავისთავად, მცირე ზომის ტრადიციულ რომანს წარმოადგენს, დაახლოებით 60000 სიტყვის მოცულობით, და რომელიც შეიძლება ცალკეც არსებობდეს. მაგრამ ის ხუთ ნაწილად არის დაყოფილი, რომელთა შორის ჩასმულია ოთხი რვეულის შესაბამისი ნაწილები: შავი, წითელი, ყვითელი და ლურჯი რვეულებისა. ამ რვეულებში ჩანაწერებს აკეთებს ანა ვულფი, „თავისუფალი ქალების“ მთავარი გმირი. ანას ერთი კი არა, ოთხი რვეული აქეს, რადგან აცნობიერებს, აუცილებელია საგნები რამენაირად განაცალკევოს, იმიტომ, რომ ეშინია ქაოსის, ამორფულობის – ეშინია ჩავარდნის. გარეგანი და შინაგანი პირობების გავლენით რვეულებში ჩანაწერები წყდება; ერთიმერის მიყოლებით რვეულის ფურცლის გარდიგარდმო სქელი შავი ხაზი ჩნდება. მაგრამ ახლა, როცა მათ წერტილი დაესვა, მათი ფრაგმენტებიდან შეიძლება რაღაც ახალი იშვას – ოქროს რვეული“.

ანა ვულფისთვის (ანუ დორის ლესინგისთვის) ეს ყველაფერი ინტელექტუალური თამაში კი არაა, არამედ ნამდვილი ბრძოლა საკუთარი პირო-

ვნების გადასარჩენად, რადგან სიგიურის ზღვაოზე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით...

ოღონდ რომანის რთული ფორმა წუ შეგაკრთობთ, – სულაც არაა მოსაწყენი, – თავისუფლად, ინტერესით, სულმოუთქმელად იკითხება.

რომანში რამდენიმე ძირითადი, გამჭოლი თემაა, ქალის და მამაკაცის ურთიერთობა, სიგიურე, პოლიტიკა... ანუ ცხოვრება, ცალკეული ადამიანისა და მთელი სამყაროსი... ავტორი ახერხებს, უმცირესი და უსაზღვრო ერთდროულად დაინახოს, ერთდროულად მოაქციოს ფოკუსში (ანა ვულფი ამას „თამაშის თამაშს“ უწოდებს), და ეს წარმოუდგენელ მხატვრულ ეფექტს ქმნის... ნებისმიერ თემაზე ავტორი ისე წრფელად, ცოცხლად, ემოციურად, სილრმისეულად და თან ისე მასშტაბურად წერს, რომ ერთი კი არა, ორი ნობელის პრემიის ღირსია, ჩემი ჭური, – ეს წიგნი თავისთავად მწერლობის გამართლება მგონია.

პრინციპულ საკითხზე მსურს ორითე სიტყვა ვთქვა – იმაზე, თუ რატომ მიმართია სსენებული რომანი, სინამდვილში, ანტიფერინისტურად იმ დროს, როდესაც ფერმინისტებმა, ლამისა არის, თავის „პიბლიად“ გამოაცხადონ.

ავტორი წინასიტყვაობაში წერს: „ეს რომანი სულაც არ იყო ჩაფიქრებული როგორც ქალთა გათავისუფლების მოძრაობის რუპორი“.

რომანი ისეთი გულწრფელობით, დამაჯერებლობით, ფსიქოლოგიზმით მოვითხობს „თავისუფალი ქალების“ ცხოვრებაზე – წიგნში განსაზღვრება „თავისუფალის“ ქვეშ იგულისხმება ქალი, რომელიც შეგნებულად აღარ თხოვდება, თვითონ ინახავს თავის თავსა და შვილს (თუ შვილებს), იცვლის საყვარლებს, – რომ ხვდები, მათი ცხოვრება ტრაგიკულია. ასეთი ცხოვრება სულაც არ მოსწონთ და არ აკმაყოფილებთ, თავს უბედურად გრძნობენ, ეძებენ ნამდვილ სიყვარულს, ეძებენ იმ ერთადერთ მამაკაცს, რომელიც მართლა შეიყვარებს, ცოლადაც მოყვანს და რომელთანაც მთელ დარჩენილ ცხოვრებას გაატარებენ.

დორისის „ალტერ ეგო“ იპოვის ასეთ კაცს, რამდენიმე წელი საყყარ-ლები არიან. კაცს ცოლ-შვილი ჰყავს. ანა მუდმივად ელოდება, რომ კაცი ცოლს გაეყრება და მასთან შექმნის ახალ ოჯახს, მაგრამ ის ამაზე არ ფიქრობს, შექმნილი სიტუაცია საცსებით აწყობს. ანა ვეღარ გაუძლებს და თვითონ ეტყვის, ცოლად შემირთეო. შედეგად, კაცი გაიქცევა...

ქალისა და მამაკაცის ურთიერობებზე რომანი ბევრ საგულისხმოს შეხვდებით. აი, ერთი ციტატა: „სიმართლე კი ისაა, რომ ქალს აქვს ღრმა, ინსტინქტური მოთხოვნილება მამაკაცისგან ნამდვილი მამაკაცი შექმნას... მე მგონი, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ნამდვილი მამაკაცი სულ უფრო დიდი იშვიათობა ხდება, ჰოდა, ვიზაფრებით, და ვცდილობთ შევქმნათ მამაკაცები“.

კითხვა ლოგიკურად ასე შეიძლება დაისვას: ფემინისტური ცხოვრების წესი მართლა კარგი რომ ყოფილყო, თავისუფალი, ფემინისტი, ემანსიპირებული ქალები უბედურები ხომ არ იქნებოდნენ?

ნამდვილად არ მესმის, როგორ შეიძლება ფემინიზმის „მანიფესტად“ გამოაცხადო წიგნი, რომელიც ფემინიზმის უნაყოფობას ააშკარავებს თავისდაუნებურად, რადგან გასაოცრად მართალი წიგნია.

ფემინისტების მიერ „ოქროს რვეულის“ თავის „ბაირალად“ გამოყენება, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებისთვის დამახასიათებელ სავალალო ზედაპირულობაზე, გამარტივებულ აღქმასა თუ გაუგებრობაზე მეტყველებს.

და კიდევ, მეტყველებს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის აბსურდულობაზე. სხვათა შორის, ნობელის პრემია დორის ლესინგს შემდეგი ფორმულირებით მიანიჭეს: „...მოგვითხრობს ქალის გამოცდილებაზე სკეპტიციზმით, გზნებითა და წინასწარმეტყველური ძალით რომ აღწერა დანაწევრებული ცივილიზაცია“.

წიგნში მრავლადაა არაორდინარული, მოულოდნელი (ზოგჯერ, ვიღაც-ვიღაცებისთვის, გამაღიზიანებელი,

არასწობური) პასაჟი – მოსაზრება თუ მიდგომა. აი, მაგალითად: „ფსიქონალიზი გამართლებულია ან არაა გამართლებული მხოლოდ იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა, ადამიანები უკეთესი გახადოს ზენობრივი და არა სამედიცინო თვალსაზრისით“.

დორის ლესინგის გულწრფელობა მართლაც განსაცვიფრებელია. მკითხველს ესაუბრება არა მხოლოდ როგორც მეგობარს, არამედ, როგორც ერთადერთ მესაიდუმლეს... ამის საილუსტრაციოდ ერთი ეპიზოდის ციტირება მინდოდა – რას განიცდის ავტორის „ალტერ ეგო“ ანა უცლფი, როდესაც ლონდონში რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში აღმოჩნდება, – თავისდამოულოდნელად, მუხლებზე დაეშვება, გაოცებული გრძნობს, რომ თვალზე ცრემლი მოადგა, უკვირს და ვერ გაუგია, რა ემართება, რა ატირებს... წესით, მწერალს ეს ეპიზოდი მკითხველისთვის არ უნდა გაემხილა, რადგან მის წარმოდგენას სამყაროზე თითქოსდა თავდაყირა აყენებს, მაგრამ სწორედ ამაშია ლესინგის ძალა – არ თამაშობს, შინაგან წინააღმდეგობას არ ჩემალავს, საკუთარ თავს ცენზურას არ უწევებს, რასაც განიცდის, ბოლომდე ცდილობს გაგრძნობინოს... და ჩემთვისაც სწორედ ესაა მთავარი მწერლობაში – თანაგანცდა!.. რაც შეეხება ეპიზოდის ციტირებას, სამწუხაროდ, იმდენად ვრცელი ამონანერი დამჭირდება, რომ ჩვენი წერილი ვეღარ დაიტევს.

რაც შეეხება დორის ლესინგის (და მისი რომანის მთავარი გმირის) გატაცებას კომუნიზმით, ამაზე 2007 წელს ბი-ბი-სა-სთვის მიცემულ ინტერვიუში ერთი ფრაზით გასცა პასუხი: „ჩვენ სასარგებლო იდიოტები ვიყავით.“ სასარგებლო – საბჭოთა კავშირისთვის, რომელიც დასავლელი ინტელექტუალების გულწრფელ იდეალიზმს სათავისოდ, მზაკვრულად იყენებდა (ლესინგი აღნიშნავს, რომ გამოთქმა „სასარგებლო იდიოტები“ ლენინს ეკუთვნის). დორის ლესინგს ნობელის პრემიას, ალბათ, უფრო ადრეც მიანიჭებდნენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი სამეც-

ნიერო ფანტასტიკასაც წერს (თუ-მცა უანრის განსაზღვრება პირობითია, ლესინგის ფანტასტიკა უფრო სოციალურ-ფილოსოფიურია), ხოლო სამეცნიერო ფანტასტიკა რატომძაც არასერიოზულ უანრად მიიჩნევა. ანუ დორის ლესინგი პირველი ნობელიანტი მწერალი-ფანტასტია. მე კი ფანტასტიკა ბავშვობიდან ძალიან მიყვარს – კიდევ ამიტომაც არის ჩემი და ამიტომაც დავუმეგობრდი!

თუმცა, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, მაინც ვერ აგისხსნით სრულად, რა მაგარი მწერალია დორის ლესინგი და რა მაგარი რომანია „ოქროს რვეული“. უბრალოდ, უნდა ნაიკითხოთ.

ნებისმიერი პიროვნება, – არათუ ამ რანგის მწერალი – ყოველთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მასზე ნათევამი სიტყვა, თუნდაც უაღლესად კეთილგანწყობილი ან სულაც, აღტაცებული.

დორის ლესინგზე კიდევ ბევრი რამის თქმა მინდა, როგორც მწერალზე (ბოლოსდაბოლოს, 53 წიგნი აქვს გამოცემული!) და როგორც ადამიანზე (ბოლოსდაბოლოს, ჩემი მეგობარია!) მაგრამ ახლა ამას დავჯერდეთ.

ოლონდ ერთი უხერხული (არაკორექტული) კითხვა მანც უნდა დავსვა: გილირ ნობელის პრემია შვილების მიტოვებად?

ჩემს მეგობარ დორის ლესინგს ულირს.

და, ალბათ, მაგიტომაც არის ძალიან მაგარი მწერალი.

თუ, მაგისდა მიუხედავად?

p.s. ძალიან მინდა, „ცხელი შოკოლადის“ მთავარმა რედაქტორმა გაითვალისწინოს ჩემი უმორჩილესი თხოვნა, და წერილს მხოლოდ და მხოლოდ 43 წლის დორისის ფოტო დაურთოს, – და არავითარ შემთხვევაში, ახლანდელი, – კმაყოფილი ბებია დორისის. როდესაც უურნალისტებისგან შეიტყო, ნობელის პრემია მისცეს, თურმე თქვა: „ამ წყეული პრემიების მთელი დასტა შევაგროვე, ყველა მივიღე, რაც კი არსებობს. ნამდვილი ფლეშ-როიალია!“





## შოთობააა უ-გევენოლ

ააა მორჩილაძე

ერთი დრო იყო, ერთი პერესტროიკის დრო, და ძველი ამერიკელი მომღერდები ჩვენს ტელევიზორებში მღეროდნენ: ქრისმას ვიზაუთ იუუუუუ, ქრისმას ვიზაუთ იუუუუ..! ესენი იყვენ დოლი პარტონი და კენი როჯერსი, რომელიც ჰგავდა ჰემინგუეის, მხოლოდ წვერით. სხვა მიმსგავსება თეთრწვერა კაცი-სა თეთრწვერა კაცან ჩვენ მაშინ არ ვიცოდით. ის წვერიც მეტად მოვლილი უჩანდა, სიმღერა კი იყო ნამდვილა-ამერიკული და თავისი მთელი პოპ თუ, რაღაც ამბის მიუხედავად, განწყობასა ქმნიდა, მით უმეტეს, იმ დროში.

შოთობააა უ-შეენოდ – დაახლოებით ასე გამოდიოდა ქართულად და იმ კლიპის სურათი კი ასეთი იყო, რომ ვინმე თეთრწვერა, სიყვარულს მონატრებული ამერიკელი სამხედრო, სამხედროთა ბარში, დახლოთან მომჯდარა და იმას კი გამომუსაიფება ბარის მომღერალი დოლი, რომელიც, მერქ, ამ სიმღერასაც დასცხებს, და ეს კი ხმას ააყოლებს, რომ ყველა ჭრაზნიეს ავაცდინეო და ათასი ასეთი რამე. დიდი, ძველებური რომანტიკის სიმღერასავით იყო, მთელი თავისი სამხრებით, ამერიკელი ოფიცერებით, გოგოთი, რომელიც სამხედროს პალსტუხზე წავლებს ხელს და ისე ეცეკვება... და ამ მფრინავის კოკარდი მეტად შვენდა კენის.

ეს იყო, მგონი, პირველი შემოცურება იქაური საშობაო სურათისა ჩვენს ცხოვრებაში, ოლონდ, შობაზე დიდად არ გაფიქრებინებდა, არამედ რო, აი, მამენტ გაასწორა, სადღაც, რაღაც სიტუაციაში.

რახან ყველას ჩვენი ქვეყანა გვაქეს, მე რაც შობას გამივლია ცხოვრებაში, იმისა ყველაზე მეტად მახსოვს ლორის დაკვლის ცქერა თოვლში, ზემო იმერეთში, დიდი დანა და მერქ, მეტად სხვანაორი, ფერთან მიმჯდარი სუფრა – ზემო, იქაურ გლეხებთან; ერთ ტყისმცველთან, ერთ სოფლის მთავარ ღორის დამკვლელთან, შემოსწრებულებთან, ცივ, გარედან შემოტანილ ღვინოსთან და ხსნილის განწყობა, იმ კენიროჯერსამდელ დროებაში, როცა ხსნილისა ბევრი არაფერი ახსოვდა ვინმეს.

თოვლი ჭრაჭუნობდა მაშინ ფეხეკვეშ, როგორც მწერლები დაწერენ ხოლმე ხშირად, რახან თოვლის ჭრაჭუნი ფეხეკვეშ ერთ-ერთი იდუმალი და სასიამოვნო ხმაა ცხოვრებაში და მწერლებიც განუწყვეტლივ იმეორებენ, რახანლა იგი ასეთი სითბოების შემქმნელია.

იმ დღეს კიდევ რაღაცას ვკითხულობდი. ხომ იცით მეცნიერების ამბავი... იკვლევდნენ, ბეთლემში, იმ ბაგაში ცხოველები იყვნენ თუ არა, როცა იქსო დაიბადა. ეგ გამოკვლევა, მგონი, მიტომ

თუ იყო აქტუალური, რომ აქეთ წესია ხოლმე, რომ შობის უამრავი სათამაშო, ნახატი და ასეთი რამ იყიდება და ამ სათამაშებს შორის, არის სწორედ შობის სურათი, სადაც ბაგას გარს არტყიან ცხოველი და ფრინველი. ეს ძველი ამბავია, მგონი, პირველად ფრანჩესკო ასიზელმა აღნიშნა ასე შობა, შემოიჯარა ცხოველები და ფრინველი. ეს იმ მეცნიერმაც იცოდა, მაგრამ მაინც იყვლია, ვითომდა, ამ გამოკვლევით სიყვარული იცვლებოდეს, ვითომდა, გამოკვლევით რაიმე მოაკლდეს ვარსკვლავთა და სამს მოგვთ აღმოსავლეთისა, რომლებიც ამ ვარსკვლავს მოდევნებით მოდიოდნენ და თან მიჰქონდათ მური, გუნდრუკი და ოქრო.

და იცით, როგორ არის? ამ ლონდონს შობისა დიდად არც კინ უნდა, არცა სხვა რამ სინათლეები, იმიტომ, რომ კარგა ხანია, აქ შობის სურათი დატოვა ჩარლზ დიკენსმა.

ეს უცნაურია, სულ მაინტერესებდა, რა არის სული შობისა ამ ქალაქში, ამ დროში, როცა სული დარჩენილა პირად საქმედ და მამენტ, გინდა, არსებობს შემში, გინდაც – არ არსებობს. უმჯობესი უჩანთ ხოლმე ხალხსა, რომ არ არსებობს, რახან, ამ არარსებობით ტკიფილი ნაკლებია.

გასაგებია იმათი, რომ ტკიფილი ისეც

ბევრია, და სულით ხომ მთლად განადგურდები და ეგებ, ვერც გაუძლო.

სულ მანატერესებდა, რას ნიშნავს ესა – გაგიუებული სირბილი საშობაო საჩუქრებზე, რიგები, მღველვრება, ფასადაკლებები, თუ ფასმომატებები, თეთრ-წითელი ქუდები, ტელევიზორში კი პიჩკოკის ჩიტები შობალამებს. რას ნიშნავს, რა არის შობა იმ ქეყუანაში, სადაც მოჩვენებანი და სულები, წესილისა და იდუმალების გამოხატულებანი, დღემდის ნამდვილ ამბად ითვლება, იმასთან ერთად, რომ აქა დაგას სიტი, მსოფლიოს ფულთა მთავარი საკრებულო და აქ არის ღიმილი, ზრდილობა და მინდობა უცნობი ადამიანისა მეორისადმი, ისეთი, როგორიც არსად?

მართლაცდა მხოლოდ ნაბლით გამოტენილი ინდაური და საოჯახო სადილი ხომ ვერ იქნება, იმ თავის გაუგებარი ქრენბერი სოუსითა და მთელი ასეთი

მხოლოდ აქაური ამბით? რალა თოვლში სისხლის კვალით მორბენალი, გულში დანაშერჩენილი ღორი და რალა ეს ბარკლებაშვერილი უშველებელი ინდაური, მოხარშული წაბლით გამოტენილი.

და საშობაო მისალოცი ბარათების წერა? გაიგონებ: აუჟ, რამდენი მაქვს დასაწერი, ჩემს ცოლს ვთხოვ, ეგებ ჩაუჯდეს. თუმცა, იმას თავისი ექნება დასაწერი, უკვე წაყიდი აქვს უშველებელი კოლოფი მისალოცი ბარათებისა.

ისე, დანერაც ალარ უნდა, უკვე დანერილით იყიდება, მაგრამ ხელი მაინც ხომ უნდა მოაწერო – სიყვარულით, ენი და ჯეიმსი... და მსამართიც ხომ უნდა დააწერო კონვერტს? ფოსტა მუშაორობს – როგორც არასდროს უმუშავია.

და ამას, თავისი გულით, არანაირი კავშირი არ ეტყობა შობასთან.

არანაირი.

რამდენიმე ყოფითი რიტუალი, ცოტა

სირბილი, ცოტა ინდაური, ცოტა ხალისი, შობადილას გაჩერებული მეტრო და დაკეტილი მაღაზიები და იმის მეტი ძნელი დასანახია; აგერ, შეიძლება ითქვას, დაცერდი.

განა, რელიგიისას და რწმენისას ვამბობ, ანდა რალაცას მოვითხოვ, რომ ასე და ისე. ეგ გასაგებია. უბრალოდ, რალაც მულამი თუ არის-მეთქი, გარდა ამებისა და ნაძვის ხის ქვეშ დალაგებული, შეფუთული საჩუქრებისა, შობის მეორე დღეს რომ უნდა გახსნას ყველამ. იმას იქით თუ არის-მეთქი.

ძეველ დროში მრავალს წერდნენ საშობაო მოთხრობებს, შობის თარიღს მიახლოებული გაზეთები და უურნალები განსაკუთრებული იყო ხოლმე. ყველან წერდნენ, სხვაგანაც, ჩვენთანაც, ილიაც, სხვებიც.

ზოგიერთი ის მოთხრობა კი მეტად ტკბილად მოგაგონდება, განსაკუთრებით, თუ მართლა შობის დღეებში წაიკითხე. იმას სხვანაირი ამბავი აქვს გარშემო და სხვა გოზინაყობა და ნამქერი.

საგალობლების ჩანაწერები დღესაც უამრავი იყიდება საშობაო დღეებში და ეკლესიებში კი, სკოლის, ან თვითმოქმედი გუნდები გალობენ ხოლმე. ჩვენც ჩვენი გვაქვს, დიკენსმა კი ასე მოთხრობას დაარქვა. როცა ის დაწერა, არ იყო მაინცდამაინც სახელმოხვეჭილი მწერალი, არც ის განთემული წვერი ჰქონდა მოზრდილი მაშინ.

იმ მოთხრობის ამბავი ცნობილია:

ძუნი ეპენეზერ სკრუჯის გულიდან დიდი ხანია წასულა ადამიანობა და სიხარული და ის ეგეთი ძალიშვილი ბებერია, რომ არავის ამბავი არ აინტერესებს.

მარტოხელა და ბოლმიან სკრუჯს, ჯერ თავისი წინა შობას გარდაცვლილი კომპანიონი მარლი, მერე კი სამი სულ ეცხადება წარსულისა, დღევანდელობისა და მომავლისა და მათგან მისთვის გადამლილი სურათები მისი ცხოვრებისა ამ მძიმე კაცს სრულიად შეცვლის. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავისი მომავლი და წარსულში დაშვებული შეცდომები აშინებს, არამედ იმიტომაც, რომ სკრუჯი ხედავს, რომ მასზე მრა-

## გალერეა



სალომე რიგვავა  
"Harpia", 200 X 200 სმ, 2012

**FM**  
ԱՅԵՐԱՅՈ  
**98.0**



ვალგზის ღატაკნი, უბედურნი და შეწუხებულნი ხარობენ შობადლეს, იმედითა და სიხარულით ავსილნი, ის კი გდია იმ თავის პირქუშ ბინაში თავის ფულებთან და როცა მოკვდება, არც ვიჩინე გაიხსენებს.

ეს ხილვანი სრულიად ცვლის ბატონ სკრუჭს და ის სიკეთის ქმნას იწყებს. რაც მთავარია, ეს კარგად გამოსდის და თავადაც ხარობს ამით.

ესაა და ეს.

თუმცა, ამას უნდა მივუმატოთ თავად ლონდონი, საშობაო ბატები, რომელს-საც მაშინ ინდაურის ადგილი ეჭირა და ათასი სხვა რამ, ამ ქალაქის ზემური სახისა და მოგუზგუზე ბუხრისა, რაც ასე კარგად იცოდა დიკენსმა.

მთელი ამ საშობაო ისტორიის უკან კი მაინც არის რალაცა ისეთი, რასაც მოუხელობლად გრძნობდა დიკენსი და გამოხატავდა ამ ძალიან ინგლისური ფორმით.

ეს არის ამბავი იმედის დღისა, სიხარულის არსისა, იმისა, რომ ბეთლემში ამ საღამოს დაიბადა ის, ვინც დაგვეხმარება, რომ ყოველ ახალ დღეს უკეთესნი ვიყოთ და ამ უკეთესობისთვის კი ყოველ ნაში მზად აღმოვჩნდეთ, თუნდაც, რომ სრულიად დავიწყებული გვექნდეს, თუ ვინა ვპრძნდებით და ეგ შენი უკეთესობაც არაფრში გვექიდებოდეს.

იმ ღამეს კიდევ – რახან აქ ოთხ საათზე ბნელდება, ყოველი შემდგომი საათი ლამედ შეიძლება ჩაითვალოს – ამოვუხვეო ნაცნობ ქუჩაზე და მოუყვებოდი. კი, ანათებდა ყოველივე გარშემო, შობა ხომ მოღის, მაგრამ მაინც ღამეა და იცით, რა არის? საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ასე თუ ისე, კარგად ვიცი დოდი ქალაქი და იმის ცხოვრება და იმის ჩაფეხრენილი გულები და სევდები და მარტოობანი და არ მივირს და მოულოდნელიც არაფერია ხოლმე თითქმის.

ლონდონი კიდევ ყოველთვის დიდი ქალაქი იყო, დიკენსის დროსაც და მგონი, მანამდეც... ჰოდა, მოუყვებოდი და უკნიდან შემომესმა ქალის ხმა, ერთი ნუთიო, და გავუჩირდი. იყო ერთი ხნიერი ქალი, შარვალსა და ძველ ქურთუკში და ხმამაღალი.

– ხურდა არ გექნება? დიდი ბოდიში შენაო.

დიდ ქალაქში ეგრეა ხოლმე, რომ სიარულშივე უნდა უპასუხო, არაო და მოუჩქარო ნაბიჯს, იმიტომ, რომ შეიძლება მერე პოლიციელმა ჩაიღიმოს, უფროსს რომ დაკლადს გაუკეთებს, გაუჩერდაო.

– კი, კი-მეტქი, – რაცა მქონდა უკანა ჯიბბში მივეცი და ნამოვედი.

ნამომყვა, მეც მაქეთ მოვდივარო. დიდ ქალაქში ეგ ნიშნავს, რო კიდევ რაღაც უნდა. ამიტომ, შენ ნაბიჯს უნდა აუჩქარო.

– გოდ ბლესს იუ, სერო, – არ უთქვა-მს. დიდ ქალაქში კი ეგ ნიშნავს, რომ მთხოვნელი მათხოვარი არ არი.

– თუ გაგიგია, ადამიანს საშობაოდ სიბნელე ჰქონდეს სახლშიო, – თქვა ქალ-მა, – გარეთ ამდენი სინათლე იყოს და შიგნით კიდევ ბნელში და სიცივეში ვიჯ-დე, სანთლებიც მარტო დეკორატიული მაქვს, შობისთვის ვემზადებოდიო.

მე რა უნდა მეპასუხა. გამიგია, როგორ არა. ამიტომ ისევ ის ლაპარაკობდა.

– ჯობ სენთერში მივედი, სადაც ამ თვის დახმარება მერგებოდა, ამდენი წელინადია უმუშევარი ვარ და ყოველთვის ნორმალურად ვიღებდი, ახლა კი რა ჯანდაბა ეტაკათ, მითხრეს, ნინა თვეში სამოცი ფუნტით მეტი მოგეცით, ხელს გადმივაყოლეთ, და ახლა არაფერი გერგებაო. გამაგებინე, მეგობარო, გადასხადები რით გადავიხადო, სიგარეტი საერთოდ აღარ მოვნიო? აღარ მოვწევ, მაგრამ სინათლე? ელექტროკომპანიაში მივედი, შუქი ჩამირთეთ-მეთქი და ჩვენ საქველმოქმედო ფონდი არა გვაქვსო. ახლა გამოვედო, ეგებ რამე ფული მოვა-გროვო, ხალხს ვთხოვო.

ეგებ, მეტროსთან გახვიდე, ახლა იქ ბევრი ხალხი გამოდის-მეთქი.

– მეტროსთან ნარკომანები და ლოთები თხოულობენ, მე არც ერთი ვარ და არც მეორე, – ამისანა ბრაზის გარეშე. ინგლისელებმა ყველაფრის დალაგებულად, გამართულად მოთხოვბა იციან, –

## გალერეა



სალომე რიგვავა  
"Milk", 100X100სმ, 2012

შვილები დავზიარდე, ხუთი ფუნტი ვერ  
უნდა მოვაგროვო, რომ რძე და პური  
ვიყიდო და ბნელში ვჭამო? – მეოთხა  
ისევ.

— მეტრო იმიტომ ვთქვი, რომ იქ ბე-  
ვრი ხალხია, — ვუთხარი მე.

— ჸო, მართალია. მართლა მეტროს-  
თან წავალ, — თქვა მან, ოღონძ მაინც  
მომყვებოდა — მისმინე, შენ რა გქვია? —  
დიდი ქალაქის ენაზე ეს შეკითხვა კარგი  
მეგობრობის დაწყების საშუალებას იძ-  
ლება.

— ჯორჯი.

— მე — ქეითი. ჩემს ბოლოვრენდს ერ-  
ქვა ჯორჯი. ჯორჯ ი'ფარებილი. ორლან-  
დიელი იყო. კარგი ბიჭი იყო. წინა ცხო-  
ვრებაში, — თქვა მან — მისმინე, ჯორჯ,  
აქ ახლოს ცხოვრობ? — დიდი ქალაქის  
ენაზე ეს კიდევ უფრო ვერმოშორების  
შეკითხვაა.

88 - 8

= ՚ിന്നുന്ത റമ്പി പെട്ടീഴ്. അ. ഒപ്പ് ՚ിന്നുന്ത?

三

ပါမဲ့ ဒေသရှင်

— რატომ?

— საზიონლარი ხალხი დადის. ყოველ  
ქმითხვევაში, ერთი. ეხლა მანდ ვიყავი.  
არეთ ხომ მოსაწევად გამოიდიან. ჩემი  
ნის ხალხია უფრო. ახალგაზრდებიც,  
აგრამ ახალგაზრდა რას გამოიმტეტე-  
ს. იქ ერთი ჭალარა კაცი იდგა, შენზე  
სუქანი. ოცი პენსი ვთხოვე და იცი, რა  
ითხრა? ორ ფუნტს მოგცემ, ღლონდ  
იავი მომეციო. უკაცრავად, ასე პირ-  
აპირ რომ ვამბობ. მაგრამ ღორი იყო,  
მას კი ვუთხარი, რაც სათქმელი იყო,  
აგრამ არ მეყო. არ იარო იმ პაპში,  
ორრი ბაბრაბის პატია.

დღიდი ქალაქის ენაზე, თავი მომეცი  
მას ნიშნავს, რომ ეს ქეითი, იმ ჩემზე  
სუჯინის წინ, პაბის ტუალეტში მუხლე-  
ზე ურთა დაგმავს.

= ଶ୍ରୀନାଥ = ସଂକ୍ଷିପ୍ତ ମା-

— გესმის? რად მინდა მაგის ორი ფუნ-  
ტი, — მან ხურდებს დახედა, — სულ მო-  
უკი ეს ხურდა?

မြေ မိမ်ရောင်း အဆိုပိုပို ၁၀၀၂၂၁၉၆၈၇၀

- ჩაილაპარაკა მან და მომიბრუნდა, -  
დარწმუნებული ხარ?

დიდი ქალაქის ენაზე ეს ნიშნავს პირ-  
კულ მადლობას.

— სხვა დროს შენ დაგჭირდება და მე  
მოგცემ. უმუშევარი ხარ?

— კი, — ვუთხარი მე.

— პოდა, ძოგცებ. ახ სხვას ძიეცებ. წესი ეგრეა. ის ბებერი ლორი. კბილის ექიმთანაც კი ვერ მივედი.

ისევ მოვდიოდით.

– მეტროსკენ წავალ, კარგი?

- 6m.

- १०८ -


—मात्र — कर्मा —

- දුනු දුනු! - ජුලු නියමුවුනු යු, -  
මේරි ජ්‍රිස්මාස.

დისტანციით არ ყოფილია, სუკების მუზიკა, ლონდონის აგუზგუზებული თბილი ბუხრები. ახალი სკრუფულები და ძველი სულები.

როგორც თქვა იმ კეთილმა კაცმა,  
მადროვეთ მეგობრები, ჩემს დებთან,  
წერი აქან ართა ვითა

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



# თიბისი ბანკი 20 წლისაა!

ავტორი სალომე აფხაზიშვილი  
ფოტო მარი ნაკაცი-გაგასახლისი





ლიტერატურული კონკურსი „საბა“, ცნობილი ქართველი მხატვრების პერსონალური გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კლასიკური მუსიკის კონცერტები, კონკრენტები, წიგნის პრეზენტაციები და მასტერკლასები – ეს იმ ღონისძიებების არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც „თბისი ბანქმა“ ბოლო 20 წლის განმავლობაში საზოგადოებას თავი დაამახსოვრა. თუმცა წლევანდელი წელი მაინც გამორჩეულია. სარებლილეო წელი „თბისიმ“ ხალხთან განსაკუთრებული სიახლოეთ, მასტერკლასები და მრავალფეროვნი ღონისძიებებით აღნიშნა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ბანკის მხარდაჭერით შეიქმნა და ამოქმედდა პირველი ინტერეტ-ტელევიზია კულტურის შესახებ – არტარეა ([www.tbcartarea.ge](http://www.tbcartarea.ge)), „საბა“ 10-წლიანი არსებობის ისტორია ელექტრონული წიგნების სახლის ([www.saba.com.ge](http://www.saba.com.ge)) შექმნით დაგვირგვინდა, სადაც ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანი კონკურსის რჩეულ წიგნებს, საკუთარი პერსონალური კომპიუტერიდან, iPad-დან ან Kindle-დან კითხულობს. წლის დასაწყისში სპეციალურად „თბისის“ პროექტისთვის, ქართველმა მწერლებმა და ფოტოგრაფებმა წელიწადის თორმეტ თვეზე ნოველები და ფოტოები შექმნეს, ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს კი არაჩვეულებრივი საშუალება მიეცათ, მთელი წლის განმავლობაში გამოცდილ ქართველ და უცხოელ კინომოღვაწეებთან ერთად მოკლემეტრაჟიან ფილმებზე ემუშავათ. ხელოვნებისა და ლიტერატურის განსაკუთრებული წახალისების გზით, „თბისი ბანქმა“ რამდენიმე თვეში ნიჭიერი ახალგაზრდების ფართო წრე შეკრიბა, სადაც ახალ და საინტერესო იდეებს პროფესიონალთა გუნდი ამუშავებს.

„თბისი ბანკის“ დამფუძნებელი, მამუკა ხაზარაძე განვილილ 20 წელს ასე აფასებს:

„ყველაზე დიდ მიღწევად იმ გუნდის შექმნას მივწინებ, რომელიც 20 წელია, „თბისის“ ერთგული წევრია. გუნდის შექმნა 7 კაცით დაფინანსდა და „თბისის“ თანამშრომელთა რაოდენობა დღეს 3000-ს აღწევს, მთლიანად

ჯგუფში კი 5000 კაცია. ეს ყველაზე დიდი წარმატებაა და მეამაყება, რომ ამ გუნდის წევრი ვარ. მეამაყება ისიც, რომ ეს გუნდი არავის დაუტოვებია, პირიქით, ის უფრო გაფართოვდა. ის ფაქტიც, რომ ჩვენს დაბადების დღეს კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობით აღვნიშნავთ, იმაზე მიუთითებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რა ბიზნესში ხარ, რა სიდიდისაა ეს ბიზნესი, მნიშვნელოვანია ის, თუ რა ღირებულებები გაქვს და რას უჭერ მხარს. ჩვენ პირველი დღიდანვე მხარს ვუჭერთ რეჟისორებს, მხატვრებს სხვა ხელოვანებს და ჩვენ ამ საქმეს ისევ გავაგრძელებთ, იმიტომ, რომ ეს საქმე გვიყვარს, ვაფასებთ და ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია“.

კულტურის სფეროში განეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა „თბისი ბანქის“ მასტერკლას საიუბილეო ღონისძიებების სერია, რომელიც 17 დეკემბერს ბანქმა თბილისელებთან ერთად აღნიშნა. ღონისძიებები კინოთეატრებიდან დაიწყო და გალაკტიონის ხიდთან პატარა მოედანზე ახალი მონუმენტის – „თბისის სათების“ გახსნით დასრულდა. იუბილე კინოპრემიერით გაიხსნა, რომელიც საქართველოს ყველა დიდ კინოთეატრში ერთდროულად დაიწყო. მაყურებელმა „თბისი ბანკის“ კინოპროექტის „20/12“-ის ფარგლებში 12 შემოქმედებითი ჯგუფის მიერ შექმნილი თორმეტი მოკლემეტრაჟიანი ფილმი იხილა.

„ქართული კინოს დაბადების დღე“ უწოდა კინორეჟისორმა ნანა ჯორჯაძემ „თბისის“ მხარდაჭერით გამართულ კინოპრემიერას, რომელსაც პროექტი მონანილე დამწყები კინემატოგრაფისტების გარდა, კინოს სხვა წარმომადგენლებიც დაესწრნენ და პროექტის მნიშვნელობაზე ისაზღრეს.

„დღევანდელი დღის არსებობა უკვე არის შეჯამება და შედეგი იმისა, რაც ამ პროექტში გაკეთდა. პროექტი იმიტომ არ განხორციელდულა, რომ შემდეგ ამით გვეტრაბახა. სატრაპახო ალბათ არის ის გზა, რაც პროექტის მონანილებმა აქამდე გაიარეს. ჩანაფიქრი 200%-ით შესრულდა. გზად ბევრი პრობლემა იყო, ამიტომ მასთან

შექიდებით მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს. ამ დღეს გარევეული როლი ექნება მათ წარმატებაში”, – აღნიშნა კინოპროექტის პროდიუსერმა, პაატა გომიაშვილმა ფილმის დასრულების შემდეგ.

კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე პროექტის კიდევ ერთ დამსახურებად იმას მიიჩნევს, რომ თორმეტი დამოუკიდებელი რეჟისორის მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმებმა ქართველი ახალგაზრდების რეჟისორული ხედვის ინდივიდუალური თავისებურებები და საერთო სურათი წარმოაჩინა: „ქართველი მოკლემეტრაჟიანი ფილმები ყოველთვის იუმორით გამოიჩინება, მაგრამ დღეს სულ სხვა სურათი ვნახეთ. ნათლად გამოჩნდა, როგორი დეპრესიულები არიან ქართველი ახალგაზრდები. ეტყობა, ასეთი ქვეყა-

რომ ნულიდან დაწყებულის დონეზე, საემაოდ მაღალხარისხიანი პროდუქცია მივიღეთ“.


აღსანიშნავია, რომ პროექტში მონაწილეობა იმ რეჟისორებმაც მიიღეს, რომლებიც მანამდე საზღვარგარეთ სწავლობდნენ და მუშაობდნენ. ანა ციმინგია ერთ-ერთი მათგანია. „ამ პროექტში მონაწილეობით, ქართულ გადამღებ ჯგუფთან პირველად ვიმუშავე, თან ვაკირდებოდი როგორც მუშაობდნენ, თან ვსწავლობდი. საერთო ჯამში, კარგი გამოცდილება მივიღე, რომელიც მჭირდებოდა“, – ამბობს ის.

სადღესასწაულო განწყობამ კინოთეატრის დარბაზებიდან ქუჩაში გადაინაცვლა, სადაც საზეიმო კონცერტი თბილისელებისთვის ღია ცის ქვეშ, „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისის წინ გაიმართა. სადღესასწაულო და

ბისა და დროის კავშირს გამოხატავს, რაც ამავე დროს, როგორც „თიბისი ბანკში“ ამბობენ, ზუსტად ასახავს „თიბისი ბანკის“ დამოკიდებულებას დროისადმი და საქმისადმი.

20 წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებს შორის „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ლიტერატურულ კონკურს „საბას“ გამოარჩევს და ამბობს, რომ ეს პროექტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მან გაუძლო დროს და დღემდე შეინარჩუნა პოპულარობა. გრძელვადიან და დროში განვითარებად პროექტებს შორის ასახელებს, ასევე კინოპროექტს – „20/12“ და არტარეას შექმნას:

„მიუხედავად იმისა, რომ პირველი წელია, მიმაჩნია, რომ საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდული ფილმების



ნა შევთავაზეთ ჩვენ ახალ თაობას და როგორ მიიღეს მათ ეს, ძალიან კარგად გამოიხატა ამ ფილმებით, ამიტომ ვფიქრობ, რომ პროექტი ამ მხრივაც საინტერესო იყო“.

კინოპროექტის მონაწილე რეჟისორის, გია დიასამიძის თქმით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოში კინოს სფეროში განხორციელდა, რასაც „თიბისის“ დამსახურებად მიიჩნევს: „მნიშვნელოვანია, რომ ამ ბანკმა არჩევანი კინოს განვითარებაზე შეაჩერა. მან ეს სფერო სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებზე მეტად დააფასა, ამიტომ ახლა მას კინოცენტრმა და სხვა ორგანიზაციებმაც უნდა მიბაძონ. საქართველოში რამდენიმე წელი მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმები უნდა ვაკეთოთ, რომ ნათლად გამოჩნდეს, რა შეგვიძლია. დღეს დავინახეთ,

ნინასაახალწლო კონცერტზე მისულ მსმენელებს „თიბისის“ გლინტვეინითა და მუსიკით გაუმასპინძლდა. „თიბისის“ ფერებში გადაწყვეტილ სცენაზე კი, დედაქალაქელებისთვის ლიზა ბაგრატიონმა, ნატო მეტონიძემ, ეკა მამალაძემ, სოფო ხალვაშმა, ანსამბლმა „შეიდეკაცამ“ და სხვა ქართველმა მომღერლებმა იმღერეს.

კონცერტის დასრულების შემდეგ, საზეიმო ზარბაზნების გუგუნით „თიბისი ბანკის“ წინ შეკრებილი მოქალაქეები, „თიბისის“ დამფუძნებლები და კონცერტის მონაწილეები გალაკტიონის ხიდის გავლით, ახალი მოედნისკენ დაიძრნენ, საიუბელეო დღესასწაული ახალი მონუმენტის – „თიბისის საათების“ გახსნითა და ულამაზესი ფორიერვერებით დასრულდა. ქანდაკება, „თიბისი ბანკის“ თხოვნით, ხელოფერმა თამარ კვესიტაძემ შექმნა. ის ცხრა ფიგურისაგან შედგება და ადამიანე-

მხარდაჭერას და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში სხვებიც შემოგვირთდებიან. ჩვენ გვიყვარს ასეთი პროექტები, იმიტომ, რომ ეს ემსახურება პროცესის მხარდაჭერას და არა ერთჯერად აქციებს. ჩვენი ინტერესია, რომ მხარმა დავუდგეთ გრძელვადიან განვითარებას და ნიჭიერმა ადამიანებმა იგრძნონ, რომ ისინი არ არიან მარტონი, მათზე ფიქრობენ და მათ ემარებიან ფინანსურადაც“.

კითხვაზე, როგორ დაიწყებს „თიბისი ბანკი“ ახალ წელს, მამუკა ხაზარაძე ასე გვაბასხებოს: „20 წლის შემდეგ ისევ იქნება ბევრი პროექტი, მეტი ადამიანი „თიბისიში“, ახალი იდეები და უკეთესი საქართველო, რადგან ვფიქრობთ, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, საბოლოო ჯამში, მაინც ქვეყნის განვითარებას ემსახურება. გვინდა, რომ ამ ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობა ჩვენც მივიღოთ“.





# Leporello

ლეპორელი ჩომანირან

ავტორი ლაშა გულაძე  
ილუსტრაცია ეკა აჯალიაშვილი

## როგორ დავიწყოთ?

ეს დღე ყოვლად უწყინარი სატელეფონო გზავნილით დაიწყო:

### ჩაი ხომ არ დაგველია სადმე?

ჩაის მოყვარული არასდროს ყოფილა, პირიქით, რაც წონაში მოიმატა, მხურვალე სითხეებს ჭარბი ოფლიანობის გამო ერიდებოდა – ჩაი მხოლოდ საბაბი იყო. საიდან-დაც ხომ უნდა დაეწყო.

სანამ ამ შეკითხვას მიწერდა, მანამდე ორჯერ შეხვდა გაურკვეველი შინაარსის საზოგადოებრივ თავყრილობაზე და ერთ-ერთ სოციალურ ქსელშიც მოუწონა თამამი რეპლიკა (ანა საკმაოდ ღირსეულად, არგუმენტირებულად და, რაც მთავარია, გამართული ქართულით ეპაექრა საქმაოდ აგრძესიულ ჩინოსანს).

**სიამოვნებით** – მოუვიდა ანასგან... ცხადია, კეთილ-განწყობილი სმაილით.

ვიდრე შეხვედრის ადგილზე და დროზე შეუთანხმდებოდა, სანდრო კარგად უნდა დაფიქრებულიყო; ასვერ გაეზომა და ერთხელ გაეჭრა, რადგან ზუსტად უნდა სცოდნოდა, რამდენად საშიში იქნებოდა მისთვის ქეთი: ჯერ ცოლის ადგილსამყოფელი უნდა დაედგინა და ამის მერედა მიენერა ანასთვის. უსაფრთხო თავისუფლებით ტკბობას (მაქსიმუმ, საათნახევრით) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუეკი ცოლისგან დაცულ ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა. სანდრომ მთელ თბილისს დაუარა გონების თვალით (ამ დროს მისი ცერა თითი ნერვიულად და მომლოდნენდ დაჰკანკალებდა ანასთვის მისაწერ ასოებს); სხარტად და ძრნოლით გაიხსენა ქეთის შემოფეთებისგან დაცული კაფე-რესტორნები და შესაძლო თავზე დადგომისგან დაზღვეულ მრავალ ადგილს შორის, ორჯერ ნაცადი და კარგად დაბედებული, ეკლექტური გასტრონომიული ხედვის მქონე რესტორანი ამორჩია.

ვერ ვიტყვი, გადასარევი დრო ატარა-მეთქი – მთელი საღამო მუცელშეზნექილი და, შესაბამისად, კარგა მაგრა შენითლებული იჯდა და დიდი მონდომებით თამაშობდა ძალიან გამხდარს, თუმცა ტყუილად ნერვიულობდა – ანას უკვე მუცლიანად მოწონდა.

მართალია, ანა ისეთი გოგო არ იყო, რომელიც ჩაც-მულობით შეაფასებდა მამაკაცს, მაგრამ ცალი თვალით

მაინც აღუნიშნა ზოგიერთი დეტალი. მას, ჩვეულებრივ, უფრო თავისუფლად ჩამცმელ კაცებთან ჰქონდა ურთიერთობა, სანდროს სახით კი მდიდრულად და გემოვნებით აღკაზმული, სარეკლამო ბანერივით მოლაპლაპე ადამიანი გაიცნო. რამდენჯერაც ნახა, ამ კაცს ყოველთვის ასე ეცვა (კინალამ ჰყითხა – მარტო ასეთი ტანსაცმელი გაქვსო), მაგრამ დაცულ ობიექტზე გამოცადებულ სანდროს იმ-დენად უხდებოდა ცისფერი პიჯაკ-შარვალ-ჟილეტი (ზედ წითელი ჰალსტუხით), რომ ანას ერთბაშად მიავინდა თავისი ცხოვრების ყველა ყოფილი თავისუფლად ჩაცმულ-გახდილი. სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა ამ გოგოს: კაცი – გამოწყობილი „ნარმატების უნიფორმაში“ (სანდროს თითქოს თავზე დასციმციმებდა უხილავი სარეკლამო სლო-განი: კეთილდღეობა, სტაბილურობა, ოპტიმიზმი).

ანა არც იმ კატეგორიის ქალებს მიეკუთვნებოდა, შეფასების მიზნით თუ ინსტინქტურად, ახალგაცნობილი მამაკაცის უკანალისკენ რომ ეპარებათ თვალი, მაგრამ ამჯერად – წმინდა ცნობისმოყვარეობის გამო – მზერა წამიერად შეუყოვნდა სანდროს ქვედატანზე და ყველა გვარი წინასწარი განზრახვის გარეშე გამოუტანა განაჩენი: „ცოტა მიპრტყელებული ტრაკი აქვს, მაგრამ, საერთო ჯამში, კარგი ბიჭია“.

თავად ანას პარამეტრები სანდროს ჯერ კიდევ გაცნობის დღეს შეესნავლა ზერელედ. ახლა კი, შეძლების-დაგვარად, შეუმჩნევლად და ტაქტის ფარგლებში აკვირდებოდა ყველა იმ დეტალს, რომელთა აღქმა-გაცნობის საშუალებაც საჯარო სივრცეში არ მიეცა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას, აგრ უავე მერამდენე დღეა, არ ასვენებდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა: ანას დიდი ლიფი ეცვა, თუ ეს მისი ბუნებრივი ზომა იყო?

სანდრო შიშებად და ჯანსაღ ინტერესად იხლიჩებოდა. რისი ეშინოდა?

- A) ქეთის მოულოდნენლი გამოჩენის.
- B) ქეთის ნათესავ-გულშემატკივრების შემოფეთების.
- C) ლეილას მოახლოების.
- D) ქეთის დარეკვის.

გულწრფელად რომ ვთქვათ, ბოლო, D-პუნქტი ყველაზე ნაკლებად აღელვებდა, რადგან ბევრჯერ ნაცადი და სრულიად ლეგიტიმური პასუხი ჰქონდა მომზადებული: შეხვედრაზე ვარ, გადმოგირეკავ. არანორმალური უნდა

## მომსრობა

ყოფილიყავი, რომ ამ წმინდათა წმინდა სიტყვების თქმის შემდეგაც ჩაძიებოდი საქმეებითა და შეხვედრებით გადატვირთულ ქმარს: „სად ხარ? ვის ხვდები? რატომ?“ ცხადია, ბევრად უფრო მშვიდად იქნებოდა, ტელეფონი რომ გამოერთო, მაგრამ თუკი რაიმეს გაეკეთება არ შეიძლებოდა (თან კატეგორიულად), სწორედ ეს იყო: გათიშული ტელეფონი აუცილებლად აღძრავდა სახიფათო ეჭვებს, მსოფლიოში ყველაზე მშვიდ ცოლსაც აუშლიდა ფიქრებს და შინ მისვლაც მეტისმეტად გაჭირდებოდა. ასე რომ, სჯობდა, არც ეფიქრა ტელეფონის გამორთვაზე – ერთა-დერთი, სანდობის ინტონაციაზე უნდა ეზრუნა.

ამჯერად სრულ სიმშვიდედ ერგო სრული საათი და ოცდათხუთმეტი წუთი (სწორედ ეს დრო დაჰყვეს რესტორანში); თუკი ოსტატურად მიმალულ ომარს არ ჩავთვლით (სანდროს რატომდაც არ უნდოდა, რომ ანას თავის მძლოლიანად ჩვენებოდა), არც გარეთ შეფეხებია ვინმე არასანდო; ანა სწრაფად და მოხდენილად შესვა ტაქსიში და რაკი ჩქარობდა, ტაქსისტს იმაზე მეტი შეუყარა, ვიდრე ეკუთვნოდა.

## გალერეა



სალომე რიგვავა  
"The apple's syndrome", 200X120სმ, 2012

ანა მშვიდობიანად წავიდა.

ახლა თამამად შეიძლებოდა მუცლის გამობერვა.

...

სანდრო წელიადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც ცვლიდა ინტერნეტ-მისამართების პასვორდებს. ეს კი მას შემდეგ დაიწესა კანონად, რაც ძველთა ძველმა საყვარელმა გაუტეხა (ან შეიძლება არც გაუტეხა) ინტერნეტ-ბოქლომი.

სამსახურში მობრუნებულმა თავის ერთ-ერთ საიმედოდ დაგმანულ ფაილში შეიხედა და მას შემდეგ, რაც თანამშრომელ ლ.-ს მსუბუქად ვნებიანი შეკითხვა გაუგზავნა („მეჩვენება თუ თმას უქენი რამე?“), შესაცნობთა ოთხეალიან სიას, ახალი ობიექტი – ანა დაუმატა.

სია დასახელებების მიხედვით იყოფოდა: **შეცნობილნი და შეუცნობელნი.**

შეცნობილთა სახელების გასწვრვივ (გვარიდან მხოლოდ პირველ ასოს უთითებდა) შთაბეჭდილებები იყო მიწერილი, შეუცნობლებს კი მოკლე სტრატეგიული მონახაზი მიჰყებოდა დანართის სახით.

მაგალითად – **შეუცნობელნი:**

1. სოფიო კ. (გავუგზავნე ოცამდე მესიჯი, მარტის ბოლოს ვეზდები თელავში. თუკი ყველაფერი კარგად წავა, სასტუმროშივე მომცემს. ოთხშაბათობით და პარასკევობით მარხულობს. თელავი – ნებისმიერ სხვა დღეებში)

2. ლელა ო. (ერთხელ ვეზასავე. შეინც., სავარაუდოდ, მარტის 25-26-27-ში. ქმარი პრობლემაა, აკითხავს, ურეკავს)

3. ანა მ. (პირველი შეხვედრა. დღეიდან – დაბომბვა მესიჯებით. ნესით, მესამე შეხვედრაზე უნდა გადაწყ. ველური არაა, ვიცნობ“)

4. თიკა ჩ. (მეორე თვეა, მესიჯებს ვგზავნით. ჰანოვერშია. ჩასვლა გამორიცხულია. კომპ-ში მაიკა აგანდევინე. უყვარს კინო. ბევრს ლაპარაკობს. მაისამდე თუ არ გაირკვა, ვიცნობებ).

ქალები წლების, სეზონებისა და ქვეყნების მიხედვით დაეყო.

მაგალითად:

სეზონი 2010\2011:

1. იორდა ნ. (9 თებერვალი, ბაკურიანი; ისე რა... თან გაბუტვაზეა ორიენტირებული)

2. მარიანა კ. (22 მარტი, ამსტერდამი; რთულად აღწევს ორგაზმს. არადამავერებლად სიმულირებს, ნაწყენი რჩები)

3. ანუკა ლ. (14 ივლისი, თბილისი; არ დამაძინა. სვამს. ქაქანებს)

4. ვიკა ე. (2 სექტემბერი, თბილისი; გულიანი გოგოა. სამი ცალი ტატუ დავუთვალე)

ზოგიერთი სახელის გასწვრივ ვარსკვლავი ან ასოები „ძე“ მიენერა, რაც განახლებულ კავშირს ნიშნავდა („ძე“ – ძველი საყვარელი).

აი, ასე: მაცაცო ბ. (ძვ. 9 მაისი, თბილისი; „სიყვარულიდან მეგობრობამდე“)

ან:

ლანა ფ. (29 ოქტომბერი, ბათუმი; დაორსულების შიში) ასო-ნიშანთა თუ სიმბოლოთა სისტემა ქალების სოციალურ სტატუსსა და ფიზიოლოგიურ მდგომარეობასაც გამოხატავდა.

მაგალითად: „ქ“ ნიშანავდა ქალიშვილს (ანასტასია ლ. „ქ“), B-2 – ქმრიანობას (ინგა გ. B 2), C-1 – ქმარგაყრილს (ია ვ. C-1), ქ-T – ქალიშვილს, რომლის დაყოლიერაც მხოლოდ ორალურ და ანალურ სექსზე იყო შესაძლებელი, B-3 – ერთად შეცნობილი ორი სული („რემა სტ. და ხა-თუნა ბ. B-3“).

ქართული სიისგან განცალკევებით ადგენდა უცხოელ-თა სიას (უცხოენოვანები):

1. ლარა მ. (1995. კიშინოვი; აგრესია. იუმორი)
2. ალოიზია ხ. (1996. ცინცინატი; ჩემი გვარის გამოთქმის შეუძლებლობა; იდეალური ტაკო)
3. ჯენიფერ ბ. (B 2. 1996. თბილისი; ქალთა გუნდი, „შემოსულა შემოდგომა...“)
4. რემა სტ. („ქ“. 1998. ერევანი; კაცივით გვერდში მდგომი; „აგურები“ მუცელზე).

ცალკე გვერდი ეთმობოდა მისთვის ჩევეული პედანტიზმით შევსებულ ჩავარდნილ სეზონებს. ამ გვერდზე გულმოდგინედ შეჰქონდა იმ ქალების სახელები, რომელთა დაუფლებაც მიზეზთა გამო ვერ მოახერხა. ამ სიაშივე

აღმოაჩენდი მის მიერ სკოლაში სწავლის დროს მოწონებულ და ვერ (თუ არ) მიღწეულ სახელ-გვარებსაც. ეს გვერდები ასე იყოფოდა:

**მეხსიერებაში ჩარჩენილები**  
**გათხოვებაზე ორიგინტირებულები**  
**ფატალურად ჯიუტები**  
**ამ ეტაპზე გაჯიუტებულები**  
**დაფეთებულები**  
**აფერისტები**  
**ადვილად დასაყოლიებელნი (სამომხმარებლო კასტა)**  
**„მესამე ეშელონი“**  
**ჩავარდნილი სეზონები**

ამ სიის შედგენას თავიდან გართობის მიზნით შეუდგა (ლადომ უთხრა, მეგობარმა, სამოცი წლისთვის 500 ქალზე უნდა ავიდეთ და მაშინდა დაფიქრდა, საინტერესოა, მე რამდენს მოვასწრებო); იხსენებდა, იწერდა და ახლო მეგობრებს (კაცებს) აკითხებდა, მერე კი, დროს გამონახავდა თუ არა, ამ სიას უბრუნდებოდა და სრული სერიოზულობით მუშაობდა მის კორექცია-რედაქტირებაზე.

თუმცა ანასთვის, პრინციპში, ჯერაც ვერ გამოეძებნა შესაფერისი კატეგორია...





## აესტრუანი პასტრაზი

მეგრუანი საჭარეულო





**New!**  
**Fantastic Duhan**  
8 Chanturia st.  
Tel: 592 681166



**Kala group**

PASTORAL RESTAURANT  
MENGRELIAN CUISINE 6 Erekle II str. tel: 592 31 19 19, 2 99 90 19

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Acid Bar /1/: 3a Al. Kazbegi Ave. tel: 599 101 238. Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000.  
Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 13. Acid Bar /4/: Gidiani 2 Mkr. building N2/A.T. 592 411980.  
Cafe KGB: 8/10 Erekle II str. tel: +995 32 2 985 013, 599 67 44 88.



## ჩეხა ყროვია

პოეტი

ბექა დაიბაძა 1994 წლის 28 დეკემბერს ქალაქ ზუგდიში. იქვე დაამთავრა მეათე საჯარო სკოლა. ამჟამად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, არაბისტიკის განხრით. აღმოსავლეთის კულტურისა და რელიგიურ-კონფესიური საკითხების გარდა, დაინტერესებულია თანამედროვე პოეზით.

როგორც ავტორი, ბექა, ინტერნეტში, ლიტერატურულ საიტებზე გამოჩნდა. ფიქრობს, რომ ყველაზე რთულია საკუთარი პოეტური ხმის პოვნა, რომელიც საბოლოო ჯამში ინდივიდუალური წერის სტილს, ტექნიკას აყალიბებს. ამჟამად შემოქმედებითი ზრდის სწორედ ამ ეტაპზეა. ხშირად იცვლის წერის მანერას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს არათუ ცუდია დამწები ავტორისთვის, პირიქით – პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე.

„პირადად ჩემთვის, პოეზია ერთგვარი ესთეტიკური ბიოლოგიაა, რომელიც ადამიანის ცნობიერი და ქვეცნობიერი იმპულსებით საზრდოობს, თუმცა, ჩვენს რეალობაში, სა-დაც ციფრული ტექნოლოგიები დიგიტალური სისწრაფით ვთარდება, ცოტა არ იყოს, რთულია, შენი თანამედროვე დაარწმუნო პოეზიის, როგორც ესთეტიკური მრწამსის აუ-ცილებლობაში“, – ამბობს ბექა.

ბექასთვის ეს პირველი პუბლიკაციაა. პოეტური ციკლი „ფერები“ ეყრდნობა სხვადასხვა ცივილიზაციისა და კულტურის ფუნდამენტებს. ციკლთან დაკავშირებით ავტორი განმარტავს, რომ ბავშვობიდანვე ასოციაციურად ავლებდა პარალელს ქვეყნებსა და ფერებს შორის და ეს ციკლიც მეხსიერებიდან მოხმობილი, სწორედ ამ ბავშვობისადროინდელი წარმოდგენების, ემოციების ერთგვარი ჯამია. ციკლი, შეიძლება ითქვას, ავტორის სულიერი ცხოვრებიდან/მოგზაურობიდან ამოკრებილი ყველაზე მნიშვნელოვანი, საგულისხმო კადრებია. სათქმელს მინიშნებები ამოიკითხავთ, ან უკეთ რომ ითქვას – „მისხდებით“; მინიშნების ნაწილია თავად ექსპრესიული ფონი, რომელიც სპეციფიკურ განწყობას ქმნის.

## ზერეპი. მპვდარი

მე იქ ვიყავი და კარგად მახსოვს –  
თუ, როგორ ჩამოაფარეს კაცებმა ფარდები  
და სარკმლებს იქით დატოვეს თოჯინები  
ქუფური წარწერით: ისმაილ,  
პალე...

რომ გაგეხდა კედლის ღრიჭოდან,  
ნახავდა ბავშვებს და კიდევ ქალებს.  
მთი ტერზები – სუსტი ტოტები,  
გადაფხრენილი ცისფერ ნავებზე.

ხემსანის მტვერი ქალის ჰიჯაბზე –  
შემონაყარი თავშლის მღილა,

ჩადგმული მუხლი კი წითელ ქვიშაში –  
გამორიყული თევზი ნაპირზე...

იდგნენ სახლები – მარჯნის რიფები,  
შეძეველი მერდი – წყლიანი უბე,  
ჩახსნილი ძარღვი ხმელი ხების –  
ერთ დროს უდაბნოს ღვთიური შუბლი.

მე იქ ვიყავი და თვალწინ მიღდას,  
პატარა ბავშვი სწეულ დედამისს  
როგორ ეხება თმაზე ხელებით...

## ზერეპი. ყავისზერი

გახსოვს –

პირის აკორდეონს აწკარუნებდნენ  
და მთელი სივრცე იყო მარაგი  
მთელი დარჩენილი ცხოვრებისათვის –

გამობრუნდებოდნენ ხები ჩვენკენ –  
ამოტანდნენ მერქიდან სვავებს  
და შეიხორცებდნენ ბავშვის გახუნებულ  
ბარძაყებსა და წვივებს –  
ამოშვერილებს დუმფარებიანი  
მწვანე ტბიდან...

ჩვენ ვხედავდით ქალის საშობებს –  
ბავშვების აკვნებს,  
რომლებიც მიიკუმა –

ვხედავდით,  
როგორ იწეოდნენ ლამები  
უძრავი მუხლის მრუდე ზედაპირზე,  
სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის –

ვხედავდით –  
ჩასაფრებულ არწივებს  
და მათი ფერი  
იყო იმდის.

ვიღაც იფიქრებს, რომ იქ არ ცივა;  
ჩვენ რო ვიყავით, ისე ციოდა...

როცა დედები შვილებს ბნენდნენ  
თოთო თითებზე,  
და გაპკიოდნენ: „გამოილვიძე“,

როცა იყო და არა იყო რა –  
გარდა აფცევნილი კანისა,  
რომელიც მზის შუქზე ირკვლავდა

სიცარიელეს,  
ანუ დღეებს, რომლებიც წავიდნენ  
და არ დატოვეს არცერთი ნათელი  
მოგონება...

და იყო ხმაური საკრავების,  
ტყავის მემბრანით ამოკრული  
ჩვენი ნეკვები,  
იქერცლებოდა და გულში გვრჩებოდა  
მდუმარე სევდა – ჩამქრალი მზის...

ახლა კი ვსხედვართ სახლის სარკმელთან  
და ვიხსენებთ წარსულს –

ყავის სურნელი დგას ოთახში  
მნარე ყავის...

ჰერები. ნითელი  
მამაჩემს ვაჩატუ ერქა

თეთრი ვიგვამი – ჩვენი საცხოვრისი

აეჭდებოდა ხის ტოტებისგან,  
რძიანი ლერწმისგან აეჭდებოდა

ლამიდან გამოსული თეთრი ცხენები  
ყავისფერი ლაქებით ზურგზე

ყველა უნაგირი, რომლებიც გაციოთეს  
და მგლის ტყავებით შეიმოსნენ

გამოიტეხდნენ ჩლიქიდან ნალებს  
და ამოყიდნენ უთვალავ ვარსკვლავს

იმ ჭარხლის ტპებთან კი ყვაოდა ბალი  
და დედაჩემი ჭირხლინ ასკილს  
გამოიტანდა უძირო ტყიდან –

პირამიდებთან ისხდნენ მამები  
და აპილუბდნენ მნარე თამაქის,  
რომელსაც მანდვე ქალები ყიდიდნენ

ჩვენ კი ბაგშეები – უხმო მდინარესთან  
გოგრის საჩაუჭებლით ვკლავდით  
სიჩუმეს –

ნიუარებს ვტეხდით და იღუმალ გონგზე  
ჩვენი ტერფები იწყებდნენ ყმუილს

ვერიდებოდით დაჭრას მოლალურების –

პეპლებს –  
ზაფხულის მეურდიდნ გამოწივილებს  
ვუფრთხილებოდით,

რადგან ვიცოდით, ჩვენს დედებს  
სიკვდილის მერე –  
გაფრენა მსგავსად მოსწყურდებოდათ...

გამოვრმოდით სისხლიანი ტაძრებიდან და  
მივინევდით ოფსიდიანის მთვარებისკენ,  
ჭაობების და დამთვალი მაგუეის გავლით

გავრმოდით –  
და ვივსებდით ქარით ნესტოებს

თმაში ვიწნავდით ყვავის ბუმბულს და  
მზეში ჩაძირულ ამეთვისტოებს

კელოდით, როდის დადგებოდა ნანატრი  
ნამი,

როდის წავილებდით პრძოლაში ქიბლარს –

ჩვენივე სულის მცირე საჭრეთელს –

მამაჩემს ვაჩატუ ერქა

და მახსენდება –  
ლამიდან გამოსული თეთრი ცხენები  
ყავისფერი ლაქებით ზურგზე...

ჰერები. თეთრი

აპვუნ დე ბაშმაია,

გალობდნენ ქრისტიანულ ტაძრებში.

რაბინებსაც უშრებოდათ თვალები –  
როცა სასანოლებს მზე ადგა.

„გამალე ხელი, რაბი,  
ხელი გამალე და ილოცე არსებობისთვის“

იძახდა ხალხი.

და თუ მზის სხივებმა შემოღვედეს –  
თორა,

მაშინ ზოდიაქალურ პანოებზე  
აენთებიან მზის ეტლები –  
და წავლენ შორს.

სინაგოგებთან მოთამაშე ბავშვები  
ჩაიკრავენ გულში ერთმანეთს,  
თუ ქარი ამოვარდა.

თუ ქარი ამოვარდა –  
ვინ იცის მერამდენედ შეირცვა მენორა  
შემოწყობილი მირტის ლორთული ტოტებით –

თუ ქარი ამოვარდა –  
დაიხრებიან მოხუცი კაცები,  
ჩაეკვრებიან მინას ფრჩხილებით  
უკანასკელად.  
და წავლენ ქანანში –  
ფრჩხილებზე შერჩენილი მტკაველი  
მიწით...

სინაგოგებში ასვეტილან –  
მოზაკები,

ლომისთავიან სიმბოლოებს

და თეთრ ლულავებს დაეტყოთ წლები –  
ნითელ გრაგნილზე იქარგება –  
ჩუმი ნიავი.

სიჩუმე,

ჩუმად –

შაპათია და ბნელდება

და თუ ისევ ქარი ამოვარდა –  
ყვითელი ქეიშით გაევსებათ ქალებს მოები,  
თუ შვილები მიღიან და არ ბრუნდებიან...

ჰერები. ყვითელი

ჩემი კუბური მოგზაურობიდან,  
მახსოვს ტოა,

გამომდინარი გუანტანამოდან.

ჩვენი ნაფილან გადაზიდული  
მოელი სიჩუმე,  
ფსკერისკენ რკეანის.

მეშინდა, ვერცხლისფერ პირანიებს  
არ გამოელრლათ მუხის ფიცრებით  
აჭედილი ნავის კორპუსი.

და მახსოვს –

თუ როგორ

აბოლუბდნენ კოპიბაში გახვეულ  
დამჭკნარ კალიებს –  
მოხუცი კაცები.

თუ როგორ

თამაშიბდნენ ჭადრაკს –  
დინოზავრების ფიგურებით...

ქალები კი ასეირნებდნენ კუბურ ნიანგებს

მათზე შემომსხდარი ჩვილი ბავშვებით.  
გამოდიოდნენ გამვლელები  
უძირო ჭაბებიდან,  
სადაც მტრედებმა ბევრჯერ ჩაყინოთეს.

მაღაზიის ვიტრინებთან ისხდნენ ლოთები.  
აკვარიუმში მონავარდე თეთრი კუდი  
დროგამოშვებით ჩერდებოდნენ,  
და ლოთების ზურგებზე გადაკიდებულ,  
თასმებჩაყრილ ტყავის ფეხსაცმლებს  
უცემდნენ.

ყვითელი თავშლები ეკიდა

ღია ხის კარის

ჩამომპალ ყუნწევე –

და მოხუცი გამყიდველი ელოდა,  
თუ როგორ წაიღებდნენ თავშლებს  
ვიღაც ყაჩალები.

თუ როგორ მოგლევდნენ თმას,  
ზღვის ქვეყნიდან მოსულ ანგელოზს.

ხეირი კაცები გამოდიოდნენ  
ბარებიდან და თავს იზინებდნენ  
ტყავის ჩემებით –


მერე მტვერმა ჭამა ყველა სარკმელი  
და მიიყურისა ხმაური ქარის.

მახსოვს, თუ როგორ –

გამოდიოდნენ ბავშვები ჭაბებიდან  
და გარბოდნენ გაზაფხულისკენ...

# ეს ჩემი სახლი

ავტორი ანონა ხაფუაძე



„ბებია, რეი და ამერიკა“  
მარი ბექაური

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მარი ბექაურის „ბებია, რეი და ამერიკა“ ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნია. ეს თავისთავად კარგი ამბავია, რადგან ძნელია, ხელში აიღო წიგნი, რომელიც შენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შეიძლება კონკრეტული წიგნი ამ მსხვერპლადაც ღირდეს, მაგრამ თუ იდეალურ წინაპირობებზეა საუბარი, უკეთესია, როცა წიგნი უცებ იყოთხება. ჰოდა, მარი ბექაურის ახალი რომანი სწორედ ასეთია.

წიგნის მთავარი გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც ძალიან უნდა ამერიკაში წასვლა. იმდენად, რომ ერთ დღესაც ლოგინში წვება და ამერიკაზე ოცნებით ხდება ავად. ის ფიქრობს ამერიკულ ბარებზე, სადაც ახალგაზრდა უცნობი მუსიკოსები ისე უკრავენ, როგორც რეი ჩარლზი ან ჩარლი ბარკერი. ფიქრობს ფართო, დაუსრულებელ გზებზე და კიდევ, ყოვლისმომცველ მარტოობაზე, რომელიც ზოგადად ახლავს უცხო ქვეყანაში მარტო გამგზავრებას. მაგრამ ყველაფრის მიზოგება და წასვლა ადგილი სულაც არაა, თუ უკან მტკუცე ძაფები გენევა. რომანის მთავარი თემაც ესაა – ჭი-

დილი წასვლასა და დარჩენას შორის, ოცნებასა და რეალობას შორის, სიყვარულსა და საკუთარი თავის ძიებას შორის. ერთ-ერთ მონაკვეთში, მთავარი გმირი პირდაპირ ამბობს: „რა უნდა ქნა, როცა შენი სიყვარული სხვაგან არის, შენი სახლი კი სხვაგან?“. არის თუ არა სიყვარულის პოვნა იმისათვის საკმარისი, რომ ზოგადად ძიება შეწყვიტო? ღირს კი რომელიმე ბიჭი იმად, რომ საკუთარ ოცნებაზე უარი თქვა?

რომანი მეტ-ნაკლებად ავტობიოგრაფიულია. შეიძლება სწორედ ამიტომ არის წიგნის დასაწყისში თხრობა საოცრად დამაჯერებელი, კულმინაციაში კი – დეტალებისაგან დაცლილი. ფაქტები რეალურ ელფერს მაშინ კარგავენ, როცა საქმე ღირების ახდენას, ამერიკაში გამგზავრებას შეეხება. საქმე ისაა, რომ ამერიკა, როგორც ქვეყანა, მხოლოდ ფონია ერთი ახალი გმირის, შავენანი ჯოს შემოსაყვანად, რომელიც საკუთარ თავზე მუდმივად მესამე პირში საუბრობს და მთავარ გმირს ღირებულებების დალაგებაში ეხმარება. მთელი ამერიკა ერთი ჯო ხდება და თხრობის დრო-სივრცე უცნაურ ბურუსში ეხვევა. ამ ბურუსის მიზეზს მწერალი თავისებურად ხსნის (ძალიან არ მინდა, რომ მისი საიდუმლო მე გაგიმხილოთ), მაგრამ ამით სიუჟეტური ხაზი სულაც არ ხდება უფრო ცხადა.

ოცნება სადმე წასვლაზე, თავისთავად, არის ოცნება საიდანმე გაქცევაზეც. მანიც რას გაურბის ასე დაუზიებით მთავარი გმირი? ერთი შეხედვით, პასუხი ზედაპირზე დევს: გაურბის მოწყენილობას, ქმარსა და ეჭვებს, რომ გათხოვება „ვირჯინია უკლიფობას დაასამარებს“. მაგრამ თუ რომანის უფრო ღრმა ღინებას დაუკვირდებით, იპოვით პასუხს ერთ პატარა თავში, რომელსაც „What a Georgian knows“ ჰქვია. აი, ნანვეტი, რომელიც ამბის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური ნანილია: „მახსოვს სამი უცნობი კაცი და მახსოვს ამ კაცების მდუმარე სახეე-

ბი, როცა სისხლიანი სხეული სახლში შემოიტანეს და ლოგინზე დადეს. მახსოვს, რომ დედაჩემი ამ დროს ტიროდა, მე კი საშინლად განვიცდიდი, დედა რომ ტიროდა და ვფიქრობდი, ეს კაცები ბოროტები არიან-მეთქი. ისიც მახსოვს, როგორ ვერ მივხვდი, რომ ეს სისხლიანი სხეული იყო მამაჩემი“. ამ წიგნში სახლიდან გაქცევასაც და დაბრუნებასაც ერთი და იგივე მიზეზი აქვს – წარსული.

მარი ბექაური ახალგაზრდა მწერალია და ეს მისი პირველი რომანია, თუმცა, თუ მისი ძველი მოთხოვობები წაგიკითხავთ, ადვილად აღმოაჩინთ მის „ხმას“: თხრობა ჩვეულებისამებრ ნაივური და ღიმილისმომგვრელია, ავტორი კი ზედმიწევნით ზუსტად იცავს ზღვარს ემოციურობასა და პათეტიკურობას შორის. გარდა ამისა, წიგნის მთავარ გმირებს საკუთარი გამოკვეთილი ლექსიკა აქვთ, რომელიც აადვილებს მათი ხასიათის ამოხსნას. წარმოიდგინეთ ბებია, რომელიც ხშირად ამბობს სიტყვას „კერანაზყნავი“. იგი უხეშია, მაგრამ გულკეთილი. უშიშარი და მზრუნველი. ცოტა ახირებული, მაგრამ ყველასგან გამორჩეული. ეს პერსონაჟი გაცილებით უკეთაა დახატული რომანში, ვიდრე ბიჭი, რომელიც მთავარ გმირს „ყოველდღე ხედავს გადვიძებისას“. რომანისთვისაც ბებია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა პერსონაჟები, ამის მისახვედრად სათაურისთვის თვალის შევლებაც კი კმარა.

„ბებია, რეი და ამერიკა“ საკუთარი თავისა და სახლის პოვნით სრულდება. რომანის მთავარი გმირი ხდება, რომ სულაც არ ყოფილა აუცილებელი „მოგზაურობა“ სილვია პლატისა და ტომას ელიოტის, ბილი პოლიდეი-სა და რეი ჩარლზის ამერიკაში, რადგან სახლს, შესაძლოა, პოვნა კი არა, უბრალოდ გახსენება სჭირდებოდეს. მკითხელი კი... მკითხელი ხდება, რომ ეს წიგნი ნამდვილად იმსახურებს თვალმოუშორებლად წაკითხვას, თანაც არა მხოლოდ ერთხელ.

რიჩარდ ბაერი

ქოჩე  
მარჯანიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
დრამატული თეატრი


# Mixed Emotions

რეჟისორი სანდრო ელოშვილი



# კერუპის გზა

დათო თარაშვილი



**„გზაზე“**  
 ჯეპ კერუაკი  
 გამომცემლობა „დილგენ“  
 „წმიდა არს კერუაკ!“  
 კარლო კაჭარავა

ახლა ზუსტად აღარც მახსოვეს, როდის გაჩნდა ჩემი ოთახის კედელზე კერუაკის ფოტო, მაგრამ მახსოვეს, რომ ჯეპ კერუაკი მშინ შემიყვარდა, როცა მისი ლეგენდარული წიგნი „გზაზე“, პირველად წავიკითხე, პირველად ეს წიგნი რუსულად წავიკითხე და მხოლოდ ამის შემდეგ – ინგლისურად, და ახლა კი, ამ წიგნის ქართული თარგმანიც გვაქს და ქართველ მეთხველსაც შეუძლია, რომ გასული საუკუნის ამერიკაში, მშობლიურ ენაზეც იმოგზაურის. მეოცე საუკუნის ორმოცანი წლების ბოლოს, ჯეპ კერუაკმა სწორედ ეს გააკეთა – თვითონ იმოგზაურა მშობლიურ ქვეყანაში, რის შემდეგაც დაწერა წიგნი, რომელმაც მისი ქვეყანა რადიკალურად შეცვალა. გულუბრყილო ამერიკელებს აღბათ ჰგონათ, რომ დღევანდელი გვევალის წერილი არ უკავშირდება, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მგონი, მეც ამ წიგნის გამო დავიწყე ჩემს სამშობლოში მოგზაურობა, რომელიც ჯერ არც დამიმთავრებია და აღბათ, მანამ ყვილი საქართველოს გზაზე, სანამ ფეხსაცმელები მექენება (სხვათა შორის, ყოველი ფეხსაცმელის ყიდვისას, სერგე დავლატოვს სიკვდილი ახსენდებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ აღბათ ეს აღმოჩნდებოდა მისა უკანასანელი, კუბოში ამოსაცმელი წყვილი). თუმცა, ამერიკაში ყოვნისას, პირველივე დამეგობრებულ და ავტომობილისმფლობელ ამერიკელს, სწორედ იმ გზაზე გაყავანა ვთხოვე, რომელიც კერუაკმა გაიარა. იმ ლოთისნირმა ადამიანმა ზუსტად იმ გზაზე კი დღმაყნა (მიუხედავად იმისა, რომ ნომერი შეცვლილი აქვს), მაგრამ ბოლომდე მისი გავლა, ბევრი მიზეზის გამო, მაინც ვერ შევძლი. არადა, თვითონ კერუაკმა, არათუ მისი რამდენჯერმე გავლა, იმ გზაზე ისეთი წიგნის დაწერაც კი შეძლო, რომელმაც მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა. ასეც რომ არ იყოს და ამ წიგნს, მხოლოდ ჩემზე ემოქმედა ისე, როგორც ეს მან შეძლო, ჯეპ კერუაკის ფოტო, მაინც დამსახურებდა კუთვნილ ადგილს ჩემი ოთახის კედელზე. იმ კედელზე, კიდევ რამდენიმე მხერლის ფოტოა, რომლებსაც მთავარ ადამიანებად მივიჩნევ. თვითონ კერუაკი კი, ადამიანებად მხოლოდ გიუჯის თვლიდა. ამიტომაც, აღბათ, თვითონაც არასოდეს სწყინდა, როცა მასაც გიუს ექაბდნენ, რადგან ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ არა-ფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია – ერთ დღეს გადაწყვიტა, თავისი ქვეყნა ისეთი აღმოეჩინა, როგორიც ის სინამდვილეშია.

მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ რამდენიმე წლის დამთავრებული იყო და ომისაგან დანგრეული მსოფლიო, აყვავებული ამერიკის ბედს დაუფარავად შენატროდა. ჯეპ კერუაკმა კი, ისეთი სევდიანი ამერიკა აღმოაჩინა, რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ დაინახავ, როცა შენი

ქვეყანა ძალიან გიყვარს. ეს წიგნიც საოცარი სიყვარულით დაწერილ თავგადასავალია იმ ადამიანისა და იმ თაობის, ვისაც სურს, არაფერი დათმოს, რადგან სამყაროს ისე არაფერი აპოროტებს, როგორც ლიდერების კომპრომისები. ჯეპ კერუაკი კი, ნამდვილი ლიდერი იყო და სხვა ლიდერებისაგან განსხვავებით, მას არასოდეს უღალატია იმ პრინციპებისა და ფასულობებისათვის, რომელთა გამოც, ასობით ათასი ჰიპი ამერიკისა და მსოფლიოს ქუჩებში გაჩნდა. მათ სწორედ კერუაკის საშუალებით აღმოაჩინეს, რომ სანამ გამდიდრდები და ზღაპრულ ამერიკულ ოცნებას აიხდენ, შეგიძლია შენს გვერდით აღმოაჩინო ადამიანი, რომელიც უფრო მეტი ღირებულებაა, ვიდრე ნებისმიერი სიმდიდრე. ნებისმიერი ბედნიერებაც, შეიძლება ნებისმიერ გზაზე აღმოაჩინო, თუ ნებისმიერ მეგობარს გაცყვები მაშინაც კი, როცა იცი, რომ მასთან ერთად მოგზაურობა, უბრალოდ შერთა. ეს წიგნიც სწორედ იმ გზაზეა, რომელსაც მაშინვე უნდა დაადგე, როცა შენი მეგობარი გთხოვს, ან შენ თვითონ მიხვდები, რომ მას ეს აუცილებლად სჭირდება. როცა კერუაკის ამ წიგნს პირველად ვკითხულობდა, აღბათ ამიტომაც გამახსენდა „ვეფხისტყაოსანი“ და შეიძლება, ამის გამო შემიყვარდა კიდეც ჯეპ კერუაკი, რომელმაც ამერიკაში სექსუალური რევოლუცია დაწყო. თუმცა მისმა წიგნმა, ნამდვილი თავისუფლების ისეთი წყურვილი გამოიწვია, რომელმაც ყველა საზღვარი, ზღვა და ოკეანე გადალახა და მიღლიონიბით ადამიანი დაფიქრა და შეცვალა. თვითონ წიგნის ავტორი კი, იმავე გზაზე დარჩია, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო და ცხოვრებაც მარტოდ-მარტო (უკვე საბოლოოდ გალოოფებულ-მა) იმ ფარდულში დაასრულა, რომელიც არაფერში გაუცვლია.

ის ბოლომდე დარჩია იმ გზის ერთგული, რომელიც ახალგაზრდობებში თვითონ შექმნა და მაინც არ უღალატა იმ ჰიპებს, რომლებიც თმაში ჩაწერული ყვავილებით, მწერალ ჯეპ კერუაკის გზას მიუყვებოდნენ...



[www.radiokalaki.ge](http://www.radiokalaki.ge)



ნაერთისათვის, მიმღებათ მონაცილეობა


RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვები

მოგვიარეობით თქვენი მოსაზრებები და რჩევები  
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

# სირცხვილის შემოძღვანება

გიორგი ლომაშვილი



„სირცხვილი“

ჯონ მაქსველ კუტჩეე  
გამომცემლობა „დიოგენე“

15 წელია, უნივერსიტეტის მასწავლებელი ვარ და ჩემი სტუდენტი ერთადერთხელ მიყვარდა, როდესაც მეც თოთქმის იმ სტუდენტის სხელა პიჭი ვიყავი, მაგრამ მაშინაც დიდი არაფერი: გულში ჩავიკალი ის გრძნობა და რაკილა გულში ჩაკვლა შევძელი, ესე იგი, სერიოზულიც არაფერი ყოფილა: ორივე გადავრჩით.

ეს ამბავი ახლა ჯონ მაქსველ კუტჩეეს შესანიშნავია რომანში, „სირცხვილმა“ გამახსენა, რომელიც ახლახან გია ბერაძის ძალიან კარგი თარგმანით დასტამბა გამომიცემლობა „დიოგენეზ“ და ქართველ მკითხველს ამ ტექსტით ტკბობის არაჩვეულებრივი საშუალება მისცა.

კუტჩეეს რომანში, ჩემი ამბის გარდა, ერთი კარგი ქართული მოთხოვობაც გამახსენა, წლების წინათ დასტამბული, ახლა რომ სპეციალისტებისა და თითზე ჩამოსათვლელი ადამიანების მეტს აღარავის ახსოვს, მაგრამ მერჩმუნეთ, მხატვრული ლირებულებითა და ემოციური ზემოქმედების ძალით სრულებითაც არ ჩამოუვარდებოდა ნობელიანტი მწერლის განსახილევა ნამუშევარს.

ეს გახლდათ თეომურაზ მაღლაფერის სირცხვილის „სოლო სიმღერა შემოდგომაზე“ – ძალზე ნაღვლიანი და ღრმა მოთხოვობა

სანში შესული ლექტორისა და სტუდენტი გოგონას სასიყვარულო ურთიერთობაზე. არ ვიცი, ედო თუ არა ამ ტექსტს საფუძვლად (როგორც მაშინ იტყვოდნენ) ავტორის პირადი გამოცდილება, მაგრამ „სოლო სიმღერა შემოდგომაზე“ შესანიშნავად გვიჩვენებდა ამ ტიპის ურთიერთობაში ჩაბმული ადამიანების – ქალისა და მამაკაცის – სულიერი განცდების ტრაგიზმა და პოლარულობას: სიმტკიცესა და სიმყიფეს ერთდროულად.

თუმცა, თეიმურაზ მაღლაფერის მოთხოვობა ძირულადაც განსხვავდებოდა კუტჩეეს „სირცხვილისაგან“, რადგან ქართველი ავტორი გმირების სულიერ თავგადასავალს აღგვინერდა, საზოგადოებრივი რეაქცია კი ამის მიღმა მხოლოდ იგულისხმებოდა, როგორც ერთგვარი საფრთხოებელა, რომელიც სასიყვარულო გრძნობებს ფონს უქმნიდა და უფრო ამძაფრებდა.

„სირცხვილში“, პირიქით: ფონი სწორედ სასიყვარულო ურთიერთობაა, მწერლის ინტერესის უმთავრეს საგანს კი ამ ურთიერთობის საზოგადოებრვი გაგრძელება, სიყვარულზე საზოგადოების რეაქციები წარმოადგენს.

დიდი გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის პროფესორი მოულოდნელად შეამჩნევს თითქმის არაფრით გამორჩეულ თავის სტუდენტს, რომელთანაც თავიდან პრაქტიკულად შემთხვევით აღმოჩნდება ინტიმურ სიტუაციაში.

ამბავი თითქოს უნდა შეიცავდეს მწერლის პიოგრაფიის გარკვეულ ელემენტებს. სამხრეთა ტარიკული წარმოშობის ინგლისურობაზე მწერალი ჯონ მაქსველ კუტჩეე მთელი ცხოვრება დაკავშირებულია საუნივერსიტეტო და აკადემიურ წრეებთან.

1940 წლის 9 თებერვალს სამხრეთ აფრიკის კაპის პროვინციის დედაქალაქ კეიპითაუნში ინგლისურენოვანი აფრიკანერების ოჯახში დაბადებულმა კუტჩეემ 1963 წელს დამათავრა კეიპითაუნის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, შემდგომ გაექვმდავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ, ტეხასის უნივერსიტეტში, 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერ-

ტაცია სემუელ ბეკეტის შემოქმედებაზე. ამის შემდგომ ორი წელი ასწავლიდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ნიუორკში, მაგრამ 1971 წელს ვეეტნამის ომის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობის გამო, მწერალს ამერიკაში ცხოვრების უფლება აღარ გაუკრძალეს და ის იქტებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო, სადაც კეიპითაუნის უნივერსიტეტში დიდი ხნის განმავლობში ასწავლიდა ინგლისურ ლიტერატურას. 2002 წელს მწერალი სამშობლოდან ემიგრაციაში წავიდა და ავსტრიის მოქალაქეობა მიღო.

ჯონ მაქსველ კუტჩეეს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე დაფასებულ მწერლად მიიჩნევენ. მან ორჯერ მიიღო ინგლისურენოვანი ბეკეტი, მათ შორის ერთი, 1999 წელს, სწორედ „სირცხვილისათვის“, პირველი ბუკრი კი, 1983 წელს რომანმა „მიხაილ კ.-ს ცხოვრებამ“ მოუტანა. ამავე რომანისათვის დაჯილდოვდა კუტჩეეს ნობელის პრემიით 2002 წელს, როცა მის კონკურნტებად ძალზე აღიარებული მწერლები განიხილებოდნენ. ყველაზე უფრო აქტიურად კი მაშინ სირიელი არაბი პოეტის, ადონისის შესახებ საუბრობდნენ და ლიტერატურულ კრიტიკოსთა უმრავლესობა იმ წლის ნობელის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ამ არაჩვეულებრივ არაბ ლირიკოსს მიიჩნევდა.

ამიტომაც ერთგვარად მოულოდნელი იყო ნობელის კომიტეტის არჩევანი, როცა ლაურეატად ჯონ მაქსველ კუტჩეე დასახელდა.

ამით კუტჩეე თითქოს დაემსგავსა თავისი სხვა რომანის, ასევე დიდ ბუკრიზე ნომინირებული, „ელიზაბეტ კასტელოს“ პერსონაჟს, რომელიც საშუალო გაქანენდების მწერალია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მუდამ ახერხებს საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ყოფნას და მისი შემოსავალი მსოფლიოს სხვადასხვა კუტხემი ლიტერატურაში წაკითხული ლექციებით განისაზღვრება.

თავის დროზე ეს მსგავსება საქი-

ლიკოდ იქცა მსოფლიო აკადემიურ და  
ლიტერატურულ წრეებში, რადგან ბე-  
დის ირნოით, კუტზე თვითონვე მო-  
გვევლინა თავისივე სატირის ყველაზე  
თვალსაჩინო პირებებად, თუმცა ნობე-  
ლის პრემიების კომიტეტის დასაბუთება-  
ში ამომწურავად იყო მოტივირებული ის,  
როს გამოც მწერალი პრემიას იღებდა:

კუტბრეე სამაგალითო-საჩვენებელი  
მწერალია. კომპოზიციის აგძინის დიდი  
ხელოვნება, დიალოგების სიმღიდორე, და  
ასევე ტექსტების კრიტიკული განწყობა  
ის ძირითადი ღირსებები აღმოჩნდა, რა-  
მაც განაპირობა ნობელის პრემიის კომი-  
ტიტის არჩევანი.

აქვე იმასაც მიუთითებდნენ, რომ მწერალი მეოთხველს თემატური მრავალფეროვნებითაც ანეპივრებს და არცერთი მისი რომანის სიუჟეტი არა ჰგავს მეორის სიუჟეტს, ენციკლოპედიური განათლება კი მუღავნდება ეგრეთ წილები „ნონ-ფიქშენის“ უანრმი აქტიური მოღვაწეობითაც. კუტზე ძალზე საინტერესო ქსევებს წერს, ერთი მხრივ, რაგბის, მეორე მხრივ კი, ცენზურის არსია და ისტორიის შესახებ.

თემატური მრავალფეროვნება აშეა-  
რად საკამათო ცნებაა, რადგან კუტბზეს  
შემოქმედების ერთ-ერთ ნიშნად ღი-  
ტერატურაში ბევრჯერ დამუშავებული  
სიუჟეტების ხელახალი, არცთუ ორი-  
გინალური გადამუშავება გვევლინება.  
სიუჟეტის აგვძის ხერხი კი კლასიკურა,  
თავისი განვითარებითა და კვანძის გა-  
სწით, რაც მქერლის მიმართ თითქმის  
ჭყელა ტიპის მეოთხეულის ინტერესს კი  
განაპირობებს, მაგრამ მის ერთგვარ  
პრიმიტიულობაზეც მიუთითებს. მაგა-  
ლითად, კრიტიკამ თავის დროზე სწო-  
რად შეინიშნა, რომ თუკი იმავე „სირცხვი-  
ლის“ სიუჟეტს მარტივად მოვცვებით,  
ხელთ შეგვრჩება უბანალურესი ამბავი,  
რომელიც ათიათასჯერ გვექნება წაკი-  
თხულო.

რუსი ლიტერატურული მიმოხილვები და აქტიურად მიუთითებდნენ „სირ-ცხვილის“ გამოკვეთილ მსგავსებაზე დოსტოევსკის რომანთან „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“, ერთმა კრიტიკოსმა ისც კი დაწერა, ამ თვალ-საზრისით სჯობდა, კუტზევს თვალი რომანისათვის „ლირსება და სირცხვილი“ დაწერმაო. ხოლო თვითონ მნერ-

ლის შესახებ შექმნილ ოპუსს სრულიად არაორაზროვნად უწოდა: „ჩვენი კაცი სამხრეთ აფრიკაში“.

კუტბიძეს რომ დოსტოევსკი უყარს, არასდროს დაუმალავს. მის რომანს „შემოდგომა პეტერბურგში“ კვებავს რუსული ბელეტრისტიკას საუკეთესო ტრადიციები, ნანარმოების ერთ-ერთ პერსონაჟად კი თვითონ ფინოდორ მიხაილოვიჩი გვივლინება.

ମାଘାଲୀତାର, ମିଳାଙ୍ଗେ „ସିର୍କୁଚ୍‌ବ୍ୟୋଲିଶ୍‌“ ସା-  
ମ୍ବର୍ଗେ ଆପଣଙ୍କାଥୀ ଆପାରଟ୍‌ରୀଫିଲ୍ଡାର୍କ ଏହି-  
ମନ୍ଦିରାତ୍ମିକାରୀ ଗାଲାନ୍ଡାଚାପ୍‌ଲେବ୍‌ସି ପକ୍ଷେତ୍ରରୀକ୍ଷା  
ସ୍ଵେଚ୍ଛାଲୁଧୀ କ୍ରିଲୋଶିଂ ଗନ୍ଧବିଲୁଧୀ ଏବଂ ଏହି  
ଅର୍ଥରେ ରମାନ୍ଦିନୀ ଦିନୀତାରୀ ତେମା, ମାଗରାମ  
କୁର୍ତ୍ତିର୍ଜୀ ଅର୍ଦ୍ଧାଦ ଗ୍ରେବଲିନ୍କ୍‌ରୁ ରମେଲିମେ  
ନିର୍ଦ୍ଦେଶ ମନ୍ଦ୍ୟର୍ବାଲ୍ଲେ ମହାରାଜାମହିନ୍ଦରାଜ. ମିଳା  
ତ୍ରୈକ୍ଲିପ୍‌ଟି ଏହି ଅର୍ଦ୍ଧାଦ ପରିପ୍ରକାଶନିକାକ୍ଷିତିରେ  
ନାହିଁ ଏହି ମନ୍ଦ୍ୟର୍ବାଲ୍ଲେ ନାଭିକ୍ରମ ଏବଂ ନାମନ୍ଦିନୀରୀ.

სექსუალური ძალადობის თემაც,  
რაც „სირკეზვილის“ მთავარი აქცენტია,  
იმდენნაირი და ისეთი მოულოდნელი  
რაკურსით არის განხილული, რომ მყი-  
ოფხოსა და მირა საოდროოს უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის შეუა ხნის, სიცერი-  
საკუნ გადახრილი პროფესორის რომანი  
თავის სტუდენტ გოგონასთან ძალადო-  
ბის მრავალგვარ გამოვლინებას ასახავს,  
რომელთაგან ყველაზე უფრო „ადამია-  
ნურად“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) სწო-  
რედ პროფესორისაგან გამოვლენილი  
ძალათობა დავილინდა.

ମାରତାଳୀବା, ତ୍ରୈକୁଶିଥି ହିନ୍ଦି, ରଖି ଗୁଗୁଣ-  
ନାସ ତାଙ୍ଗିଲ ମାର୍ଶାଙ୍ଗଲ୍ପେଲତାନ କାଗଢ଼ିରିଲ  
ଦିଲମ୍ବାର୍ଜନୀଙ୍କ ଧିନ୍ଦି ଲୁଜର୍ବିଲୋ ଅରା ଆଜ୍ଞା ଏବଂ  
କାତ୍ରି ତାତକେଳେ ସାରଗ୍ରେଭଲନ୍ଦିଲ ମିଳିଲା ଆଶ୍ରା-  
ରାଧ ରାଧା ପରିବାରର ମହିଳାଙ୍କଙ୍କ ମଧ୍ୟ ପରିବାରଙ୍କଙ୍କ  
ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ

წმინდა მწერლური ტექნიკის თვალ-  
საზრისით, აქ ერთმანეთში გადადის  
ორი ენობრივი და სტილისტური ნაკადი:   
ფრაგმენტები პროფესორის მიერ ლექ-  
ციაზე განხილული პოეტების სასიყვა-  
რულო თემატიკაზე შექმნილი ლექსები-  
დან და სინამდვილის ბიურგერული ენა,  
როდესაც ამ ლექსების გამომწვევე მშვე-  
ნიერ მიზეზს – სიყვარულს (პო, კარგი:  
სიყვარულის ხორციელ აპექტს) ყოფით  
განზომილებაში აფასებენ.

უნდა ითქვას, რომ კუტბზე შესანიშნავად ართმეცს თავს ამ მხატვრულ ამოცანას, ტექსტის ეს ძირითადი ასპექტი კი ბრწყინვალედ არის გადმოტანილი თარგმანში.

განა ბერაძე რომანში გამოყენებული  
ლექსების ან ადრინდელ (ცთქვათ, დავით  
წერედიანისეულ) ან კიდევ მათა ბერა-  
ძის მიერ საგანგბოდ ამ რომანისათვის  
შესრულებულ თარგმანს იშველიერს.  
რომანტიკული და ყოფითი ენის ეს და-  
პირისპირება კი ძალაან დოდ მსატერიულ  
ეფექტს გვაძლევს და პრინციპში, ტე-  
ქსტში აქტიურად მუშაობს, როგორც  
პარაბოლიასა თუ ანტითეზის უაღრესად  
თავისეჭური სახეობა.

კუტბერ არსად გვევლინება შემფასე-  
ბლად, მაგრამ ნანარმოების ქვეტექსტი  
ძალაუნებურად გულისხმობს იმას, რომ  
იჩაგრება ის, ვინც ლტოლვილად იქცა,  
მამაკაცი, რომელიც უნივერსიტეტში  
მოღვაწეობას თავს ანგებს და „სირ-  
ცხვილს“ თავის ლესბოსელ ქალშვილ-  
თან გაურბის. მისი შვილი კი ალბათ იმ  
სტუდენტი გოგონას ტოლია – დამოუ-  
კიდებელი ადამიანი. აქაც, სხვათა შო-  
რის, მროვლობინელად იაპლიტა ხილის

კუთხე: სტუდენტი საშველად მშობლებს  
მიმართავს და მამამისი აქტივურად ერე-  
ვა თავის შვილის ძრობლების გადაჭრა-  
ში, ლექტორი კი იმავე მიზნით, საკუთარ  
ქალიშვილს მიაშურებს, რათა მოულოდ-  
ნელად შექმნილ უხერხულობას თავი

## რეცეზია

დააღწიოს.

მამისა და შევილის, ქალიშვილის ურთიერთობის თემაც ლიტერატურაში ახალი არ არის, მაგრამ კუტზესთან, როგორც ამ ეპოქის ნამდვილ „ემისართან“, მთამბეჭდავად შემოდის ლგბტ აქცენტი, ქალიშვილის ლესბოსელობის სახით. მამა გარეუნულად არაფრით ერევა შევილის სექსუალურ არჩევანში, ოღონდ გამუდმებით ფიქრობს ამაზე და ლესბოსელობას საზოგადოებისაგან გაქცევის თავისებურ მანერად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს ერთგვარი სოციალური პროტესტია, რომელიც პიროვნული ფსიქიკის პრიზმაში გადამტყდარი, ასეთ სახეს იღებს.

ყოველ შემთხვევაში, ფიქრი იმაზე, თუ რას და როგორ „აკეთებენ“ მარტო დარჩენილი ლუსი და მისი საყვარელი, მამას ნამდვილად არ ასვენებს და, როგორც ჩანს, თავისი დასამშვიდებლად ასეთი გულუბრყვილო დასკვნა გამოაქვა:

„შეიძლება, უბრალოდ, როგორც ბაჟშვები, ისე არიან ერთად, მაგრად ჩახვეულები ერთმანეთს ეხებიან, კისისებენ, ქალშვილობის წლებს აცოცხლებენ – უფრო დები არიან, ვიდრე საყვარლები. საზიარო სანოლი, საზიარო აპაზანა. თაფლაკვერს აცხობენ, ერთმანეთის კაბებს იზომებენ“.

ეს რომანტიკული რეგისტრი უცებ გადადის ირინაში და საერთოდ, ასეთი გადასვლა, როგორც მხატვრული ხერხი, ძალზე აქტიურად არის კუტზესთან გამოყენებული: „ლესბოსური სიყვარული – ზედმეტი წლის კარგი გამართლება“.

ამ კონტექსტში ეს ფრაზა ირინაც კი არა და, უკვე სარკაზმა, მაგრამ კუტზე არ ერიდება ასეთ ფრაზებს. მისი მწერლური ღირსება ისაა, რომ შეუძლია იყოს „არაპოლიტკორეტული“, როცა საქმე სიზუსტეს ეხება.

პრინციპში, ამ ფრაზაში შესანიშნავად ჩანს ის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური მოტივაცია, რის გამოც ლუსი და თვითონ ძალადობის მსხვერპლად იქცევიან. მიყრუებული სოფლიდან დახმარების თხოვინის საბაბით მოსული სამი კაცი შეიქრება მათთან, ლუსის გაუპატიურებენ, მას კი დაწვას დაუპირებენ და ცეცხლს წაუკიდებენ.

ძალადობის სცენა წიგნის ერთ-ერთი შემთარავი მონაკვეთია. მწერალი

ძუნწად, მაგრამ ძალიან ზუსტი ფრაზე-ბით აღწერს მომზდარს და მეტოხელზე უჩვეულოდ ზემოქმედებს.

ძალადობის ეს სცენა რომანის ცენტრალური ამბავია, რადგან აյ იყრის თავს ყველა ის მოტივი, საითყვენაც მიღიოდა თხრობა და ამის შემდეგ საითაც უნდა წარიმართოს. შედარებით ზედაპირული ქვეტექსტი გასაგებია: დანაშაული, როგორც ასეთი, იმსახურებს სასჯელს და ეს სასჯელი ზოგჯერ უფრო შემზარავი შეიძლება იყოს, ვიდრე თვითონ დანაშაული. თუმცა ამას გარდა, კუტზეს მთავარი შეკითხვა, ვფიქრობ, თვითონ ძალადობს ბუნებას დასტრალებს, მის სიღრმეებს და შეფარვით ქვეტესტების უფრო ამოუცნობ შრეში ასეთ შეკითხვასაც გულისხმიბს: განა ამ კაცის საქციელი, რაც ძალადობად მოინათლა და რის გამოც უნივერსიტეტის დატოვება მოუხდა, და ესეც – ეს შემთავავი ბოროტმოქმედება, ერთი და იგივეა, ერთ სიბრტყეში შეიძლება იქნეს განხილული და ერთნაირად კვალიფიცირებული?

მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც არ არის მთავარი შეკითხვა. არსებითი აյ იმ ძალადობის ჩვენებაა, როცა გარემო – ჩვენი სურვილისა და შესაძლებლობების სანინაალმდეგო და შეუფერებელი გარემო – ძალადობს ჩვენზე, როცა იქ მოგინევს ყოფნა, სადაც არ გინდა და მაინც იძულებული ხარ, ეს უსურვილობა აიტანო, მშვიდად დაელოდო სიბრეეს, ახლობლებთან თუ საერთოდ ადამიანებთან გაუცხოების გამძაფრებასა და სიკვდილს...

რა მნიშვნელობა აქვს ძალებისათვის, როგორ დახოცავენ: ველურად – კეტით, თუ ნემსით – ცივილურად, თუკი ბოლოს მანც ერთი შედეგია: სიკვდილი, რადგან არასასურველს თავიდან იშმრებენ. ძალების ევთანაზის თემა, ფონად რომ გასდევს წიგნში მოთხრობილ ამბავს, მოულოდნელად ცენტრალური ხდება და საბოლოოდ ნათელყოფს მიზანს, რისთვისაც კუტზეს „სირცხვილი“ დაიწერა:

ეს არის ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებულ პოლარობათა შერიგების მცდელობა: ინისა იანთან, აღმოსავლეთისა დასავლეთთან, სოფლისა ქალაქთან, კულტურულობისა ველურობასთან, წარსულისა აწმყოსთან, ახალ-

გაზრდობისა სიბერესთან, ადამიანისა ცხოველთან და სხვა, მისგან განსხვავებულ ადმინისტრაცია.

კუტზე ამ კონფლიქტის ძირების ჩვენებას შესანიშნავად და, რაც მთავრია, სრულიად არადეკლარაციულად ახერხებს. სხვადასხვა შემთხვევებში ამისათვის სხვადასხვა ლიტერატურულ საშუალებას იყენებს. წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებისათვის ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ის პოეტური ციტატები თუ ჩანართები, რასაც პროფესორი გარდასული დროის პოეტთა შემოქმედებიდან მოიხმობს და თანამედროვეობის ფონზე მკეთრად გვიჩვენებს, რამდენი რამ შეიცვალა ერთსა და იმავე საგანთან თუ მოვლენასთან (ვთქვათ, სიყვარულთან) ადამიანების დამოკიდებულებებში. ლურის ფრაზაც, თავისი სტუდენტის მამასთან მოსაბოლოებებლად მისული რომ წარმოოთვამს, ამ ცვლილებათა თავისებური კვინტესენციაა: „მჯერა, რომ მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ შორის შეიძლებოდა, ყველაფერი სხვანაირადაც მომზდარიყო, მაგრამ იყო რაღაც, რისი მიცემაც მე ვერ შევძელი, რაღაც... – სიტყვას დაეძებს – ლირიკული. სწორედ ლირიკულობა მაკლდა“. ეს შეფასებაა. დიაგნოზი კი ცოტა უფრო მოგვიანებით, კაცის ფერრიული ხილვისა ისმება, როცა ის თავისი ოპერის ლიბრეტოზე ფიქრობს, რომლის მთავარი გმირებიც ბაირონი და მისი შეყვარებული არიან:

„სიყვარული პოეტებისაგან ვისნავლე, – მონოტონურად, მკეთრი ხმით მღერის ბაირონი თორმეტმარცვლიანი დო ბეკარით, მაგრამ ცხოვრება, როგორც მე ის შეიცვალი ქრომატიული დაშვება ფა-მდე, სულ სხვა რამეა (პლინკ-პლანკ – ამბობენ ბრინჯაოს სიმები)“.

ქართული თარგმანი, ინგლისური-დან გია ბერაძის მიერ შესრულებული, ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მთარგმნელს კარგად აქვს გააზრებული ნანარმოების სტილისტიკის ლერძი – რიტმის ცვალებადობა და თემატიკის ცვლა რიტმის რეგულაციის საბაზო. წიგნი მთლიანად ახალი, თანამედროვე ქართულით არის თარგმნილი, თუ არ ჩა-ვალით, ბიბლიოდან დამონიტირებული და უნდა ითქვას, რომ ამ ახალ ენაში ძალზე მძაფრად ყდერს

ყველა მნიშვნელოვანი რეგისტრი, ბერაძემ შეძლო გადმოეცა ყველა არსებითი ნიუანსი.

საქმიდან გამომდინარე, ალბათ, ქებით უნდა მოვისხენიოთ წიგნის რედაქტორი ლალი ჭინჭარაული და, უფრო მეტად კი, ის შესანიშნავი დამოკიდებულება ტექსტთან, როგორც სამუშაო მასალასთან, რასაც ამ ტიპის რედაქტორთა დაოსტატებით გამომცემლობა „დიოგენ“ ამჟღავნებს. წიგნში არათუ აშკარა გრამატიკული შეცდომა, პრაქტიკულად, კორექტურაც კი არსად შემხვედრია. თუმცა არის რამდენიმე ადგილი, რომელსაც ალბათ ცოტა სხვაგვარი თარგმნა სჭირდებოდა.

მაგალითად: გვაქვს სცენა, როცა პროფესორი და ერთი შეუხედავი ქალი, საწოლში ერთად აღმოჩნდებიან. მანამდე კი კაცი „ქვედა საცვალს იხდის და ქალის გვერდით წვება“. „ქვედა საცვალი“ აქ დახლოებით ისე კომიკურად ქლერს, როგორც „პერანგის ამხანაგი“, ამიტომ

იქნებ სჯობდა, უბრალოდ, „ტრუსი“ და-გვეწრა.


მეორეგან ასეთი რამ გვაქვს: „...ოთახში კოქას, კვლიავის, ბრინჯის, სალათისა და კიტრის პი კ უ ლ ი ს არომატი...“ იქნებ არის საიმისო მოტივაცია, რომ კიტრის მწნილის ნაცვლად „პიკული“ მოვიმარჯვოთ, რადგან საქართველოს ზოგ რეგიონში ამ უკანასკნელი სიტყვით არა საერთოდ კიტრის მწნილს, არამედ შუშის ქილებში მოხუცულ მუჟავეს აღნიშნავენ, მაგრამ მე მაინც ბარპარიზმი მგონია და დარწმუნებული არა ვარ, უნდა გამოვიყენოთ თუ არა ასეთ ლიტერატურული ტექსტში მსგავსი „თთქმის გაქართულებული“ გამოთქმები. თანაც, აქ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ რამდენიმე ხაზის შემდეგ ვთქვათ, გრამატიკულად ასე „პერნიკად“ მოწესრიგებული ფრაზა შემოგხვდება: „ჩემ გარდა არავინ დალევს?“

ცხადია, ეს მხოლოდ პროფესიული დეტალებია და ასეთი თითო-ოროლა

შემთხვევა ვერაფერს აკლებს მთავარს: არჩევეულებრივად აწყობილ კომპოზიციას, სხარტ, მოქნილ და დინამიკურ დიალოგებს, გამართულ სალიტერატურო ენას, რომელიც შესანიშნავად გადმოგვცემს წიგნის ურთულეს ფსიქოლოგიურ და მხატვრულ ნიუანსებს. ანუ ყველაფერი ის, რაც ნობელის კომიტეტის სამოტივაციო წერილში, კუტენესათვის პრემიის მინიჭების მიზეზად არის გამოცადებული, ქართულადაც უზადოდაა შენარჩუნებული.

და კიდევ ერთი რამ, რის გამოც ჩემი აზრით, ნობელის კომიტეტმა ჯონ მაქსველ კუტენესათვის პრემიის მინიჭება გადაწყვიტა, არის ის რომ მწერალი თავისი დროის შვილია, ის უაღრესად თანამედროვე ენითა და მეთოდებით გვიყვება თანამედროვე ადმინისტრაციულობა, არანაირი გაგებით. ეს დიდი მწერლის ნიჭია, დროში, დროის ამოსათქმელად განვითარებული.





### სანახევრო სამოთხე

ტომას ტრანსტრომერი  
მთარგმნელი მანანა კობაიძე  
გამომცემლობა „ინტელექტი“  
გამოცემის წელი 2012  
ფასი 8 ლარი

ტომას ტრანსტრომერი, კლასიკოსად აღიარებული შევდი პოეტი, მსოფლიოს თანამედროვე ლირიკოსებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი პოეტად ითვლება. მისი ლექსები 60-მდე წელზეა ნათარგმნი. 2011 წლის დეკემბერში მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ამ წიგნში შესულია საუკეთესო ლექსები ტომას ტრანსტრომერის კრებულებიდან: „17 ლექსი“, „გზათა საიდუმლონი“, „სანახევრო სამოთხე“, „ხმები და ნაკვალევები“, „ხედვა სიბნელეში“, „ბილიკები“, „ბალტის ზღვები“, „სიმართლის ბარიერი“, „უკაცრიელი მოედანი“, „ცოცხალთათვის და გარდაცვლილთათვის“, „გლოვის გონილა“, „დიადი გამოცანა“. ამას გარდა, 1993 წელს გამოქვეყნებული მემუარული წიგნი „მოგონებები მხედავენ“, სადაც აღწერილი აქვს თავისი ბავშვობისა და მოზარდობის დრო.

### ღრუბელი, სახელად დარინდა

ირაკლი სამსონაძე  
გამომცემლობა „ინტელექტი“  
გამოცემის წელი 2012  
ფასი 8 ლარი

ირაკლი სამსონაძის ახალი რომანი მოგვითხრობს თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ბიჭის განსხვავებულ ისტორიას. ისინი დროის ერთ მონაკეთში შეხვდნენ, სალებავით სავსე ქილები შეახალეს მოღალატის ძეგლს, შემდეგ კი თითოეულს თავისი ბედი არგუნა განგებამ.

თორმეტი ბიჭის ტრაგიკული ამბავი, თაობის, ზოგადად, ეპოქის ტრაგიკულ პანორამას ქმნის და ბიბლიური აღზით, „მონობის სახლიდან“ გამოსულთა და უდაბნოში ახეტიალებულთა ძველისძველ, ორმოცნელიან გზაზე გაფიქრებს. აღსანიშნავია, რომ ირაკლი სამსონაძის ახალი რომანი ერთი თემის, ერთი მაგისტრალური ხაზის ლოგიკური დასასრულია, რომელიც დაინტერესონია „ყურთბალიშით“, გაგრძელდა „ლეას საათით“ და დაბოლოვდა მესამე, ტრილოგიის დასკვნითი რომანით „ღრუბელი, სახელად დარინდა“.

### ნომერი პირველი

ოლივერ კანი  
მთარგმნელები ეკატერინე რაისნერი,  
ნატალია ნადირაშვილი

გამომცემლობა „რატანუჯი“

გამოცემის წელი 2012

ფასი 9 ლარი

„ყოველთვის მინდოდა, ნამდვილი ვყოფილყავი, ადამიანებს ეთქვათ, ოლივერ კანი მოედანზე ცხოვროს, თავისი სპორტი უყვარს, ყველაფერს აკეთებს წარმატებისათვის, შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ საოცარ რამეებსაც სჩადისო“. ეს არის ფრაგმენტი ოლივერ კანის ავტობიოგრაფიულ წიგნიდან, რომელშიც გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ლეგენდარული მეკარე მოგვითხრობს, თუ როგორ გადაწყვიტა კარში ჩადგომა, როგორ გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლგაპერი და რა ფიზიკური და სულიერი დატვირთვის ფასად მოუწია ამ წარმატების მიღწევა.

### ტოლკინის ჯადოსნური სამყარო

ჯ.რ.რ. ტოლკინი  
მთარგმნელები თამარ ლონგურაშვილი,  
გვანცა ფარქოსაძე  
გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

გამოცემის წელი 2012

ფასი 29.90 ლარი

და უცნაური ამბებით, რომელიც გამოჩენილმა ინგლისელმა მწერალმა, ჯ. რ. რ. ტოლკინმა შექმნა. გაიგე, როგორ გადაიქცა სმეაგოლ ჰობიტი საშიშ არსება გოლლუბად, გაეცანი დრაკონ სმოგისა და ადამიანი-დათვის, ბიორნის თავგადასავლებს! მაშ, ნუ დაყოვნდები, გადაფურცლე ეს წიგნი და ეზიარე ტოლკინის ამ შთამბეჭდავ ჯადოსნურ სამყაროს! დაე, კითხვისას ელფებმა გაგინათონ გზა!

### გრაალი და მრგვალი მაგიდის რაინდები


სარა მერცელი, დელფინ გაში, კრისტალ კამპრუბი, იზაბელ მანდრუ

მთარგმნელი ეკატერინე სუმბათაშვილი

გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

გამოცემის წელი 2012

ფასი 29.90 ლარი



ისიამოვნე ამბებით მამაცი რაინდებისა და მშვენიერი მეფის ასულების შესახებ – შენს ხელთ ხომ, მათზე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლგაპერი და რა ფიზიკური და სულიერი დატვირთვის ფასად მოუწია ამ წარმატების მიღწევა.

იმოგზაურე მეფე უთერ პენდრაგონის სამფლობელოებში. გაიგე, როგორ უღალატა ჯადოქარ მერლინს ფერია ვივიანმა. თვალი მიადგენე ექსალიშურის შესაძლებლობებს. გაიზიარე ლანსელოტის ცხოვრება. წაიკითხე მრგვალი მაგიდის რაინდების საარაკო თავგადასავლები.

გაეცანი საქაბზე გამარჯვების მომპოვებელს, სუსტების მფარველს, სინათლისა და სამართლიანობის მეფეს – არტურ პენდრაგონს. მაშ, ნუ დააყოვნებ, გადაშალე უძეველესი წიგნის ფურცლები და უთუოდ მოიხიბლები ჯადოსნური ავალონისა და მრგვალი მაგიდის რაინდების სიმამაცით. და თავადაც სცადე წმინდა გრაალის საიდუმლოს ამოცნობა...


**გველის მჭამელი**

ვაჟა-ფშაველა

გამომცემლობა „სიესტა“

გამოცემის წელი 2012

ფასი 2.50 ლარი



ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამომცემლობა „სიესტას“ საჩუქარი ბავშვებს. „გველის მჭამელი“ მათთვის საყვარელი, კომიქსის ფორმით. მინდიას თავბრუდამხვევი თავგადასავალი გზას გვიხსნის ვაჟა-ფშაველასა და ქართული მითების სამყაროსკენ და მის პოზიას უფრო მეტი ინტერესითა და ხალისით საკითხას ხდის. ვინ არის თქვენი შვილის საყვარელი სუპერგმირი? სუპერმენი? ადამიანი ობობა? ამ კომიქსის წაკითხვის შემდეგ ეს ნამდვილად მინდია გახდება.

**იერუსალიმი**

საიმონ სებაგ მონტეფიორე

მთარგმნელი ნიკა სამუშია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 24.90 ლარი

როგორ გახდა მიყრუებული პროვინციის პატარა ქალაქი „მსოფლიოს ცენტრი“, „წმინდა ქალაქი“ და ადგილი, რომელშიც იმაღება ამჟამინდელი ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის საიდუმლო? – ყველაფერ ამას მოგვითხრობს საიმონ სებაგ მონტეფიორე წიგნში „იერუსალიმი“. ესაა ქალაქის ბიოგრაფია დასაბამიდან დღემდე; ბიბლიური ეპოქიდან, ბაბილონის, სპარსეთისა და რომის იმპერიებიდან მოყოლებული, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე; ავტორი დაწვრილებით აღწერს არქეოლოგიურ აღმოჩენებს; გვაცნობს სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ წყარო-

ებს, იშველიებს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ავტორის ნაშრომს, რომლებიც სხვადასხვა დროს იყვნენ იერუსალიმის ბიოგრაფიები; ავტორისავე სიტყვებით, მისი მიზანია, ყოველგვარი პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე აღწეროს იერუსალიმის ისტორია ყველანაირი გემოვნებისა თუ მრნამსის მქონე მკითხველისთვის.

**გოგონა, რომელმაც კრაზანების ბუდე****დაანგრია**

სტიგ ლარსონი

მთარგმნელი ნიკა სამუშია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 11.90 ლარი

პოეზიით აღსავსე და იუმორით გაუდენ-თილ, დღეზე მოგვითხრობს, მხიარული და უცნაური პერსონაჟებით დასახლებულ თორმეტდღიან სამყაროზე.

ეს თორმეტი დღე ბიჭუნსთვის შესაძლოა სიცოცხლის ბოლო თორმეტი დღე აღმოჩნდეს, რომელიც ბებერი, კეთილი, მოსიყარულე, ტყუილებისგუდა დედა-როზას წყალობით მარადისობად იქცევა.

**ვიქტორია**


კწუტ ჰამსუნი

მთარგმნელი დევი ბერძენიშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 7.90 ლარი



კვანძი იხსნება – ლიზბეთ სალანდერს შვედეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, „სეპოში“, არსებული საიდუ-მლო ანალიზის „სექცია“ ლიად უპირის-პირდება; უსაფრთხოების სამსახური ორ ბანაკად იყოფა: სალანდერის მტრებად და მეგობრებად. პოლიციის მიერ სამმაგ მევლელობაში ეჭვმიტანილი სალანდერი კი, რომელიც საკუთარმა მამამ თავშინდაჭრა, პოლიციისავე განკარგულებით, სოლგრენსკას საავადმყოფოში სრულ კარანტინშია. ჰაკერ გოგონას „კრაზანების ბუდესთან“ საბრძოლველად ერთადერთი იარალი აქვს – საკუთარი პალმტოპი.

„გოგონა, რომელმაც კრაზანების ბუდე დაანგრია“ მესამე და ბოლო ნაწილია ე. ნ. „მიღებულის ტრილოგიისა“ – შვედური დეტექტივისა, რომელიც გამოცემისთანავე 40 ენაზე ითარგმნა და მსოფლიო ბესტსელერად იქცა. გამოცემიდან დღემდე ტრილოგიის 70 მილიონი ეგზებ-პლარია გაყიდული.

**ისკარი და გარდისფერი ქალბატონი**

ერიკ ემანუელ შმიტი

მთარგმნელი მერაბ ფიფია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 5.90 ლარი

ეს არის ათი წლის ბიჭუნას ღმერთისადმი მიწერილი წერილები, რომლებიც დედა-როზამ, ანუ ვარდისფერმა ქალბატონმა აღმოჩინა. ის ხშირად სტუმრობდა ბიჭუნას ბავშვთა საავადმყოფოში. წერილები ისკარის ცხოვრების თორმეტ,

დიდი წორვეგიელი მწერლის, ნობელის პრემიის ღაურეატის, კწუტ ჰამსუნის რომანი „ვიქტორია“ პირველად 1898 წელს გამოიცა და უკვე სახელგანთქმული ავტორის ხანგრძილივი შემოქმედებას პირველი ეტაპის დამაგვირგვინებელ ნაწარმოებად იქცა.

რომანის მთავარ პერსონაჟებს, ვიქტორიას – მემამულის ქალიშვილასა და იუპანესა – მენისქვილის ვაჟს, ერთმანეთი ბავშვობიდან უყვართ. მათ შორის სოციალური სხვაობა დაუძლეველ დაბრკოლებადაა ქცეული, თუმცა ამ ურთიერთობის განმაზღვრელი მათივე ხასიათი ხდება, რომელსაც მწერალი პოეტურად, ოლონდ ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე გვიხსატავს.

„...და სიყვარული სამყაროს საწყისად და მმრბანებლად იქცა, თუმცა კი მისი გზები ყვავილებითა და სისხლით, სისხლითა და ყვავილებითაა აღსავსე“.




# ინოვაცია მედიცინაში



ჩრდილოეთ ამერიკაში ყოფილ წელს ბურგის ტვინის მძიმე ტრავმას 11 ათასი პაციენტი იღებს. უმეტეს შემთხვევაში ისინი ლოგინს ან სავარძელს მიზანულები ხდებიან და მათი ნორმალური ცხოვრებისთვის დაბრუნება მკურნალობის დღევანდელი მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია. თანამედროვე მედიცინა ვერც ქირურგიული ოპერაციით, ვერც მედიკამენტური ჩარევებითა და ვერც რეაბილიტაციის მეთოდებით ტრაგმირებული ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებს, ამიტომ ასეთი პაციენტების სიცოცხლის ხარისხი მეტად დაქვეითებულია.

მსოფლიოს მასშტაბით ბურგის ტვინის ტრავმებით მიღონ ან პაციენტი იტანქება, მედიცინა კი მათი დააგადების წინააღმდეგ კვლავაც უძლური რჩება, თუმცა სიტუაცია შე-

საძლოა ღეროვანი უკრედების გამოყენებამ შეცვალოს. თანამედროვე მეცნიერები უკვე საუბრობენ ბურგის ტვინის დაზიანების მკურნალობაში ღეროვანი უკრედების პერსპექტივაზე: უკრედულმა თერაპიამ და ღეროვანი უკრედების ტრანსპლანტაციამ შეიძლება გარკვეული დადებითი გავლენა იქონიოს დაავადების მსვლელობაზე. პირველი კვლევები ამ მიმართულებით უკვე არსებობს. 2008 წელს უურნალ Cell Transplantation-ში გამოქვეყნდა სტატია ამერიკელი და ეკვადორელი ექიმების ჯგუფის ექსპერიმენტის შესახებ. მათ ბურგის ტვინის მწვავე ან ქრონიკული დაზიანებითა (ტრავმა ან ტყვიით მიყენებული ჭრილობა) და პარაბლეგიით ან პარაპარეზებით (ანუ სრული ან არასრული დამბლა ხერხემლის დაზიანების ქვემოთ) 8 პაციენტს ბურ-



გის ტვინში ძვლის ტვინის ღეროვანი უკრედები გადაუწერებეს. პაციენტებზე დაკვირვება 2 წელს გაგრძელდა. შედეგად, ყველა მათგანს მოტორული ფუნქციის გაუმჯობესება, დამბლის უბნებში მგრძნობელობის გაუმჯობესება და შარდის ბუშტის დაზიანებული ფუნქციის გამოსწორება, უმეტეს შემთხვევაში, სრულ აღდგენამდე აღენიშნა. მკვეთრად გაუმჯობესდა მათი სიცოცხლის ხარისხიც.

ამჟამად ზურგის ტვინის დაზიანების მკურნალობა საკუთარი ძვლის ტვინის ღეროვანი უკრედებით მსოფლიოს არაერთ სამედიცინო ცენტრში მიმდინარეობს. ასეთი ცენტრებია ჰიუსტონში, ტეხასის უნივერსიტეტში, ასევე კოვინგტონში, ლუიზიანის შტატში, ბრაზილიაში, ჩილეში, სამხრეთ კორეაში, ინდოეთში, ჩინეთში, ალექსანდრიისა და ქაიროს უნივერსიტეტებში და ა. შ.

ჭიპლარის სასხლის ბანკის სამედიცინო დირექტორი გორჩა შათირიშვილი ამბობს, რომ ზურგის ტვინის დაზიანების შემთხვევაში, პაციენტებისთვის საკუთარი ძვლის ტვინის ღეროვანი უკრედების ტრანსპლანტაცია შესაძლებელია ორი გზით: ხერხემლის არხში თავ-ზურგტვინის სითხეში შეყ-

განით ან ოპერაციის დროს უშუალოდ დაზიანების უბანზე რამდენიმე ადგილას ინტენსიურით.

„ძვლის ტვინი შეიცავს ორი ტიპის ღეროვან უკრედს: სისხლმბადს და მეზენქიმურს. ორივე ეს წყარო მეტად მიმზიდველია რეგენერაციისათვის. ზურგის ტვინის დაზიანების ცოლელურ მოდელებში ამ უკრედების ტრანსპლანტაციამ უზრუნველყო ნერვული ქსოვილის სხვადასხვა ტიპის უკრედების აღდგენა: მაგალითად, ნეირონების წანაზარდების ზრდა, ასევე რემიელინიზაცია და ზურგის ტვინის ფუნქციების აღდგენა. უამრავმა კვლევამ აჩვენა ასევე ორივე ტიპის ღეროვანი უკრედის ჩანერგვა დაზიანებულ ხერხემლის არხში“, –აცხადებს გორჩა შათირიშვილი.

ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ ღეროვანი უკრედების ტრანსპლანტაციის რაიმე ღირებული აღტერნატივა სადღეისოდ არ არსებობს. ღეროვანი უკრედებით მკურნალობის წარმატებები და პერსპექტივა კი მედიკოსებს ოპტიმიზმის რეალურ საფუძველს აძლევს.

# ISTVÁN SZABÓ

გვერდი საბო თაზისები



თბილისის კინოფასტივალის  
ფარმლებში  
ღილი უნგრელი რეჟისორის  
მასტერქლასი გაიმართა  
ავტორი დავით გურიაშვილი

თბილისის საერთაშორისო კინო-ფესტივალის საპატიო სტუმართა შორის, 74 წლის კლასიკოსი, იშტვან საბო აღბათ ყველაზე გამორჩეული პერსონა იყო. ევროპული კინოს ერთ-ერთმა ყველაზე აღიარებულმა რეჟისორმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, „მეფისტოთი“ მოპოვებული „ოსკარით“, ლამის ხელახლა „გადაწერა“ აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკისა და კინოს ისტორია.

უცნაურია, მაგრამ მისი ფილმები სხვა, არანაკლებ ცნობილი უნგრელი რეჟისორებისგან განსხვავებით (მა-

ნარმატებით უჩვენეს საერთაშორისო კინოფესტივალებზე). მას ორმოცზე მეტი გამარჯვება, თუ ნომინაცია აქვს მოპოვებული პრესტიულ ფესტივალებზე, რომლის ჩამონათვალი ნებისმიერ რეჟისორს შეშურდება – ბერლინი, კანი, ვენეცია, მოსკოვი, ლოკარნო...

განსაკუთრებული და გამორჩეულია მისი თანამშრომლობა ცნობილ ავსტრიელ მსახიობთან, კლაუს მარია ბრანდაურთან. „მეფისტო“ (1981), „პოლეონიკი რედლი“ (1985) და „ჰანუსენი“ (1988), ამის შესანიშნავი მა-

გაიხსნა. „კარი“ მაგდა საბოს რომანის ექრანიცაზიაა, რომელიც დიდი რეჟისორის არც ცოლია და არც შორეული ნათესავი. რომანმა, რომელიც თავის დროზე ლაიოშ კოშუტის სახელობის ლიტერატურული პრემიით დააჯილდოვეს, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბუდაპეშტში მომხდარ ამბავს ასახავს. მწერალი ქალის, მაგდასა (გერმანელი მსახიობი მარტინა გედეკი კინომანებსა უთუოდ ემახსოვრებათ „ოსკაროსანი“ ფილმიდან „სხვების ცხოვრება“) და მისი მეზობელი მეზოვის,



„სხვადასხვა მხარეს“



„კარი“

გალითად, ზოლტან ფაბრი, მიკლოშ იანჩიო, მარტა მესაროში, ზოლტან პუსარიკი, კარო მაკი), 70-80-იანი წლების საბჭოთა კინოგაქირავებში ცენზურის წახალისებით ხვდებოდა. საბოსგან, თითქოს საგანგებოდ ქმნიდნენ მუმიფიცირებული კომუნისტური ეპოქის „ახლომხედველისა“ და გიდის მითს, და სხვათა შორის, ეს მითი დღემდე ცოცხალია.

იშტვან საბოს კინოკარიერა, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, როცა დახვენილი ირონითა და ფორმით გამორჩეული პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმები გადაიღო. ერთ-ერთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „მამა“ (1966) დიდი

გალითია. ამ ფილმებში ბრანდაუერი ისტორიულ პერსონაჟებს განასახიერებს, რომლებმაც პოლიტიკური ძალაუფლებისა და კარიერული წინვლისათვის მორალური კომპრომისი გაიღეს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საბოს ფილმები უფრო ზოგადევრობულ კონტექსტში შეიძლება დავინახოთ: „შეხვედრა ვენერასთან“ (მთავარ როლში გლენ ქლოუზი), „ზონენშაინი“ (რალფ ფაინსი), „სხვადასხვა მხარეს“ (ჰარვი კეიტელი, სტელან სკარსგარდი), „იყო ჯულია“ (სომერსეტ მოემის „თეატრის“ მიხედვით, მთავარ როლში ანრე ბერინგი).

თბილისის კინოფესტივალი სწორედ იშტვან საბოს ახალი ფილმით

ემერენცის (ინგლისელი კინოვარ-სკვლავი ჰელენ მირენი) უცნაური ურთიერთობა წელინადის ოთხ დროშია გადანაწილებული. რაც დრამატურგიულად საინტერესოა, თუმცა მუსიკალურ სტრუქტურას უფრო წააგავს.

ფილმის „მეორე შრეს“ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ებრაული ოჯახის ამბავი შეადგენს, რომელიც ემერენცის ფოტოალბომში პოულობს დრამატულ გაგრძელებას. მაგდა ყურადღებით აკვირდება მეეზოვე ქალის, ერთი შეხედვით უცნაურ და აუსენელ უკეთებას, სიამაყეს, კარჩაკეტილ ცხოვრების წესს და ბოლომდევრაფერს იგებს. თუმცა, როგორც

## პიროვას

პერსონაჟი, ემერუნცი მისთვის შთაგონების წყარო ხდება.

რეჟისორს „დაძაბულობა“ და აქცენტი მაინც ჰელენ მირენის პერსონაჟზე გადააქვს, რის გამოც იძულებულია მეტოვე ინგლისურად აალაპარაკოს. ეს, ფოტა სასაცილო და ხელოვნურ შთაპეჭდილებას ტოვებს. მოკლედ, იმის გამო, რომ ფილმი საერთაშორისო გაქირავებაში მოხვდეს და ვინდლო, უცხოენოვანი „ოსკარის“ მოკლე სისტემიც, რეჟისორი თავად მიდის კომპრომისზე – უნგრულ, კამერულ

თვის მას, სულ მცირე, ჰელენ მირენის თამაში უნგრულ ენაზე უნდა ენახა და მოესმინა.

ხარისხიანი რეჟისურის გამოძახილი კარგად იგრძნობოდა იშტვან საბოს მასტერკლასშიც, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში „თიბისი ბანკის“ გალერეაში გაიმართა. მასტერკლასი ორი დღის განმავლობაში გადატენილ დარბაზში მიმდინარეობდა და მას რეჟისორები, კინოკრიტიკოსები, სტუდენტები და უბრალოდ, კინოთი დაინტერესებული

ბა მხოლოდ კინოს მეშვეობით იყოს გამოხატული“.

საბოს შემდეგი თეზისი კინოს ისტორიაში ცველაზე მნიშვნელოვან „ხატებს“, მსახიობებს ეხებოდა: გრეტა გარბო, მარლენ დიტრიხი, მერლინ მონრო, ჯეინ ფონდა, ვანესა რედ-გრეივი, კატრინ დენევი, მერილ სტრიპი, კლარკ გეიბლი, რობერტ ტეილორი, ჯეიმს დინი, ენტონი პერკინსი, დასტინ ჰოფმანი, ალ პაჩინო, ჯინ ჰედვიგი, არნოლდ შვარცენეგერი. მან დეტალურად ახსნა კინოს ისტო-



„სხვადასხვა მხარეს“



„მფისაცო“



„კანასენი“

ამბავს ინგლისურენოვან გარემოში იძულებით მოაქცევს.

ცხადია, ჰელენ მირენის კარგი თამაშის (რომელიც, სხვათა შორის, ოდნავ თეატრალურია) ცქერა ერთ რამედ ღირს. ემერუნცის ბაგეობის დროინდელი ტრაგედიები, თუ ქალიშვილობის დროინდელი ტრავმები „ფლეშბეკით“ ჩნდება ეკრანზე და გახსნდებათ მეხისგან ხის ძირში დამწვარი ტყუპი გოგონებიც და ფაშისტებისგან თავდახსნილი ებრაელი გოგონას შიშიც. რომ არა სიუჟეტური სქემატურობა, ერთგვარი სატელევიზიო ესთეტიკა და ზედმეტად გადაპარანანჭული, ხელოვნური ფინანი, „კარი“ უდავოდ უფრო მეტ მაყურებელს მოეწონებოდა. მაგრამ ამისა-

ადამიანები ესწრებოდნენ.

მთავარი კითხვა იშტვან საბომ შესვედრის დასაწყისშივე დასვა: რა არის თავისუფლება კინოში და რაში მდგომარეობს კინოს უნიკალურობა? აქვს თუ არა კინოს რამე ისეთი, რისი გადმოცემაც შეუძლებელია მხატვრობით, მუსიკით, ლიტერატურით და თეატრით? საკუთარ შეკითხვას მან ასე უპასუხა: „კინოში უმთავრესია — ადამიანის სახე, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება. ერთი სახის ემოცია მეორეთი იცვლება და ჩვენ ამას ეკრანზე ვხედავთ... არა სტანდარტული სახე, რომელიც ერთ ამოცანას გამოხატავს, მე ვლაპარაკობ ცოცხალ სახეზე და ეს არის ერთადერთი უნიკალური რამ, რაც შეიძლე-

რიაში თითოეული ამ მსახიობის გამოჩენა და მნიშვნელობა. ამით ეცადა, აუდიტორიისთვის აეხსნა კინოს მსახიობების აქტუალურობა, მათი როლი ისტორიაში და როგორ იქცნებ ისინი ეპოქის სახეებად.

მომდევნო თეზა ევროპული და ამერიკული კინოს განხვავებას ეხებოდა. „რატომ არის ამერიკული კინო ასე პოპულარული მსოფლიოში და ევროპული კინემატოგრაფი შედარებით უცნობი?“ საბოს აზრით, ევროპულ და ამერიკულ კინოს შორის განსხვავება ეგზისტენციალურია.

„ევროპამ მეოცე საუკუნეში ორი მსოფლიო ომი გამოიარა. მილიონი ადამიანი შეეწირა მსხვერპლად განსხვავებულ აზრებს. ძნელია, ერთი

ოჯახი მაინც იპოვოთ ევროპაში, რომელსაც ომებთან რაიმე არ აკავშირებდეს, ან რამე ტანჯვა არ ჰქონდეს გამოვლილი მეოცე საუკუნეში. ამიტომ ყველა ისტორია, რომელიც გვინდა, რომ კაცობრიობას გავუზიაროთ, არის უიბლო ან დახოცილი ადამიანების ისტორია. ამერიკული ფილმები კი არის გამარჯვებული ადამიანების, გამარჯვებული გმირების ფილმები. მიუხედავად იმისა, რომ გმირები შეიძლება სულ დაიხოცონ, ისინი მაინც გმირები არიან. ამერიკული კინო გა-

მომდევნო თეზაა. კინო განუწყვეტლივ გვაწვდის კონკრეტულ და გასაგებ იმიჯს. ეს სულ სხვა ენაა, რომელსაც მეტი ძალაუფლება აქვს მაყურებელზე; მანიპულირების მეტი საშუალება აქვს და გაცილებით „საშიში სათამაშოც“ არის. განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობისათვის. გარდა ამისა, საბომ ისაუბრა „კონკრეტიკაზე“ (კადრი), როგორც მანიპულაციის საშუალებაზე და კონკრეტიკაზე, როგორც განზოგადების საშუალების შექმნაზე“.

რეჟისორმა კადრისა და სიტყვის მა-

თავად სურს ეს. ამიტომ ფილმის ყურებისას თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მაყურებელი „რეალობას ეჯახება“; მაგრამ თუ შეჯახების მომენტს გადალახავს, მაშინ ადვილად შეუძლია კარგი მაყურებელი გახდეს“.

მასტერკლასის დასასრულს, რეჟისორმა ასევე ისაუბრა კინოს გადალების უმთავრეს ტექნიკურ მხარეებზე; სცენარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე; თეატრისა და კინოს მსახიობებს შორის განსხვავებაზე. დიდი უნგრელი რეჟისორის სამსაა-



მარჯვებული ადამიანის რეპრეზენტაციას ახერხებს. ახალგაზრდა მაყურებელს კი ურჩევნია გამარჯვებულის მხარეს იდგეს. აღმართ ამიტომაც დაივინეს ახალგაზრდებმა ევროპული კინოს სახეები“.

შემდეგ მან ლიტერატურის სპეციალიკაზეც ისაუბრა: „ლიტერატურა უფრო მეტ საშუალებას აძლევს მკითხველს თავისი წარმოსახვა და ფარგლებია უკეთესად აამუშავოს და გმირის შექმნის პროცესს. კინოში კი სულ სხვა რამ ხდება. ის აპსოლუტურად განსხვავდება თეატრალური შესტრის ან ტექსტში სიტყვის მნიშვნელობისა და მაგიურობისგან.“

კინოს ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა, რომ არ ითვალისწინებს ჩვენს განწყობას და კონკრეტულ რეალობას გვთავაზობს, რომელსაც ვერ გაექცევთ. რთულია ითამაშო ამ რეალობით; ის მხოლოდ მაშინ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, როცა

თიანი „დეკემბრის თეზისები“ ამით დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა მართლაც დაუვინარი საჩუქარი გაუკეთა ახალგაზრდა რეჟისორებს, სცენარისტებს, მსახიობებს, კრიტიკოსებს; ყველას, ვისაც კინო ჯერ კიდევ ხელოვნება ჰგონია.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნის მეორე დღეს იშტგან საბო რესთაველის თეატრში საგასტროლოდ მყოფ მოსკოვის თეატრ *et cetera*-ს მიერ წარმოდგენილ სპექტაკლ „ქარიშხალს“ დაესწრო. სპექტაკლის დასასრულს კი შექსპირის უკანასკნელი და ურთულესი პიესის დამდგმელ რეჟისორს, რობერტ სტურუას შეხვდა.

კინო და იმიჯი – ეს რეჟისორის



## „ქარიშხალი“, რომორს ზღაპარი შერიგებაზე

რობერტ სტურუას მორიგი შექსპირული ოპერი ალექსალი კალიაზიძის თანხლებით

ავტორი დავით გურიაშვილი  
ფოტო გია გოგიაშვილი

პოლიტიკურად არცთუ სანდო „პერ-ფორმანსი“ სახელწოდებით „რობერტ სტურუას მეორედ მოსვლა“ დეკემბრის დასაწყისში რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი ნამდვილი პერფორმანსით გაგრძელდა – დიდ სცენაზე ალიარებული ქართველი რეჟისორის მიერ მოსკოვის თეატრ *et cetera*-ში, გასულ წელს დადგმული, შექსპირის „ქარიშხალი“ წარმადგინეს. ნებისმიერი შეხედულებისა და შეფასების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ რუსული დასის მცირე გასტროლი თბილისში თეატრალურ მოვლენად იქცა.

ვერ გეტუვით, თავის დროზე *et cetera*-ს სამხატვრო ხელმძღვანელის, ცნობილი მსახიობის, ალექსანდრ კალიაზინის პროფესიულმა მუდარამ გაჭრა, თუ სახელოვანი პროდიუსერის, დავით სმელიანსკის ფინანსურმა ჯადომ, მაგრამ ფაქტია, რომ საკუთარი „თეატრალური სამეფოდან“ განდევნილმა სტურუამ თავისი შემოქმედებითი ბედი ისევ მოსკოვს და ისევ თეატრ *et cetera*-ს დაუკავშირა.

ჯერ კიდევ 12 წლის წინ, მოსკოვში შექსპირის „ვენეციული ვაჭარ“ დადგა, რომელიც ქართველმა მაყურებელმა 2000 წლის გაზაფხულზე, რუსთაველის თეა-

ტრში იხილა. ასე რომ, 2012 წლის გასტროლი არა მხოლოდ რობერტ სტურუას, არამედ ალექსანდრ კალიაზინის მეორედ მოსვლასაც ჰგავდა.

ორაზროვანი, ერთდროულად ტრაგიკული და ცინიკური პერსონაჟის, მაილოკის მნიშვნელობას (ამ როლს ალექსანდრ კალიაზინი თამაშობდა) სპექტაკლის სახელწოდება – „შაილოვიც“ ადასტურებდა, ხოლო რომანტიკოს, ბრძენ და ოზნავ ცინიკოს ანტონიოს, ირონიით შთაგონებული ალექსანდრ ფილიპენკო უსწორდებოდა.

სტურუას არცთუ პოლიტიკორექტული სპექტაკლი „შაილოვი“, პუტინის ხელისუფლებაში მოსახლესა და კავკასიელი მიგრანტების წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას დაემთხვა. რუსულმა პრესამ ეს თემა რატომლაც მტკივნეულად ალიქვა და სპექტაკლის კონტექსტს მექანიკურად უფრო მიაბა. ნამდვილად ბედის ირონიაა, რომ მოსკოვში კოსმოპოლიტად შერაცხული რეჟისორი, გასულ წელს, მშობლიური თეატრიდან ქარიშხალის ბრალდებით გაათავისუფლეს.

სტურუა ისევ საყვარელ თუ საბედისტერო დრამატურგს, უილიამ შექსპირს ეპავერება. ეს არის დიდი დრამატურგის

რიგით მეცხრამეტე პიესა, რომელსაც სტურუა დგამს და ალბათ, ნაკლებად მოიძებნება თეატრის ისტორიაში რეჟისორი, რომელსაც დიდი ბარდისა და პოეტის ამდენი პიესა ასეთი წარმატებით დაედგას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ლონდონი, მოსკოვი, ათენი, ბუენოს-აირესი, სოფია, ჰელსინკი, თელ-ავივი...

თეატრალური გეოგრაფია მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება!

შექსპირის უკანასკნელ, ყველაზე მოუხელთებელ და მისტიკურ პიესაში მთავარ გმირს, პროსპეროს, ალექსანდრ კალიაზინი თამაშობს. ამაში არის ლოგიკა, მაგრამ – პარადოქსით ნაკვები ირინიაც. ერთი მხრივ, ვის, თუ არა ასეთი მასშტაბისა და დრამატული ტალანტის მსახიობს უნდა ეთამაშა წიგნიერი მაგის, სკეპტიკოსისა და ჯადოსნური წინათვრდნობის უნარით დაჯილდობული პროცეროს როლი.

მაგრამ გარდასული კინემატოგრაფიული და თეატრალური ხატები ჯერ კიდევ დაუვიწყარია. უყურებ ამ მინიერი ვნებებით შეპყრიბილ, სახასიათო და რაბლეზიანური გროტესკით გამორჩეულ მსახიობს და ხან ცნობილი მიუზიკლი



„ჩარლის დეიდა“ გახსენდება და ხანაც, კატა ლეპოლდის ხმა ჩაგესმის ცნობილი მულტფილმიდან: „რებიატა, დავაიტე უიტ დრუჯნო!“

პიესა „ქარიშხალი“, რომელიც ზოგს იმედგაცრუებული, სკეპტიკოსი ადამიანის ანდერძად მიაჩნია და ზოგსაც მხოლოდ პროპეროს წარმოსახვაში გათამშებულ ფანტაზიად, მაყურებლისთვის ერთგვარი ტესტია – შეძლებს თუ არა იმავე „მდინარეში“ მეორედ შესული რეჟისორი პროსპეროდ იქცეს? მოძებნის თუ არა პროსპერო საკუთარ თავში ძალას, რომ სპექტაკლის ფინალში მტრებს მიუტევოს?

პიესაში მილანიდან განდევნილი პროსპერო საკუთარ ქალიშვილთან, მირანდას-თან ერთად (ამ როლს სპექტაკლში ოლგა კოტელნიკოვა თამაშობს) უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდება. გადის 15 წელინადი და ბედისწერა თუ ქარიშხლის სტიქია მის მტრებს, ყველას ერთად, კუნძულზე გამორიყავს. თითქოს ყველაფერი ისე ხდება როგორც პროსპეროს სურდა. მაგრამ ყოფილი თუ დღევანდელი მტრები ვერაფერს მიხვდნენ; ბოლიში არ მოიხადეს, არ მოინანეს. და თუ სულის სიღრმეში რაიმე მაინც იგრძნეს, მხოლოდ სიკვდილის შიშით და არა წარსულის ეგზისტენციალური გააზრებით.

ქათქათა სცენურ სივრცეს (რომელიც ალბათ, გაგასენებთ კადრებს სახელოვანი ფილმიდან „ექიმ კალიგარის კბინები“) და მასში მოქცეულ პერსონაჟებსაც,

სახელოვანი რეჟისორის, რობერტ ვილსონის „ეკოლოგიური თეატრის“ სურნელი ასდის. თუმცა მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილის ნამუშევარი ორიგინალური და შთამბეჭდავად ხარისხიანია, ხოლო გამოყენებული ტექნოლოგიები სანიმუშოდ დახვეწილი.

გია ყანჩელის მუსიკა პროსპეროს კოსმიურ და არიელის მინიმალისტურ თემებს შორის ვიბრირებს (როგორც წესი, ამ როლს კაცები თამაშობენ, სტურუა კი არჩევანს ნატალია ბლაგიზზე აჩერებს, რომელიც უსქესო და უხორცო არსებას თამაშობს). ამავე დროს, ფაქიზი სმენა არ დაგჭირდებათ, რომ სპექტაკლიდან „რიჩარდ მესამე“ რეგტაიმი ამოიცნოთ. ეს თემა ლამის ფელინის „სევდიან კლოუნებად“ ქეცულ პერსონაჟებს, სტეფანოსა და ტრინკულოს (ალექსეი რიბოვი და ანდრეი კონდაკოვი) რითმასავით გასდევს.

სტერილურ სითეთრეში ჩაკარგული ადამიანები და საგნები (ორიოდე სკამი, წიგნები და მინის ჭურჭელი, რომელიც პროსპეროს ალექიმიასთან კავშირზე უნდა მიანიშნებდეს) რაღაც უხილავ, მაგრამ ძალიან მცრდნობიარე სევდას გამოსცემს. მიტევების სურვილი და პროსპეროს სევდა სპექტაკლის ძირითადი კამერტონია. ის ფინალის მოახლოებასთან ერთად მძაფრდება და ყლერს როგორც პროსპეროს მიერ „დაწერილი“ და არიელის „დირიჟორი რობით“ შესრულებული რისხების მესა.

რაღაც მომენტში შეიძლება იფიქროთ, რომ ყველაფერი, რაც სცენაზე თამაშდება, ბავშვობაში გადავარდნილი, დაუძლურებული და პესიმისტი პროსპეროს ფსიქიური ტრაგეზის შედეგია. მისი მოგონებები, ხილვები, დამსხვრეული ოცნებები, მარტომბა, დაგროვილი წყენა, რომელიც ვერაფრით წელდება – ვერც ნაჭრის თოჯინების სათამაშო „ჩამოხრიბით“ და ვერც მტრების კისერზე ჩამოცმული ყულფით, რომელიც, მოგვიანებით, კედლებზე ავბედით ჩრდილებად აირეკლება; იმიტომ, რომ შურისძიება იმთავითვე გამორიცხავს შვებას, და რაც დიდი ხნის განმავლობაში საოცენებო იყო – უზურპატორი მილანის ჰერცოგისა თუ გამყიდველი ნეაპოლის მეფის დასჯა, შემდეგ მუდმივად იქცევა სინდასის ქენჯნად და თანამდევ კოშმარად.

ამიტომაა, რომ პროსპეროს მონოლოგი „ჩვენ ნაქანოვი ვართ სიზმრისული ნივთიერებით“, აღიქმება როგორც მორალური და ფილოსოფიური შერიგება სამყაროსთან. თუმცა, იქნებ ეს რეჟისორის მშობლიურ თეატრთან შერიგებასაც ნიშნავს? ისეთი რეჟისორი, როგორც რობერტ სტურუა, შექსპირის ყველაზე მისტიკური პიესის „სიზმრებს“ ტყუილად არ მოქსოვდა. თუმცა ვინ იცის, იქვე, „ქარიშხლის“ მეზობლად, შექსპირის კიდევ ერთი სიმპოლისტური პიესა თვლებმ, რომელსაც „ზამთრის ზღაპარი“ ეწოდება!



„გაიღია“



„ესავითი“

## გორაკებს გამოლაპილის გადასაცემი

თავისუფალი მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი: ზრუნვის არტ-ჰუსისა და საკონცერტო დეპარტამენტის გაკვეთილები

ავტორი ლავით ბუხრიქიძე

„კამერა იმისთვის არსებობს, რომ ახალი ხელოვნება შექმნას და უპირველეს ყოვლისა, ის აჩვენოს, რასაც სხვაგან ვერსად ნახავ – ვერც თეატრში და ვერც ცხოვრებაში. სხვაგვარად ის არ მჭირდება; ფოტოკადრები არ მაინტერესებს, ამ საქმეს ფოტოგრაფებს ვუთმობ“. ლეგენდარული რეჟისორის, მაქს იფულისის ეს სიტყვები შესაძლოა ახლახან დასრულებული თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ორგანიზატორებისა და დირექტორატის – გაგა ჩხეიძისა და ნინო ანჯაფარიძისათვის ინსპირაციის ერთგვარ წყაროდ იქცა.

„ის, რასაც სხვაგან ვერ ნახავ“, ანუ არტ-ჰუსის რამდენიმე კარგი გაკვეთილი, რიგით მეცამეტე, „თარსი“ საერთაშორისო კინოფესტივალის მაყურებლისთვის კარგი გზამკევლევი გახდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სპეციალურ ჩვენებაზე „რუსთაველას“ და „ამირანში“, მისაცა პანეკეს, კრისტიან მუნჯიუს, იშტვან საბო-სა თუ ძმები ტავიანების ფილმებზე

მოსახვედრად კინომანებს შორის ლამის მუჯლუგუნებით ორთაბრძოლა იმართებოდა; არც იმიტომ, რომ კლასიკოსი იშტვან საბო ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტუმარი იყო, რომლის ახალი ფილმითაც კინოფესტივალი გაიხსნა და ალბათ, არც 70 წლის იტალიელი კინოვარსკვლავის, ჯანკარლო ჯანინის სრულიად მარტივი გამოცხადების გამო კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში...

ყველაზე მთავარი, რაც ამ კინოფესტივალზე მოხდა, ეს იყო კარგი კინოთი მართლაც „დამშეულთათვის“ განკუთვნილი 2-ლარიანი ბილეთების (თანაც ნებისმიერ სეანსზე!) შემოღება – ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური აქტი, რამაც ფესტივალისადმი ინტერესი დეკემბრის დღეებში აშკარად გაზარდა. კარგი იქნება, თუ ფესტივალის ორგანიზატორების მიერ შესანიშნავად მოფიქრებულ სვლას, ან პიარ-აქციას მომავალში თავად კინოთეატრებიც გაითვალისწინებენ და „პლასტმასის ფილმებზე“ 10-12 ლარიანი ბილეთების სტრატეგიას გადახედავენ...

ეს, ასე ვთქვათ, ლირიკული ინტერმეცია. რაც შეეხება საკონკურსო ფილმებს, ათი სრულმეტრაჟიანი ფილმიდან, რომლებიც ახალგაზრდა რეჟისორების პირველი ან მეორე ნამუშევარია, განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩემი აზრით, ქალი-რეჟისორები იპყრობენ, ხოლო თავად ფილმებში ყველაზე საინტერესო მთავარი გმირები ასევე ქალები არიან. ეს აშკარად გამოკვეთილი ტენდენციაა და არ გულისხმობს არც სექსიზმის ხაზგასმას და არც გენდერულ პრობლემებში განსაკუთრებულ ჩაღრმავებას.

ყველაზე გამორჩეული ფილმები ახალგაზრდა ქალებმა გადაიღეს – აგსტრიიელმა ანია სოლომონოვიჩმა („ესპანეთი“), ბოსნიელმა აიდა ბეგიჩმა („სარაევოს შვილები“), უკრაინელმა დარია ონიშჩენოვომ („ისტალგია“), რუსუდან ჭყონიაშ („გაიღიმეტ“). არადა, ხუთკაციანმა საერთაშორისო ჟურიმ, რომელსაც სახელოვანი ირანელი რეჟისორი მოპარენდება, უპირატესობა მაინც საავტორო ეგოცენტრული ეს-



„სიყვარული“

თეტიზმით შეპყრობილ მამაკაც-რე-ჟისორებს მიანიჭა.

მთავარი პრიზი – „ოქროს პრომე-თე“, პოლონელ რეჟისორს, სლავო-მირ ფაბიცკის გადაეცა ფილმისათვის „სიყვარული“, ხოლო „ვერცხლის პრომეთე“ საუკეთესო რეჟისურისა-თვის – გიორგი ფარაჯანოვს („ყველა წავიდა“). აიდა ბეგიჩისა და რუსუდან ჭყონისა ფილმები უიურიმ მხოლოდ სპეციალური პრიზების ღირსად ჩა-თვალა.


მართალია, გამარჯვებულებს არ ვასამართლებთ, მაგრამ ფხიზელი მზერით მაინც გავაკრიტიკებთ. ფილმ „სიყვარულის“ მთავარი გმირების, მარიასა და ტომეკის ისტორია თითქოს არაფრით გამოიჩინა. ორივემ ოცდა-ათს გადააბიჯა, პროვინციულ ქალაქში ცხოვრობენ, მუშობენ, უყვართ... მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, მშვიდი ბედნიერების მიღმა საბედისწერო და დრამატული ვნებები თვლემს. ქა-ლაქის მერი მარიას გააუპატიურებს, თუმცა ქალი ქმარს არაფერს ეუბნება და ამ ფაქტის შესახებ არც პოლი-ციაში განაცხადებს. სწორედ აქედან იწყება „წამების წყნარი წარმავალო-ბა“ (როგორც გალაკტიონი იტყოდა). ტომეკი ეჭვიანობას იწყებს და მისი დიდი სიყვარული მაღვევე დიდ სი-ძულვილად იქცევა.

ფილმის კარგად აწყობილ სტრუ-ქტურასა და გამართულ დიალოგებს აშკარად ეხმარება მარტინ დორო-ჩინკისა და იულია კიორგესას კარგი თამაში; ასევე, კანის კინოფესტივალზე (სექციაში „სპეციალური მზერა“) ტესტირებული რეჟისურა. თუმცა ფილმში სხვა განსაკუთრებული არა-ფერია. ფინალში სასიყვარულო ტან-ჯვა პატივით იცვლება, ხოლო ტო-მეებისა და მარიას ჩივილს ნათლობისას, ეკლესიაში ღია კარიდან შემოჭრილი მზის სხივი დაპნათის. დეპრესიით დატვირთული მანძილი სიყვარულის გაკვეთილიდან რწმენით გასხივოსნე-ბულ პატივიკურობამდე სახიფათოდ მორალისტურია, რომელიც მხო-ლოდ ვნებს ფილმს. თუმცა, უიურიმ უსიყვარულობისა და პატივის ამ-ბივალენტური სიახლოევე „სიახლით შთაგონებულ სიცხადედ“ შეაფასა.

არანაკლებ უცანურად აღიქმება თბილისში დაბადებული და მოსკოვ-ში მცხოვრები გიორგი ფარაჯანოვის დაჯილდოება საუკეთესო რეჟისუ-რისათვის. ფილმი „ყველა წავიდა“ ლეგენდარული სერგო ფარაჯანო-ვის მოგონებების ეკრანიზაციაა და უფრო „პოეტური კინოს“ თემებზე სპეციალულიას წააგავს. ძველი თბილი-სის ისტორიები და სახელოვანი რე-ჟისორის ბავშვობისდროინდელი მო-

გონებები ფერადოვან, მსუსე, მაგრამ კლიშეებით სავსე ისტორიებად იკრი-ბება, რომელშიც იმდენად ბევრია გროტესკი, ექსცენტრიკით ზედმეტი გატაცება, თუ მითოლოგიური წარ-მოდგენები (მთავარ როლებში: ლალი ბალურაშვილი, დავით დვალიშვილი, ავთანდილ მახარაძე, ზურა ყიფში-ძე, ნატალია კალიაკანოვა), რომ 120 წუთი აშკარად ზედმეტი და დამდლე-ლია. თუმცა, უიურის წევრებს ასე არ მოეჩენათ.

გამართულად, ზუსტად და ესთე-ტიკურად საინტერესოდ აღიქმება ანია სოლომონოვიჩის „ესპანეთი“, რომლის მთავარი გმირი, მოლდოვი-დან ავსტრიაში ჩასული არალეგალუ-რი ემიგრანტი ესპანეთში გადასვლას გეგმავს (ამ როლს გრეგუარ კოლენი თამაშობს, რომელიც ამავე დროს, წელს, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის უიურის თავმჯდომა-რე იყო). პარალელურად ვეცნობით ასაკოვან აგრესიულ პოლიციელს, წმინდანების ამოქარგვით შთაგონე-ბულ მის ყოფილ ცოლს, აზარტული თამაშებით გატაცებულ კაცსა და ბანკის თანამშრომელთა ისტორიე-ბს. დახვეწილი მონტაჟის წყალობით, სიუჟეტური საზები მთელი ფილმის განმავლობაში ხან ერთდება და ხანაც განცალკევდება.



„ჩაიკა“



„ოჯახისა ლიტერატურა“

რეჟისორმა რუსუდან ჭყონიამ თავის სრულმეტრაჟიან სადებიუტო ფილმში „გაიღიმეთ“ მოახერხა, რომ მძაფრი ირონიით დაწყებული სატელევიზიო კონკურსი – სახელწოდებით „ქართველი დედა“ – ფინალში ლამის სოციალურ ტრაგედიად ექცია. კარგადაა გამოკვეთილი სრულიად განსხვავებული პერსონაჟების ბიოგრაფიები, მათი ხასიათი, დეტალები. იშვიათია, რომ ქართულ ფილმში ერთბაშად ამდენი კარგი კინოროლი ნახოთ: ია სუხიტაშვილი, ნანა შონია, ოლგა ბაბლუანი, თამუნა ბუხნიკაშვილი...

ფილმი, რომლის ნაწილობრივი დაფინანსებაც რეჟისორმა „კინოცენტრისაგან“ საკმაოდ დიდი ხნის „წვალების“ შემდეგ მოიპოვა, ერთგვარი ფემინისტური მანიფესტია, თუმცა თავად რეჟისორი ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს, რომ „ესაა ფილმი ლირსების გრძნობაზე“. სოციალური და ფემინისტური საკითხები მხოლოდ საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების ნაწილია. პირველ რიგში მინდოდა მაყურებლისთვის მეთქვა – რაოდენ ძნელია, დაიცვა საკუთარი ლირსება და როგორი იოლია, აღმოჩნდე მარიონეტი ვილაცის ხელში; რაოდენ რთულია გადაწყვეტილებების მიღება და ნიშნავს თუ არა ნე-

ბისმიერი გზით გამარჯვება ნამდვილ გამარჯვებას“.


ბალკანეთის ომის შემდგომ, სარაევოში მცხოვრები ახალგაზრდა მუსლიმანი ქალის ბედზე მოვითხოობს რეჟისორი აიდა ბეგიჩი, რომელმაც ძალადობის გავლენა თუ „ნარჩენები“ კარგად დაინახა დეტალებში: რესტორანში, სადაც რაპიმა დილიდან დალამებამდე მუშაობს, ძნელად აღსაზღრელი ძმის მეგობრებში, დაუნდობელ სოციალურ გარემოში, კორუფციით მონამლულ ქალაქში, დაუსჯელობით გათამამებულ თანამდებობის პირებში. მოკლედ, იქ, სადაც ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, სინამდვილეში ძალადობა და დეპრესია გამეფებული, რასაც, პირველ რიგში, უთქმელი, დაუცველი ადამიანები ენირებიან.

„სარაევოს შვილების“ ფინალი ნამდვილად უტოპიურია: ახალი წლის დამეს, ფოიერვერკით გაჩირალდნებული ქუჩებისა და ბეთჰოვენის მეუკვეს სიმფონიის ფონზე, რაპიმა და მისი ძმა სადღაც მიიჩქარიან. ალბათ, ახალი ცხოვრებისენ, რომელიც მაყურებელს ახალი განსაცდელი და გამოცდა ჰქონია.

ფილმში „ისტალგია“, რომელიც უფრო სიტყვა „ნოსტალგიის“ ირნიულ გააზრებას ჰგავს, რეჟისო-

რი დარია ონიშჩენკო სამი ქვეყნის (უკრაინის, სერბეთისა და გერმანიის) სოციალურ-კულტურულ კონტექსტს ერთ დამეში მოაქცევს. გერმანიაში ემიგრირებული შუახნის უკრაინელი ქალი და ყოფილი მოკრივე სერბეთიან, ენის ბარიერის გამო, თითქოს იზოლირებულები არიან გერმანული საზოგადოებისგან. მათ სლავური კულტურის გარდა მხოლოდ შვილები აკავშირებთ. ერთი – უკრაინაში ცხოვრობს, მეორე კი – სერბეთში. ფილმი სწორედ შვილების ეგზისტენციალურ არჩევანს აღნერს – დარჩენ სამშობლოში.

მაყურებლის და უიურის მოსაზრება ასევე გაიყო მიგელ ანხელ ხიმენესის ფილმის შეფასებისას. „ჩაიკა“ მედავი ქალისა და მეზღვაურის სიყვარულის ამბავზე მოვითხოობს. შთამბეჭდავ ვიზუალურ სამყაროს (ოპერატორი გომეს ანდრეუ), რომელშიც ციმბირის მარადიული ზამთარი, ყაზახეთის უკაცრიელი ტრამალები და კავკასიური მთები ერთმანეთს საათისა და ორმოცი წუთის განმავლობაში ენაცვლება, სამწუხაროდ, სხვა ვერაფერი ავსებს. ვერც ჩახლართული და ოდნავ სიურრეალისტური სიუჟეტი და ვერც მსახიობთა „ზედმეტი“ თავგანწირვა. უნდა აღინიშნოს, რომ ფილმში ქართველი მსახიობებიც მონაწილეობენ:



„ისალბია“

სალომე დემურია, ციალა გურგენიძე, გიორგი გაბუნია, ბაჩი ლეჟავა.

საკონკურსო პროგრამას მცირე ინტრიგა შემატა შევედეთში მცხოვრები და ქართული წარმოშობის რეჟისორის, ლევან აკინის ფილმში „კატინკას წვეულება“. კატინკა ახალგაზრდა და კრეატიული იდეებით შეპყრობილი ქალია, რომელიც დაბადების დღეს აღნიშნავს. თითქოს ყველაფერი შესანიშნავადაა, ვიდრე წვეულებას დაუპატიჟებელი სტუმარი არ შეემატება – სათამაშო ბიზნესის მფლობელი, ქერათმიანი, ლალი და მსუბუქი ლინდა, რომელიც მაღლე ჯგუფის უხილავ სოციალურ კანონებს არღვევს. ეს კი უკვე კონფლიქტის დასაწყისია. ლევან აკინის ფილმი თითქოს სივრცისა და დროის ერთიანობის კანონს მისდევს და თანამედროვე შევდი ახალგაზრდების ირონით გაჯერებულ პორტრეტს ქმნის.

საკმაოდ დაძაბული საკონკურსო გრაფიკის მიღმა ჭრელი და მრავალ-ფეროვანი ევროპული არტ-ჰაუსი ფხიზლობდა; პირველ რიგში – არტ-ნევროზებითა და კლასიკური მუსიკით, თავისი მრავალმნიშვნელოვნებითა და რეფლექსით, დახვეწილი დიალოგებითა და ლამის უკიდურესი კონსტრუქციით. ალბათ, მიხვდთ, რომ ეს ყველაფერი მიხაელ ჰანეკეს

იგივე სახელწოდების ფილმს, „სიყვარულს“ ეხება; ფილმს, რომელიც 2012 წლის კინოფესტივალების ტრიუმფატორი გახდა.

პრინციპში, სახელოვანი ავსტრიელი რეჟისორი ახალს არაფერს გვთავაზობს; განსაკუთრებით, ფორმის თვალსაზრისით. შუბერტის „ექს-პრომტი“ ისევ უდერს, როგორც დახვეწილი, მაგრამ დამცინავი ფსიქოანალიტიური პასაჟი. მოხუცებული, ინტელიგენტი ცოლ-ქმრის (მთავარ როლებში უან-ლუ) ტრენტინიანი და ემანუელ რივა) ნატიფ მსხვილ ხედებს ესთეტიური და ფიზიკური ავადმყოფობის დაღი ისევ აზის...და ახალ ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ისევ იზაბელ იუპერი თამაშობს.

ის, რომ ჰანეკემ ფილმი სიყვარულსა და ჭარბ სენტიმენტებზე გადაიღო, სულაც არ ნიშნავს, რომ მასში მთავარი სწორედ სიყვარულია. პირიქით, ეს არის ფილმი სხეულის, როგორც „მეხსიერების“ კვდომაზე და ამ ურთულესი ამოცანის შესრულებში რეჟისორს 80 წელს გადაცილებული ევროპული კინოს ვარსკვლავები ეხმარებიან. ერთი რამ მართლაც საოცარია, როგორ მოახერხა რეჟისორმა დაეყოლებინა მსახიობები, რომლებიც კარგა ხანია უარს ამბობენ კინში გადადებაზე. სხვათა შორის,

ერთმა „კარგად“ გათვითცნობიერებულმა შურნალისტმა ფილმის შემდეგ იკითხა – ემანუელ რივა, ალენ რენეს „ჰიროსიმას“ შემდეგ სადმე თამაშობდა?...

არტ-ჰაუსით „მოჯადოებულებს“ კიდევ ერთი საფესტივალი პრიზიორის, წლევანდელ ბერლინალეზე, „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოებული გერმანელი რეჟისორის, კრისტიან ჰეცოლდის „ბარბარაც“ მოეწონათ. ფილმი დეტალების ზუსტი ცოდნით, 80-იანი წლების აღმოსავლეთ გერმანიის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების აღნერითა და კარგი სცენარით გამოირჩევა.

ახალგაზრდა ექიმი, ბარბარა, პოლიტიკური მოტივებით ბერლინიდან გამოაძევეს და იძულებულია, პროვინციულ ქალაქში სამუშაოდ გადავიდეს. აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკურ სისტემას, ის, არა ღია ბრძოლას, არამედ უხმაურო პროტესტს უცხდებს. ამავე დროს, ბარბარას აჩრდილებივით დასდევენ აღმოსავლეთ გერმანიის უშიშროების, „შტაზის“ სამსახურის ნევრები, თუმცა, ახალგაზრდა ექიმი ქალი გაქნილი შპიონივით მოუხელებელია. ფინალში ძლიერ მოგროვილ დასავლურ გერმანულ მარკებს საკუთარ პაციენტს, ძნელად აღსაზრდელ გოგონას აძლევს და დასავლეთში



„ბორავებს მიღება“

გაქცევაში ეხმარება. თავად კი პრო-ვინციულ კლინიკაში რჩება. აღსანიშნავია, რომ ფილმში მთავარ როლს გერმანული კინოსა და თეატრის ვარსკელავი, ნინა ჰოსი ასრულებს.

და მაინც, არასაკონურსო პროგრამის, ისევე, როგორც მთელი ფესტივალის უმთავრეს მოვლენად, ჩემი აზრით, აღიარებული ახალგაზრდა რუმინელი რეჟისორის, კრისტიან მუნჯიუს ფილმი „გორაკებს მიღმა“ იქცა. ფილმი, რომელმაც წელს კანის ფესტივალი სანახევროდ მაინც დაისყრო. „ეს არის ფილმი სიყვარულსა და თავისუფალ არჩევანზე. სამყაროს დიდი შეცდომების უმეტესობა რწმენის სახელით არის დამვებული და იმის დამტკიცებით, რომ სურვილი კეთილი იყო“, – წერდა ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი. მართლაც, ფილმში ტრაგედიის მთავარ მიზეზად სწორედ ბრმა რწმენა იქცევა.

ყოფილი მეგობრების – გერმანიდან რუმინეთში დაბრუნებული ალინასა და ეკლესიაში, მონაცენად ალკეცილი ვოინიტას ისტორია არა მხოლოდ მათი სხვულების, გრძელისა და სულის მუდმივ დაძაბულობასა თუ ჭიდობზე გვამცნობს. გოგონე-

ბი თვრამეტი წლის ასაკში იბოლთა თავშესაფრიდან გარიცხეს. ვოინიტა მონასტერში გაგზავნეს, ხოლო შეუპოვარი ხასიათის მქონე ალინამ გერმანიში გაქცევა მოახერხა.

დრამა სწორედ ისაა, რომ მორჩილმა და თავმდაბალმა ვოინიტამ მართლაც იპოვა სიმშვიდე თავისი პრიმიტიული რწმენით. დაივიწყა სიყვარული, რომელიც მას ალინასთან აკავშირებდა. ამასობაში, შეუპოვარი „სულიერი მამა“ – მონასტრის ნინამძღვარი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ალინა ეშმაკითაა შეპყრობილი და მისი სულის ხსნაზე უნდა იზრუნოს. მას მხედველობიდან გამორჩება ალინას სხეული, რომელსაც მონაცენები „მკურნალობის მიზნით“ ჯვარზე აცვამენ.

პირველი და ყველაზე დიდი სურვილი, რაც ამ 150-წელიანი ფილმის ნახვის შემდეგ გიჩნდებათ, ის არის, რომ რაც შეიძლება მალე აჩვენონ მთელ საქართველოში. და თუნდაც მხოლოდ ამ ესთეტიკური და სოციალური შოკისთვის ღირდა თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალის ჩატარება. ბირცვებს გამოდმა, ანუ საქართველოში ხომ ჯერ კიდევ უამრავი „ცოდვაა“ დაუთვლელი.

### თაგლისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალის შედეგები

#### საერთაშორისო კონკურსი

„ოქროს პრომეთე“ საუკეთესო ფილმისთვის – სლავომირ ფაბიცი, „სიყვარული“.

„ცერცხლის პრომეთე“ საუკეთესო რეჟისურისთვის – გოორგი ფარაჯანოვი, „ყველა წავიდა“.

უიურის სპეციალური აღნიშვნა – აიდა ბეგჩი, „სარაევოს შევლები“ და რუსულან ჭყონია, „გაილიმეთ“.

#### მოკლემეტრაჟის მხატვრული ფილმების კონკურსი

სერგო ფარაჯანოვის სახელობის პრიზი – ტატრ კოტეტიშვილი, „საზამთრო“.

უიურის სპეციალური აღნიშვნა – გაბრიელ რაზმაძე, „შავი თუთა“.

#### ქართული პანორამა

საუკეთესო ქართული ფილმი – თინათინ გურჩიანი, „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრიბს“.

უიურის სპეციალური აღნიშვნა – გოგა ხაინდრავა, „დემოკრატიის შუქურა“, ვახტანგ ჯაჯანიძე „ორშაბათიდან ორშაბათამდე“ და ზურა მენთუშაშვილი, „გამომგონებელი კაცი“.

# ԱՅԵՎ ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

ԿՐՈՆԱԿԱՐԱՔ



Թագուցիչ ՌԱՄԻԿ ՀԱՅՐԱԿԱՆ  
ՈՅ ՏԵՐ ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



## PRIMUS INTER PARES

თამარ ალავიძე

„ბალენსიაგას ფერთა საუკეთესო აღქმა აქვს – მისი *tete de negre, café au lait*, იასამნისფერი, მეწამულისფერი, მოვარდისფრო-იისფერი. ყოველ ზაფხულს საუსკემპტონში მისი ოთხი სხვადასხვა ფერის მაღალყელიანი სვიტერი და ოთხი პულოვერი მიმქონდა. ერთხელაც, ბერიცში გავემგზავრე. ბარგში ზუსტად იგივე ოთხი სვიტერი და პულოვერი ჩავალაგე. იქ ჩასულმა აღმოგაჩინე, რომ ეს სამოსი იქმდე არასდროს მენახა! ყველაფერი სინათლის ბრალი იყო, რასაკვირველია – ინტენსიურობის მიმცემი ბასკეთის სინათლის. ასეთი დღის შუქი არასდროს მენახა. ეს ბალენსიაგას მიწა იყო“, – ამონარიდი დაიანა ვრილანდის 2011 წლით დათარიღებული ავტობიოგრაფიული წიგნიდან „D.V.“

ბალენსიაგა ვრილანდისთვის უალტერნატივი არჩევანი იყო. მას სჯეროდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო კაბებს მხოლოდ კრისტობალ ბალენსიაგა ქმნიდა და თუ შენ სწორედ მისი კაბა გეცმებოდა, ოთახში შენს მეტი ქალი არ იარსებოდა. ვრილანდს თანამო-

აზრები მაღალი მოდის ყველაზე მაღალ ეშელონებშიც ჰყავდა: ესპანელი დიდოსტატის ხელობისადმი გულგრილი პარიზული მოდის ყველაზე ამბიციური და სწობი შემოქმედებიც კი ვერ რჩებოდნენ. კრისტიან დიორს ერთხელ უთქვამს: „მაღალი მოდა ორკესტრივითაა, სადაც დირიჟორი კრისტობალ ბალენსიაგაა. დანარჩენი დიზაინერები უბრალოდ მუსიკები ვართ და მის ნაკარნახევს მივსდევთ“.

ბალენსიაგას სახლის ახალ მფლობელებს წლების განმავლობაში შეუძლებლად მიაჩინდათ ლეგნდარული შემოქმედის შემცვლელის პოვნა. 1987 წელს სახლის ახალმა დიზაინერმა მიშეღ გომამ ფრანგული სახლი მოდის მოყვარულებისთვის შედარებით ხელმისაწვდომი გახადა პრეტ-ა-პორტეს ხაზის მეშვეობით. ხუთი წლის შემდეგ დანიშნული ახალი დიზაინერის, ჯოზეფ მელქიო თიმისტერის წყალბით კი, კოლექციები ისევ ელიტური გახდა და მაღალი მოდის სურნელით გაიყდნითა. 1997 წლიდან კი უკვე ნიკოლა გესკიე ჩაუდგა სახლს სათავეში და არაერთი

წელი დასჭირდა საიმისოდ, რომ სახლის ტრადიციების „პატივისმცმელი“ დიზაინერის სახელი დაემკვიდრებინა. ამაში კი გესკიეს ბალენსიაგას არქივში ჩასვლა და მისი მემკვიდრეობის ზედმინევნით შესწავლა დაეხმარა.

თხუთმეტწლიანი მოდვანეობის შემდეგ, გესკიემ ბალენსიაგას სახლი დატოვა, მის ნაცვლად კი, ხანგრძლივი სპექულაციების შემდეგ, 28 წლის ამერიკელი დიზაინერი ალექსანდრ ვანგი დაამტკიცეს. თავის დროზე, ვანგმა მოდის მესვეურების და ამერიკელი ფეშნისტების გული იმით მოივო, რომ სპორტული სამოსი პანკური ელემენტებით და ქუჩის ინსპირაციებით „გააფერადა“ და ახალგაზრდა გოგონებს თანამედროვე და ულტრამოდური სამოსი შესთავაზა.

გაამართლებს ვანგი ბალენსიაგაში?! არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია, რომ მოდის ლეგენდარული არქიტექტორის მიერ შექმნილი სამოსი ყოველთვის იქნება საუკეთესო სახელმძღვანელო თაობების აღსაზრდელად.



[www.facebook.com/GadatsemaWeekend](http://www.facebook.com/GadatsemaWeekend)

გადაცემა „უკენდო“ ერთგვარი ინფორმაციული გზამკელევია მათთვის,  
ერთგვარი მოწყვეტილი გზამკელევია მათთვის.

გადაცემა ცხოვრების სტილზეა, რომელიც ნებისმიერისთვის მუდმივი ფიქრის საგანია.  
განსაკუთრებით ეს საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთაც ოჯახის და კარიერის  
სტრუსულ რეჟიმში შეთავსება უნდევთ.

„უკენდო“ მოიცავს ცალკეულ რუბრიკებს, რომლებიც მსმენელს კონკრეტული ტემის  
ინფორმაციას ანვდის: სილაბაზისა და თავის მოვლის სფერო, მოდის ისტორია,  
ონლაინ შოპინგი და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: პარასკევი 12:00  
განმეორებით: შაბათი 11:00, კვირა 14:00



ავტორი და ნამუკანი - თამარ ალავიძე  
დაამთავრა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის  
ფარულტეტი და ენერგეტიკულ  
საქმიანობას.  
2011 წლიდან იყო უკინაძე „ლიბერალისა“  
და „ცხელი მოკოლადის“ ბლოგერი მოდის  
და ცხოვრების სტილის თემებზე.  
ამჟამად - უკინაძე „ცხელი მოკოლადის“  
სტილის რეპრეზენტორი.



მაცხ  
შოკოლადი  
**98.5 FM**

► 2 985 985  
● [radioshokoladi.ge](http://radioshokoladi.ge)  
■ [radio.shokoladi.ge](http://radio.shokoladi.ge)

ՅՈՒՆԻՍ ՌԵԴԿՐՈՒՏ



# ივ სენ ლორანი პრეტ-ა-პორტეს ირჩევა

ავტორი კლოდ ბერტო

ფრანგულიდან თარგმანი ელენე ხარაზაშვილია

პირველად გამოქვეყნდა ELLE-ს ფრანგული გამოცხადის 1971 წლის ივნისის ნომერში

ივ სენ ლორანმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მაღალი მოდიდან მიდის და ამიერიდან მხოლოდ პრეტ-ა-პორტეზე იმუშავებს.

გრძელი თმა, ფერადი პერანგები, მძაფრი ვნებანი, სიმორცხვე, რომელიც სინამდვილეში, გინვევს და აღგაგზნებს – ეს ყველაფერი ივ სენ ლორანის შემოქმედების მახასიათუბლებია, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მაღალი მოდის დიზაინერმა პრეტ-ა-პორტეზე გადასვლით, ფრიად იმპულსური, გაუაზრებელი არჩევანი გააკეთა. თუმცა, არც ასეა საქმე. მოდის ჯადოქარი, რომელიც 21 წლის იყო კრისტიან დიონი რომ ჩანაცვლა, უკვე 35 წლისა საკმაოდ წარმატებული და გამოცდილი დიზაინერია.

35 წლი კი განქორწინების, განვლილი ცხოვრების შეჯამების ასაკია; ასაკი, როდესაც ცხოვრებას თავიდან იწყებენ. ივ სენ ლორანმა მომავლის შეცვლა გადაწყვიტა.

## რატომ?

იმიტომ, რომ უბედური ვარ. უბრალიდ, არ შემიძლია ასე გაგრძელება, მუდმივად გაორებას ვგრძნობ იმას შორის, რისი კეთებაც მინდა და რაც უნდა ვაკეთო. როდესაც მაღალი მოდისთვის შევქმნი ის, რაც მომწონდა – ჩემი პირველი სმოკინგები, 1945 წლის კაბები და ა.შ. – ეს ყველაფერი სრული ფინანსური მარცხით დასრულდა. როდესაც ეგრეთ წოდებული „კომერციული“ მოდელების ჩვენება მოვაწყვე, ურნალისტები მეტ-ნაკლე-

ბად თავაზიანად ამთქნარებდნენ. დავიღალე მოწყენილი პრესის ყურებით. სწორედ ამიტომ უარ ვამპობ, არასასურველი და დამთრგუნველი ტანსაცმელი თავს მოვახეო ასაკოვან ქალბატონებს. ჩემს სამიზნე აუდიტორიას დღეიდან ახალგაზრდა, საქმიანი ქალები წარმოადგენენ. ვიცი, რომ ჩემი სამოსის ფასები ბევრი მათგანისათვის არ არის ხელმისაწვდომი. პრობლემა კი ისაა, რომ ვერაფრით ვხვდები, როგორ შეიძლება 700 ფრანკად შეფასებული ქურთუკის ფასი 300 ფრანკზე დავიყვანო და არა ის, თუ როგორ შეიძლება შევქმნა 7000-ფრანკიანი კაბა.

**ამ ყველაფრის ფონზე, რატომ არ ხურავთ თქვენი მოდის სახლს?**

მორალურად არ მაქვს ამის უფლება. ასე ხომ 150 ადამიანს სამსახურის გარეშე დავტოვებ. განსაკუთრებულ კლიენტებთან ჩემი თანამშრომლობის შესანარჩუნებლად ვურთიერთობ და – არა პირიქით. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ მაღალი მოდა ახალ ტენდენციებს დაამკვიდრებს: ეს არ მოხდება არც მოდის მუშაკების და არც კლიენტების მხრიდან. ეს ყველაფერი შეიძლება მხოლოდ 5 ან 10 წელიწადს გაგრძელდეს.

**ცოტათი მელანქოლიური ხომ არ არის ამ ყველაფრის საკუთარი ხელით განადგურება?**

პირიქით, საკმაოდ ამაღლევებულია იმ თაობას მიეკუთვნებოდე, რომელიც განწირულია, ყველაფერი კი-

თხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. საჭიროა ყველაფრის ნულიდან დაწყება.

**ტანსაცმლისა და ქალების თავიდან შექმნის სურვილიც ხომ არ გაქვთ?**

როგორც შემოქმედი, არასდროს გყოფილვარ „კოსმიური“ ტანსაცმლის და ნახვრეტებიანი კაბების შექმნის ინიციატორი. მით უმეტეს, როდესაც ტანსაცმელი უკვე შექმნილია, მათი სეზონიდან სეზონამდე შეცვლის საჭიროებასაც ვერ ვხედავ. ლურჯი ჯინსი არაფრით ჩამოუვარდება მეზღვაურის ქურთუკს (Peacock), თრენჩი კა – სმოკინგს.

პრეტ-ა-პორტესა და მაღალ მოდაში ერთი და იგივე სტილს დაგამკვიდრებდი. რაც უფრო სადაა სამოსი, მით უფრო უნაკლოა. ამიტომაც, მის გასამდიდრებლად ღილებსა და პლისებს არ დავამატებდი.

**გინდათ თქვათ, რომ 4000-ფრანკიანი მეზღვაურის ქურთუკი 400-ფრანკიან ქურთუკსა არაფრით სჯობს?**

საერთოდ არაფრით. განსხვავება მხოლოდ ქსოვილი და ფასია. სწორედ ამიტომ, სრულიად უგუნურად მეჩვენება საწიმარის, ბლეიზერების, შარვლის და ნებისმიერი ყოველდღიური ტანსაცმლის მაღალი მოდისთვის შექმნილ ხაზში შეძენა.

**არ თვლით, რომ არანაკლები სისულეება, იყიდოთ მუსლინის კაბა და მასში უფრო მეტი გადაიხადოთ, ვიდრე ფოლკსვაგენში?**

ეს სულ სხვა რამეა. ამხელა თანხის ნებისმიერ სხვა რამეში გადახდა ამო-რალური და ანაქრონულიც კია, მა-გრამ არა ამ კაბებისთვის. მუსლინის კაბები განსაკუთრებულად როული შესაქმნელია. ყოველივე ამის პრეტ-ა-პორტეში განხორციელება შეუძლებელია. ის ქალები, რომლებიც ამ კაბებს უკვეთავენ, უნებლიერ მეცნატები ხდებიან. როდესაც მაღალი მოდა აღარ იარსებებს, ეს იქნება ხელით ნაკეთი ნამუშევრების დასასრული.

### რატომ აღარ აქვს გავლენა მაღალ მოდას ქუჩაზე?

მაღალი მოდის ფასები იმ ქალებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა მიბაძვის სურვილი არავის უჩნდება, მათ ქალიშვილებსაც კი.

**შველებური კაბების და საკარნა-ვალო სამოსის დახმარებით, თანა-მედროვე გოგონების უმრავლესობა ცდილობს, საკუთარი ინდივიდუალური სტილი შექმნას, რის შესაძლებლობასაც პრეტ-ა-პორტე არ იძლევა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი ნოსტალგია და ანაქრონიზმია?**

არა, რადგან ისინი ამ ყველაფრით ერთობიან. ამ ტიპის ტანსაცმლის ძებნა უკვე თამაშია, საკარნავალოდ გამოწყობა კი სხვა ტიპის გართობაა. თუმცა ყველა კოსტიუმი სხვადასხვა ისტორიას გვიყვება. სამხედრო სამოსის მიღმა, სადა, სოლიდური და რაციონალური ტანსაცმლის ტარების სურვილი იმაღება. გრძელი კაბები, 1945 წლის კაბები, პლატფორმიანი ფეხსაცმელი და მუნჯი კინოს მაკიაჟი კი, ავანტიურის სურვილზე მიანიშნება. ერთგულების, თავისუფლების, თავდაჯერებულობის და რისკების საჭიროება – ეს ყველაფრი მუდმივი კამათის თემაა.

თითოეულ ჩენგანში მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს: ჯერსი და ტაფეტა, ნაქსოვი ქუდი და ტურბანები, კაბები და შარვლები – სამოსის ყველა ეს ტიპი კი ამ დაპირისპირების გამოვლინებაა.

**თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოდა?**

ორი განსხვავებული მიმართულების თანაარსებობით. ერთი მხრივ, ყოველდღიური, სრულიად ასექსუალური ტიპის სამოსი აქტიური ცხოვრებისთვის: სვიტერები, შარვლები, თრენჩები, „საჰარინენები“ და პერანგის ტიპის კაბები ქალებისთვის. მეორე მხრივ კი, საღამოს სექსუალური სამოსი – ეფემერული და მოულოდნელი.

**როდესას მაღალი მოდისთვის შევხერი ის, რაც მომზოდა – ჩემი პირველი სერკინგები, 1945 წლის ქაბები და ა.შ. – ეს ყველაფრი სრული ფინანსური მარსებით დარღვეული და ეგირფასი ქვებით დავინტერესდები, მაშინ სასცენო კოსტიუმებზე დავიწყებ მუშაობას: ძალიან მიყვარს თეატრი, კინო, მიუზიკები, აღლუმები... და მაინც, ჩემთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წელინადში ოთხი კოლექციის შექმნის ვალდებულება წარმოადგენს. ახლა კი ჩემი ტანჯვა ორად გადანაწილდება. ჩემი ნამუშევრები იდეების და ესკიზების დონეზე არ იქმნება. მე მათ ყველთვის ტკილის განცდით ვემნი. როდესაც ვხედავ ქსოვილის პატარა ნაჭერს, რომელიც უნდა გავაცოცხლო და ამისთვის მხოლოდ მაკრატელი და ნემსები მაქს, სხვა ყველაფერი უფერული, აბსურდული და მევდარი მეჩვენება. ზოგჯერ ისეთი მომენტებიც დგება, როდესაც სურვილი მიჩნდება, ყველაფერი გავანადგურო, რაც აქამდე მიკეთებია, გავიქცე საღმე უკაცრიელ კუნძულზე, ვიცხოვრო სამოსის გარეშე და დავივიწყო სიტყვები: ხავერდი, კრეპი, რატინი და მათ შორის, ყველაზე საშინელი სიტყვა: კოლექცია.**

თებზე, პულოვერებზე, ქსოვილებზე. ჩემთვის ეს ყველაფერი უკვე შესრულებული და გაკეთებულია, ამიტომ არც თვითმაყოფილების განცდა და არც გამოუცდელობის შეგრძნება მაქს. ეს ძალიან ტიპურია მაღალი მოდის დიზაინერისთვის.

**ხომ არ იქნება თქვენთვის დაბრკოლება ის ფაქტი, რომ კოლექციის შექმნისას თვითლირებულებისა და სერიულად წარმოების ფასების გათვალისწინება მუდმივად მოგონევთ?**

არც სახელოსნოში მუშაობა და არც 300 ფრანგის ლირებულების ქსოვილი არ მჭირდება იმისთვის, რომ რამე ღირებული შევქმნა. არ მიყვარს არაფერი, რაც ხელოვნურია. მძულს ყველაფერი მდიდრული. თუ შემთხვევით ბეწვეულითა და ძვირფასი ქვებით დავინტერესდები, მაშინ სასცენო კოსტიუმებზე დავიწყებ მუშაობას: ძალიან მიყვარს თეატრი, კინო, მიუზიკები, აღლუმები... და მაინც, ჩემთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წელინადში ოთხი კოლექციის შექმნის ვალდებულება წარმოადგენს. ახლა კი ჩემი ტანჯვა ორად გადანაწილდება. ჩემი ნამუშევრები იდეების და ესკიზების დონეზე არ იქმნება. მე მათ ყველთვის ტკილის განცდით ვემნი. როდესაც ვხედავ ქსოვილის პატარა ნაჭერს, რომელიც უნდა გავაცოცხლო და ამისთვის მხოლოდ მაკრატელი და ნემსები მაქს, სხვა ყველაფერი უფერული, აბსურდული და მევდარი მეჩვენება. ზოგჯერ ისეთი მომენტებიც დგება, როდესაც სურვილი მიჩნდება, ყველაფერი გავანადგურო, რაც აქამდე მიკეთებია, გავიქცე საღმე უკაცრიელ კუნძულზე, ვიცხოვრო სამოსის გარეშე და დავივიწყო სიტყვები: ხავერდი, კრეპი, რატინი და მათ შორის, ყველაზე საშინელი სიტყვა: კოლექცია.

### უნგარი:

**„მი არაფირს ვსვლი“**

ივ სენ ლორანის გადაწყვეტილებამ ძილიერ დამანალვლიანა. ამ ადამიანს ძალიან დიდ პატივს უცემ. მე ვრჩები იმ აზრზე, რომ მაღალი მოდა ეს არის თვითგამოხატვის პრივილეგირებული




საშუალება. შემოქმედისთვის კი, ეს სრული თავისუფლებაა. თავისუფლება, რომლისთვისაც ძვირი გადავიხადე და რომელზეც უარს ჩემი ნებით არასდროს ვიტყვი. რასაკეირველია, პრეტ-ა-პორტე ეს მომავალია, თუმცა მაღალი მოდა ჯერ კიდევ არ არის წარსული. ის, აქტუალურ ფერმენად რჩება. უარი თქვა მაღალი მოდის შექმნაზე მხოლოდ მიმტომ, რომ ეს სამოსი აბსურდულად ძვირია, იგივეა, რომ უარი განაცხადო ხატვაზე, რადგან ნამუშევრების შექნა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. სამყარო სავსეა მშვენიერებებით, რომელსაც ჩვენ ვერასდროს შევწვდებით, თუმცა, მათი არსებობა მნიშვნელოვანია.

### პირ კარლენი:

**„მე ვცვლი თარიღებს და არ მრნამსას“**

ამიერიდან ჩემს კოლექციებს მხოლოდ ოქტომბერსა და აპრილში წარვადგენ – ზუსტად პრეტ-ა-პორტეს ჩვენების თარიღებში. თუმცა, ეს ყოველთვის მაღალი მოდის კოლექციები იქნება. ჩემთვის რაიმეს შექმნა მაღალი მოდის განუყოფელი ნაწილია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს სხვა რამემ ჩანაცვლოს. სწორედ აქ არიან ნამდვილი შემოქმედები – ისინი, ვინც მენარმეებს იდეებს აწვდიან. სწორედ მათი დახმარებით იმოსებიან ქალები, რომელთაც მატერიალური შესაძლე-

ბლობები აქვთ. ყველაფრის გათანასწორებით და ჩარჩოში მოქცევით, ხელს შევუწყობთ იმ ტიპის საზოგადოების შექმნას, რომელიც მოწყენილობით განადგურდება. საფლავიც საკმარისია იმისთვის, რომ ყველანი გავთანასწორდეთ. ცხოვრება – ეს არის არჩევანი, თავისუფლება, განსხვავება. მიზეზი, რომ სვიტერი და ჯინსი რაციონალური სამოსია და თანასწორობის დამყარების მიზნით გამოეყო მაღალ მოდას – მიმართულებას, რომელიც ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს ქმნის – სრულიად გაუგებარია. ხელოვნება და სილამაზე ყველა დროის გარდაუვალ ნაწილად დარჩება.



## ნიკოლა გასკი



„ეს იდეა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამიჩნდა: მინდოდა, კორპორატიული და საქმიანი სამოსი შემცირდა. ამ თემაზე ჩემებური ინტერპრეტაციის გაკეთება ჩავიფიქრე, ეს ერთგვარი თამაში უნდა ყოფილიყო. წარმოვიდგინე კორპორაცია Balenciaga Inc. და წარმოსახვში დაჭატე ყველა ის სამოსი, რომელსაც ამ კორპორაციაში მომუშავე ქალი ჩაიცვამდა“.

მოდის კრიტიკებს თუ დავესესხებით, Balenciaga-ს სახლის შემოქმედებითი დირექტორი (ახლა უკვე ყოფილი, ვინაიდან ერთი თვის წინ მან ეს პოსტი დატოვა), ნიკოლა გესკიე იმ დიზანერთა ერთეულში შედის, რომელთაც ექსპერიმენტების ჩატარება არასდროს ბეზრდებათ. განსხვავებული აზრის ქონა, ალბათ, რთული და ობიექტურად უსამართლოც კი იქნებოდა. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, როცა ის ლეგენდარული სახლის შემოქმედებით საღავეებთან იმყოფებოდა, ყოველი ახალი სეზონი მოლოდინის და ცნობისმოყვარეობის ერთგვარი ტესტი იყო მოდის ინდუსტრიის მესვეურებისთვის, თუ უბრალოდ ამ სახლის მოყვარულებისთვის: ყველა დიდი ინტერესით ელოდა, რა ტიპის ინოვაციას შესთავაზებდა გესკიე, ამ ჯერზე, დამსწრე აუდიტორიას.

კრისტობალ ბალენსიაგას მდიდარი მემკვიდრეობის თემაზე ახლებური ინტერპრეტაციების გარდა, ნიკოლა გესკიეს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, თანამედროვე, ინოვაციური ქსოვილების შექმნა და შემდეგ, მათგან, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი სილუეტების შექმნა იყო, რაც 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაშიც ოსტატურად მოახერხა. დიზაინერმა არც ამჯერად ულალატა ქსოვილი-სილუეტის თემაზე „კირკიტის“ ტრადიციას და დამსწრე აუდიტორიას საკუთარი კონცეფციისა და სახლის ტრადიციების ზომიერი ნაზავი შესთავაზა. სილუეტის მხრივ, ძირითადი ლაიტმოტივი 1980-იანი წლების დასაწყისის მოდა იყო: ახალი სილუეტები იმდენად გაზვანდებულ პროპორციები იყო წარმოდგენილი, რომ განყენებულად, რიგით მოკვდავისთვის მათი ასეთი ფორმით წარმოდგენა, რთული საქმე იქნებოდა: გარისკავდით, მუხლამდე სიგრძის ტყავის ლაბადის მორგებას, უსასრულობამდე გაზვანდებული მხრებით?! ან, თუნდაც, სკულპტურული, მოცულობითი მხრებიანი სვიტერებს შეხამებას A სილუეტის ქვედაბოლოებთან, რომელთაც ორმაგი წინა მხარე აქვთ?!

ჩვენებაში, ბალენსიაგას კორპორაციის ოფისის თანამშრომელები (მხოლოდ ქალები) იღებდნენ მონაწილეობას – გესკიეს წარმოსახვით და არა რეალურად. კომპანიაში მათ მიერ დაკავებული პოსტების რანჟირება გამოიცდილ თვალს არ გაუჭირდებოდა: ტოპ-მენეჯმენტი კაბებში იყო გამოწყობილი, რომელიც ასეთურად იყო გაფორმებული ორისფერი ლამეს ბიუსტკალტერის ტიპის ელემენტებით, საშუალო საფეხურის მენეჯერები – ოთხუთხა სილუეტის მოცულობით პიჯაკებში, პრაქტიკუანტები – სვიტერებში, კომპანიის ტექნიკური პერსონალი – პარაშუტის ქსოვილის მსგავსი აბრეშუმისგან შეეკრილ კომბინეზონებში და ბოლოს, კომპანიის შემოგზავნილი ჯაშუშები – მოცულობითმხრებიან სვიტერებში, წარწერებით: „შემოგვიერთდი უცნაურ მოგზაურობაში“ ან „არსაიდან“.



**PRESIDENT**  
COMPLEX ORAL CARE SOLUTIONS



ନେତ୍ରବ୍ୟାକ

## გაქვთ ჭანმრთელი კბილები?

三



გაქვთ მგრძნობიარე კბილები?

三



სუსტი ყავას ენის ან უწევით სიღარეებს?

১৮৯



გადცეთ ლრობილობებიდან სისხლიდეებს?

363



გაწუხებთ ჰელიტოზი  
(პირის ღრუში უსიამოვნო სუნის პრობლემა)?

三



გაქვთ ანთებითი პროცესი ღრმილებზე,  
გართულებული პერიოდონტიტი, ან სტომატიტი?

১৬৩



გურიაში დღეს მიგინდის პროდუქტის  
სრული ხაზი თქვენი შეიღებისათვის  
სხვადასხვა ძალამძღვანელობის მიხედვით?

୧୬୯

გაქვთ კბილის პროტეზირებასთან,  
ხიდებთან და იმპლანტებთან  
დაკავშირებული პრობლემები?

DELTURE



თარგმანი



# კასოლუტისტი

პრისტობალ გალენისძეანას პერფექციონიზმის კულტი

የዚህ የዕለቱ ተከራክር ነው

ინგლისერილან თარგმანი თამარ გაბუაცხადი

## შუალედი „ნიუ იორკის“

ნოემბერი, 2006

1956 წელს პარიზში „ჯერარნახული“  
სილუეტი დაიბადა: შალის ტომარა -  
ტანზე ჩამოკიდებული, ნელგამოუყვა-  
ნელი კაბა - რომელიც მხოლოდ მსუ-  
ბუქად, ძლივბშესამჩნევად ეხებოდა  
სხეულს და ქალის მომრგვალებულ  
ფორმებს წარმოუდგენლად ამართკუ-  
თხედებდა. ამ სრულიად ახალი სილუე-  
ტის შემქმნელი ესპანელი დიზაინერი,  
კრისტოპალ ბალენსიაგა იყო. მანამ-  
დე, ქალებს, რომლებიც ბალენსიაგას  
სამოსს იცვამდნენ, ქსოვილის ნაკე-  
რის სიუეშეც კი არასდროს ეგრძნოთ  
სხეულზე, არათუ ნედლი ჯვალოსგან  
მოგვრილი მსუბუქი დისკომფორტი  
(ტილო ბალენსიაგამ ერთადერთხელ  
გამოიყენა, როდესაც ბუნებრივი ჩა-  
ლის, მოქარული ბოლერო შექმნა.  
ეს იყო მოკლე ქურთუკი, რომელიც,  
მფლობელის, პოლინ დე როტბილდის  
თქმით, ისეთი ხასხასა ფერისა იყო,  
როგორიც „ინკების ოქროს საგანძურს  
აქვს“).

მოდის ექსპერტები, როგორც წესი, ერთხმად აღიარებენ, რომ ბალენსია-გა – ბასყი მეთევზისა და მკერავის ვაჟი – გასული საუკუნის უდიდესი დიზაინერია. კრისტან დორრი მის დასახასიათებლად ღათინურ ფრაზას იყენებდა: *Primus inter pares* – ლირსეული ლირსეულთა შორის; შანელიც მიდიოდა დათმობაზე და ამბობდა, რომ მხოლოდ ბალენსიაგას შეეძლო, შეექმნა სრულყოფილი სამოსი საკუთარი ხელით თავიდან ბოლომდე, ანუ სკეჩის დახატვიდან შეკერვამდე, მაშინ, როცა ყველა სხვა დიზაინერი უძრალოდ „დიზაინერი“ იყო. დიდი ადამიანები, რომლებიც გამუდმებით დაუნანებლად იხდიდნენ 500 დოლარს მის კაბებში, იყვნენ: ზემოთ სსენებული დე როტ-შილდის მექლელე, ბარონი ფილიპი;

ଲୋକ ଗିନ୍ଦେସି, ରମଳୀର ସାଧୁତାରେଣ୍ଟ କ୍ଷା-  
ଣୀପ - ଗଣରାଜୀର “ଓନ୍ଦାଙ୍ଗ ଶେଖିନେବୁଣ୍ଡି”  
ଯୁଗ, ରମ ଦାଲ୍ଖିନ୍ଦୀରାଗାଶ କାଢେବିଳିତତ୍ତ୍ଵରେ  
ଶେଶାତ୍ମରିଣୀ ଗାର୍ଜେଗନ୍ତିବା ଏହି ତେଜନ୍ଦା;  
ଅଭେରିକ୍ଷେଣୀ ଦିନଥେଶ୍ମେନ୍ଦ୍ର ତାରିଖରେ ଯୁ-  
ଲୀବାମ୍ବୀ, ରମଲୀର ସାତ୍ରନ୍ଦୀପ ଦାଳମ୍ବି ମୁ-  
ଶାବନ୍ଦିବିତତ୍ତ୍ଵରେ ଗାନ୍ଧିଜିତନ୍ତ୍ରିଲ ଶେରିଲ୍ଲେଖିଲାକ  
କି ସାଧୁତାରେଣ୍ଟ ମାତ୍ରାକ୍ରିଯିଳା ଅଭେରିନ୍ଦ୍ରଦା;  
ଅଶ୍ଵେ ଝରି କ୍ରେଟିରି, ରମଗ୍ରିଲାକ ଆଗିଶ୍ଵେଦ-  
ଦା ତିର୍ଯ୍ୟକାଣ୍ଠ ଲ୍ପଣ୍ଡିତ ଫାନ୍ଦାଥାରାଜ୍ୟବି.

ტიტანური შრომა და ქსოვილები, რაც თითოეულ მოდელში იდებოდა (კლაუდია და ობორნის საყვარელი კაბა, მაგალითად, ყარყუმების კუდებით იყო გაწყობილი), ყოველთვის აი-სახებოდა ფასზე, მაგრამ პარიზში ბალენსიაგას სახლი მინც ყველაზე ძვირი იყო. მის ნამუშევრებს ქალები ისეთი რუდუნებით უვლიდენ და ინახავდნენ, როგორც სამუშავემო სავანძურს. წელიწადში ის სამასამდე ორიგინალ კაბას ქმნიდა, ხუთასამდე მკერავი, თერძი, გამომჭრელი, თარგის მხატვარი და მექუდე კი საკუთარ თავზე იღებდა ათასობით კერძო შეკვეთას. თუმცა ბალენსიაგას შეეძლო, ნებისმიერ ეტაპზე ჩარეცლიყო პროცესში და შუაზე გადაეფრინა მიტკლის თარგი, ანდა, სულაც გასაგზავნად შეხვეული მზა სამოსიც კი. ბევრ კლიენტს ახსოვს დიზაინერის უცნაური გატაცება სახელოებით. ყოფილა შემთხვევები, როცა მას მთელი დღე და ღამე გადაუბამს ერთი სახელოს დამტკარპაში. ჭორა-

დიზანერთან ხშირად თანაბმურომლო-  
ბდნენ ძვირადღირებული ტექსტილის  
ფაბრიკები ახალი აბრეშუმის, ანდა  
შალის გამოსაყვანად. ამ ინოვაციურ  
ნაჭრებს მყარი ფაქტურა ჰქონდა და  
სხეულს ქანდაკებასავით ეჭდობოდა  
გარს. ბალენსიაგა უუპნებოდა უიგანშის  
„ქსოვილი ადამიანის კანივითაა, რო-  
მელიც სუნთქვას: დაუშვებელია მისი  
შერყვნა და შეურაჯხოვა“.

ბალენსიაგა ხშირად მოგზაურობდა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, სადაც მისი დები და ნათესავები დიზაინერის ორ, საკმაოდ წარმატებულ სატელოტ სახლებს ხელმძღვანელობდნენ (ამ სახლების საერთო სამარკო ნიშანს *Eisa* ერქვა – ბალენსიაგას დედის ქალიშვილობის გვარის *Eizaguirre-ის* აპერეციატურა). კურეული და უნგარო ხელობას თავიდან სწორედ *Eisa*-ს სახლებში ეუფლებოდნენ. მათ ხშირად ადგილობრივი პროვინციელებისთვის, ამ ყაირათიანი და საშუალო კლასის კლიენტებისთვის, პარიზული სტანდარტების ახსნა უწევდათ და ამ პროცესში პროფესიულად თვითონაც ძალას ვთარდებოდნენ (ბალენსიაგას შეილთაშვილი აგუსტინი იხსენებს, რომ მაგალითად, გენერალ ფრანკოს მეუღლეს, დონა კარმენს, ერთი უცნაური ასირება ჰქონდა – *Eisa*-ს სამოდელო სახლში ფასდაკლებაზე ნაყიდი საკუთარი ქსოვილით გამოცხადდებოდა ხოლო).

• • •

1937 წლის აგვისტოში 42 წლის ბა-  
ლენისიაგამ პირველი მოდის სახლი გა-  
ხსნა პარიზში, 1968 წელს, გამძვინვა-  
რებული „მაისის დემონსტრაციების“  
დროს კი დაკეტა. 1931 წელს ესპანური  
მონარქიის დამხობა და კარსმოდებარი

## თარგმანი

სამოქალაქო ომი ფრიად არასასურველ გარემოებას ქმნიდა ყველასთვის, ესის ბიზნესიც მაღალ საზოგადოებაზე იყო გათვლილი. ბალენსიაგაც, რომლის საქმინობაც ესპანეთში კრაშით დამთავრდა, თავის კლიენტებს საზღვარგარეთ გაჰყვა. ინგლისში სამსახურის ძებნის პროცესი უშედეგოდ დასრულდა (არადა, ის აღმერთებდა ბრიტანულ სამკერვალო ტრადიციას), რის შემდეგაც ბალენსიაგამ ყველაფერი თავიდან დაიწყო ორ თანამემამულე ემიგრანტთან ერთად. ესენი იყვნენ ბასკი ფინანსისტი ნიკოლა ბიზარონდო და რუსული წარმომავლობის, ენერგული ფრანგი, ვლავლ ზავროროვსკი და ატანცილი, რომელსაც, როგორც უოკერმა მითხრა, „ერისტობამა მთელი თავისი სიყვარული უძლვნა“.

სამმა მამაკაცმა რამდენიმე ასეული ათასი ფრანგი მოაგროვა და ეს თანხა ძლიერ ამყოფინა სადებიუტო კოლექციას, რომელსაც ფრანგული პრესა დიდი აღტკინებით შეხვდა. „მოდი, მომავალ წელს, ცოტა წავითცნებოთ, – გამოუცხადა ერთ-ერთმა რადიონამყვანმა ფრანგ მსმენელებს, – ამის საშუალებას მოგცემს ეს მომაჯადოებელი კოლექცია, რომელიც ესპანური ლვინოსავით მათრობელად და მთლიანად ინსტინქტებსა და გრძნობებზეა აგებული“.

ამავე რადიონამყვანმა კოლექციის დახასიათება ასე განაგრძო: „ეს თვალწარმტაცი, მთაგონებით აღმვსები კაბების კოლექცია ან ზღაპრულ პრინცესას უნდა ეკუთვნოდეს, ან ინფანტას, ანდა მადამ დე პომპადურს, ფერები ისაფერიდან დახვეწილ, ტკბილ პასტელურ ტონებში გადადის, საღამოს კაბების ლიტურგიული შავი და თეთრი კი ისეთია, თითქოს, გენიოსმა დაამუშავაო, თან ისინი ჰარმონიულად ესადაგება მაღალი კლასის დაწყევლილ გემოვნებას“.

უურნალისტის ამ ქაოტურმა, პოზიტიურმა, ტკბილმა ბოდვამ ფაქტობრივად განსაზღვრა, თუ ყველა შემდგომი რეცეპტის არა, მათი უმრავლესობის ტონი. ამას თან დაერთო ინგლისიდან და ამერიკიდან ნამოსული ქება-დაიდებაც ბალენსიაგას „დღის სამოსის დრამატული უბრალოებისთვის“, რომელიც

ცარპერის ხაზაარ-ის მიხედვით, ეფუძნება ერთ მნიშვნელოვან წესს იმის შესახებ, რომ „შიკის საიდუმლო მის ექსკლუზიურობასა და დისტანციურობაში“.

თვითონ ბალენსიაგა კი ერთადერთ წესს იცავდა განუხრელად, კერძოდ, მას სწამდა, რომ კომპრომისზე უარის თქმა მაღალი მოდის უმთავრესი საიდუმლო. როცა 1950-იან წლებში, მაღალი მოდის სხვა დიზაინერები მორჩილად დანებდნენ ბიზნესის გარდაუვალ დემოკრატიზაციას და პრეტ-ა-პორტეს წარმოება დაიწყეს, ბალენსიაგა ჯიუტად ეურჩებოდა ამ საყოველთაო რევენებსა და ტენდენციას. როგორიც უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკა, მას მუდამ, ოკუპაციის წლებშიც კი, ჰყოფნიდა გამჭრიახობა, პოლიტიკაზე საჯაროდ არ ელაპარაკა (თუმცა, მისი ერთ-ერთი ყველაზე სანდო ბიოგრაფის, ინგლისელი ხელოვნების ისტორიკოსის, ლესლი მილერის თქმით, ერთხელ, ჰიტლერის ფრაზას დამცინავად მაინც გამოეხმაურა. ჰიტლერს გასჩენია იდეა, მაღალი მოდის ბიზნესი ბერლინში გადაეტანათ, ბალენსიაგას კი უთქვამს: „იქნებ ხარების იქით გადარეცვაც მოინდომოს და მერე ბერლინშივე განვრთნას მატადორები“). ისე კი, ბალენსიაგას მონარქიის ძლევამოსილებში ეჭვი არასდროს შეუტანია. შესაბამისად, საშინალად დამაბეჭელი უკიდურესობები, რაც მის შემოქმედებას ახასიათებდა – ასკეტიზმი და პომპეზურობა, თავდაჭრილობა და ექსტრავაგანტურობა, შეუწყნარებლობა და თვითიერება – მხოლოდ ამძაფრებდა ერთ აბსურდულ გარემოებას – ბალენსიაგას წრფელი გულით სწამდა ესპანური კათოლიკიზმის.

...

ღვთისმოსაობა და შიკი – ეს ორი ცნება ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მათი ერთმანეთთან გაჯიბრება უაზრობაც კია, მაგრამ მორჩილებისა და პერფექციონისტების მაინც ბევრი აქვთ საერთო. ბალენსიაგას მოძღვარი თავის სულიერ შვილს ახასიათებს როგორც „შეშინებულ სულს“, რომელიც შეპყრობილივით აკვირდებოდა თავისი ქვეცნობიერის თითოეულ მოძრაობას. ის ასე იქცეოდა ქალების შემთხვევაშიც, მათ გარდაქმნას ცდილობდა და

კაბებში, რომელთაც მათთვის ქმნიდა, უცოდველ მშვენიერებას აქსოვდა.

სწორედ ამ მარადიული შინაგანი გაორების გამო, ბალენსიაგა საკუთარი ნამრომით ბოლომდე კაბყოფილი არასდროს ყოფილა. როგორც მისი მეგობარი, ბეტინა ბალარდი იხსენებს, დიზანერი „ხან სიცარიელესა და შინაგან შიმშილს ეპრძოდა, ხან – უსამართლობის ყოვლისმომცველ გრძნობას“.

როცა ფრანგული ქვირადილორებული ბიზნესის აღზევებისთვის და 1947 წელს თავისი ცნობილი corolla სილუეტის შექმნისთვის (მოგვიანებით, ამ ნოვაციას უფრო კომერციული სახელი New Look დაარქესა), კრისტიან დიორმა გაითქვა სახელი, ბალენსიაგა შეურაცხყოფილი დარჩა: თვითონ ხომ თითქმის ასეთივე ფორმის კოსტიუმებს, ქვიშის საათის მოყვანილობის კაბებსა და უზარმაზარ ქვედაბოლოებს ჯერ კიდევ ომამდე პერიოდში და ომის წლებშიც კერავდა. „იმისთვის, რომ ბალენსიაგას გაუგოთ, უნდა იცოდეთ, რომ მის შემოქმედებას მხოლოდ განსაზღვრული სტილი კი არ ჰქონდა, არამედ თავისი ქცევის კოდექსიც, – მითხრა ჟივანშიმ, – ბალენსიაგას ქველმოდურად სჯეროდა, რომ ქალმა თავის კუტიურიეს არ უნდა უღალატოს. როცა საზოგადოება დიორის New Look-ით აღფრთოვანდა და ბალენსიაგას სახლიდანაც რამდენიმე ერთგული კლიენტი წავიდა, დიზაინერი სამინდად დადარღვევით აიტანდა. კლიენტებისა და პრესის მერყეობა, ლალატი ვერაცრით აიტანა. ამის შემდეგ ის უფრო გულჩათხრობილ ადამიანად იქცა, საჯაროდ გამოჩენაზე უარს ამბობდა, აღარც ყველას ემსახურებოდა და მხოლოდ რამდენიმე რჩეულ ქალს უკერავდა კაბებს პირადად“. მომდევნო წელს და ატანცილის მოულოდენლმა გარდაცვალებამ ბალენსიაგა სულ მთლად გაანადგურა. თუმცა, პენსიაზე გასვლა მას ბოლოს მაინც მეტოქემ – კრისტიან დიორმა გადაათქმევინა.

ესპანელი დიზაინერი ყოველთვის უარზე იყო, ისევე ეზრუნა თვითეკლამაზე, როგორც ამას კრისტიან დიორი აკვირდებდა. მსგავს საქციელს ის დამბირებლად მიზნევდა. მაგრამ ბალენსიაგას გამომწვევე დუმილი მხოლოდ ხაზს უსვამდა მის უპირატესო-

თარგმანი



## თარგმანი

ბას, 1947-48 წლების ორმაგმა შოკმა კი მის ტალანტს კიდევ უფრო დიდი ბიძგი მისცა. ბალენსიაგა წარმოჩნდა, როგორც ანგარიშგასაწევი მეტოქე, რომელიც მედიდურობით გამოიჩინება. როცა მან დაითანხმა Chambre Syndicale de la Couture, კოლექციები ჟივანშისთან ერთად ერთი თვის დაგვიანებით ეჩვენებინა. უურნალისტები, ბაიერები და ყველა ცნობისმოყვარე ხელახლა მიაწყდა პარიზს. ამ რენეგატ დიზაინერებს პრესის ექსკულუზიური უურადღება ერგოთ. მოდის ყველა მესვეტე და უურნალი მათზე წერდა.

ბალენსიაგას „ტომარა“ უურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე 1956 წელს მოხვდა. ნანილობრივ მისი წარმატება იმანაც განსაზღვრა, რომ საშუალო სტატისტიკური ადამიანისთვის, ეს კაბა აგრესიულად ასექსუალური იყო (სამაგიროდ, დაინტრიგდა ფელინი). მისი ბიოგრაფიის, ჰოლის ალპერის თქმით, ბალენსიაგას „ტომარას“ ის „ფანტასტიკურ, არაჩვეულებრივ“ ახალ ქმნილებას უწოდებდა, რომელმაც „ჩემს ფანტაზიას გასაქანი მისცა“).

თუმცა, ბალენსიაგას კონტრრევოლუცია ამით არ დაწყებულა. „ტომარამდე“ ერთი წლით ადრე მან თავისი პირველი კაბა-ტუნიკი წარმოადგინა – მონაზენური მოსასახი, სამი-მეოთხედი სიგრძის სახელობით, რომლის ქვეშაც სწორი ქვედბოლო ჩანდა.

მთელი 1950-იანი წლების განმავლობაში ბალენსიაგას ყოველ მორიგ ქმნილებას წინაზე უფრო სუფთა ფორმები, უფრო მასიური ზომები და უფრო მეტი გეომეტრიულობა ახასიათებდა. ისტორიკოსი და კურატორი რიჩარდ მარტინი მის ბლუზასა და ტრაპეციულად გამოყვანილ „ოთვინის კაბას“ უწოდებდა სხეულის „გალიას“, მიუხედავად მისა, რომ ეს სამოსი ქალის ტანს კორსეტის მარწეხებისგან ათავისუფლებდა და ყოველ არასრულყოფილ სხეულს ერთგვარ შემნილბავ, დამცავ ტყვეობას სთავაზობდა. იმავე პერიოდის გოგრის ფორმის შემოსაჭერი კაბა წარმოადგენდა ჭუპრს, რომლის შიგნითაც ქალს შეეძლო, საკუთარი თავი ისეთად წარმოედგინა, როგორიც ოცნებებში იყო თვითონ; ანდა რომლის შიგნითაც მა-მაკაცი იოცნებდა ქალი-პეპელას აღ-

მოჩენაზე...

აი, ტუნიკი კი „ბოთლიდან ამომხტარი ჯინი იყო, რომელსაც უკან ვეღარ ჩაბრუნებ“, – წერდა მირა უოკერი წინასიტყვაობაში, რომელიც კატალოგს „ბალენსიაგა და მისი მემკვიდრეობა“ ერთვის თან. ტანზე წელის „გაუქმებით“, ბალენსიაგამ თავის შეგირდს, კურუქს (კურუქმა ბალენსიაგას მოდის სახლი 1961 წელს დატოვა) 1965 წლის კოსმოსური ხანის სამოსის შესაქმნელად მზა თარგი მისცა, კოსმოსური ხანის სტილმა კი უკვე მინიკაბების გამოჩენისთვის საჭირო საფუძველი მოამზადა.

ასე რომ, დიზაინერი, რომელსაც მაღალი მოდის ყველა სხვა დიზაინერს შორის, ყველაზე ნაელებად ერგებოდა რევოლუციონერის ტიტული, საკუთარივე თავის საპირისპიროდ, ახალგაზრდული აფეთქების მესაციირ გახდა. „გამუდმებით მესმოდა, რომ მოდა ქუჩიდან იბადება, – თქვა დაიანა ვრილანდმა 1973 წელს, – მაგრამ მე მოდას პირველად ყოველთვის ბალენსიაგას ქმნილებებს ვამჩნევდა“.

...

ბალენსიაგას ბოლო პერიოდის კოლექციების მოდერნულობის საწყისი ქუჩის სტილში არ უნდა ვეძებოთ მიუხედავად მისა, რომ ის ერთ-ერთი პირველი დიზაინერი იყო, რომელმაც მაღალყელიანი ჩექმა და არლეკინის წინდები მოკლე კაბას შეუხამა, გამომწვევ სპორტულ ტანსაცმელში კი გამჭვირვალე პლასტმასი და ხელოვნური ბეზვი გამოიყენა. ინსტრუქციათა ორი, ურთიერთსანინაალმდებო წყებიდან, რომლებიც მან შემდგომ თაობებს დაუტოვა გასაანალიზებლად, პირველი უზენაესი ძალის სიკვდილის თემას ეხება, მეორე – ყველაზე რთულად წარმოსადგენ უწოდის. მის მემკვიდრეობაში კი, საბოლოო ჯამში, ალბათ, წაციონალურ ფოლკლორსა და ხელოვნების ისტორიაში გაზავებული მეთევზის ვაჟის ნოსტალგია იმაღება; ნოსტალგია დიდებულების, აღმატებულობის მიმართ. ამის დასტურია ქალებისთვის შექმნილი მოსასახამები, რომლებიც ფრანსისკო დე სურბარანის მადონას სამოსს ჰგავს, ბრჭყვილა თვ-

ლებით მოოჭვილი მოკლე ქურთუკები – მატადორის ბოლეროები და ბაფთებით მორთული ფანტასტიკური ორნამენტები, რომელთა შექმნის იდეაც მურანის შუშის ნივთების შემქნელთაგან უნდა მოდიდეს...

თუმცა კარიერის ბოლოს ბალენსიაგას სულ უფრო ნაკლებ აინტერესებდა დიზაინერობა, როგორც სხეულის სამოსით შემოსვის რიტუალი. ნაცვლად ამისა, ის ქალის ტანს უყურებდა, როგორც ჯავშანს, ზედგამოქრილს იმ ამაღლელვებელი და ზოგჯერ უცნაური აპსტრაქციებისთვის, რომელთაც ფოტოკამერა იდეალურად აღბეჭდვდა (ისედაც, რომ დაუკვირდეთ, თანამედროვე მოდის ისტორია ხომ სხვა არაფერია, თუ არა ისტორია მოდის ფოტოგრაფიის შესახებ).

ძირითადად იმ მიზეზით, რომ იწვინ პენის, რიჩარდ ავედონის, ლუის დალ-ვოლფის, ბერტ შტერნის, ტომ კუბლინის და უფრო მოგვიანებით, პიროს ფოტოები შავ-თეთრია, ხანდახან გიჭირს იმის გააზრება, რომ ბალენსიაგა, ძველი ბერძნების, ანდა იმ მაღალი წრის ქალების მსგავსად, რომლებიც პალმ ბიჩზე ატარებენ ზამთრის დღეებს, სულაც არ გაურბოდა გამომწვევ, ჟყეტელა ფერადოვნებას: ღია ალუბლისფერი და ლიმონისფერი ყვითელი; მოწითალო-მოყავისფრო ტონალობა და სამეფო ატრიბუტიკისთვის დამასასიათებელი ცისფერი; ისფერისა და ყვითლის ფართო გრადაცია, რომელიც სამფერა ის ყვავილებზე ჩანს... ქალი, როგორც ყვავილი – ეს მოტივი მუდმივად მეორდება ბალენსიაგას შემოქმედებაში. თუმცა ყველაზე პოეტური ქალი-ყვავილი მაშინ არის, როცა ყველაზე ნაკლები სიზუსტითაა გადმოცემული. ამის საუკეთესო მაგალითი 1967 წლის „კომბოსტო-კაპეა“ – აბრეშუმის ფურცელების სპირალისფერი ხეველი, რომელიც სწორი სილუეტის კაბის ზედა ნაწილს წარმოადგენდა და რომლის დამსახურებითაც ქალის სხეული გრანდიოზული გვირგვინის დეროს მოგაგონებდათ. მეორე მაგალითი შეიძლება იყოს 1966 წლის პარაშუტის აპრეშუმის სალამის პიუამო, რომელიც სამგანზომილებიანი ყვავილი აპლიკაციებით იყო დაფარუ-



တာမိန္ဒရေ

ლი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა საღამოს ლაპადა. მისი ზარის ფორმის მწვანე ტრიულის შიდა ტანი სრულად იყო მორთული ხვეული, ნახევრად გა-მჭვირვალე სირაქლემას ბუმბულებით. თითოეული ასეთი ბუმბული სისქით ხელოვნურ წამნაში არ აღემატებოდა და ქსოვილზე სათთაოდ სხვადასხვა კუთხით ისე იყო დამაგრებული, რომ თითოეულ მოძრაობაზე გარე მხარე ცახცახს იწყებდა...

• • •

ბალენისაგას თითოეულ „ანდრეძს“  
თავისი აღმასრულებლები ჰყავს და  
ამ ძველი ორდენის დამსახურებული  
რაინდები არიან: უფანში, ოსუარ დე  
ლა რენტა და უნგარო, რომელიც ამ-  
ბობს, რომ „ქალის იდუმალების“ და  
„მორალური სიმკაცრის“ შესახებ თუ  
რამე იცის, ისევ თავისი მაესტროსგან.

„17 წლის ვიყავი, როცა ნერგულლა-  
ბისგან აკანკალებული მივედი უორუ  
მეხუთეს ავენიუზე, – მიამბო უივანშიძ,  
– მადმუაზელ რენგმ კი უარით გამო-  
მისტუმრა, ბალენსიაგა ვერ მიგიღე-  
ბსო. თუმცა, შვიდი წლის შემდეგ მას  
მაინც შევხვდი, ნუ იორქში, რომელი-  
ლაც წვეულებაზე. ამ პროფესიისადმი  
ჩემი ერთგულებით აშკარად მოიხიბლა  
და მგონი, ჩემში ის ადამიანი დაინახა,  
ვისთვისაც შეეძლო, თავისი იდები გა-  
ეზიარება. „არავითარი ლალატი“ –  
იყო მისი უმთავრესი ცხოვრებისეული  
კანონი“.

• • •

ବାଲ୍ମେଣ୍ଟସିଆଗା ଗେଟ୍‌ରାରିଶି 1895 ମେଘା  
ଦାଳିବାଢା. ଏତୋ ସାମ୍ପୁର୍ଣ୍ଣିର ନିର୍ମାଣ, ସମ-  
ଜଳିଲ ମ୍ୟାକ୍ରି, ମନ୍ଦିରବନ୍ଧୁର ପ୍ରକାଶିତ  
ଅଳ୍ପିରୁରଂବାସ, ଅଳ୍ପାତ, ଶେଶାନିଶ୍ଚାବ୍ଦୀ ବେ-  
ଦେଖି ଓ ଶଳ୍ପିଲ ଦେଖିବା ଆପଣକୁଳେବଢା.  
ଫଲେ କି, ସାନାକିରଣଥିର ଉଶବ୍ଦୁରୀ ସା-  
ପଥବ୍ରଗ୍ରହେଲୀ କରିପୁଶ୍ଵରୀ ଅଳମାରାତ୍ମି-  
ଲା, ଇକ୍ଷ୍ଵାକ ବାତକାଶିବାନୀ, ତାନାମେଘରାତ୍ମି  
ଶବ୍ଦେଖି, ରମେଶଲିଙ୍ଗ ଜ୍ଵାଲାଫ୍ଲେବିଶ୍ଚିକ ଦାସି  
ଶେବାରାତ୍ମିଶ୍ଵରୀକିମେଲି ଦାନ୍ତରେଖି ଗାନ୍ଧମର୍ମ-  
ଜ୍ଵରୀନାତ. ଆହ, ଦେଖ ଶୁଦ୍ଧାମ୍ଭି କି ଫଲେମ-  
ଦେଖ ଶେମରକ୍ରିବେନିଲି ଶୁଦ୍ଧା ସାମ୍ପୁର୍ଣ୍ଣିବେଶି  
ଗାୟବାନିଲି ଓତେ ବିନ୍ଦର କୁର୍ବା, ଗରୋତ୍ତରି  
କୁଳେଶ୍ଵର, ନାଶ୍ଵରାଦଗମି, ତାତୀରା ମନ୍ଦିରା-  
ନୀ - ଶୁଦ୍ଧାମ୍ଭି କାନ୍ଦାକ୍ରୀତ ଓ କାରିଶିବାନ  
ଗାରିନ୍ଦାକ୍ରୀତ ଗରୋତ୍ତରି ଶେଷିବେନିଲି ସା-

საფლაო, სადაც ბალენსიაგაა დაკრძალული თავის მშობლებთან და დებთან ერთად.

ბალენსიაგას მამა, ოჯახი რომ შე-ენახა, მეთევზის მოკრძალებულ შე-მოსავალს სოფლის გამგებლობაში მიღებულ მცირედ ანაზღაურებასაც უმატებდა. თუმცა ის ახალგაზრდა გარდაიცვალა და დედამ კერვა დაიწყო, სამი შეიღო რომ როგორმე ერჩინა. ნა-ბოლარ კრისტობალს, თავისუფლად შეიძლებოდა ადგილობრივი სკოლა დაემთავრებინა, მაგრამ, როგორც ბა-ლენსიაგას ფონდის წარმომადგენელი, აპერი ოლასკოაგა ბერაზადი გვარნ-მუნებს, დიზაინერს ფორმალური გა-ნათლება აღარ მიუღია. მას უთუოდ მეზღვაურის ცხოვრება ელოდა წინ, ანდა – განათლება სემინარიში (ბიძა-ს სამართლებრივი გარემონტის მიზანით).

• • •

ნერის ბიოგრაფიიდან ამ პერიოდის შესახებ, ის მაინც ცნობილია, რომ კრისტობალი დედას ებმარებოდა კა-ბების კერვაში დიდგვაროვანი ოჯახის ქალებისთვის – კაზა ტორესის სახლის მარკიზებისთვის, რომლებიც ბალენ-სიაგას სოფლის თავზე, მეცხრამეტე საუკუნის საზაფხულო სასახლეში ის-ვენებდნენ ხოლმე... როგორც ბალენ-სიაგას ბიოგრაფიაში წერია, სწორედ ერთ-ერთ მათგანს, დონა ბლანკას წაუქეზებია ახალგაზრდა დიზანერი, ბედი ტანსაცმლის მოდელირებაში ეცადა... 50 წლის შემდეგ, ბალენსიაგამ საქორწინო კაბა შეკერა დონა ბლანკას შვილიშვილს — ფაბიოლა დე მორა ი არაგონისთვის, როცა ის ბელგიის მე-ფის გაჰყურა ჭოლად.

თინერივერობის წლები დიზაინერმა  
მაღრიდსა და სან სეპასტიანში – ეს-  
პანური სამეცნ კარის საზაფხულო  
რეზიდენციაში გაატარა, სადაც კერ-  
ვის სპეციალობას უფლებოდა. თან-  
დათანობით, ის სამეცნ კარის პირად  
მკერავდ იქცა. ეს, ბალენსიაგასნაი-  
რი ადამიანისთვის დიდი პატივი იყო.  
მისი ბიზნესი ერთ მარტივ გარემოებას  
ეფუძნებოდა – იმ ხანად დიდგვაროვა-  
ნი ქალი დღეში სამჯერ იცვლიდა ტან-  
საცმელს და ამიტომ, მცირედ დისტან-  
ციაზე მოზაურობის დროსაც კი თან  
ახლოდ მოახლე და მიჰორნდა უზარ-

სან სეპასტიანი ბიარიცის სანაპიროზე გაშენებული, სპა-კურორტებით და კაზინოებით სავსე ქალაქი იყო. ადგილობრივი ბასკები სამარად შეძლებულები იყვნენ, მოსახლეობაც, რომელიც ზაფხულობით აწყდებოდა აქაურობას, მდიდართა წრეს მიეკუთვნებოდა. ქალაქს სახელგანთქმული ზღვისპირა ბულვარი, მდიდრული სავაჭრო ცენტრები და მამაკაცთათვის განკუთვნილი ბევრი საგალანტერეულ მაღაზია ჰქონდა. ახალგაზრდა კრისტიონალს 1913 წელს მუშაობა სწორედ ერთ-ერთ მათგანში, მაღაზია „ლუვრში“ დაუწყია. მისი კარიერა სწრაფად წავიდა წინ და სულ რაღაც ექვს წელინაზში, 24 წლის ბალენსიაგა უკვე საკუთარ მოდის სახლს ფლობდა. ის ახერხებდა იმასაც, რომ მაღალი მოდის შეუძლებელ დასასწრებად პარიზში ემოგზიურა. როგორდაც – ზოგჯერ წასესხები, ზოგჯერ კი გამომზუმავებული ფულით – შანელის, ვიონეს და სენაპარელის ორიგინალებსაც ყიდულობდა და შემდეგ მთელი გულმოდგინებით სწავლობდა მათ ფორმასა და აგებულებას. კველაზე დიდ გავლენას მასზე მაღალი მოდის ის დიზაინერები ახდენდნენ, რომლებიც კოლექციებს ქალებისთვის ქმნიდნენ, თუმცა, წესით, ამ დროს მას უკვე გაცნობიერებული უნდა ჰქონდა, რომ თვითონ — კავკასიის ეტრულოდა, რომ თვითონ — კავკასიის ეტრულოდა.

# ეპიზოდი

## ვიცეპრეზენტორ მარკეტინგის განვითარება

ინტერვიუ ს. ხეჩინიშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის ნეიტროლოგიურ დეპარტამენტან  
არსებული „თავის ტკივილის ცენტრი“-ს ექიმ ნეიტროლოგ მაკა ძუძაბასთან

შეღწონო მაკა, ჩჩენ გარშემო ბევრ ადამიანს  
აქვთ შაკიკი, გადამიტაბული ხორ არ არის მს დი-  
აბინოზი, როგორიცა შაკიკის გართულების სისტი-  
რე, და საერთოდ, რა არის შაკიკი?

შაკიკი თავის ტკივილის ერთ-ერთი გავრცელებული  
ფორმაა. შაკიკის ტუსტი მიზები უცნობია, თუმცა ექს-  
პერტთა უმრავლესობის აზრით შეტევას განაპირო-  
ბებს თავის ტკინის სისხლძარღვების პათოლოგიური  
გაფართოება და სისხლსაგურაბა. 2007 წელს ჩატარე-  
ბული კვლევით, საქართველოში შაკიკის გავრცელება  
15 %-ს აღწევს, რაც იდენტურია მსოფლიო სტატისტი-  
კისა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შაკიკი შეიყ-  
ვანა იმ ოცი დააგადების სიაში, რომლებიც ადამიანის  
ცხოვრების მანძილზე განაპირობებენ ყველაზე ხანგ-  
რძლივ შრომისუნარობას. შაკიკის შეიძლება პერნდეს  
სერიოზული გართულებები, განსაკუთრებით არასწორი  
თვითმკურნალობისას.

მინდა ვუთხრა პაციენტებს: სწორი დიაგნოზი წარმატე-  
ბული მკურნალობის ძირითადი პირობაა, ნუ დაარქ-  
მევთ ყველა თავის ტკივილს შაკიკს, თქვენ შესაძლებე-  
ლია, გქონდეთ სხვა სერიოზული პათოლოგიით გამოწ-  
ვეული მეორადი თავის ტკივილი ან მართლაც გქონდეთ  
შაკიკი, მაგრამ არასწორად მკურნალობდეთ.

**მაინც როგორიცა შაკიკის სიმპტომები?**

სიმპტომებს შორის უშიორესია: ბულსირებადი, თა-  
ვის ერთ მხარეს ლოგალიზებული ტკივილი, მო-  
მატებული მგრძნობელობა სინათლის და/ან ხმაუ-  
რის მიმართ, გულისრევის შეგრძნება/პირდებინება,  
შრომისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება. ასევე, შა-  
კიკის შეტევას შეიძლება წინ უსწრებდეს „აურა“ - სიმპ-  
ტომები, რომლებიც არაუმეტეს ერთი საათის მანძილზე  
განიცდიან უკუგანვითარებას, მაგალითად, მნათი წე-  
რტილები მხედველობის ველში ან მხედველობის დაბინ-  
დვა, ასევე, კიდურების დაბუჟება, სისუსტე, მეტყველების  
გაძნელება.

დიაგნოზისთვის მხოლოდ სიმპტომები არასაკმარისია,  
ექიმი სხვა მრავალ ფაქტორსაც ითვალისწინებს.

**რა გართულებები შეიძლება ჰქონდეს შაკიკს?**

შაკიკის გართულებებია: ქრონიკული შაკიკი, როდესაც  
შეტევები თვეში 15-მდე მატულობს; შაკიკის ძლიერი

შეტევა, რომელიც 72 საათზე მეტხანს გრძელდება, ასე-  
ვე თავის ტკინის ინფარქტი და ბოლოს, მედიკამენტის  
ჭარბი მიღებით გამოწვეული თავის ტკივილი.

**რა არის მედიკამენტის ჰარბი მიღებით გამოწ-  
ვეული თავის ტკივილი?**

თავის ტკივილის მოხსნის მიზნით სხვადასხვა მედიკა-  
მენტის ჭარბად მიღებამ თავად შეიძლება გამოიწვიოს  
შეუპოვარი თავის ტკივილი, რომლის მოხსნას ავადმ-  
ყოფი გვლავ მედიკამენტით ცდილობს და ასე ერთვება  
მანკიერ წრეში, რომლის გაწყვეტა საკმაოდ რთულია.

ამიტომ ცალსახად მკურნალობას უნდა ნიშნავდეს ექი-  
მი. სშირი და სანგრძლივი შეტევებისას აუცილებელია  
არა მხოლოდ შეტევის კუპირება, არამედ პროფილაქ-  
ტიკური მკურნალობაც.

**რა პრეპარატებია ეფექტური შაკიკის შემთხვევა  
შეპირობისათვის?**

სია საკმაოდ ვრცელია, დაწყებული ასპირინით და პა-  
რაცეტამოლით, დამთავრებული სპეციფიკურად შა-  
კიკის სამკურნალოდ შექმნილი პრეპარატებით, მაგა-  
ლითად, რელპაქსით. სხვადასხვა ავადმყოფისთვის  
შეიძლება სხვადასხვა მედიკამენტი იყოს ეფექტური. ეფექტიანობა მრავალ პარამეტრს მოიცავს, მაგალი-  
თად, ტკივილი სრულებით უნდა მოიხსანს 2 საათის  
განმავლობაში და აღარ უნდა განმეორდეს მომდევნო  
24 საათში. ბუნებრივია, პაციენტი არ ითვალისწინებს  
ყველა ფაქტორს და ხშირად არასწორად მკურნალობს.  
პაციენტმა არ შეიძლება იცოდეს იმ დაგროვილი გა-  
მოცდილების შესახებ, რაც იცის ექიმმა - მაგალითად,  
სპეციალისტების აზრით, შაკიკის საშუალო და მძიმე შე-  
ტევის დროს აუცილებელია მკურნალობა სპეციფიკური  
პრეპარატებით, მათგან კი უბირატესობა ენიჭება ტრიფ-  
ტანებს (რელპაქსი, იმიგრანი), ამავე დროს არსებობს  
განსხვავებები ჰგუფს შიგნითაც.

ვურჩევ ყველა პაციენტს, არ ჩააგდოთ საკუთარი ჭან-  
მრთელობა საფრთხეში, შაკიკს, სხვა დააგადებათა  
მსგავსად, სჭირდება დაგეგმილი და კვალიფიცი-  
ური მკურნალობა, რომლის შემოთავაზებაც  
მხოლოდ ექიმს შეუძლია.

ს. ხეჩინიშვილის კლინიკა. ჭავჭავაძის გამზირი 33.

ნევროლოგიის დეპარტამენტი, „თავის ტკივილის ცენტრი“

საკონტაქტო ტელეფონები: 599 53 99 05; 555 52 88 51



## თარგმანი

ახალგაზრდა კრისტობალი რომან-ტიკული გარეგნიბის ყმაწელყაცი იყო, სახის მუქი კანით, თხელი აღ-ნაგობით, თითქოს, საკუთარ თავში ჩაკლული პრესტისეული მგრძნობე-ლობით... ერთ-ერთი ვერსიის თა-ნახმად, დაცანვილი მას სწორედ ამ წლებში შეხვდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი პიროვნების ჩამოყალიბება-ზეც დიდი გავლენა მოახდინა. რომანი რომ ჰქონდათ, არც არასდროს დაუმა-ლავთ – ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ძალაუფლებაში ფრანკოს მოსვლის შე-მდეგ, როცა დიქტატორის მეუღლემ და ქალიშვილმა ბალენსიაგასთან დაიწყეს ჩაცმა, ორთავეს მაინც დასჭირდა, სა-ზოგადოებაში უფრო თავშეკავებით მოქალაქიყო.

თუმცა, საკუთარი თავის ზედმეტად წარმოჩენა მგრძნობიარე და გულჩა-თხრობილ დიზაინერს ისედაც არც უყვარდა. თავის თავზე არასდროს ლაპარაკობდა, 1949 წლის შემდეგ კი პრესას, რომელიც სძულდა, საგან-გებოდ არიდებდა თავს – ინტერესუს არავის აძლევდა. პრინციპში, პენსიაზე გასვლამდე, არცერთ უურნალისტს არ

დალაპარაკებია და მერეც ამაზე ერ-თადერთხელ დათანხმდა. მუშაობდა სრულ სიჩუმეში, მთლიანად თეთრად გადალებილ ოთახში. „ნუ დახარჯავ საკუთარ თავს ფუჭად საზოგადოე-ბისთვის“, – ეუბნებოდა ტექსტილის მაგნატს, გუსტავ ზამსტეგს და კოლე-ქციებს შორის, დასასვენებლად, პარი-ზიდან ქალაქგარეთ მიემგზავრებოდა. საფრანგეთსა და ესპანეთში ის ორ სახლს ფლობდა. სწორედ ამ სახლებ-ში, თავისივე თქმით, ყველასგან გან-მარტოებულს, დრო ქსოვაში გაჰყა-ვდა, ამავე სახლების ინტერიერისთვის აგროვებდა დიზაინერულ თევშებს და სხვადასხვა წვრილმანს, დახეტია-ლებოდა ანტიკვარიატის მაღაზიებში, ყიდულობდა საინტერესო ნივთებს და შემდეგ, საკუჭნაოში აწყობდა. ბალენ-სიაგასთან დაახლოებულთა ვინრო წრეში უივანში, ბეტინა ბალარდი და კარმელ სნოუ შედიოდნენ – Harper's Bazaar-ის რედაქტორი, მაგრამ უფრო მეტად, უახლოეს მეგობრებად რამდე-ნიმე ბასქს თვლიდა.

ბალენსიაგა ზოგჯერ შეძავათებ-საც უკეთებდა კერძო კლიენტებს ან

მაღაზიებს, რომლებიც გარკვეულ თანხას იხდიდნენ იმისთვის, რომ მე-ცრად კონტროლირებული პირობებით, ბალენსიაგას ნამუშევრების ასლები დაემზადებინათ. ის დიდსულოვანი იყო სხვა დიზაინერების მიმართაც: აცმევდა ვიონეს – პენსიაზე გასვლის შემდეგ, მხარს უჭერდა უივანშის სა-ქმიანობას და სესხს აძლევდა კურე-ჟს, იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს, საკუთარი სახლი გაეხსნა, შემდეგ კი, როცა კურეჟის ბიზნესი წარმატებუ-ლი გახდა, თანხა მისთვის აღარც გა-მოურთმევია.

ორი რამ, რასაც ბალენსიაგა არავის პატიობდა, სამუშაოსადმი დაუდევრო-ბა და ღალატი იყო. შანელმა მისი მე-გობრობა და პატივისცმა სამუდამოდ დაკარგა მაშინ, როცა უურნალისტთან საუბარში გესლიანად გაუსვა ხაზი ბა-ლენსიაგას „ძეველმოდურობას“. „საშინ-ლად განიცადა ეს დარტყმა, — მითხრა უივანშიმ, – „შანელისგან გამოგზავნილ საჩუქრებსაც აღარ იღებდა. თუმცა, კოკოს დაკრძალვაზე მაინც წავიდა. ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ და როდის აპატიოს სხვას“.

...

მოდის სამყაროში ყველაზე იოლად ერთი რამ ეხერხებათ – დავიწყება. ბალენსიაგა 1972 წელს გარდაიცვალა და დღეს ახალგაზრდებისთვის მისი სახელი ყველაზე მეტად ასოცირდება პანკურ ჩანთასთან, რომელიც საკინ-ძებით, ბალთებით, ელვაშესაკრავე-ბით და ტყავის გრძელი ლენტებითაა მორთული. ორიგინალის გამოშვების შემდეგ, თავდაპირველი დიზაინის მსუ-ბუქი ვარიაციებით, ამ ჩანთის სხვა-დასხვა ვერსია ბევრჯერ გაკეთდა, მათ შორის იყო სუპერ-პოპულარული მოტოციკლის ჩანთის საშუალო ზომის ვერსიაც, რომელიც დღეს 1200 დღლა-რად იყიდება, ანუ იმის ნახევარ ფასად, რამდენიც მაესტროს მიერ შექმნილი კოსტიუმი ღირდა 1950-იან წლებში.

ასლის ავტორი ნიკოლა გესკიეა, რომელიც ამშობს: „ჩემს თაობას არა-ფერი აკავშირებს იმ კოლექტიურ მე-მკვიდრეობასთან, რასაც ბალენსიაგა წარმოადგენს და, ამ ეტაპზე, ვფიქრობ – არც მე“.





## გსურთ მიიღოთ VIP მომსახურება აეროპორტში?

მიმართეთ "primeclass" ის CIP სამსახურს.

"primeclass" ი სთავაზობს თავის სტუმრებს განსაკუთრებულ პრივიდეგიებს აეროპორტში შემოსვებისთანავე. CIP აგენტი, მებარგუდთან ერთად დაეხმარება მგზავრებს აეროპორტში არსებული ყველა საჭირო პროცედურის გავდაში, მათ კი შეუძიათ მოისვენონ "primeclass" CIP დარბაზებში.

Tbilisi | Tel: 322 310 330 | Fax: 322 310 331 | E-mail: primeclass.georgia@tav.aero

Batumi | Tel: 422 235 111 | Fax: 422 235 112 | E-mail: primeclass.batumi@tav.aero

TAV Georgia Operation Services LLC | [www.primeclass.com.fr](http://www.primeclass.com.fr)

P  
primeclass  
CIP Service

## თარგმანი

გესკიე, თხელი აღნაგობის, 35 წლის კაცია. ის რაღაცით ჰეგაეს ზედმეტად მგრძნობიარე ახალგაზრდა ბალენსია-გას. მაგალითად, დიდი მაესტროსავით, საკუთარ თავზე დინჯად, აუდელვე-ბლად ლაპარაკობს. გესკიე საფრან-გეთის ჩრდილოეთით, ინდუსტრიულ ქალაქ ლილში დაიბადა. მამამისი ფიზიულტურის მასწავლებელი იყო და იმედი ჰქონდა, ვაჟიც მის პროფესიას აირჩივდა. თუმცა, 18 წლის გესკიე პარიზში გაემგზავრა და უან პოლ გო-ტიეს სახლში ასისტენტად მოეწყო. 1995 წელს მას ბალენსიაგას სახლის მფლობელმა კომპანიამ *Groupe Jacques Bogart*-მა შესთავაზა სამსახური. ეს

იყო კომპანია, რომელმაც ბალენსიაგას მემკვიდრეობა ერთი გერმანული ფირ-მისგან შეიძინა, გერმანულმა ფირმამ კი – უშუალოდ ბალენსიაგას ოჯახის წევრებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბალენსია-გა მზა სამოსის კოლექციებს ამრეზით უყურებდა, ფიქრობენ, რომ სინამდ-ვილები დიზაინერს აღაფრთოვანებდა მისი შესაძლებლობებიც და საზღვრე-ბიც. 1968 წელს მარკიზა დე ლანსო-ლისთვის უთქვამს კიდეც: „რა დასანა-ნია, რომ ახალგაზრდა არ ვარ, თორემ აუცილებლად შევქმნიდი სახალისო, მაგრამ გემოვნებიან მზა სამოსს ეპო-ქისთვის, რომელშიც ვცხოვრობთ“.

ბალენსიაგამ საკუთარი ტრიკოტა-ჟის ხაზი გახსნა. გამოუშვა რამდენიმე კომერციულად წარმატებული სუნამო ქალისა და მამაკაცისთვის. 1968 წელს კი დათანხმდა *Air France*-ის წინადადე-ბას, უნიფორმები შეეკერა ავიაკომპა-ნიის ბორტგამცილებლებისთვის. ეს მასობრივი მოხმარების პროდუქციის შექმნის ერთადერთი პრეცედენტი იყო ბალენსიაგას ბიოგრაფიაში. როგორც ჩანს, რთული აღმოჩნდა, გაეძლო ცდუნებისთვის და არ ეზრუნა უამრა-ვი „მარიანას“ ჩაცმაზე (მარიანა – გა-ლური წარმოშობის ქალების სიმბოლო გახლდათ).

გესკიემდე რამდენიმე დიზაინერმა სცადა, შეექმნა ბალენსიაგას მემკვი-დრეობისგან სიცოცხლისუნარიანი, ძვირფასი ბრუნდი. 1997 წელს მენეჯე-რებმა სამსახურიდან გაათვისუფლეს მთავარი დიზაინერი ჯოზეფ თიმისტე-რი, თავიანთი ფავორიტი – ჰელმუტ ლანგი კი ვერ დაითანხმეს, ეს პოსტი დაეკავებინა. შემდეგ, უკვე გესკიეს სთხოვეს, კოლექციები შეექმნა, მაგრამ მალევე ისიც გაათავისუფლეს, მერე კი, როცა გაყიდვების მაჩვენებლები ნახეს, ისევ უკან დააპრუნეს და დააწი-ნაურეს კიდეც.

„ეს თანამდებობა შევინარჩუნე იმი-ტომ, რომ მქონდა საკუთარი ხედვა და ვიყავი ახალგაზრდა. თუმცა კი, ამ სახლში ყოფნაც კი საკმაოდ შემაშინე-ბელი იყო. დიდხანს ვყოფმანობდი, შე-მენავლა თუ არა ბალენსიაგას არქივი და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ მო-ვახერხე, ჩავსულიყავი ქვედა სართულ-ზე და შინაგანი დაძაბულობის გარეშე დამეტვალიერებინა ყველაფერი, რაც ყურადღებას მიიპყრობდა“, – ამბობს დიზაინერი.

პერიოდულად გესკიეს უთანხმოება ჰქონდა *Gucci*-ს აღმასრულებლებთან, მათ შორის ტომ ფორდთან და დომენი-კო დე სოლესთან. 2003 წელს პოსტის დატოვებასაც კი აპირებდა, თუმცა მალე თავად ტომ ფორდმა და დე სო-ლემ დატოვეს კომპანია კონტრაქტის შესახებ წარუმატებელი მოლაპარაკე-ბების გამო.

გესკიე მიხვდა, რომ შეეძლო ბალენ-სიაგას მემკვიდრეობის „ციტირება“ დაეწყო ისე, რომ ამ პროცესში არც



საკუთარი ბოჭემურობა დაეკარგა. 2004 წელს მან წარმოადგინა Edition – ძვირადლირებული ხაზი, გასული წლის თებერვალში კი უკვე – მზა სამოსის კოლექცია.

ჩვენება წვიმიან დღეს დაიწყო, ყოველგვარი შეუსაბამო თეატრალიზების გარეშე და პოდიუმზე გამოჩნდა მდგრადსაყელოანი ქურთუებისგან და ბუშტის ფორმის ქვედაბოლოებისგან შემდგარი ტვიდის ანსამბლების წაცნობი პროცესია; აქვე იყო რეგლანის მყლავებიანი კვადრატის ფორმის ქურთუები, ძვირფასეულობით შემკული ღილებით; მონაზვნური თარგის სადა კაბები, რომლებიც ისეთი ძვირფასი, მიმე ქსოვილებისგან იყო შეკერილი, როგორიცაა ვერცხლისფერი ლამე.

...საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხშირად ეხმარება დახვენაში პროვინ-

ციელ, ნიჭიერ ახალგაზრდებს; ისეთებს, როგორებიც გესკიეა, ან როგორიც ივ სენ ლორანი იყო 40 წლის წინ. მათ აქვთ საოცარი უნარი, მაცდური არსებები გამოასახურაონ ერთი შეხედვით სპეციალურებში. სწორედ ასეთ ქალებს ეხმარებიან ისინი „ცოდვის ჩადენაში“. ზუსტად ასე, ამ გაგებით ხედავდნენ აფასებდნენ ორივენი ბალენსიაგას შემოქმედების ლატენტურ ეროოტიზმს.

თუმცა ბალენსიაგას ფარული მიზნები იოლი ამოსაკითხი არაა. შეუძლებელია, ეს მოდის ჩვენებებში, რომელიმე კონკრეტულ ფოტოში, ანდა სულაც მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ რეტროსპექტივაში დაინახო. დიზაინერის საიდუმლოს რომ ახადო ფარდა, ამისთვის მისი თითოეული კაბის ამობრუნება და ნაკერების შიგნიდან მოსინჯვა მოგიწევს. თუ მის მაღალ სტანდარტს

მზა სამოსი ვერაფრით შეედრება, არა იმიტომ, რომ საკერავი მანქანა სრულყოფილ ნაკერებს ვერ აკეთებს. მანქანას არც წარუმატებლობით, ანდა საზოგადოებისთვის გულის გადაშლით გამოწვეული პანიკური შიშის განცდა ძალუძს, ეს მხოლოდ ვირტუოზებისათვის ნიშანდობლივი თვისებაა. ზუსტად მსგავსი პანიკური შიშით მანიპულირებაა ზოგადად მოდა; მანიპულირება ყველა გულუბრყვილო და მიმდობი ქალის რწმენით, რომ რომელიმე კაბას შეუძლია, ის ისეთივე მიუწვდომელი მშვენებით შემოსოს, როგორიც ამ კაბაში გამოწყობილი, არაამქვეყნიურად ლამაზი თინეიჯერი მოდელია. მაგრამ ბალენსიაგამ შეგნებულად თქვა უარი თვალის ახვევასა და ტყუილზე. მან ქალის ცოდვებს რეალური ზომები აუღო და შემდეგ მიუტევა.



შერატონის მწვანე ინიციატივა



წინასახალწლო ღონისძიებებს „სტარგუდის“ სასტუმროების ქსელი – სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“ მწვანე ინიციატივით შეუერთდა. პროექტს სასტუმრო „შერატონ“ 2012 წლიდან ახორციელებს და მისი მიზანია, დაიცვას ბუნება დაბინძურებისგან და ხელი შეუწყოს ფანსაღი გარემოს შენარჩუნებას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, დეკემბრის ბოლოს მოხალისეების ჯგუფმა, რომელიც სხვადასხვა ასაკის, გემოგრებისა და პროფესიის ადამიანებს აერთიანებდა, გადამუშავებული ქაღალდის აგურისგან „ფინვერბრედების სახლი“ ააგო. მუყაოს ქაღალდებს ისინი მთელი წლის განმავლობაში აგროგებდნენ. წლის ბოლოს კი, მისგან დამზადებული 600-მდე აგურით ექვსი მეტრის სიმაღლის სახლი ააშენეს. „შერატონ მეტეხი პალასი“ იმდოვნებს, რომ მომავალი წლიდან ამ კრეატიულ პროექტს სხვა კომპანიებიც გაიზიარებენ, რაც შეამცირებს დანაკარგებს და შეინარჩუნებს გარემოს.

## ლეგენდარული დიზაინერები ანბანის მიხელვით



ტექნოლოგიების მოდის ინსტიტუტმა, გამომცემლობა Taschen-თან ერთად, ლიმიტირებული ექვსტომეული გამოსცა სახელწოდებით – Designers A-Z.

გამოცემის რედაქტორი და ავტორი ტექნოლოგიების მოდის ინსტიტუტის მუზეუმის დარქეტორი და კურატორი ვალერი სტილი, ხოლო თანავტორი გაზით International Herald Tribune-ის მოდის რედაქტორი და კრიტიკოსი სიუზი მერკესია.

თითოეული ტომი 654-ვერდიანია და 500-მდე ფოტოს აერთიანებს. ეს კადრები სრულად მოიცავს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში მოძვანე დიზაინერების მიერ შექმნილ უნიკალურ ნამუშევრებს. ფოტოებს თან ახლავს წიგნის ავტორთა საკმაოდ ვრცელი კომენტარები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ მან მაუშვერას მოგიდის ისტორიაში. ოთხტომეულში ლეგენდარული კოკ შანელის, კრისტოპალ ბალენსიაგას და ივ სენ ლორანის გვერდით, ახალგაზრდა დიზაინერებიც მოხვდნენ, მათ შორის Rodarte და Undercover.

ექვსტომეულის თითოეული წიგნი 11 ათას ეგზემპლარად დაიბეჭდა და მათი ყდების დიზაინში ექსამა სხვადასხვა მოგიდის სახლმა – Akris, Etro, Stella McCartney, Missoni, Prada, and Diane von Furstenberg – იზრუნა. წიგნები იტალიაში ხელითაა აკინძეული, ყდა ქსოვილისგანაა შექმნილი და თითოეულ ტომს უნიკალური ნომერი აქვს მინიჭებული.

წიგნისთვის, რომელიც იტალიური მოდის სახლს, Prada-ს ეძღვნება, მიუჩია პრადამ ბამბის ქსოვილზე გადაიტანა 4 კლასიკური პრინცი წინა კოლექციებიდან. ესენია: პატარა, წითელი გულები, ქალებს რომ მოსწონთ; აპსტრაქტული, გეომეტრიული ბრილიანტები; ბარკოს სტილით ინსპირირებული ბანანები და 1960 წლის Holiday & Brown-ის არქივის ყვავილებიანი პრინტი.

ონლაინ მაღაზიებში ექვსტომეული უკვე იყიდება და ერთი ტომის ფასი 350 დოლარია.

## როგორ უდა გახდე დაინა ვრისანდე?

The Eye Has to Travel – ასე ჰქვას დოკუმენტურ ფილმს, რომელიც აერიკული VOGUE-ის ერთ-ერთი ყველაზე ექსტრავაგანტულ, კურატოულ და გავლენიან რედაქტორზე, ლეგენდარულ დაანან ვრილანდზე გადაიღეს. ფილმის რეჟისორი ლიზა იმორდინო ვრილანდია (დაანან ვრილანდის შვილიშვილის ცოლი), რომელიც ამავე სახელწოდების წიგნის ავტორიცაა.

უამრავ აუდიოჩანან ერთან, ფოტომასალასთან და ტელეინტერეიუს-თან ერთად, ფილმში ის ადამიანებიც მოხვდნენ, რომლებიც წლების განმავლობაში დაიანა ვრილანდთან ერთად მუშაობდნენ – ანა სუ, ქელვინ კლაინი, დაან ფონ ფურსტენბერგი, ანუელიკა ჰიუსტონი და ვრილანდის ორი ვაჟი – ფრედრიკი და ტიმი.

ორმოცნდის მოდვანების განმავლობაში ვრილანდი საზოგადოების გაოცებას მუდმივად ახერხებდა. სწორედ ვრილანდმა აქცია ედი სედვიკი, ტვიგი და ვერუშა ცნობილ სახეებად, მან გაგზავნა რიჩარდ ავედონი ეგვიპტუში ფოტოსესიისთვის Think of Cleopatra და მან ურჩია ქალებს, თავიანთი შვილების ოახების რუკებით მოხატვა, ბავშვები პროვინციული აზოვნებით რომ არ გაზღდრილიყვნენ.

„როგორ უნდა გახდე დაინა ვრილანდი?“ – ჰეითხა ერთხელ ჯორჯ პლიმპტონმა ვრილანდს, რომელსაც იმხანად ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერაში ეხმარებოდა. „პირველ რიგში, ჩემი საყვარელო, პარიზში უნდა დაიბადო“, – უპასუხა მან.

დაანა ვრილანდმა კარიერა 1930 წელს Harper's Bazaar-ში ყოველგვარი პროფესიული განათლების მიღების გარეშე დაწყო. Why Don't You – ასე ერქვა სედვიკს, რომელშიც ვრილანდი ქალებს უცნაურ და გიურ რჩევებს აძლევდა. Harper's Bazaar-ში 25-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, 1962 წელს ვრილანდ ვოგის მთავარი რედაქტორი გახდა და რვა წლის განმავლობაში მართავდა მას. მისი რედაქტორობით, პირველი ნომერი 1963 წლის იანვარში, ზესტად 50 წლის წინ გამოვიდა.

„სტილი ყველაფერია. ის გეხმარება დილით აღრე ადგომაში, კიბე-ბზე ჩასვლაში, ის ცხოვრების გზაზ. მის გარეშე შენ არავინ ხარ და, რა თქმა უნდა, ამაში მე ბევრ ტანსაცმელს არ ვგულისხმობ“, – უთხრა აფტობიოგრაფიული წიგნის წერისას ვრილანდმა ჯორჯ პლიმპტონს.

The Eye Has to Travel უკვე გამოვიდა კნოეკრანგბზე და მასში, დაიანა ვრილანდის კარიერასთან ერთად, მისი პირადი ცხოვრების უცნობი დეტალებიცაა მოთხრობილი.



666ლ გოგოლადი - ახლა ესა 03306b iPhone, iPad ტბ iPod Touch-83



## 0306 იOS-ისთვის

0306-ის ყველაზე!

0306-ის კონფიდენციალი

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

0306-ის iOS-ისთვის ხამაულება გამოვიდა მართვაშ 0306-ით lit.ge-ს 6066360 და ამ 09090363 03306b iPhone, iPad ტბ iPod Touch-83

კალიგრაფიის გაფარგლენა, 033060 0069060 ლობის ტუნ-83 მოწვევი „IOTA READER”





საცნო  
გრაფიკალი  
**98.5 FM**

[www.facebook.com/RadioTskheliShokoladi](http://www.facebook.com/RadioTskheliShokoladi)

**98.5**